CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

სოციალურ მეცნიერებათა სერია

კულტურა
და
მოდერნიზაცია

სალექციო კურსი
სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის

ივანე წერეთელი
ქეთევან კაკიტელაშვილი

თბილისი
2006

სოციალურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: **მარინე ჩიტაშვილი**

ენობრივი რედაქტორი: **ლია კაჭარავა**

დაკაბადონება, ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006
© Center for Social Sciences, 2006

ქ. თბილისი, 0108, თ. ჭოველიძის ქ. 10

ელ. ფოსტა: **contact@ucss.ge**

ინტერნეტ გვერდი: **www.ucss.ge**

CSS
Center for Social Sciences
STUDIUM PRETIUM LIBERTATIS

წიგნი მომზადებულია და გამოცემულია `სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის~ (Center for Social Sciences) მiერ, ფონდის OSI – Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) ფინანსური ხელშეწყობით

OSI

The book has been published by the Center for Social Sciences, sponsored by the OSI-Zug Foundation and the Higher Education Support Program (HESP) of the Open Society Institute-Budapest.

ISBN: 99940 - 871 - 7 - 7

სარჩევი

თემა I. ძირითადი ცნებები და ტერმინები	3
თემა II. მოდერნიზაციის ცნება. მოდერნიზაციის თეორიები	10
თემა III. კულტურათა ტიპოლოგია მოდერნული და არამოდერნული კულტურების მახასიათებელთა საფუძველზე	20
თემა IV. მოდერნიზაცია — დასავლური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ეტაპი	39
თემა V. მოდერნიზაცია და გლობალიზაცია	52
თემა VI. თანამედროვე მოდერნიზებული მსოფლიო საზოგადოება გლობალიზაციის გამოწვევების წინაშე	61
თავი VII. ვესტერნიზაციისა და მოდერნიზაციის ცნებათა ურთიერთმიმართებისთვის	68
თემა VIII. დასავლურ და არადასავლურ კულტურათა წარმომადგენლების თვალით დანახული სამომავლო პერსპექტივა	68
თემა IX. „მცირე კულტურები“ და მოდერნიზაციის პრობლემა. ქართული კულტურა მოდერნიზაციის პრობლემასთან მიმართებაში	89
CULTURE AND MODERNIZATION *(Summary)*	**111**

თემა I. ძირითადი ცნებები და ტერმინები

პირველი თემა ეთმობა იმ ძირითადი ცნებებისა და ტერმინების განმარტებებს, რომლებიც კურსის მანძილზე იქნება გამოყენებული. ამ ტერმინებით ოპერირება აუცილებელია ისეთ საკითხებზე მსჯელობისას და იმ პროცესების აღსაწერად, რომელიც გარდაუვალია სხვადასხვა რეგიონსა და, შესაბამისად, სხვადასხვა კულტურულ სივრცეში მოდერნიზაციის პროცესის მიმდინარეობისას. ეს არის კულტურათა შორის კონტაქტის პრობლემა — მისი სხვადსხვაგვარი გამოვლინება (ასიმილაცია, კულტურული შოკი, კონფრონტაცია, სიმბიოზი, სინთეზი, კულ-ტურული კონფლიქტი, კულტურული დიფუზია), ტრადიციის როლი და ადგილი მოდერნიზაციის პროცესში, ტრადიციისა და მოდერნიზაციის ურთიერთმიმართების პრობლემა; იდენტურობის პრობლემა არადასავლურ კულტურებში მიმდინარე მოდერნიზაციული გარდაქმნების პირობებში და ა.შ.

პირველ რიგში აუცილებელია კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაციის გადმოცემა, რამდენადაც მოდერნიზაციული პროცესების წარმოშობა და მიმდინარეობა ორ ძირითად — კულტურულ და ცივილიზაციურ — დონეზე ხდება და ამ პროცესების შესწავლა და ანალიზი ამ ორი ფენომენის ფარგლებში და მათ საფუძველზე უნდა მიმდინარეობდეს.

კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა ინტერპრეტაცია.

კულტურის ფენომენზე საუბრისას ყურადღებას გავამახვილებთ მის ორ ასპექტზე:

1. კულტურა — როგორც კაცობრიობის უნივერსალური მახასიათებელი;
2. კულტურა — როგორც ცალკეულ საზოგადოებათა შორის არსებული განსხვავებებისა და მიჯნების ძირითადი საფუძველი.

პირველი მათგანი გულისხმობს, რომ კულტურა არის Homo sapiens-ის, როგორც ბიოლოგიური სახეობისა და სოციალური არსების უნიკალური უნარის შედეგი. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ეს სახეობა ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან. ადამიანში გენეტიკურადაა (ბიოლოგიურადაა) დეტერმინირებული პოტენცია — იყოს კულტურის შემოქმედი, კვლავმწარმოებელი და გადამცემი, მაგრამ ამ პოტენციის რეალიზება მხოლოდ სოციალურ გარემოშია შესაძლებელი, რაც აუცილებელ პირობად ითხოვს კავშირს წინა თაობებიდან გადმოცემული სოციალური ცხოვრების გამოცდილებასთან და მთლიანად დამოკიდებულია სოციალიზაციის პროცესზე. როგორც რ.ბენედიქტი აღნიშნავდა, „კულტურა არ ეძლევა ადამიანს დაბადებიდან, არ არის ჩადებული ჩანასახოვან უჯრედებში როგორც კრაზანებთან ან ჭიანჭველებთან, არამედ ათვისებული უნდა იქნეს ყოველი ახალი თაობის მიერ უფროსთაგან შესწავლის გზით“[1]. ანთროპოლოგ ე.ჰიობელის განსაზღვრებით, კულტურა არის „ინტეგრირებული სისტემა ქცევის შესწავლილი მოდელებისა, რომლებიც დამახასიათებელია საზოგადოების წევრთათვის და რომლებიც არ წარმოადგენენ ბიოლოგიური მემკვიდრეობის შედეგს“[2].

ე.ტაილორი, რომელიც კულტურის ცნების პირველი მეცნიერული განსაზღვრების ავტორადაა მიჩნეული, ხაზს უსვამს კულტურის სოციალურ ბუნებას. მისი სიტყვებით, „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა-წარმოდგენების, ხელოვნების, ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებებისა და ზოგი სხვა უნარ-ჩვევისგან, რომლებიც შეძენილია ადამიანის როგორც საზოგადოების წევრის მიერ“[3].

კულტურა შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ღირებულებათა, ქცევის ნორმათა და სტანდარტთა ერთობლიობად, რომელიც არეგულირებს ადამიანთა ურთიერთობებს ერთმანეთთან, საზო-გადოებასა და ბუნებასთან.

---

[1] კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია). თბ., 2003. გვ. 24.
[2] იქვე, გვ.22.
[3] იქვე.

მაშასადამე, ფართო აზრით, კულტურის ცნება „ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან. კულტურაში იგულისხმება არა ცალკეული შემოქმედებითი აქტი, არამედ შემოქმედება როგორც ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულება სამყაროსადმი, რომლის მეშვეობით იგი ქმნის „ახალ სამყაროს“ და საკუთარ თავს“[1]. კულტურა არის ყოველივე ის, რაც სოციალური მემკვიდრეობის შედეგია და რაც უზრუნველყოფს სოციალური გამოცდილების მემკვიდრეობითობას.

კულტურის მეორე ასპექტი კი გულისხმობს იმას, რომ ადამიანის როგორც კულტურის შემოქმედის, მატარებლისა და გადამცემის უნარი სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულად რეალიზდება, ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის არსებობის სპეციფიკური პირობებისა და განვლილი ისტორიული პროცესების მიხედვით. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კულტურებზე, რომლებიც ქმნიან სამყაროს უნიკალურ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ მოდელს. სხვადასხვა კულტურაში ადამიანები განსაკუთრებულად აღიქვამენ სამყაროს, საზოგადოებას და ადამიანს მათთან მიმართებაში. ყოველ კულტურას აქვს ღირებულებათა და ნორმათა განსხვავებული სისტემა, ქცევის წესები, იდეალები და ყოველივე ის, რაზეც ე.ტაილორი მიუთითებდა. კულტურა, ასეთ შემთხვევაში, ხდება იდენტიფიკაციის საფუძველი, ის, რითაც ადამიანი განსაზღვრავს „თავისიანსა“ და „უცხოს“. „კულტურა, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, არის ის, რის გამოც შენ უცხოდ იქცევი, როგორც კი შენს სახლს დატოვებ“[2].

ამდენად, კულტურა არის ის ძირითადი მახასიათებელი, რის საფუძველზეც ემიჯნებიან ერთმანეთს სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები, რითაც ისინი თავს განარჩევენ სხვებისაგან და რითაც სხვები განარჩევენ მათ დანარჩენებისაგან.

ამგვარად, კულტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც:

1. სოციალური ქცევის დეტერმინანტი;
2. სუბიექტური ცოდნისა და ინტერპრეტაციების დეტერმინანტი;
3. თვითიდენტიფიკაციის მექანიზმი;
4. სოციალური ცხოვრების რეგულატორი;
5. სოციალური გამოცდილების ტრანსლატორი;
6. საადაპტაციო მექანიზმი.

კულტურის სინონიმად შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „საზოგადოება“, რადგან ადამიანის მოღვაწეობის კულტურულ და საზოგადოებრივ დონეს კურსის ფარგლებში თანაბარმნიშვნელოვნად მოვიაზრებთ.

ცივილიზაციის ცნების ასევე მრავალგვარ ინტერპრეტაციას შორის სამი ძირითადი მიდგომა იკვეთება:

1. ლოკალურ-ისტორიული (ნ.დანილევსკი, ო.შპენგლერი, ა.ჯ.ტოინბი, ს.ჰანთინგტონი);
2. ისტორიულ-სტადიური, რომელიც ამა თუ იმ კრიტერიუმზე დაყრდნობით განარჩევს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის ცივილიზაციას;
3. მსოფლიო-ისტორიული, რომლის ფარგლებში ცივილიზაცია განიხილება როგორც კაცობრიობის ისტორიული განვითარების საფეხური.

კურსის ფარგლებში ჩვენ ვეყრდნობით ცივილიზაციის ლოკალურ-ისტორიულ ინტერპრეტაციას, რომელიც ცივილიზაციას განიხილავს როგორც კულტურულ ზესისტემას (პ.სოროკინი), რომელიც აერთიანებს გარკვეული მახასიათებლებით მსგავს კულტურებს. ცივილიზაცია — ესაა კულტურული იდენტურობის ყველაზე ფართო დონე, რომლის ფარგლებში არსებული კულტურები მრავალფეროვანია, თუმცა ერთმანეთისაგან მათი განსხვავებულობის ხარისხი უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა ცივილიზაციების შემადგენელი კულტურები. ი.ვ. იაკოვეცი აღნიშნავს, რომ „თითოეულ ცივილიზაციას აქვს საკუთარი ცენტრი-ბირთვი, რომელიც ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს მოცემული ცივილიზაციის

[1] იქვე, გვ.21.
[2] Culture Sshock. A Reader in Modern Culture Anthropology. Ed. by Ph.K.Bock. N.Y., 1970. p.74.

ნიშნებსა და თავისებურებებს; პერიფერია, რომელიც პერიოდულად ფართოვდება და ვიწროვდება და, რომელიც შეიძლება მეზობელი ცივილიზაციის ნიშნებს ატარებდეს და მეზობელ ცივილიზაციებთან მომიჯნავე ტერიტორიები“[1].

ცივილიზაცია შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სოციალური და კულტურული სუპერ-სისტემა, რომელიც არ ემთხვევა არც ერს, არც სახელმწიფოს და, არც რომელიმე სოციალურ ჯგუფს. იგი სცილდება კონკრეტულ გეოგრაფიულ საზღვრებს. ცივილიზაციურ მახასიათებ-ლებად მიჩნეულია დროისა და სივრცის აღქმა; სამყაროს ხედვა და მასში ადამიანის ადგილის განსაზღვრა; ბუნების აღქმა, მასზე ზემოქმედებისა და მისი შემეცნების ხერხები და ა.შ.

იდენტურობა (კულტურული, ცივილიზაციური)

იდენტურობა (Identitit, Identitas – ლათ. „იგივე და იგივე“, ერთი და იგივე) – ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ რეალობასა და ინდივიდუალობაზე, რომლის მეშვეობით პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს (ნაწილობრივ გაცნობიერებულად და ზოგ შემთხვევებში ქვეცნობიერადაც) ამა თუ იმ ტიპოლოგიურ კატეგორიებთან (როგორიცაა სოციალური სტატუსი, სქესი, ასაკი, ჯგუფი, კულტურა). სოციალურ მეცნიერებებში გამოყოფენ სოციალურ იდენტურობას, კულტურულ იდენტუ-რობას, ეთნიკურ იდენტურობას, ჯგუფურ იდენტურობას...

იდენტურობა (მისი შეგრძნება) ყალიბდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების კვალდაკვალ და სოციალიზაციის, იდენტიფიკაციის, პიროვნული ინტეგრაციის შედეგია. ინდივიდის მიერ სოციალურ-კულტურული ნიმუშების, ნორმების, ღირებულებების ათვისება და გაზიარება, საკუთარი თავის, ადგილის მიკუთვნება არა არის ერთგვაროვანი პროცესი და ხასიათდება გარკვეული ცვლილებებითაც; ძირითადად ეს პროცესი ახალგაზრდობის დროს სრულდება.

მეცნიერები ასევე გამოყოფენ იდენტურობის დაკარგვის, შელახვის შესაძლებლობასაც, რომელიც ძირითადად ინდივიდის ასაკობრივი, ფსიქოლოგიური კრიზისის ან სოციალურ-კულტურული გარემოს მკვეთრად შეცვლის შემთხვევაში რეალიზდება. მაშასადამე, იდენ-ტურობის დაკარგვა თანამდევია ისეთი მოვლენებისა როგორიცაა გაუცხოება, დეპერსო-ნალიზაცია, ანომია, პიროვნული დისორიენტაცია, სოციალური იზოლირება, გაორება (მარგინალიზაცია), ფსიქოლოგიური პათოლოგია. სოციალურ-კულტურული კულტურული ცვლილებების დროს იდენტურობის კრიზისმა შეიძლება ფართო, საყოველთაო მასშტაბები მიიღოს, თუმცა მას ზოგჯერ დადებით რეზულტატამდეც მივყავართ (როგორიცაა ცვლილებებისადმი ადაპტაცია, სტრუქტურული ცვლილებები და სხვ.).

იდენტურობის მექამიზმი გადამწყვეტ როლს თამაშობს სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნების, გადაცემის პროცესში.

მრავალი მეცნიერი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „იდენტიფიკაცია“, ვიდრე „იდენტუ-რობა“. პირველი თავად პროცესსაც გულისხმობს და არა მარტო მოვლენას. ტერმინი პირველად ხმარებაში ფსიქოანალიზმის ფუძემდებელმა ზიგმუნდ ფროიდმა შემოიღო. მისი სკოლა იდენტიფიკაციას „მეს“ თვითგანვითარების მთავარ, ცენტრალურ მექანიზმად მოიაზრებს.

იდენტიფიკაციის ცნებას ასევე აქტიურად იყენებენ სოციოლოგები და სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევრები როგორც სოციალიზაციის, სოციალური როლების, ადაპტაციის, მიღების, სოციალურ-კულტურული მოდელების ათვისების მთავარ ელემენტს.

კულტურული იდენტურობა არის ამა თუ იმ ისტორიული ერთობის წევრ ინდივიდთა ამ ერთობის კულტურის წევრად თვითმოაზრება.

ცივილიზაციური იდენტურობა არის ამა თუ იმ კულტურის მატარებელთა (თვით)გააზრება რომელიმე ცივილიზაციური ერთობის წევრად.

[1] კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია). გვ. 39.

ტრადიცია

ტრადიცია — წინა თაობებიდან არაწერილობითი გზით მემკვიდრეობით მიღებული და დამკვიდრებული ჩვეული აზროვნებისა და ქცევის სტანდარტების ერთობლიობა, ინფორმაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ადრინდელი გამოცდილების, რწმენა-წარმოდგენების, სოციალური პოზიციისა და ინსტიტუტების შესახებ.

ტრადიცია მოიცავს სოციალური და კულტურული გამოცდილების დიდი ერთობლიობის მხოლოდ იმ კომპონენტებს, რომლებიც საზოგადოების წინაშე პერიოდულად წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის ყველაზე ეფექტურ საშუალებად იქცა და რომელიც შენარჩუნდა ისტორიული, სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებების შემდეგ. ტრადიცია კულტურის თვითმყოფადობის ერთ-ერთი გამომხატველია, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ამ თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ტრადიცია მოიცავს სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს, რომლებიც არა მხოლოდ გადაეცემა თაობიდან თაობას, არამედ ნარჩუნდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მრავალი თაობის ცხოვრების მანძილზე. ტრადიცია განსაზღვრავს არა მარტო იმას, რა გადაიცეს მემკვიდრეობით, არამედ იმასაც, თუ როგორ გადაიცეს იგი. ეს ტერმინი გამოიყენება ქცევის წესებისა (სტუქტურის) და რწმენა-წარმოდგენების ხასიათის თითქმის იდენტურ ფორმებში განმეორებადობის აღსაწერად და ასახსნელად.

კულტურათა ურთიერთქმედება

ასე ეწოდება უშუალო კავშირურთიერთობის სახეს, რომელიც ყალიბდება, სულ მცირე, ორ კულტურას შორის, აგრეთვე ამ ურთიერთობათა შედეგად წარმოშობილ გავლენებსა და ორმხრივ ცვლილებებს. კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფასეულობათა, თვისებათა, კულტურული აქტივობის ფორმების შეცვლას, ახალი ორიენტირების გაჩენას, რაც გარედან მომდინარე იმპულსების გავლენით ხდება. კულტურათა ურთიერთქმედება, როგორც წესი, ხანგრძლივი პროცესია (არანაკლებ რამდენიმე ათეული წლისა).

გამოყოფენ კულტურათა ურთიერთქმედების სხვადასხვა დონეს: 1) ეთნიკური დონე — ურთიერთობა ეთნოსებს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ეთნოკონფესიურ და სხვა ჯგუფებს შორის. 2) ეროვნული დონე, სადაც რეგულაციურ ფუნქციას მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო-პოლიტიკური სტრუქტურები ასრულებენ. 3) ცივილიზაციური დონე.

კულტურათა ურთიერთქმედების პროცესში განარჩევენ **კულტურა-დონორს** და **კულტურა-რეციპიენტს**. პირველი მეტს გასცემს, ვიდრე იღებს, მეორე — პირიქით. ისტორიული პერიოდის მანძილზე ეს როლები შეიძლება იცვლებოდეს.

ცნობილია ურთიერთქმედების როგორც მშვიდობიანი, ნებაყოფლობითი (თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა), ისე არამშვიდობიანი, ძალდატანებითი (კოლონიური, სამხედრო დაპყრობები) ფორმები.

კულტურული ურთიერთქმედების შედეგები არაერთგვაროვანია, მათი შეფასების კრიტერიუმების მოძებნა ძნელია. შესაბამისად, ძნელია საუბარი ცალსახად დადებით ან უარყოფით შედეგებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ერთი კულტურა იწყებს აშკარა დაქვეითებას, მეორეში გათქვეფას ან უკვალოდ ქრება. ასეთი შდეგის თვალის მიდევნება ყველაზე უკეთ შეიძლება რელიქტური ან არქაული კულტურების მაგალითზე, რომლებიც თავიანთი ისტორიის რომელიღაც პერიოდში თანამედროვე ტიპის კულტურებს შეეჯახნენ და მზად არ აღმოჩნდნენ, აეთვისებინათ მათ მიერ შეთავაზებული კულტურული ფორმები.

უფრო რთულია მსჯელობა იმ კულტურათა ურთიერთქმედებაზე, რომლებიც ძირეულად არ განსხვავდებიან ტიპოლოგიური მახასიათებლებით.

ყოველ კულტურას აქვს დაცვითი მექანიზმების მთელი სისტემა, რომელიც იცავს მას სხვა კულტურათა განსაკუთრებით ინტენსიური ზემოქმედებისაგან.

გამოიყოფა კულტურათა/ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის სამი ძირითადი ტიპი: 1. **კონფრონტაცია**, 2. **სიმბიოზი**, 3. **სინთეზი**.

პირველი ტიპი ემყარება უცხო რეალობის სრულ უარყოფას, სულიერი გამოცდილების სხვა, „საკუთარისაგან განსხვავებული“ ფორმების ტოტალურ მიუღებლობას. ეს გამოცდილება განიხილება როგორც „უცხო“, „მტრული“, რომელიც ცალსახად უნდა განიდევნოს.

მეორე ტიპი გულისხმობს ვითარებას, როცა თითოეული ურთიერთმოქმედი მხარე ინარჩუნებს საკუთარ სახეს, არ წარმოიშობა ახალი კულტურული თვისებრიობა, მაგრამ კონტაქტში მყოფ კულტურულ რეალობათა შორის ჩნდება სისტემური კავშირი. „გარეშე“ კულტურული რეალობა კონტაქტის მონაწილეთა მიერ ბუნებრივად აღიქმება; ასეთი არსებობის წინააღმდეგობრიობა არ გაიაზრება. სიმბიოზისათვის დამახასიათებელია ურთიერთმიზიდვისა და ურთიერთგანზიდვის წინააღმდეგობრივი შერწყმა. პირველის ძალა საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ შეიქმნას სისტემური კავშირი კონტაქტის მონაწილეებს შორის, ამასთან, თითოეული მხარე მეორეს აღიქვამს როგორც „უცხოს“. ამ უკანასკნელის განზიდვის, მოშორების ხარისხი კი საკმაოდ დიდია, რათა შეიქმნას მკაცრი ზღვარი განსხვავებულ კულტურულ ელემენტთა დაახლოების, შერწყმისა ახალ, კონტაქტში მყოფთაგან განსხვავებულ თვისებრიობად ჩამოყალიბებისათვის..

სიმბიოზში მყოფ ეთნოკულტურულ ელემენტთა თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: დაწყებული სიტუაციით, როცა უპირატესობა აქვს ავტოქტონურ საწყისს, ხოლო „მოსული“ კულტურის ელემენტები არსებობენ ცნობიერების პერიფერიაზე, დამთავრებული მდგომარეობით, როცა მსოფლმხედველობის ღერძად ფასეულობათა „მოტანილი“ სისტემა გვევლინება.

მესამე ტიპზე — სინთეზზე — საუბარი შეიძლება მაშინ, თუ კონტაქტის ზონაში ჩნდება თვისებრივად ახალი, კონტაქტში მყოფ კულტურულ სამყაროთაგან განსხვავებული კულტურული რეალობა.

კულტურული კონფლიქტი

კულტურული კონფლიქტი – პიროვნებებს, ჯგუფებს, პიროვნებასა და ჯგუფს, პიროვნებასა და საზოგადოებას, ჯგუფსა და საზოგადოებას, სხვადასხვა ჯგუფსა და კოალიციას შორის ღირებულებათა, ორიენტაციათა, პოზიციათა წინააღმდეგობის კრიტიკული სტადია. კულტურული კონფლიქტი განპირობებულია მონაწილე მხარეთა სოციალური გამოცდილების განსხვავებულობით.

ყველა კონფლიქტი დინამიკურია და მოიცავს წინააღმდეგობათა დაძლევის მოლაპარაკებათა გზით მათი გადაჭრის, მტრული მოქმედებების მხარეთა შორის ახალი კონტაქტების დამყარებისა და კონპრომისის მონახვის სტადიებს. არსებობს კონფლიქტის სხვაგვარი გამოსავალიც: ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე ან კონფლიქტის მოგვარების გადადება მომავლისათვის.

კულტურული კონფლიქტის ტიპურ მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ ჯვაროსნული ლაშქრობები, რელიგიური, სამოქალაქო, რევოლუციური, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ომები, საეკლესიო ინკვიზიციის მოქმედება, ამა თუ იმ სარწმუნოებაზე იძულებითი მოქცევა, გენოციდი და ა.შ.

კულტურული კონფლიქტი დაკავშირებულია ტოლერანტობისა და სხვა კულტურის მიმართ ინტერესის პრობლემებთან. კულტურული კონფლიქტის განსაკუთრებული ტიპია შემოქმედებითი კონფლიქტი მიმართულებებს, სკოლებს, ჯგუფებს ან ამა თუ იმ დარგის ცალკეულ წარმომადგენლებს შორის.

კულტურის დიფუზია

კულტურის დიფუზია არის ორი ან მეტი საზოგადოების კულტურული მახასიათებლების უერთიერთშეღწევა და ურთიერთგამდიდრება. ესაა კულტურის გავრცელება-მოძრაობის

განსაკუთრებული ფორმა, რომელიც არ გულისხმობს აუცილებლად მიგრაციულ პროცესებს. კულტურული დიფუზიის საშუალებებად მიიჩნევა ტურიზმი, მისიონერთა მოღვაწეობა, სავაჭრო ურთიერთობანი, ომი, სამეცნიერო კონფერენციები, გამოფენები, სტუდენტებისა თუ სპეციალისტების გაცვლითი პროგრამები და ა.შ. მაგალითად, საქართველოში მოღვაწე ევროპელი მისიონერები აქ არა მარტო თავიანთ რელიგიურ კოდექსს ამკვიდრებდნენ, ისინი სხვა სამყაროს „კულტურის ელჩები“ იყვნენ ჩვენს ქვეყანაში (მათგან აითვისეს ქართველებმა ქარის წისქვილი, ფუნთუშეულობის ცხობა და სხვა).

კულტურის დიფუზია შეიძლება განხორციელდეს არა მარტო ხალხებსა და ქვეყნებს, არამედ ჯგუფებს და კლასებს შორის. აქედან გამომდინარე, განარჩევენ ორ მიმართულებას:

1) კულტურის დიფუზია ეთნოსებს, გარკეული სტატუსის მქონე ინდივიდების ჯგუფებს შორის (მაგ., პოლიციელების მიერ ქურდული სამყაროს ლექსიკის აქტიური ხმარება);

2) კულტურული ელემენტების ვერტიკალური გავრცელება არათანაბარი სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის. ასეთ პროცესს უწოდებენ სტატიფიკატორულ კულტურულ დიფუზიასაც, რომელიც შეიძლება ორი — აღმავალი და დაღმავალი — ფორმით განვითარდეს (მაგ., არისტოკრატიის მიერ მდაბიური საუბრის სტილის ელემენტების გადმოღება ან ფუფუნების საგნების საყოველაოდ ქცევა).

კულტურული შოკი

თავდაპირველი რეაქცია ინდივიდუალური ან ჯგუფური ცნობიერების შეჯახებასთან ინდივიდების ან ჯგუფების უცხო კულტურულ რეალობასთან. კულტურული შოკის სიტუაცია — ესაა კონფლიქტის სიტუაცია იდნივიდების ჩვეულ ღირებულებებს, ნორმებს, ენას, ყოველდღიურ პრაქტიკას შორის. დამახასიათებელია იმ გარემოსი, რომელიც მან დატოვა და იმ ახალი გარემოსთვის, რომელშიც ის აღმოჩნდა. კულტურულ შოკს მეტ-ნაკლებად განიცდის ყველა, ვინც მოხვდება პირველად უცხო კულტურულ გარემოში (ტურისტები, ემიგრანტები და ა.შ.). შოკური რეაქციის ძალა განისაზღვრება ღრმა განსხვავებით ყოფილ და ახალ კულტურებს შორის. ფსიქოლოგიური დახასიათება პიროვნების, ორიენტაციული შესაძლებლობა, რიგიდულობის ხარისხი ან პლასტიურობა, არსებული ან ძველი კულტურული ელემენტების არქონა. მაგალითად, ოჯახი, მეგობრები, რომლებსაც ინდივიდი გადმოიტანს თავისთან ახალ კულტურულ კონტექსტში. ხარისხი ღიაობის ან დახურულობის წარმომადგენელი ახალი კულტურისა, რომელთანც კონტაქტშია ინდივიდი. კულტურულ შოკს ასევე შეიძლება ჰქონდეს ადგილი ჯგუფური შემეცნების დონეზე, როდესაც უცხო კულტურულ გარემოში ერევა მთელი ჯგუფი (მაგ., მასობრივი ემიგრაციის შემთხვევაში) ანდა როდესაც ინტენსიური კულტურული დიფუზიის შედეგად წარმოიშობა კონფრონტაციის სიტუაცია ძველ და ახალ ღირებულებების, ნორმების, ყოფაქცევის მოდელებს შორის. უკანასკნელი ხშირად ხდება საზოგადოებრივი ტრადიციის მოდერნიზაციის მსვლელობის დროს.

გამოიყოფა ოთხი შესაძლებლობა კონფლიქტის დაძლევის: ნაყოფი კულტურის შოკის გეტოიზაციაა. მოსულები უკავშირდებიან ერთმანეთს და აყალიბებენ შიგნით ახალს მათი კულტურისათვის იზოლირებულ ანკლავებს (გეტო), სადაც ინახავენ და ინარჩუნებენ ტრადიციებს თავიანთი კულტურული ყოფაქცევის მოდელებს. მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს დასავლეთის თითქმის ყველა მსხვილი ქალაქებისათვის დამახასიათებელი „ჩაინა თაუნი“ (China Town) და ბრაითონ ბიჩი (კვარტლები) ნიუ-იორკში.

ასიმილაცია. მოსულები ცდილობენ მთლიანად შეეგუონ ახალს მათი კულტურისათვის, შეეთვისონ მის ნორმებს, ღირებულებები, ქცევი მოდელებს და მთლიანად უარყოფენ იმ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც დატოვეს.

ურთიერთმოქმედება. მცდელობა მოძებნონ რაღაც საშუალო ხაზი, გააერთიანონ ახალი და ძველი კულტურის ელემეტნები. ისინი შეეცდებიან შეათავსონ ორივე კულტურის ყოფაქცევის ნორმები, ცდილობენ მოაწესრიგონ კულტურათა შორის კომუნიკაცია, გაამდიდრონ როგორც საკუთარი კულტურა, აგრეთვე ის, რომლითაც ისინი ამჟამად სარგებლობდნენ. ამის მაგალითია

საწარმოში მომუშავე ინდოელი და თურქი მუშები, რომლებიც სამუშაოზე ხელმძღვანელობენ თანამედროვე და ინდუსტირული შრომის წესებით, ხოლო სახლში, ოჯახურ ცხოვრებაში იხელმძღვანელებენ თავიანთი ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით.

კოლონიზაცია. პირველმოსულები დაიწყებენ ყველანაირ პროპაგანდას, თავსმოხვევას ცხოვრებაში თავისი საკუთარი ყოფაქცევის მოდელების, დაუპირისპირონ ისინი იმას, რაც ტრადიციული კულტურისათვის არის დამახასიათებელი, რომელშიც ისინი აღმოჩნდენენ. ეს ხდება როგორც საომარი, ასევე მშვიდობიანი დაპყრობის დროს, ასევე მოდერნიზაციის პროცესში. ტერმინ „კოლონიზაციას“ ამ შემთხვევაში არა აქვს შეფასებითი მნიშვნელობა, ეს ფასეულობითი თვალსაზრისით ნეიტრალური ცნებაა. საქმე ეხება კულტურულ კოლონიოზაციას; პოლიტიკური კოლონიზაცია კულტურული კოლონიზაციის მხოლოდ კერძო, თავისი შედეგბით არც ისე რადიკალური შემთხვევაა.

კულტურული შოკი, ფართო აზრით, როგორც ფილოსოფიურ-კულტურული ან ფილო-სოფიურ-ისტორიული კატეგორია, კულტურის შესახებ მეცნიერებათა ჩამოყალიბებისათვის თითქმის გადამწყვეტი კატეგორია აღმოჩნდა. XII-XVII სს. მოგზაურთა გადმოცემებმა, რომლებიც აღწერდნენ ახალი ქვეყნებისა და ხალხების უსასრულო რაოდენობას, ევროპაში კულტურული შოკი გამოიწვია, რაც საფუძვლად დაედო კულტურის ფენომენის როგორც შესწავლის ობიექტის ჩამოყალიბებას. ამ კულტურულმა შოკმა ევროპელთა გონებაში გადატრიალება მოახდინა, რომელსაც შეიძლება ანთროპოლოგიური რევოლუცია ვუწოდოთ. მისი არსი ისაა, რომ შეირყა ევროპელთა წარმოდგენა საკუთარ განსაკუთრებულობაზე; აღმოჩნდა, რომ კაცობრიობა შედგება მრავალი კულტურისაგან. თუკი კოპერნიკისეულმა რევოლუციამ მოსპო სამყაროს ცენტრის ყოფნის ილუზია, ანთროპოლოგიურმა რევოლუციამ მოსპო ევროპის ილუზია ეკუმენის ცენტრში ყოფნისა.

მთლიანად კულტურული შოკი თამაშობს კულტურაში დადებით როლს, ვიანიდან ხელს უწყობს კულტურათა ურთიერთქმედებასა და ურთიერთგამდიდრებს, ტრადიცულ კულტურაში სხვა კულტურულ ელემენტთა ინტეგრაციას, კულტურათა ღიაობის ზრდას.

ასიმილაცია

პროცესი, რომლის შედეგად ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრები კარგავენ თავიანთ თავდაპირველ კულტურას და ითვისებენ იმ ეთნიკური ჯგუფის კულტურას, რომელთანაც უშუალი კონტაქტი აქვთ. ეს პროცესი შეიძლება სპონტანურად მიმდინარეობდეს — ასეთ შემთხვევაში იგი შეიძლება განიხილებოდეს აკულტურაციის ერთ-ერთ ტიპად, აკულტურაციის პროცესის შედეგად.

ცნება „ასიმილაცია“ XIX ს-ის ბოლოდან დამკვიდრდა ამერიკულ კულტურანთრო-პოლოგიაში, თავდაპირველად – ტერმინ „ამერიკანიზაციის“ სინონიმური მნიშვნელობით. მისი პირველი განსაზღვერბა რ.პარკსა და ე.ბერჯესს ეკუთვნით: „ასიმილაცია ურთიერთშეღწევისა და შერევის პროცესია, რომლის განმავლობაში ინდივიდები ან ჯგუფები იძენენ სხვა ინდივიდების ისტორიულ მეხსიერებას და იზიარებენ რა მათ გამოცდილებას, ჩართული აღმოჩნდებიან საერთო კულტურულ ცხოვრებაში“. XX ს-ის შუა წლებამდე ეს ტერმინი გამოიყენებოდა აშშ თეთრკანიანი მოსახლეობის დომინირებად კულტურაში ინდიელთა ტომების ინკორპორაციის მნიშვნელობით. ამერიკული საზოგადოება განიხილებოდა უზარმაზარ „შემოქმედებით ლაბორატორიად“, სადაც სხვადასხვა კულტურული ტრადიცია ერთმანეთს ერევა და „გადაიდნობა“ სინთეზურ მთლიანობად. XX ს-ის მეორე ნახევარში ჯ. ვან დერ ზანდენმა განასხვავა ცალმხრივი ასიმილაცია, როცა უმცირესობის კულტურა მთლიანად გამოიდევნება დომინირებადი კულტურის მიერ, და კულტურათა შერევა, რომლის დროსაც დაქვემდებარებული და გაბატონებული ჯგუფების ელემენტები ერთმანეთს ერევა, ქმნის მდგრად კომბინაციებს და საფუძველს უყრის ახალ კულტურას.

მ.გორდონმა დაამკვიდრა ასიმილაციის ხარისხობრივი განხილვის ტრადიცია. დღეს მიჩნეულია, რომ სრული ასიმილაციის შემთხვევები ძალიან იშვიათია; ჩვეულებრივ, ადგილი

აქვს უმცირესობის კულტურის ამა თუ იმ ხარისხით ტრანსფორმაციას დომინირებადი ეთნიკური ჯგუფის კულტურის ზეგავლენით. ამასთან, ხშირად უმცირესობის კულტურის უკუზეგავლენაც ფრიად ძლიერია.

დღეს მკვლევართა უმრავლესობა გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს ტერმინ „ასიმილაციის" მიმართ, მისი პოლიტიკური შეფერილობის გამო.

თემა II. მოდერნიზაციის ცნება. მოდერნიზაციის თეორიები

მოდერნიზაცია

მოდერნიზაცია, ფართო აზრით, გულისხმობს ზოგადსაკაცობრიო ევულუციის თანმდევი, ახალი სააზროვნო ფორმებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრების პერმანენტული პროცესს. ასეთი გაგებით, მოდერნიზაცია უწყვეტი და უსასრულო პროცესია და მისი შედეგი არ არის ერთჯერადი მონაპოვარი.

ვიწრო აზრით, ამ ტერმინით სოციოლოგიაში აღნიშნავენ ტრადიციული, სასოფლო, აგრარული საზოგადოებიდან სეკულარული, ინდუსტრიული, ურბანისტული საზოგადოებად ტრანსფორმაციას.

მოდერნიზაციის პროცესი დღეისათვის არ შემოიფარგლება ერთი ცალკეული ქვეყნის შინაგანი განვითარებით. ის უნდა განიხილებოდეს გლობალური მასშტაბით, რადგან მოდერნიზაცია გავრცელდა თავისი წარმოშობის ადგილიდან — დასავლეთიდან — და მთელი სამყარო მოიცვა.

მოდერნიზაცია კურსის ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ როგორც:

1. დასავლური საზოგადოების (ცივილიზაციის) განვითარების კონკრეტული ეტაპისათვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული ნიშნების ერთობლიობა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ზოგადად, დასავლური საზოგადოების განვითარების კონტექსტში, ამ ცივილიზაციის წინამორბედ კულტურულ ფორმების თავისებურებებთან უშუალო კავშირში.
2. სოციალურ-კულტურული ნიშნების ერთობლიობა, რომელიც მსოფლიო საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის სპეციფიკამ სხვა, არადასავლურ საზოგადოებათა (კულტურათა, ცივილიზაციათა) მახასიათებლად აქცია. ამ არადასავლურ საზოგადოებათა მოდერნიზაციის პროცესში გამოკვეთილი ახალი კულტურული პროცესების აღწერას კურსში რამდენიმე სალექციო თემა ეთმობა.

მოდერნიზაციის პირველი გაგება შეიძლება გამოვიყენოთ დასავლური საზოგადოების ისტორიული და თანამედროვე განვითარებაზე მსჯელობისას, ხოლო მეორე — თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების აღსაწერად.

მოდერნიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად მიჩნეულია:

ეკონომიკაში — ახალი ტექნოლოგიებისა და კაპიტალის გამოყენების გაზრდა, ბუნებრივი რესურსების ფართო ათვისება, მეურნეობის მეორადი და მესამეული სექტორების გაფართოება, კაპიტალის, შრომისა და სასაქონლო ბაზრის განვითარება.

სოციალურ სფეროში — სოციალურობის ადრინდელი, წინასწარგანსაზღვრული (ასკრიპ-ტიული) ტიპებისა და სოციალური კუთვნილების ზოგადი ტიპების შესუსტება, ადრინდელი, პირველ რიგში, რელიგიური, საერთო ასკრიპტიული კავშირების ფრაგმენტაცია და ახალი, საბაზრო ან პროფესიულ კრიტერიუმებზე დამყარებული რაციონალური კავშირების სფეროს გაფართოება. ამ უკანასკნელს თან სდევს სოციალური და პროფესიული დიფერენციაციის ზრდა, განსაკუთრებით კლასობრივი, ქონებრივი და ფუნქციური, წარმოების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთმანეთისაგან გამოყოფა, ურბანიზაციის ზრდა და სოფლის ჩართვა საბაზრო ურთიერთობებში. სტატუსის ადრინდელი, მემკვიდრეობით მიღებული და ჯგუფისადმი კუთვნილებით განსაზღვრულ ასკრიპტიული სიმბოლოთა ნაცვლად მზარდ

აღიარებას იღებს „მიღწევის“ კრიტერიუმი მოღვაწეობის ახალ, უპირველეს ყოვლისა, სამეურნეო, ფინანსურ და საქმიან სფეროში.

პოლიტიკის სფეროში — ცენტრალიზებული ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებში ყალიბდება საკუთარი ინტერესებისათვის მებრძოლი სხვადასხვაგვარი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობები, ელიტები და ჯგუფები; დინასტიური რეჟიმების ლეგიტიმურობის ტრადიციული ფორმების შესუსტება და დემოკრატიის ზოგიერთი ელემენტის შემოტანა; ცვლილება ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერმიმართებაში, რაც გამოიხატება იმით, რომ პერიფერიისათვის ხელმისაწვდომი ხდება ხელისუფლება ცენტრში.

კულტურულ სფეროში — ღირებულებითი ორიენტაციების დიფერენციაცია, საზოგადოებრივი ცოდნისა და განათლების სეკულარიზაცია და პლურალიზაცია, იდეოლოგიური მიმართულებების მრავალფეროვნება, მასმედიის განვითარება. უპირატესობა ენიჭება და აღიარებული ხდება ქცევის სულ უფრო მეტი ინდივიდუალიზაცია და პიროვნების თვითგამორკვევა. სულიერ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებად მიიჩნევა სეკულარიზმის გავრცელება რისი საფუძველიც არის მეურნეობისა და პოლიტიკის ავტონომიურობის ზრდა, მოღვაწეობის პრაქტიკული და რაციონალური ფორმების გაფართოება, სადაც განმსაზღვრელი კრიტერიუმები არა მორალური, სულიერი ან ესტეტიკური მოსაზრებებია, არამედ ეფექტურობა და პრაქტიკული სარგებელი. ამ ცვლილებების (რომელთა ხარისხის განსაზღვრა ემპირიულადაც არის შესაძლებელი) არსებითი პარამეტრები მოსახლეობის მობილურობის, სოციალურ და პოლიტიკურ მართვაში მისი მონაწილეობის და, ასევე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფის თანამედროვე კულტურაში ჩართულობის ხარისხია. მოდერნიზაცია მოიცავს მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენებს, ათავისუფლებს რა მათ ყოფისა და წარმოების უძრავი ფორმებისაგან. მაგრამ მოდერნიზაციის პროცესის სტრუქტურაში ყოველთვის ხდება მეწარმეთა ფენის გაძლიერება და დაქირავებული შრომის გამოყენების ზრდა.

ინსტიტუციური თვალსაზრისით — მოდერნიზაცია გამოიხატება ინსტიტუტების დიფერენციაციის ზრდაში, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ მოღვაწეობის ახალი ფორმების რეგულაციას. ცხოვრების ყველა სფერო, რელიგიურის ჩათვლით, უფრო მრავალფეროვანი ხდება.

სოციალური თვალსაზრისით, მოდერნიზაციის მამოძრავებლი ძალა, უმეტესწილად, ის აქტიური ფენებია, რომლებსაც შუალედური პოზიცია უკავიათ ადრე არსებულ ძირითად სოციალურ ფენებთან მიმართებაში.

ხშირად მოდერნიზაციის ინიციატორებად გამოდიან უცხო კულტურული ელემენტები, სხვა კონფესიური თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. მათ ახასიათებთ გაზრდილი მობილურობა და აქტიურობა სავაჭრო-საწარმოო სფეროში.

ამგვარად, მოდერნისტული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია:

ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაციის მაღალი ხარისხი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თავისუფალი საბაზრო წარმოება, კონსტიტუციონალიზმი, ლიბერალური დემოკრატია, ინდივიდუალიზმი, სეკულარიზმი, რაციონალური აზროვნება.

მოდერნიზაციის წინააღმდეგობრივი შედეგები

მოდერნიზაციის თეორიის კრიტიკის შედეგად, გამოვლინდა ის მრავალფეროვანი წინააღმდეგობრივი შედეგები, რომლებიც თან სდევენ საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესს. ეს წინააღმდეგობანი ყველა შემთხვევაში იჩენს თავს, თუმცა განსხვავებული ხარისხით.

1. “ტრადიციისა“ და „თანამედროვეობის“ შეჯახება, რაც იწვევს გახლეჩას სოციალურობის ტიპებსა და კულტურულ სფეროებს შორის, ასევე ავიწროებს ადრე არსებული კულტურის მოქმედების სფეროსა და მოღვაწეობის ახალ სფეროებში მისი სტატუსის დამცრობას განაპირობებს. ახალ პირობებში ხდება ასკრიპტიულ კავშირებზე დამყარებული სოციალურობის ადრინდელი პრინციპებისა და იმ თანამედროვე ორიენტაციების დაპირისპირება, რომლებიც მიმართულია წარმატებებზე კომერციული საქმიანობაში, პროფესიონალიზმსა და პრაქტიკულ ცოდნაში და ა.შ. ურთიერთობა და ურთიერთქმედების სისტემა, რომლებიც

ახასიათებს კომუნიტარულ სტრუქტურებს და რომლებიც გაფორმებულია საკრალიზებული ნორმებით, მორალური ორიენტაციებითა სიმბოლიკით, კარგავენ ადრინდელ მნიშვნელობას და ეჯახებიან იმპერატივებს, რომლებსაც საბაზრო კავშირების ფუნქციონალური სამყარო კარნახობს. ასკრიპტიული სოციალურობის ადრინდელი ტოტალური სისტემები, რომელშიც თითოეულ ინდივიდს თავისი განსაზღვრული ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული, კარგავენ ადრინდელ მნიშვნელობას, იხლიჩებიან სხვადასხვა ნაწილებად, ამასთან მზარდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ, ფუნქციურ და მიღწევით კრიტერიუმებზე დამყრებულ სისტემებს. უნდა ითქვას, რომ მიღწევითი ორიენტაციები მეტ-ნაკლებად არსებობს ნებისმიერ „ტრადიციულ“ გარემოში, მაგრამ იქ ისინი ასკრიპტიულ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ იერარქიულ სისტემაში იყო ჩართული. ახალ პირობებში მიღწევით ორიენტაციებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს როგორც ურთიერთობათა ინდივიდუა-ლიზაციას, ასევე საზოგადოების დანაწევრებას სხვადასხვა ჯგუფებად და ერთობებად.

მოდერნიზაციის თეორიები

დასავლური კულტურაში მოდერნიზაციის საფუძვლების ჩამოყალიბების სხვადასხვაგვარი ახსნა არსებობს. ვებერისეული ხედვა უპირატესობას იმ ფასეულობათა ხასიათში ხედავს, რომელიც მატერიალური სიკეთის დაგროვებასა და გაფართებაზეა ორიენტირებული. მეორე მიმართულება უპირატესობას სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას (უპირველეს ყოვლისა, სოფელთან შედარებით ქალაქის სიჭარბეს) ანიჭებდა (ფ.ბროდელი, იგივე მ.ვებერი). მესამე მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ძალაუფლების განაწილების პრინციპსა და ამ პრინციპის ინსტიტუტებში გამყარებას ანიჭებდა (შ. ეიზენშტადტი).

საუკუნენახევრის მანძილზე მოდერნიზაციის თეორიის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო შეხედულება მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ეტაპეზე თითოეული საზოგადოების სწორხაზოვანი განვითარების შესახებ. ეს მიუთითებდა ყოველი საზოგადოების იმ სისტემაში შესვლის აუცილებლობაზე, რომელიც დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, მათ „ცენტრალურ“ ცივილიზაციასთან „მიერთებაზე“. ზუსტად ეს იყო პროგ-რესის, როგორც პროცესისა და მიზნის არსი. სოციალური რეგულაციის ყველა ადრინდელი ვარიანტი, მიღწევები და ღირებულებები გადაისინჯა დასავლეთის მიერ შექმნილი თანამოედროვეობაში შესასვლელად. ამიტომ ყველა არადასავლური კულტურა, უპირველეს ყოვლისა, ახალ რეალობაში შესვლისათვის ვარგისიანობის თვალსაზრისით განიხილებოდა. ყველა სახის ისტორიული და ადგილობრივი და ისტორიული თავისებურება განიხილებოდა მხოლოდ როგორც საწყისი ფაზის სპეციფიკა, რომელიც სწრაფ ტრანსფორმაციასა და გაქრობას ექვემდებარებოდა. XIX საუკუნისა და XX საუკუნის გარკვეული პერიოდის მანძილზე განვითარების თავისებურების პრობლემატიკა ფაქტობრივად იმ მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, რომლებიც არადასავლური ქვეყნების განვითარების გზებსა და შესაძ-ლებლობებზე საუბრობდნენ. მეტიც, თუ ადრე აქცენტი კეთდებოდა დასავლური საზოგადოებისა და მისი განვითარების სპეციფიკაზე, შემდგომში დამკვიდრდა დასავლური მოდელის უნივერსალურობის იდეა მთელი მსოფლიოსათვის.

70-იანი წლების დასაწყისამდე მოდერნიზაციის თეორია „ვესტერნიზაციის“ კონცეფციის ბაზაზე ვითარდებოდა, რომელიც დასავლური ლიბერალიზმის უნივერსალობას ამტკიცებდა. ვესტერნიზაციის თეორიის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ გათანამედროვების პროცესი როგორც ისტორიულად, ისე ლოგიკურად გულისხმობს, პირველ რიგში, მეურნეობის წარმართვის კაპიტალისტური მეთოდის მიღებას, ასევე დასავლეთის, როგორც „მსოფლიო ცივილიზაციის“ ექსპანსია. პრობლემა მხოლოდ „სასტარტო პირობებისა“ და „წინააღ-მდეგობების“ გამოვლენაში, ასევე სხვადასხვა საზოგადოებათა უნივერსალური ხასიათის მქონე მოდერნიზაციის ინდექსის მიხედვით შეფასებაში მდგომარეობდა.

კოლონიური სისტემის დაშლასა და სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, რასაც თან სდევდა კულტურული თვითმყოფადობის იდეოლოგიური მტკიცება, არ გამოუწვევია სწორხაზოვანი კონცეფციის გადახედვა. დეკოლონიზაციის პროცესი დასავლურ ისტო-რიოგრაფიაში განიხილებოდა, როგორც დასავლური ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური

და კულტურული ფორმების გავლენის შედეგი, როგორც მათი „დიფუზია“. სოციოკულტურულ ჭრილში მოდერნიზაცია უნდა წარმართულიყო როგორც მოძრაობა „ავტორიტეტულობიდან თავისუფლებისაკენ“, როგორც დრომოჭმული ტრადიციების გარდაქმნა და გადალახვა, ტექნიკურ ეფექტურობაში განხორციელებული რაციონალობის დამკვიდრება და საპარლამენტო დემოკრატიის გაფართოებაზე დამყარებული ახალი პოლიტიკური კულტურის ათვისება.

საზოგადოებათა დაყოფა „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ დიქოტომიის საფუძველზე გულისხმობდა მათ დაყოფას „განვითარების უნარის მქონე“, „მოწინავე“ და „ჩამორჩენილ“ საზოგადოებებად. ამ უკანასკნელთათვის კი გარდაუვალი იყო საერთო გზისათვის გვერდის ავლა. ამ პროცესს თან ახლავს დასავლური ფასეულობების, ნორმების და ქცევის სტერეოტიპებს აუცილებელი სესხება. ხშირად, მოდერნიზაცია გაიგება როგორც ავტორიტარიზმისა და დესპოტიზმის გადალახვა, ქცევისა და საზოგადოების რეგულაციის ტრადიციული ფორმების თანდათანობითი განდევნა და მათი ახალი, გონივრულობისა და მეცნიერულ პრინციპებზე დაყრებული ფორმებით ჩანაცვლება. უცვლელი და დრომოჭმული წესრიგიდან საზოგადოება გადადის მუდმივი ცვლილებებისა და სრულყოფის პროცესისაკენ. ასეთი პრინციპები სხვადასხვა ვარიაციებით შეიძლება შეგვხვდეს ლიბერალურ, რეფორმატორულ ან სოციალისტურ მიმართულებებში. არადასავლური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა შეესაბამებოდა „ისტორიზმის“ იმ განწყობას, რომლის მიხედვით წარსულის ისტორიამ „ჩაიარა“ და ამიტომ უნდა შეიცვალოს ახალი, თანამედროვე საზოგადოებით. ნაშრომები, რომლებიც აღმოსავლური კულტურების ძველი და კლასიკური პერიოდის ისტორიისა და არადასავლური საზოგადოებების სტრუქტურისა და ფუნქციობის კვლევას ეძღვნებოდა მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდენ — ამ საზოგადოებათა ტიპის ცვლილება გარდაუვალი იყო რეფორმების ან რევოლუციის გზით.

ცივილიზაციური თვალთახედვით, მოდერნიზაციის თეორია თავდაპირველად „ძველი“ ცივილიზაციების „გადალახვასა“ და ყველა საზოგადოებისათვის პროგრესის უნივერსალური გზის დასახვაში მდგომარეობდა. სოციოლოგიური თვალსაზრისით, მოდერნიზაციის თეორია სოციალურობის, როგორც ტრადიციისა და თანამედროვეობის, ჩამორჩენილობისა და განვითარებულობის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიქოტომიურ აღქმას ემყარებოდა. ასეთი მიდგომის ფარგლებში ტრადიცია აღიქმებოდა როგორც შემაფერხებელი ძალა, რომლის შესუსტება და გადალახვა უზრუნველყოფდა თანამედროვე განვითარებული სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას.

არსებობდა ტრადიციული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი იმ „ნაკლოვანი თავისებურებების“ ჩამონათვალი, რომელიც ხელს უშლიდა და აფერხებდა იმიტაციურ მოდერნიზაციას. ამ ჩამონათვალში შედიოდა სოციალური სტრუქტურის შემდეგი თავისებურებანი: ასკრიპტიული კავშირები: ურთიერთვალდებულებები ოჯახისა და ნათესაობის ფარგლებში, მეგობრული და კლანური კავშირები, მცირე ჯგუფები, საზოგადოებრივი აზრი; ამ კავშირებიდან გამომდინარე, კოლექტიური წარმოდგენების უპირატესობა და ინდივიდის ჯგუფისაგან განუყოფელობა; ლოკალურ ერთეულებსა და ტერიტორიებზე მიჯაჭვულობა; კასტური და კლასობრივი ბარიერები; მკაცრი მსოფლმხედველობრივი კონტროლი, ორიენტირებული საბოლოო და მარადიულ ღირებულებებზე საწინააღმდეგოდ ინსტრუმენტული ფასეულობებისა, რომლებიც ყოველდღიურ პრაქტიკულ ქცევას არეგულირებენ. გარდაქმნების დამაბრკოლებელ კულტურულ წინააღმდეგობებად მიჩნეული იყო შემდეგი ღირებულებები: „სამუშაო“ დროის იგნორირება, ყოველდღიური და შეუპავარი შრომის უნარის არქონა, ფატალიზმი, ეთნოცენტრიზმი, სიამაყისა და ღირსების გამძაფრებული განცდა, მორიდებულობის კონსერვატიული ნორმები, ადგილობრივი პოლიტიკური ავტორიტეტების პატივისცემა და „საკუთარ“ მიწასთან მიჯაჭვულობა, ჩუქების როგორც გაცვლის ფორმისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და ა.შ. კულტურის სტრუქტურაში აღინიშნება გახლეჩა მაღალ მორალურ ორიენტაციებსა და ადამიანური ყოფის რეალური პირობების უგულვებელყოფას შორის, პრობლემების რეალური გადაჭრის თავიდან არიდება, სტატუსის, გენდერული და

ასაკობრივი როლების თანამედროვეობისათვის არაადეკვატური დიფერენციაცია. კომუნიკაციური ბარიერთა რიცხვს მიაკუთვნებენ მშობლიურ ენასთან, წეს-ჩვეულებასთან, ტრადიციულ ეტიკეტთან და მიჯაჭვულობას. კულტურულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მოტორული ნიმუშები და სხეულის ჩვეული პოზიციები ასევე მიიჩნევა როგორც წინააღმდეგობა ახლის ათვისებაში.

ტრადიციის როგორც მოდერნიზაციის დამაბრკოლებელი გარემოების ასეთ ანთროპოლოგიური დისკრედიტაციას თან ერთვოდა ცივილიზაციურიც. ეს პირველ რიგში რელიგიას ეხებოდა. მ.ვებერის კონცეფციის თანახმად, არადასავლური რელიგიები არ მიიჩნევიან მოდერნიზაციული პოტენციის მატარებლად.

ამგვარად, თანამედროვეობა ამ კონტექსტში უპირისპირდება ტრადიციულს. სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით, ამ თანამედროვეობის მატარებლად მიიჩნევა ინდივიდი როგორც პიროვნება, რომელმაც თავი დააღწია ასკრიპტიულ კავშირებს და რომელიც საკმაოდ თავისუფალია ქცევასა და აზროვნებაში. ეს აქტიური შემოქმედებითი პიროვნებაა, რომელიც არ არის შებოჭილი კოლექტიური ავტორიტეტებით. მის მახასიათებლებად მიიჩნევა მზადყოფნა გარდაქმნებისათვის და მათში აქტიური მონაწილეობა. ეს პიროვნება რაციონალური გეგმის მიხედვით მოქმედებს.

XX საუკუნის უდიდესი ნაწილი მანძილზე ტრადიციისა და დისკრედიტაცია და მოდერნიზაციის აპოლოგია თანაარსებობდა კოლონიალიზმის კრიტიკისა და არადასავლური საზოგადოებების თვითმყოფადობის დაცვასთან ერთად. საზოგადოებრივი აზრის მიერ ვესტერნიზაციის უარყოფითი შედეგების გაცნობიერება კოლონიურ პერიოდში ხდებოდა, იმით იყო გამოწვეული, რომ სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა არადასავლურ საზოგადოებებზე დასავლური კულტურის გავლენის წინააღმდეგობრივი ხასიათი. დასავლური კულტურის შეთვისების პერიოდს მოჰყვა ბრძოლა დეკოლონიზაციისა და აზიის, აფრიკისა და ლათინოამერიკული ქვეყნების თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის.

1960-იანი წლების ბოლომდე სამეცნიერო ლიტერატურაში ჭარბობდა შრომები, რომლებიც ტრადიციისა და თანამედროვეობის დიქოტომიურ აღქმას ემყარებოდა და რომლებშიც არადასავლური საზოგადოებების ძველი მემკვიდრეობა განიხილებოდა როგორც უდავო დაბრკოლება მოდერნიზაციის გზაზე. შესაბამისად, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება უტილიტარიზმის, სეკულარიზმისა და რაციონალიზმის ღირებულებებს.

მაგრამ 1970-იანი წლებში ბევრ ქვეყანაში არსებულმა მრავალრიცხოვანმა სირთულემ, წარუმატებელმა მოდერნიზაციამ და რევოლუციურმა ძვრებმა მკვლევრები აიძულა ძველი უნივერსალური მოდელების გადაეხედვა და განვითარების პროცესების ახალი, შედარებითი კვლევის წამოწყება.

დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში 1970-80-იანი წლების მანძილზე წარმოებულმა კვლევამ გამოიწვია შეხედულების ცვლილება ტრადიციის არსსა და მის ხასიათთან დაკავშირებით. „ტრადიციული“ კულტურების უფრო სერიოზულმა შესწავლამ გამოავლინა, რომ მათი მახასიათებლები და დამოკიდებულება თანამედროვეობასთან მნიშვნელოვან არაერთგვაროვნებას ამჟღავნებს. აღმოჩნდა, რომ ასკრიპტიული კავშირები — ოჯახური, ნათესაური, კლანური — ხშირად ხდებოდნენ ახალი საწარმოო ურთიერთობების მატარებლები. ეს უფრო ეფექტური იყო, ვიდრე კავშირების ინდივიდუალიზაცია, რასაც ხშირად, საზოგადოების რღვევა და მისი კრიმინალიზაცია სდევდა თან.

დიქოტომური თეორიები და კონცეფციები არაეფექტური აღმოჩნდა აეხსნა მოდერნიზაციული პროცესების ხშირი ჩავარდნები, გარდამავალი საზოგადოებების მრავალფეროვნება, მათთვის დამახასიათებელი შინაგანი დინამიკა და ასევე თანამედროვე დიფერენცირებული პოლიტიკური და ეკონომიკური კომპლექსების დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა. ამიტომ დიდი ყურადღება მიექცა ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალურ-კულტურული სისტემების შედარებას, უპირველეს ყოვლისა ეს ეხებოდა რელიგიასა და კულტურულ მემკვიდრეობას როგორც ამ სისტემების ჩამომყალიბებელ

ფაქტორს. უფრო ადეკვატური თეორიის ძიებაში უარი ითქვა ისეთ ტერმინებზე, როგორიცაა „ევროპეიზაცია“ და „ვესტერნიზაცია“, რომლებიც გულისხმობს ყოველმხრივ გაიგივებას დასავლეთთან, ხოლო ტერმინმა „ამერიკანიზაცია“ კრიტიკული და ნეგატიური დატვირთვა შეიძინა.

თეორიული თვალსაზრისით, მოდერნიზაციის ადრეული მოდელების კრიტიკა, პირველ რიგში, მიმართული იყო “ტრადიცია-მოდერნიზაციის“ დიქოტომიის წინააღმდეგ. ეს კრიტიკა ემყარებოდა განვითარების, როგორც ევოლუციური პროცესის განსაზღვრებას, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მოწყობის ადრინდელი სოციალურ-კულტურული პრინციპების განდევნასა და ჩანაცვლებას. კრიტიკის მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა კულტურული მემკვიდრეობისა და ურთიერთობათა სოციალურ-კულტურული სისტემის როლის გამოვ-ლინება. პროგრესისტული კონცეფციების საწინააღმდეგოდ, კულტურული მემკვიდრეობა განიხილებოდა როგორც სტაბილურობის შენარჩუნების წინაპირობა, რომელიც უზრუნ-ველყოფს საზოგადოების ფუნქციობას. ხოლო ტრადიცია განიხილებოდა როგორც სოციალურ-კულტურული კავშირების აუცილებელი ბირთვი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის სოციალიზაციის არსებით ფორმებს, ჯგუფთაშორის ურთიერთობის ორგანიზაციასა და საზოგადოების ერთობას.

ნებისმიერ დამუშავებულ ვარიანტში მოდერნიზაციის თეორია აღიარებს ორი სფეროს ურთიერთქმედებას — საზოგადოების ინტეგრაციასა და დიფერენციას, შესაბამისად, მისი დამოუკიდებლობისა და შენარჩუნებაში, რაც პოლიტიკური თვალსაზრისით გამოიხატება სუვერენიტეტის პრინციპში, ხოლო კულტურული თვალსაზრისით — თვითმყოფადობის, იდენტურობის პრინციპში. ამ დასკვნებმა მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიწვია მოდერნიზაციის პროცესის არსის გადახედვა. ასეთი გააზრების ერთგვარ კატეგორიული ფორმულირებაა ს.ჰანთინგტონს ეკუთვნის: „მოდერნიზაცია აუცილებლად არ ნიშნავს ვესტერნიზაციას. არადასავლური საზოგადოებებმა შესაძლოა განიცადონ მოდერნიზაცია ისე, რომ უარი არ თქვან საკუთარ კულტურაზე, არ მიიღონ დასავლური ღირებულებები, ინსტიტუტები და ქცევის ფორმები. სინამდვილეში მოდერნიზაცია აძლიერებს ამ კულტურებს და იწვევს დასავლეთის შედარებით დასუსტებას. შიძლება ითქვას, რომ სამყარო სულ უფრო და უფრო მოდერნიზებული და ნაკლებად დასავლური ხდება“.

როგორც უკვე ითქვა, დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვა სახის კულტურულ ფაქტორებს შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. მოდერნიზაციის სუბიექტებად უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოები მიიჩნეოდნენ, უფრო სწორესდ კი პოლიტიკური რეჟიმები. შესაბამისად, პოლიტიკის სფერო განმსაზღვრელად ითვლებოდა ეკონომიკასთან და პოლიტიკასთან შედარებით. მაგრამ გარდაქმნებმა რაც უფრო ფართოდ მოიცვეს სოციალური რეგულაციის სხვადასხვა სფერო, მით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა საკუთრივ კულტურული კანონზომიერებებისა და სოციალური რეგულაციის სპეციფიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სპეციფიკა მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული კულტურული ველის დონეზე.

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე მოდერნიზაციის პროცესში ნაციონალური და ცივილიზაციური თვითმყოფადობის შენარჩუნების პრინციპი საბოლოოდ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

საზოგადოდ, მოდერნულობის წარმოშობის ორი თეორია არსებობს. ისინი წარმოადგენენ ორ განსხვავებულ გაგებას იმისა, თუ რით განსხვავდება ჩვენი თანამედროვე საზოგადოება თავისი წინამორბედისაგან. ერთი გაგებით, თანამედროვე დასავლურ საზოგადოებასა და, მაგალითად, შუა საუკუნების ევროპას შორის ისეთივე განსხვავება არსებობს, როგორიც შუა საუკუნეების ევროპასა და ამავე პერიოდის ჩინეთსა თუ ინდოეთს შორის. სხვა სიტყვებით, ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ არსებობს განსხვავება ცივილიზაციებს შორის, რომელთაგან თითოეულს თავის საკუთარი კულტურა აქვს. მეორე გაგებით, ადრეული საუკუნეებიდან დღემდე არსებული ცვლილებები ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ რაღაც „განვითარების“ მსგავსით —

როგორც ტრადიციული საზოგადოების დასასრული და მოდერნის დასაწყისი. ამ გაბატონებული თვალთახედვით, პროცესები ფრიად განსხვავებულად წარმოგვიდგება.

მოდერნულობის გაგების პირველ ვარიანტს პირობითად კულტურულს უწოდებენ, ხოლო მეორეს — აკულტურულს. არსებობს კულტურათა სიმრავლე, რომელთაგან თითოეულს აქვს ენა და გამოცდილება, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნულობის, სოციალური ურთიერთობების, ცუდისა და კარგის, სათნოებისა/ზნეობისა და უზნეობის და ა.შ. სპეციფიკურ გაგებას.

ეს მოდელი — მოდერნულობის კულტურული თეორია — თანამედროვე დასავლეთში მომხდარ ცვლილებებს ახალი კულტურის წარმოშობის საფუძველზე ხსნის. თანამედროვე ატლანტიკური სამყარო არის კულტურა (ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კულტურათა ჯგუფი), რომელსაც აქვს, მაგალითად, პიროვნების, ბუნების, კარგისა და ცუდის საკუთარი, სპეციფიკური გაგება, ეს კულტურა შეიძლება დავუპირისპიროთ სხვა დანარჩენებს, თავისი წინამორბედი ცივილიზაციების ჩათვლით (რომელთანაც, ცხადია, უამრავი საერთო აქვს).

ამის საპირისპიროდ, აკულტურული თეორია ამ ტრანსფორმაციას კულტურისაგან განყენებულად ხსნის. ამ თვალსაზრისით, ეს ცვლილებები არ განიხილება როგორც კონკრეტულ კულტურაში მიმდინარე პროცესი, არამედ მიიჩნევა მოვლენად, რომელიც შეიძლებოდა შეხებოდა ნებისმიერ ტრადიციულ კულტურას. მაგალითად, აკულტურული თეორია მოდერნულობას განიხილავს, როგორც მრავალი სხვადასხვა მიზეზის შედეგს: ვთქვათ, მეცნიერული ცნობიერების ზრდის, სეკულარული თვალთახედვის განვითარების, ეფექტური/ინსტრუმენტული რაციონალიზმის აღზევების, ფაქტსა და მის შეფასებას შორის აბსოლუტურად ცხადი სხვაობის და სხვ. სხვაგვარად, მოდერნულობა შეიძლება დავუკავშიროთ როგორც სოციალურ, ასევე ინტელექტუალურ ცვლილებებს: ტრასფორმაციები, ინტელექტუალურის ჩათვლით, განიხილება როგორც დაჩქარებული მობილურობის/ცვლილებების, პოპულაციის კონცენტრაციის, ინდუსტრიალიზაციის და ა.შ. შედეგი. ყველა ამ შემთხვევაში მოდერნულობა ტრანსფორმაციათა ერთობლიობაა, რომელიც თითოეულ კულტურას შეუძლია განიცადოს და, სავარაუდოდ, იძულებული იქნება განიცადოს.

ეს ცვლილებები არ არის განსაზღვრული ამ კულტურების მდგომარეობით და, მაგალითად, პიროვნების, საზოგადოების ან სიკეთის სპეციფიკური გაგებით; უფრო მეტად, ესაა ცვლილებები, რომელსაც ყოველი კულტურა, პრინციპში, მსხვერპლად ეწირება. მაგალითად, თითოეულ კულტურას შეიძლება შეეხოს მეცნიერული ცნობიერების ზრდა, ყოველ რელიგიას — სეკულარიზაცია, ინსტრუმენტული აზროვნების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს საბოლოო აღსასრული, წარმოდგენა მეტაფიზიკურზე შეიძლება ძირეულად შეიცვალოს ფაქტსა და მის შეფასებას შორის გაჩენილი დაპირისპირების გამო.

მოდერნულობა, ამ თეორიის მიხედვით, გაგებულია როგორც კონკრეტული კულტურისაგან განყენებული რაციონალური ან სოციალური პროცესების შედეგი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს თეორია უგულებელყოფს იმ ისტორიულ მიზეზებს, რის გამოც ეს ცვლილებები თავდაპირველად წარმოშვა სწორედ ამ, და არა სხვა ცივილიზაციაში, ან რის გამოც ამ ცვლილებებს ერთნი უფრო ადვილად ექვემდებარებიან, სხვანი კი — ძნელად. საქმე უფრო ისაა, რომ ეს პროცესი განისაზღვრება არა როგორც კულტურული სპეციფიკა, არამედ როგორც ზოგადი ფუნქცია, რომელიც კულტურულ სპეციფიკას მსხვერპლად იწირავს.

თუ ამ საკითხს სხვა კუთხით მივუდგებით, ეს პროცესები არ უნდა განვიხილოთ როგორც ერთი სპეციფიკური, სხვათაგან განსხვავებული გაგების ან ღირებულებათა სისტემის არჩევანის ასახვა. სოციალური განმარტების შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ისტორიულ მოვლენებს, როგორიცაა ინდუსტრალიზაცია, რომელიც გავლენას ახდენს ღირებულებებზე; მაგრამ ამგვარი მოვლენები ხშირად არ არის მიჩნეული კონკრეტულ სფეროში სპეციფიკური არჩევანის გამოხატულებად. როდესაც საქმე ეხება რაციონალურ ახსნას, ის მიიჩნევა ზოგადი შესაძლებლობების განხორციელებად, რომელიც ელოდა შესაბამის პირობებს რალიზაციისათვის. გარკვეული პირობებში ადამიანები მივიდნენ იმ დასკვნამდე,

რომ რაციონალური აზროვნება ეფექტურია, რომ ინსტრუმენტული რაციონალიზმი ამართლებს საკუთარ თავს, რომ რელიგიური რწმენა-წარმოდგენები იწვევს გაუთვალისწინებელ ნახტომებს, რომ ფაქტი და მისი შეფასება სხვადასხვა რამაა. ამ ცვლილებების განხორციელება ზოგიერთმა ღირებულებითმა და მსოფლმხედველობითმა სისტემამ შესაძლოა გაადვილოს, ზოგიერთმა კი — შეაფერხოს. ისინი (ე.ი. ღირებულებითი სისტემები და ცვლილებათა პროცესი) არ არის ერთმანეთზე განუყრელად გადაჯაჭვული. უფრო მეტად, ისინი განსაზღვრულია იმით, რაც, ჩვენი აზრით, მოიცავს ღირებულებათა და გაგებათა გავრცელების მთელ კონტექსტს.

ალბათ, ცხადია, რომ ბოლო ორი საუკუნის მანძილზე გაბატონებული მოდერნულობის თეორიები აკულტურული ხასიათისაა. ბევრმა მოდერნულობის განვითარება, ნაწილობრივ მაინც, ახსნა იმით, რომ ჩვენ დავინახეთ ზემოთ მოხსენიებულ სავარაუდო ჭეშმარიტებათა მთელი წყება. სხვაგვარად, ცვლილებები ნაწილობრივ ახსნილ იქნა კულტურულად ნეიტრალური (კულტურისაგან განყენებული) სოციალური განვითარების მოვლენებით როგორიცაა ე.დურკჰეიმისეული მოძრაობა სოციალური ერთობის მექანიკური ფორმებიდან დიფერენცირებული, ორგანული ფორმებისაკენ. ან ალექსის დე ტოკვილის ვარაუდი, „მცოცავი დემოკრატიის“ შესახებ (რომელშიც იგი გულისხმობდა მოძრაობას თანასწორობისაკენ). მაქს ვებერის ინტერპრეტაციით, რაციონალიზაცია მყარი პროცესია, რომელსაც დროთა განმავლობაში ყველა კულტურა გაივლის.

მაგრამ ყველაზე პოპულარულია მოდერნულობის *მიზეზობრივი* განმარტებები. მხოლოდ სოციალურ ახსნას მივყავართ *მიზეზამდე*: სოციალური ცვლილებები, ისეთები როგორიცაა მობილურობა და ინდუსტრიალიზაცია, განაპირობებენ ინტელექტუალურ და სულიერ ცვლილებს, რადგან ისინი უბიძგებენ ხალხს, დათმონ ძველი ჩვევები და რწმენები — რელიგია ან ტრადიციული მორალი — რომლებიც მიუღებელი ხდებიან, კარგავენ რა დამოუკიდებელ რაციონალურ საფუძველს, რაც გააჩნია მოდერნულობის ისეთ წარმოდგენებს როგორიცაა ინდივიდუალიზმი და ინსტრუმენტული აზროვნება.

მაგრამ შეიძლება გაჩნდეს კითხვა — რა ვუყოთ მოდერნულობის ფართოდ გავრცელებულ და პოპულარულ *ნეგატიურ* თეორიას, რომელიც მოდერნიზაციის პროცესს განიხილავს არა როგორც ზრდას, არამედ როგორც დაქვეითებას და დაკნინებას? საინტერესოა, რომ ისინიც თავისებურად აკულტურისტები არიან. ამის წარმოსაჩენად, ჩვენ უნდა განვავრცოთ ზემოთ მოტანილი განმარტება. იმის ნაცვლად, რომ ცვლილებები განიხილოს როგორც შესაძ-ლებლობათა რეალიზაცია, ნეგატიური თეორია მოდერნულობას ხშირად მხოლოდ საფრთხის შემცველად მიიჩნევს. მაგრამ ხშირად ის კონკრეტული კულტურისაგან დამოუკიდებლად განიხილება. მოდერნულობას ახასიათებენ როგორც პერსპექტივადაკარგულ, საფუძველგა-მოცლილ (ფესვებდაკარგულ) მოვლენას, რომელიც ქედმაღლობის გამო უარყოფს ადამიანური შესაძლებლობების შეზღუდულობას, ჩვენს დამოკიდებულებას ისტორიაზე ან ღმერთზე. ის განუსაზღვრელ ნდობას უცხადებს არამდგრად/ცვალებად ადამიანურ გონებას; აკნინებს თვითშემწყნარებლობას, რომელიც შორსაა ცხოვრების ჰეროიკული განზომილებისაგან.

მოდერნულობის განმარტებების უდიდესი ნაწილი პოზიტიურ და ნეგატიურ ინტერ-პრეტაციაზე მოდის. ისინი აკულტურულობისაკენ არიან მიდრეკილნი. კულტურული ინტერპრეტაციები ძლიერია, მაგრამ მათი რიცხვი ნაკლებია. მაგალითად, ფრიდრიხ ნიცშე თანამედროვე სამეცნიერო კულტურას ახასიათებდა როგორც განპირობებულს ფასეულობათა სპეციფიკური მთლიანობით. ვებერმა, გარდა იმისა, რომ შემოგვთავაზა რაციონალიზაციის როგორც მყარი, კულტურულად დამოუკიდებელი ძალის თეორია, პროტესტანტული ეთიკა გაიაზრა როგორც რელიგიურ-მორალურ შეხედულებებათა განსაკუთრებული ერთობა, რომელმაც, თავის მხრივ, განაპირობა თანამედროვე კაპიტალიზმი.

ამგვარად, აკულტურული თეორიები გაბატონებული არიან. ეს ცუდია. იმისათვის, რომ ავხსნათ, თუ რატომ, უფრო ცხადად უნდა ვაჩვენოთ, რას ანიჭებენ ეს თეორიები უპირატესობას, რა გამოაქვთ წინა პლანზე და რას არ აქცევენ ყურადღებას.

აკულტურული თეორიები მიდრეკილნი არიან ახსნან მოდერნულობის ტრანზიცია გადასვლა, როგორც ტრადიციული რწმენებისა და მათდამი ერთგულების დაკარგვა. ეს დანაკარგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ინსტიტუციური ცვლილებების შედეგი. მაგალითად, მობილურობა და ურბანიზაცია განიხილულია როგორც მიზეზი, რომელიც ასუსტებს სტატიკური სასოფლო საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებსა და საფუძვლებს. ამ დანაკარგს/ცვლილებებს, შესაძლოა, საფუძვლად ედოს თანამედროვე სამეცნიერო აზრის განვითარება. ცვლილებები შეიძლება დადებითად იყოს შეფასებული; ან პირიქით, უარყოფითად — იმათ მიერ, ვისთვისაც ტრადიცია უფრო ფასეულია და ვისაც მეცნიერული აზროვნება შეზღუდულად მიაჩნია. მაგრამ ყველა ეს თეორია თანხვდება ერთმანეთს ერთ გარკვეულ ასპექტში: ძველი შეხედულებები და მათდამი ერთგულება შესუსტებულია. ძველი ჰორიზონტები, ნიცშესეული წარმოდგენით, გაქრა.

რა ჩნდება ამ დანაკარგის შემდეგ. ცოდნის მიღების ემპირიულ-მეცნიერული მიდგომის გაბატონება ამკვიდრებს ინდივიდუალიზმს, ნეგატიურ თავისუფლებას და ინსტრუმენტულ რაციონალობას. ისინი წინა პლანზე გამოდიან, მათ ადამიანები "ნორმალურად" აფასებენ, რადგან კაცობრიობა აღარ არის შეფერხებული თუ დაბრმავებული ყალბი ცრურწმენებით და ცხოვრების არაფრისმომცემი წესით, რომელსაც ეს რწმენები განაპირობებდა. ერთხელაც მითი და შეცდომა გაქრა. მხოლოდ ემპირიული მიდგომაა ეფექტური ცოდნის მისაღებად. და ეს მაშინვე ცხადი გახდება როგორც კი, გავთავისუფლდებით მეტაფიზიკის მონობისაგან. მზარდი ინსტრუმენტული რაციონალობა შესაძლებლობას გვაძლევს მაქსიმალურად დავიკმაყოფილოთ სურვილები, ჩვენ ყოველთვის მხოლოდ გვაფრთხობდნენ უსაფუძვლო დირექტივით — შეგვეზღუდა საკუთარი თავი. ინდივიდუალიზმი არის ნორმალური/ბუნებრივი შედეგი ადა-მიანის მიერ საკუთარი ღირსების შეგრძნებისა/თვითპატივისცემისა, ღმერთის ილუზორული მოთხოვნების, ყოფიერების ბორკილებისა და წმინდა/ღვთიური საზოგადოებრივი წესრიგის გარეშე.

სხვაგვარი შეფასება, რომელიც ავსებს გამორჩენილ ნიუანსებს, არის იმის შესაძლებლობის დაშვება, რომ დასავლური მოდერნულობა შეიძლება ემყარებოდეს თავის საკუთარ, ორიგინალურ სულიერ საწყისებს და არ იყოს გაგებული წარმოშობილი მარტივად და გარდაუვლად — როგორც განვითარების შედეგი.

აკულტურული თეორიის ბატონობის მიზეზები გასაგები ხდება, როდესაც ვაცნობიერებთ, რომ დასავლელები საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ მოდერნულობისაკენ გარდამავალ პერიოდში, იმ ცივილიზაციის გარეთ, რომელსაც ქრისტიანულ სამყაროს ვუწოდებთ. რთულია იცხოვრო ცვლილებათა პერიოდში და არ იყო ტენდენციური. ამ სულისკვეთებით ჩვენ, საკმაოდ ხშირად, შეფასებით ახსნას ვახდენთ ხოლმე, რომელიმე მხარის სასარგებლოდ. ცვლილებები უპრობლემოდ აიხსნება იმით, რომ ჩვენ „შევძელით" სიყალბის დანახვა, ან დავივიწყეთ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებანი. კულტურული ხედვის ფარგლებში ასეთი დამაჯერებელი დასკვნების გამოტანისათვის, საჭირო იქნებოდა მოდერნულობის კომპლექსური შედარებითი შეფასება, იმის საპირისპიროდ, რომ მას განაპირობებდა ქრისტიანობა. ასეთ მკაფიო დასკვნამდე მისვლა ფრიად რთული (თუ შეუძლებელი არა) ამოცანაა.

კულტურული თეორიის თვალთახედვით, ჩვენ საკუთარ კულტურას განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთს სხვათა შორის, და ეს ჩვენი ცივილიზაციის ახალი მონაპოვარია, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ რევოლუციური ცვლილებების პირველი შეფასება აკულტურული იყო. ჩვენი წინაპრების უმრავლესობა სხვა ცივილიზაციებს განიხილავდა როგორც ბარბაროსულს, წარმართულს ან ველურს. აბსურდული იქნებოდა მოლოდინი, რომ საფრანგეთის რევოლუციის თანამედროვეებს, ორივე პოლიტიკური მხარის წარმომადგენლებს, ამ პოლიტიკურ გადატრიალებაში კულტურული ცვლილებები დაენახათ. იმ პერიოდში კულტურული პლურალიზმის იდეა მხოლოდ ისახებოდა. მაგალითად, იოჰან გოტფრიდ ჰერდერის თხზულებებში.

მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ეს პოზიცია უფრო ადვილად მისაღები გახდა, ჩვენ, საკუთარი პოზიციის ერთგულების გამო, მის იგნორირებას ვახდენთ. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ შეფასებითი ახსნა უფრო დამაკმაყოფილებელია. ჩვენ გვინდა ან განვადიდოთ მოდერნულობა, ან გავთათხოთ ის. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია შიშითაც, რომ კულტურულ თეორია შეფასებით მიდგომას შეუძლებელს გახდის. უკანასკნელი აზრი, ალბათ, მცდარია, მაგრამ ასეა თუ ისე აქ ეს გარკვეულ როლს თამაშობს.

სხვა ფაქტორი, რომელიც ბიძგს აძლევს აკულტურულ თეორიას, არის მატერიალისტური მიდგომა, რომელიც პოპულარული იყო სოციალურ მეცნიერებებსა და ისტორიაში. ამ კონტექსტში მე ვგულისხმობ იმ ინტერპრეტაციებს, რომლებიც უგულებელყოფდნენ მორალურ და სულიერ ფაქტორებს უფრო „მიწიერი“ კატეგორიების სასარგებლოდ. ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენები — მეცნიერების განვითარება, ინდივიდუალიზმი, ნეგატიური თავისუფლება, ინსტრუმენტული აზროვნება და მოდერნული კულტურის სხვა მნიშვნელოვანი თავისებურებანი — ხშირად განიხილებოდა როგორც სოციალური ცვლილებების, ინდუსტრიალიზაციის, უდიდესი მობილურობის ან ურბანიზაციის შედეგი. აქ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მიზეზობრივი კავშირების თვალის მიდევნება, მაგრამ ისინი უგულებელყოფილია, ისევე როგორც პრობლემა, განაპირობებს თუ არა ეს ცვლილებები თავად კულტურაში რაიმე ცვლილებას ზნეობრივ იდეალთა თვალსაზრისით. პასუხი ხშირად უარყოფითია.

რა თქმა უნდა, სოციალური ცვლილებები, რომლებმაც, სავარაუდოდ, განაპირობა ახალი მსოფლმხედველობის ჩასახვა, თავად უნდა იყოს ახსნილი, ეს მოითხოვს ზოგიერთი ადამიანური მოტივაციის გათვალისწინებას. თუ ჩვენ არ ვივარაუდებთ, რომ ინდუსტრიალიზაცია და ქალაქების საყოველთაო ზრდა უგონურების შემოტევისას მოხდა. ჩვენ გვჭირდება გარკვეული ცოდნა იმისა, თუ რატომ ილტვოდა ხალხი მკაცრად ერთი მიმართულებით, მაგალითად, წარმოებაში ტექნოლოგიის გამოყენების ზრდისაკენ, ან მოსახლეობის დიდი კონცენტრაციისაკენ. მაგრამ ხშირად ჩნდება არამორალური მოტივაციები. ამაში მე ვგულისმობ მოტივაციებს, რომლებსაც შეუძლია ხალხის აქტივიზება რომელიმე მორალურ/სულიერ იდელათან კავშირის გარეშე, როგორც ადრე აღვნიშნე. როგორც შედეგი, ეს სოციალური ცვლილებები ხშირად ახსნილია როგორც მისწრაფება სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ, გადარჩენის ან სხვათა კონტროლისაკენ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შეიძლება ერწყმოდეს მორალურ იდეალებს, მაგრამ მათი არსებობა საჭირო არაა. და ამგვარად, ეს არამორალური კატეგორიები ინტერპრეტაცია განიხილება როგორც საკმაოდ მძიმედ და მეტისმეტად მეცნიერულად მიიჩნევა.

მაშინაც კი, როცა ინდივიდუალური თავისუფლება ინსტრუმენტული აზროვნების გავრცელებად განიხილება როგორც იდეები, რომელთაც მნიშვნელოვანწილად შეუძლიათ სოციალური ცვლილებების ახსნა, ისინი ხშირად არამორალური კატეგორიებით არიან გაგებული. ამ იდეათა მნიშვნელობა/სიძლიერე ხშირად გაიაზრება არა მათი მორალური/აზრობრივი მნიშვნელობით, არამედ როგორც იმ უპირატესობათა ერთობლიობა, რომელიც ხალხს ებოძა მათი მორალური მსოფლმხედველობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, ჰქონდათ თუ არა მათ ასეთი მსოფლმედველობა საერთოდ. თავისუფლება შესაძლებლობას გაძლევს, გააკეთო ის, რაც გინდა, ინსტრუმენტული აზროვნების ფართო გამოყენება ნებისმიერი სურვილების უმეტესობას გიკმაყოფილებს.

ცხადია, ნებისმიერ შემთხვევაში ასეთი სახის ინტერპრეტაცია კულტურულად დომინირებული ხდება. მოდერნულობის სულიერი საწყისების კვლევის მოტივაცია ძალიან სუსტია. ნამდვილად, ამ საწყისების თუნდაც ზოგიერთი მომენტის შეცნობის შესაძლებლობა ნულს უტოლდება. და ეს კულტურულ თეორიებს დღის წესრიგიდან ხსნის.

თემა III. კულტურათა ტიპოლოგია მოდერნული და არამოდერნული კულტურების მახასიათებელთა საფუძველზე.

ტიპოლოგიზაციის პრობლემა კულტურის მეცნიერებებში

კულტურათა კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანსი მიმართულება კულტურათა იდენ-ტიფიკაცია, მათი ტიპის განსაზღვრა და კლასიფიკაციაა. ამიტომ ბუნებრივია იმ თეორიათა სიმრავლე, რომლებიც კულტურათა ტიპილოგიზაციის ბევრ სხვადასხვა მოდელს გვთავაზობენ. გამოყოფენ, მაგალითად, კულტურის ბარბაროსულ და ცივილიზებულ, აღმოსავლურ და დასავლურ, ტრადიციულ და ინოვაციურ, პირველყოფილამდელ, პირველყოფილ, სამხედრო, რელიგიურ, მეცნიერულ, რაციონალურ, წერილობით, უდამწერლობო და სხვა უამრავ ტიპს.

კულტურათა ტიპოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძველია კულტურული პროცესის სხვადასხვა კონცეფცია: ევოლუციური, ციკლური, კულტურულ-ისტორიული ვერსიები და სხვ. არსებობს ტიპოლოგიური თეორიები, რომლებშიც ამა თუ იმ ტიპის კულტურის სტრუქტურულ საფუძვლად მიიჩნევა ადამიანის კულტურულად დეტერმინირებული ქცევა, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური, ეროვნული და სხვა პრინციპები[1].

კულტურათა ტიპოლოგიური კვლევა დღეისათვის კულტუროლოგიის ერთ-ერთი ძირითადი და ყველაზე აქტუალური პრობლემის — ცივილიზაციური კუთვნილების (იდენტურობის) — განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ეს პრობლემა სცილდება წმინდა სამეცნიერო ინტერესებს და მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ინტერესებთან. ცივილიზაციური იდენტურობის განსაზღვრა ხშირად განიხილება იმ კრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებად, რომელსაც განიცდიან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სახელმწიფოები. მკვლევრები აღნიშნავენ იმ გარემოებასაც, რომ დასახელებული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. მცირე ერებისათვის.

ინოვაციურობა-ტრადიციულობა როგორც კულტურათა ტიპოლოგიზაციის ერთ-ერთი დეტერმინანტი

კულტურათა ტიპოლოგიური რაობის განსაზღვრის ერთი საინტერესო ნიშნი მათი ტრადიციულობისა და ინოვაციურობის თვალსაზრისით გამიჯვნაა. როგორც ითქვა, ტრადიციის ქვეშ იგულისხმება სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები, რომლებიც არა მხოლოდ გადაეცემიან თაობიდან თაობას, არამედ ნარჩუნდებიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მრავალი თაობის ცხოვრების მანძილზე. ტრადიცია განსაზღვრავს არა მარტო იმას, რა გადაიცეს მემკვიდრეობით, არამედ იმასაც, თუ როგორ გადაიცეს იგი. ეს ტერმინი გამოიყენება ქცევის წესებისა (სტუქტურის) და რწმენა-წარმოდგენების ხასიათის თითქმის იდენტურ ფორმებში განმეორებადობის აღსაწერად და ასახსნელად. ინოვაციის ქვეშ კი, იგულისხმება ახალი ტექნოლოგიებისა და ქცევის ახალი მოდელის ფორმირების მექანიზმი. ინოვაციები ქმნიან წინაპირობას სოციალურ-კულტურული ცვლილებებისათვის.

განასხვავებენ რა კულტურათა ამ ორ ტიპს, მეცნიერები, უმრავლეს შემთხვევაში, პირველის ქვეშ გულისხმობენ არქაულ საზოგადოებებს ან ძველ ცივილიზაციებს როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურებს განვითარების კაპიტალიზმამდელ ეტაპზე. ჩვეულებრივ, ტრადიციულ საზოგადოებებს განსაზღვრავენ როგორც სტატიკურს, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის, აგრეთვე ურბანიზაციის ნაკლები ხარისხი. პოლიტიკური თვალსაზრისით, ტრადიციულ საზოგადოებებს აღწერენ როგორც დამყარებულს „ტრადიციული“ ელიტის ძალაუფლებაზე, რომელიც მართავს ამა თუ იმ „ზეციური მანდატის“ საფუძველზე. ტრადიციული საზოგადოება შეზღუდულია კულტურული ჰორიზონტებით, რომელსაც ტრადიცია ამყარებს. ამგვარად, ტერმინი „ტრადიციული“ გამოიყენება იმ საზოგადოებების აღსანიშნავად, რომლებიც შედარებით ნელა გარდაიქმნება, რომელთათვისაც დამახასიათებელია საქმიანობის ლეგიტიმაცია წარსულზე დაყრდნობით. პიროვნება ტრადიციულ კულტურებში რეალიზდება მხოლოდ რომელიმე

[1] კულტუროლოგია (კულტურის ისტორია და თეორია). გვ.56.

კორპორაციისადმი მისი მიკუთვნების შედეგად და, უმრავლეს შემთხვევაში, იგი მკაცრად არის მიმაგრებული ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან.

ინოვაციური კულტურების ქვეშ, რომელსაც „მოდერნისტულს“ და „ტექნოგენურსაც“ უწოდებენ, გულისხმობენ საზოგადოებებს, რომელთათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თავისუფალი საბაზრო წარმოება, კონსტიტუციური საპარლამენტო დაწესებულებები და პირადი თავისუფლება. ეს ყოველივე კი დამახასიათებელია თანამედროვე დასავლური ცივილიზაციისათვის. ზემოთ აღნიშნულ ელემენტებს შეიძლება ფუნქციური დატვირთვა ჰქონდეთ რომელიმე არადასავლურ საზოგადოებაში, რის გამოც ის, აგრეთვე მოდერნისტულ საზოგადოებად მიიჩნევა. ინოვაციური თუ მოდერნისტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია დიფერენციაციის, ურბანიზაციის, განათლების მაღალი დონე და ინფორმაციის საყოველთაობა. პოლიტიკური თვალსაზრისით, მოდერნისტული საზოგადოება ემყარება მასების ფართო მონაწილეობას, რომელიც არ ღებულობს ლეგიტიმურობის ტრადიციულ პრინციპებს და ხელისუფლებას აკისრებს პასუხისმგებლობას ეფექტურობის თვალსაზრისით. ინოვაციურ საზოგადოებას, ტრადიციულისაგან განსხვავებით, ახასიათებს კულტურული დინამიკა და ორიენტაცია ცვალებადობებსა და ნოვაციებზე. მისი თავისებურება და ძირითადი ფასეულობაა ინდივიდუალიზმი, რაც გულისხმობს პიროვნების თავისუფლებებისა და უფლებების პატივისცემას, აგრეთვე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. პიროვნება განიხილება ყოველგვარი ერთობისაგან დამოუკიდებლად.

ჩვენის აზრით, კულტურათა ტრადიციულობა ან ინოვაციურობა ძირითადად განისაზღვრება კულტურათა ხასიათის თავისებურებით: ერთი მხრივ, მისი მიდრეკილებით ტრადიციათა შენარჩუნებისაკენ, წარსულისაკენ, მეორე მხრივ, მისწრაფებით სიახლისაკენ, ცვლილებებისაკენ. კულტურათა ეს მახასიათებლები (ისევე როგორც სხვა დანარჩენი) ყალიბდება როგორც საზოგადოების შინაგანი თვისება, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება და არავითარ შემთხვევაში მთლიანად არ არის განსაზღვრული დროითი და სივრცითი ფაქტორებით. ამიტომ, ალბათ, არ იქნება სწორი, თუ ვიტყვით, რომ ამა თუ იმ საზოგადოების გეოგრაფიულად აღმოსავლური მდებარეობა და ქრონოლოგიურად პრემოდერნულ ხანაში არსებობა უკვე საკმარისი არგუმენტია მისი ტრადიციულობის დასამტკიცებლად. მოდერნისტული საზოგადოების წარმოშობა დასავლეთში შესაძლებელი გახდა აქ მანამდე ინოვაციური საზოგადოების არსებობის გამო, დასავლეთში საზოგადოება ინოვაციური იყო კაპიტალიზმამდელ ხანაშიც. ამდენად, ალბათ, არ არის საჭირო ისტორიის დაყოფა ტრადიციული და ინოვაციური კულტურების ხანად. ისინი შეიძლება დროში თანაარსებობდნენ. გარდა ამისა, უნდა განვასხვაოთ ცნება „მოდერნისტული“ (რომელიც გულისხმობს თანამედროვე ეტაპზე დასავლურ სამყაროში წამოქმნილ კულტურულ ტიპს), „ინოვაციური“ კულტურებისაგან, რაც არის კულტურის თვისება — იყოს ორიენტირებული სიახლეზე. აქედან გამომდინარე, ხშირად ტრადიციულ საზოგადოებების მოდერნიზაცია უდრის ვესტერნიზაციას ინოვაციურობის გარეშე.

კოლექტივისტური და ინდივიდულისტური საზოგადოებები

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი ერთ-ერთია იმ ფსიქოლოგიურ მახასიათებელთაგან, რომლებზე დაყრდნობით ფსიქოლოგები ცდილობენ კულტურის სახის განსაზღვრას და მის ტიპოლოგიზებას.

კოლექტივიზმი გულისხმობს საერთო ინტერესების პრიორიტეტს პიროვნულთან შედარებით. კოლექტივისტურ საზოგადოებებში ინდივიდი ძირითადად მოტივირებულია იმ ჯგუფის თუ ჯგუფების ინტერესებით, რომელთა წევრიცაა იგი. ამ ჯგუფების წევრობა ტრადიციულია და არა ნებაყოფლობითი. ჯგუფი შეიძლება იყოს დიდი (ერი, სახელმწიფო, რელიგიური ერთობა და სხვ.) და შედარებით მცირე (ნათესაობა, სამეზობლო, ნაცნობ-მეგობართა წრე და სხვ.). შესაბამისად, განარჩევენ ე.წ. „დიდჯგუფოვან“ (მაგალითად, რუსეთი) და „მცირეჯგუფოვან“ კოლექტივისტურ კულტურებს.

რაც შეეხება საქართველოს, ძალზე გავრცელებულია ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი ქართველთა პერსონალიზმისა და ინდივიდუალისტობის შესახებ, მაგრამ, ფსიქოლოგთა მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, „საქართველო წარმოადგენს კლასიკურ „მცირეჯგუფოვან“ კოლექტივისტურ კულტურას“, სადაც ძირითად სოციალურ ერთეულს შეადგენს ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობთა წრე და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სწორედ ამ ჯუფებში არსებული ნორმები[1]. საზოგადოების წევრთა ასეთი ნორმები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა, როცა საქართველო (მისი ცალკეული ნაწილები) დამოუკიდებელი არ იყო და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები მის ფარგლებს გარეთ წყდებოდა. ცალკეული ინდივიდის აზროვნებისა და პასუხისმგებლობის სივრცე ზემოთ დასახელებული ჯგუფებით შემოიფარგლებოდა (ანუ საკმაოდ ვიწრო იყო) და თითქმის არ ვრცელდებოდა უფრო დიდ სოციალურ ერთობაზე — სახელმწიფოზე ან ერზე და, მით უმეტეს, ისეთ აბსტრაქტულ ნორმაზე, როგორიცაა კანონი[2].

ვფიქრობთ, გ.ნიჟარაძის მიერ აღნიშნული მახასიათებელი საყურადღებოა და, თანაც, კონკრეტული მახასიათებლის დადგენის მცდელობა წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი კულტურის ხასიათის განსაზღვრის რთულ გზაზე, რადგან იგი არ წარმოადგენს მხოლოდ დღეისათვის აშკარა ფაქტის კონსტატაციას (თუნდაც კანონთან დამოკიდებულების თვალსაზრისით), არამედ იძლევა ერთგვარ გასაღებსაც ამ მახასიათებლის ისტორიული ჩამოყალიბების ასახსნელად.

ცხადია, არ ვაპირებთ ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა კომპეტენციის ფარგლებში შეჭრას, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ გამოვთქვათ აზრი, რომ აუცილებელია, პირველ რიგში, მკაფიოდ განისაზღვროს, არა შეიძლება ჩაითვალოს კულტურის (საზოგადოების) მახასიათებლიად და რა — ამ მახასიათებლის პრაქტიკულ გამოვლინებად, რეალიზაციად, მისი მოქმედების შედეგად. სხვაგვარად თავს ვერ დავაღწევთ აღრევასა და ბუნდოვანებას, რომელიც არც თუ იშვითია ქართული კულტურის ხასიათზე მსჯელობის დროს. მაგალითად, გ.ნიჟარაძესთან კანონისა და ყოფის ერთმანეთისაგან დაშორება ქართული კულტურის ერთ-ერთი მახასიათებლის — მცირეჯგუფოვან-კოლექტივისტური ხასიათის — გამოვლინებად და შედეგად წარმოგვიდგება, ე.ჯგერენაიასთან კი — თავად ძირითად მახასიათებლად („ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანი წერილობით მოცემული ნორმების (კანონის) და ყოფის ერთმანეთისაგან მაქსიმალური დაშორებულობაა“, — აღნიშნავს იგი[3]). ჩვენი აზრით, პირველი მიდგომა უფრო მკაფიოა და კულტურის მახასიათებელთა განსაზღვრისათვის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა.

ჩვეულებრივ, ინდივიდუალიზმს დასავლურ, კოლექტივიზმს კი აღმოსავლურ მახასიათებ-ლად მიიჩნევენ. ასეთი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია. გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოება. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საზოგადოების კოლექტივისტური ორიენტაცია და, საერთოდ, ცხოვრების წესი, კაცობრიობისათვის გაცილებით უფრო რეპრეზენტატიულია, ვიდრე ინდივიდუალიზმი, თუ გავითვალისწინებთ მის უფრო ხანგრძლივ დროით პერსპექტივას და სივრცით განფენილობას სხვადასხვა ქვეყანაში[4]. XVI საუკუნემდე დასავლური კულტურებიც მკაფიო კოლექტივისტური ორიენტაციით ხასიათდებოდნენ, ინდივიდუალისტური ტენდენციები მხოლოდ ამის შემდეგ იჩენს თავს[5].

„შუა საუკუნეების დასავლეთი ისეთივე „არადასავლური“ იყო, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო“, — წერს ნ.მუზაშვილი. შემდეგ მისი სახე შეცვალა რენესანსისა და რეფორმაციის პროცესებმა, რომლებიც დაუპირისპირდა „შუასაუკუნეობრივი კოლექტივიზმის ციტადელს — სახელმწიფოსა და ეკლესიის სიმბიოზს. ამ ჭიდილს შეიძლება ინდივიდუალიზმისა და

---

[1] ნიჟარაძე გ. პოლიტიკური ქცევა საქართველოში. — ჟურნ.: ეპოქა (საზოგადოებრივი მეცნიერებები). თბ., 2001, 1, გვ.7.
[2] ნიჟარაძე გ. პოლიტიკური ქცევა საქართველოში, გვ.7.
[3] ჯგერენაია ე. ქართული სუფრის სოციოფილოსოფია და ზოგიერთი სხვა რამ. — გაზ.: “მერიდიანი”, თბ., 2001, 27, გვ.8.
[4] სურმანიძე ლ. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები). თბ., 2001, გვ.7.
[5] Гуревич А.Я. Категории средневековой культуры. М., 1984.

კოლექტივიზმის ბრძოლაც ვუწოდოთ“[1]. ამიტომ ხშირად საუბრობენ წინაინდუსტრიული საზოგადოებების კოლექტივისტურ ხასიათზე, დღეს კი კოლექტივისტურად მიიჩნევენ სამხრეთ ევროპის, ლათინური ამერიკის, აზიური და აფრიკული კულტურების უმრავლესობას. დასავლეთ ევროპაში ყველაზე მკაფიო კოლექტივისტური ორიენტაციით ესპანურ კულტურას გამოარჩევენ.

საქართველოს არ ჰქონია ურთიერთობა ევროპასთან მას შემდეგ, რაც იქ ინდივიდუალისტური საზოგადოება მკაფიოდ ჩამოყალიბდა. ჩვენი კულტურა, კოლექტივისტური აღმოსავლური (მუსლიმური) კულტურების გარემოცვაში, რომელსაც მოგვიანებით რუსეთის ასევე კოლექტივისტური კულტურა დაემატა და მცირეჯგუფოვან კოლექტივისტურ კულტურად ჩამოყალიბდა. ამას ხელი შეუწყო იმ მიზეზებმა, რომლებზეც ცოტა ზემოთ გვქონდა საუბარი.

სივრცისა და დროის კულტურები

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება „დროის კულტურისა“ და „სივრცის კულტურის“ ცნებები. ამ კლასიფიკაციით, თანამედროვე დასავლეთი, მოდერნი — დროის კულტურაა; მისი მთავარი მახასიათებელია დინამიკურობა, მუდმივი ცვალებადობა, რომელიც უკეთესისაკენ გამუდმებულ სვლად გაიაზრება. შესაბამისად, არსებობს მნიშვნელობათა მობილური სტრუქტურები და ცვალებადი ფორმები. ჩვეულებათა აზრი მუდმივად კითხვის ქვეშ დგება და, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, იცვლება. არადასავლეთი, პრემოდერნი ან არამოდერნი — სივრცის კულტურაა, რომელიც აღბეჭდილია თავიანთ ადგილსამყოფელზე ადამიანთა და საგანთა მიჯაჭვულობის ნიშნით. ეს არის მშვიდი, სტატიკური ინერცია, რომელიც ადამიანებს სიმყუდროვის, უსაფრთხოებისა და მოვლენათა პროგნოზირებადობის განცდას ანიჭებს. დროის კატეგორია ამ კულტურისათვის უცხო არ არის, მაგრამ იგი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული ცვალებადობა, დიდ როლს არ თამაშობს. დროის კულტურის სწორხაზოვანი, სწრაფწარმავალი დროისაგან განსხვავებით, ეს ციკლური დროა, რომელიც წრებრუნვას ასრულებს გაჩენას, აღსასრულსა და კვლავ გაჩენას შორის. სივრცის კულტურისათვის დამახასიათებელია მყარი საზოგადოებრივი ჯგუფების არსებობა, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეულ ინდივიდთა ცხოვრებას დაბადებიდან სიკვდილამდე და რომლებთანაც ეს ინდივიდები მჭიდროდ არიან დაკავშირებული. სივრცის კულტურა აღბეჭდილია მყარი რიტუალებით, წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისათვის ზრუნვით. ეს წეს-ჩვეულებები ამ სახით მხოლოდ ამ კულტურაში — ამ სივრცეში, ამ ნიადაგზე არსებობენ, სიმყუდროვისა და შინაურულობის განწყობას უქმნიან იმ ადამიანებს, ვის ჩვეულებებსაც ისინი წარმოადგენენ[2].

საქმის გამარტივება იქნებოდა დაშვება, რომ დროისა და სივრცის ნიშნით დასავლური და აღმოსავლური კულტურები მკაფიოდ ემიჯნებიან ერთმანეთს. ვ.შმიდის აზრით, სივრცის კულტურა არსებობს პლანეტის ოთხ მეხუთედზე, თვით აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით. უფრო მეტიც — დაძაბულობა დროსა და სივრცეს შორის თავს იჩენს არა მხოლოდ ერთმანეთისაგან გეოგრაფიულად გამიჯნულ რეგიონებში, არამედ ერთი კულტურის შიგნითაც: მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაშისტური დაჯგუფება გამოდის მოდერნის წინააღმდეგ და პირიქით, ირანში XXI საუკუნის დამდეგს მრავალი ახალგაზრდა უწევს წინააღმდეგობას არამოდერნულ, ხისტ მმართველობას[3].

საბოლოოდ კულტურათა ასეთი სახის დაჯგუფებამ:

ინდივიდუალისტური	კოლექტივისტური
ინოვაციური	ტრადიციული
დროის	სივრცის

[1] მუზაშვილი ნ. “ორიენტაციების” შესახებ. — ჟურნ. “ომეგა”, თბ., 2000, 7, გვ.4.

[2] შმიდი ვ. ომი სივრცესა და დროს შორის (ლექცია, წაკითხული 2001 წლის 15 ოქტომბერს, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში). — გაზ.: “ჩვენი მწერლობა” 49 (75), თბ., 7-14 დეკემბერი, 2001, გვ.2.

[3] შმიდი ვ. დასახ. ნაშრ., გვ.2.

შეიძლება მიგვიყვანოს აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქოტომიამდე. რამდენად შეესაბამება რეალობას ამ დიქოტომიის არსებობა, რამდენად მართებულია აღმოსავლეთ/დასავლეთის საზოგადოებათა კლასიფიცირება როგორც არამოდერნული, კოლექტივისტური, ტრადიციული და მოდერნული, ინდივიდუალისტური, ინოვაციურისა, ეს დისკუსიის მსჯელობის საგანი იქნება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კულტურს ტრადიციისა და მოდერნიზაციის ურთიერთქმედების გააზრებას.

აღმოსავლეთი-დასავლეთი — კულტურათა ტიპოლოგიის საფუძველი

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფენომენზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ ჩავთვალეთ, პირველ რიგში, იმდენად, რამდენადაც პირდაპირ კავშირშია ტრადიციულობისა და მოდერნულობის გაგების ერთ-ერთ ინტერპრეტაციასთან.

დასავლეთი და აღმოსავლეთი — კაცობრიობის ცნობიერებაში არსებული მუდმივი ოპოზიცია — წარმოგვიდგება ორი განსხვავებული კულტურული სივრცის სახით. თავისთავად ეს დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ეთნიკური (და, შესაბამისად, კულტურული) თვალსაზრისით ერთგვაროვან სივრცეს. მეტიც, ისინი სწორედ ერთმანეთთან მიმართებაში ყალიბდებიან მეტ-ნაკლებად მკაფიოდ გამოკვეთილ მთლიანობად. ამ ორი სამყაროს ტიპოლოგია და მეცნიერული შესწავლა მთლიანად დასავლური სამყაროს ინიციატივაა. ამან ბევრი რამ განსაზღვრა მათზე შეხედულების ფორმირების თვალსაზრისით, რაც ხშირად არ თანხვდებოდა არსებულ სინამდვილეს (ეს გასაკუთრებით აღმოსავლეთზე ითქმის). უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთი, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, უფრო ადვილად აღიქმება თავისთავად ერთობად, რადგან ინტეგრირებული დასავლეთის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღმოსავლეთის ერთგვაროვან სივრცედ განხილვა კი სამართლიანად ექვემდებარება კრიტიკას. აღმოსავლეთი მოიცავს მუსლიმურ, კონფუციურ, ბუდისტურ და სხვა ერთობებს ჯ.სტიდმანი სრულიად უარყოფს დასავლეთ-აღმოსავლეთის დიქოტომიას. მისი აზრით, აღმოსავლეთზე, აზიაზე არ შეიძლება საუბარი, როგორც რაიმეგვარ ერთობაზე, რადგან იგი შედგება „სუბკონტინენტური ცივილი-ზაციებისაგან“: შორეულაღმოსავლური, ინდური და ისლამური[1].

მიუხედავად ამისა, მაინც ხდება ძალიან პირობითი მახასიათებლების შერჩევა, რომლებითაც განასხვავებენ დასავლურ ან აღმოსავლურ კულტურებს:

სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

დასავლეთი	**აღმოსავლეთი**
განვითარებული, ურბანისტული	ჩამორჩენილი, სასოფლო
ინდუსტრიული	აგრარული
წარმოება როგორც ბაზისი	განაწილება როგორც ბაზისი

პოლიტიკური მახასიათებლები

დასავლეთი	**აღმოსავლეთი**
სამოქალაქო, დემოკრატიული	პატრიარქალური, ავტორიტარული, დესპოტური

ისტორიული მახასიათებლები

დასავლეთი	**აღმოსავლეთი**
ისტორიზმი	აისტორიზმი
ხაზოვანი დრო	ციკლური დრო

[1] Стидман Дж. Миф об Азии. // Сравнительное изучение цивилизаций. Хрестоматия. М., 1998. с. 261.

კულტურულ-ისტორიული მახასიათებლები

დასავლეთი	**აღმოსავლეთი**
მატერიალიზმი	სულიერება
სეკულარიზაცია	რელიგიურობა
რეალიზმი/პრაგმატიზმი	იდეალიზმი
ობიექტივიზმი	სუბიექტივიზმი
პლურალიზმი	მონიზმი
რაციონალობა	ინტუიციურობა
ბუნების დამორჩილება	ბუნებასთან ადაპტაცია
დინამიზმი	სტატიკურობა
სამართალი	მორალი
მეცნიერული ცოდნა	საკრალური ცოდნა
თავისუფლება	წესრიგი
ნება	ფატალიზმი
ანთროპოცენტრიზმი	თეოცენტრიზმი

რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მახასიათებლები არათუ მთელ ცივილიზაციას, არამედ ერთ კონკრეტულ კულტურასაც კი იდეალურად „მიესადაგოს, მაგრამ თუ რომელიმე კულტურა მეტ-ნაკლებად პასუხობს ერთ ან მეორე „მოთხოვნებს“, მაინც გვეძლევა მისი ტიპოლოგიურად განსაზღვრის საშუალება.

რადგან კულტურული მახასიათებლების გამოვლენა კულტურათა კლასიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, ამიტომ უნდა შევეხოთ საკითხს, რომელიც კულტურული მახასიათებლის რაობასა და მის კულტურასთან ურთიერთმიმართებას ეხება.

კულტურულ მახასიათებელთა კომპლექსად შეიძლება მივიჩნიოთ ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არაცნობიერი თვისებების ერთობლიობა, რომელიც ამ საზოგადოების წარმომადგენელი თითოეული ინდივიდის ქცევასა და აზროვნების ფორმაში ვლინდება და დაკავშირებულია კოლექტიური ფსიქიკის ფენომენთან. თვისებათა ეს კომპლექსი დროში მეტ-ნაკლებად განიცდის ცვლილებებს, მაგრამ თავისი ძირითადი არსით მდგრადია და მას „ეროვნულ“ ან „კულტურულ ხასიათს“ უწოდებენ. ა.ბარონინის განმარტებით, ეროვნული ხასიათი ნაციის ფსიქიკური წყობის კომპონენტია, რომელიც განისაზღვრება როგორც რეალობის სხვადასხვა გამოვლინებისადმი კონკრეტული ეთნიკური ერთობის ურთიერთობის (დამოკიდებულების) სისტემა, გამოვლენილი აზროვნების მყარ სტერეოტიპებში, ემოციურ რეაგირებასა და ზოგადად ქცევაში[1]. როგორ ხდება კულტურულ მახასიათებელთა კომპლექსის ფორმირება, ძნელი სათქმელია. აქ, ალბათ, რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი მოქმედებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საზოგადოების შინაგანი განვითარების სპეციფიკასთან, ასევე გარე ფაქტორების (გეოგრაფიული და სოციალური) ზეგავლენასთან, უფრო სწორად, მათ ურთიერთზემოქმედებასთან.

კულტურულ მახასიათებლებს დაახლოებით საუკუნენახევარია იკვლევენ ეთნოფსიქოლოგები და კულტურის ფსიქოლოგები. ამ მახასიათებელთა ერთობა სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება: ეროვნული (ხალხის) სული, ეროვნული ხასიათი, კულტურული (ეთნიკური) სტერეოტიპი, ნაციის ფსიქიკური წყობა, მენტალობა და ა.შ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ფენომენი კვლევისათვის მაინც „მოუხელთებელია“, ბოლომდე ახსნილი არ არის და, შესაძლოა, არც ექვემდებარება ასეთ ახსნას. როგორც ინდივიდუალური ხასიათი არ შეიძლება ზუსტად აიხსნას, ასევე (და მით უფრო) წარმოუდგენელია კოლექტიური ხასიათის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა.

დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამყაროს ხედვითა და მასში ადამიანის ადგილის განსაზღვრით; ბუნების აღქმითა და მასზე ზემოქმედების (მისი შემეცნების) ხერხებით — მაგიური, რაციონალური, ტექნიკური თუ სხვ.; ინდივიდისა და

[1] Баронин А.С. Этническая психология. Киев, 2000. с.254.

კოლექტივის ურთიერთმიმართებით; დამოკიდებულებით შრომისადმი; დამოკიდებულებით სამართლის როგორც სოციალურ ურთიერთობათა რეგულატორისადმი; ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის ურთიერთმიმართებით; დამოკიდებულებით სიკვდილისადმი; რელიგიურობის ფორმებით; ისტორიის აღქმითა და მისი მიმართულების გააზრებით (პროგრესი, წრებრუნვა, რეგრესი); დამოკიდებულებით მშობლებსა და შვილებს, თაობებს, საერთოდ, სოციალური მთელის სხვადასხვა ჯგუფებს შორის და სხვ.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს ერთმანეთისაგან განასხვავებს კიდევ მრავალი მახასიათებელი, მათ შორის — იერარქიული ურთიერთობები, ინფორმაციის გაცვლის სხვადასხვა წესი, არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა. ეს ყველაფერი ნათლად ვლინდება არა მხოლოდ ფილოსოფიური თუ სოციალური მოძღვრებების, ან ისტორიული წარსულის აღქმის ანალიზისას, არამედ ყოფით და საქმიან ურთიერთობებშიც. მაგალითად, დასავლური კულტურები ზუსტად განსაზღვრავენ დროს და დაგვიანება დანაშაულად თუ არა, არასერიოზულ საქციელად ითვლება, აზიის რიგ ქვეყნებში დაგვიანებით ვერავის გააკვირვებ, აქ აჩქარება საჭირო არ არის. არაბები ყავის სმასა და საუბარს საქმის კეთებად მიიჩნევენ, ამერიკელები კი მას დროის ფუჭ ფლანგვად თვლიან. ჩინელები და იაპონელები უდიდეს პატივს სცემენ იერარქიულ ურთიერთობებს, ამერიკელები კი თანასწორობის ხაზგასმას ცდილობენ. ამერიკული ინსტრუქციები იმასაც კი ითვალისწინებს, რომ აზიის წარმომადგენლებთან ფოტოგრაფირების დროს სასურველია ჯდომა, რათა თვალშისაცემი არ იყოს სიმაღლეში სხვაობა. იაპონელებს პრინციპულად არ შეუძლიათ „არა“-ს თქმა, რადგან ეს მათ კულტურაში უზრდელობად ითვლება, ამიტომ მოლაპარაკების დროს ისინი ათასგვარი ზრდილობიანი ფორმით ცდილობენ უარის თქმის თავიდან აცილებას, რასაც ხშირად შეცდომაში შეყავს მათი დასავლელი პარტნიორები[1].

ცხადია, რომ ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნით რომელიმე კულტურის ტიპოლოგიური განსაზღვრა ფრიად ძნელია. კიდევ უფრო რთული წარმოსადგენია, რომ ესა თუ ის კულტურა ზუსტად „ჩაჯდეს“ მახასიათებელთა მთელ ჩამონათვალში. ჩვენ მხოლოდ რომელიმე ტიპისადმი მისი ზოგადი კუთვნილების განსაზღვრა შეგვიძლია, ისიც პირობითად. მაგალითად, თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა, რომ ქართულ კულტურას ზოგ შემთხვევაში დასავლური მახასიათებლები მიესადაგება, ზოგში – აღმოსავლური, ხან კი არც ერთი და არც მეორე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დასავლეთ-აღმოსავლეთის მიჯნაზე მდებარეობისა და ხან ერთის, ხან მეორის ორბიტაში მოქცევის გამო, ჩვენს კულტურაში „დაილექა“ როგორც ერთის, ისე მეორის დამახასიათებელი ნიშნები და გამომუშავდა კიდევ მესამე – ორივესგან განსხვავებული თვისებები.

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა ტიპოლოგიური გამიჯვნის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ არის. ი.პავლენკო აღნიშნავს, რომ თუ აღმოსავლურ საზოგადოებათა ბუნება, ასე თუ ისე, გამოიკვეთა ბოლო ათწლეულების გამოკვლევათა შედეგად, საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ იქცა დასავლეთი დასავლეთად, ჯერ კიდევ ელის შესწავლას[2]. ალბათ, პავლენკო საბჭოთა და რუს მკვლევართა უკანასკნელი ათწლეულის ნაშრომებს გულისხბობს, თორემ კითხვაზე, თუ რატომ იქცა დასავლეთი დასავლეთად, ძალიან საინტერესო პასუხი აქვს გაცემული მაქს ვებერს[3].

ევროპელი და რუსი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ევროპულმა (დასავლურმა) ცივილიზაციამ განსაკუთრებული როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც არ იცნობს სხვა ცივილიზაციას ესოდენ მასშტაბური, მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი გავლენით. თუ XIX საუკუნემდე, შპენგლერისა და ტოინბის კვალდაკვალ, კიდევ შეიძლება მსოფლიო ისტორიის დანაწევრება ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ

---

[1] Почепцов Г.Г. Теории коммуникации. М.-Киев, 2001, с.600-603.

[2] Павленко Ю.В. Происхождение цивилизаций: Альтернативные пути. – В кн.: Альтернативные пути к цивилизации. Коллект. монография, под ред. Н.Н.Крадина, А.В.Коротаева, Д.М.Бондаренко, В.А.Лынши. М., 2000, с.127.

[3] Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. – Избранные произведения. М., 1990, с. 61-344.

ცივილიზაციათა ისტორიებად, შემდგომში, სწორედ ევროპის მიერ ინიცირებულმა ტრანსფორმაციებმა ერთიანი საკაცობრიო ისტორია თეორიულიდან პრაქტიკულ სფეროში გადაიტანა.

მკვლევართა აზრით, ეს როლი განპირობებული იყო ევროპული ცივილიზაციის უნიკალური შინაგანი თავისებურებებით, რომელთაც განსაზღვრეს მისი სიცოცხლისუნარიანობა და ექსპანსია, სოციალურ-კულტურულ ნიშებში ჩანერგვისა და უცხო კულტურულ გარემოში გადარჩენის უნარი. მეცნიერთა ნაწილი ძირითად თავისებურებად მიიჩნევს ანტიკურ ეპოქაში ჩამოყალიბებულ პოლისის სტრუქტურას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ განსხვავებას. პოლისი ორიენტირებული იყო მოქალაქის კერძო საკუთრებასა და თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტებზე, რაც პრინციპულად უცნობი იყო აღმოსავლეთის ნებისმიერი საზოგადოებისათვის[1]. მას დაეფუძნა ევროპული ფეოდალიზმი ავტონომიური ქალაქ-კომუნებით, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაში დამოუკიდებელ სუბიექტებად გამოდიოდნენ, რაც აგრეთვე უცნობი იყო სხვა ცივილიზაციებისათვის. ჩამოყალიბდა ერთიანი მწკრივი ანტიკური პოლისიდან – შუა საუკუნეების საქალაქო კომუნების გავლით – ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებისაკენ[2].

დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციათა ურთიერთობის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე

XX ს-ის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე დიდი ყურადღება ექცევა ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობის პრობლემათა შესწავლას. ამ საკითხებს სხვადასხვა კუთხით იკვლევს კულტუროლოგია, სოციოლოგია, საისტორიო მეცნიერება. ამ მიმართულებით მიმდინარე კვლევათა და მიღწეული შედეგების პოპულარიზაციაში მაკოორდინირებელ ფუნქციას ასრულებს „კულტურათშორისი კომუნიკაციის კვლევისა და სწავლების საერთაშორისო საზოგადოება“ (SIETAR International), რომელიც ყოველწლიურად მართავს კონფერენციებს, გამოსცემს სპეციალურ ჟურნალს.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის კარლ იასპერსის თეორიის მიხედვით, მსოფლიოს დაყოფას დასავლეთად და აღმოსავლეთად საფუძველი ე.წ. „ღერძულ დროში“ ჩაეყარა, საიდანაც სათავეს იღებს, აგრეთვე ერთიანი, გლობალური მსოფლიო, როგორც იმ დროისათვის შორეული პერსპექტივა. სწორედ მაშინ ყალიბდება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებმაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახე განსაზღვრეს. როგორც წესი, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მახასიათებლები შემდეგ ოპოზიციურ წყვილებად ჯგუფდება: ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი, ინოვაციურობა-ტრადიციულობა, რაციონალობა-ინტუიციურობა, თავისუფლება-წესრიგი, ნება-ფატალიზმი, ანთროპოცენტრიზმი-თეოცენტრიზმი, მატერიალიზმი-სულიერება, პრაგმატიზმი-იდეალიზმი, ობიექტივიზმი-სუბიექტივიზმი, დინამიზმი-სტატიკურობა, ისტორიზმი-აისტორიზმი და სხვ. აღმოსავლეთი და დასავლეთი ურთიერთშეღწევადნი გახდნენ, პირველ რიგში, ხმელთაშუაზღვისპირეთის არეალში, სადაც აღმოცენდა დიდი ცივილიზაციები, მათ შორის ევროპულიც.

რაც შეეხება მახასიათებელთა დაჯგუფებას ოპოზიციურ წყვილებად, თავის დროზე, პ.სოროკინი მიუთითებდა, რომ ასეთი დიქოტომიური სქემების გარდაუვალ ნაკლს წარმოადგენს ერთი ტიპის ფარგლებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სოციალურ-კულტურული წარმონაქმნების თავმოყრა, აგრეთვე დიდ თუ მცირე ერთობათა სპეციფიკის გამოკვეთის სირთულე. ჩვენი აზრით, ეს განსაკუთრებით ითქმის სწორედ მცირე კულტურებზე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ქართული კულტურა და რომელთა

[1] Васильев Л.С. Восток и Запад в истории (Основные параметры проблематики). – В кн.: Альтернативные пути к цивилизации, с.104.

[2] Драгунский Д.В., Цымбурский В.Л. Генотип европейской цивилизации. – В журн.: Политические исследования, М., 1991, № 1, с.7-8.

ტიპოლოგიზება დიქოტომიური სქემების მიხედვით ძნელად ხერხდება, მით უმეტეს, თუ ისინი ცივილიზაციათა კონტაქტის ზონაში მდებარეობენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ძნელია დიქოტომიური სქემის „შენარჩუნება“ ერთი კულტურის/ცივილიზაციის მთელი ისტორიის მანძილზე, ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი დეტერმინანტების შემოტანა[1].

დასავლეთი და აღმოსავლეთი თვითიდენტიფიკაციას ერთმანეთთან მიმართებაში ახდენენ. სწორედ ცივილიზაციათა ურთიერთობის პროცესში გამოიკვეთება თითოეული კულტურის იდენტურობა. ამ პროცესში ხდება ფასეულობათა გადარჩევა — დრომოჭმულის მნიშვნელობის დაკარგვა და დროის შესაბამის ფასეულობათა აქტუალიზაცია[2].

როგორც ამერიკელი მკვლევარი ჯ.სტიდმანი აღნიშნავს, დასავლეთი და აღმოსავლეთი მუდმივად ურთიერთქმედებენ, ითვისებენ ერთმანეთის ფასეულობებს, ამდიდრებენ ერთმანეთს. აღმოსავლეთთან ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაზე[3].

დ.შაიეგანის აზრით, დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდი კულტურების შექმნა წარსულში არსებულ ცივილიზაციათა ნაყოფიერი დიალოგის შედეგი იყო[4].

ა.პირენის სიტყვით, ევროპელთა შეხებამ ისლამთან ეს უკანასკნელი მათთვის „უცხოს“ ჭეშმარიტ განსახიერებად აქცია, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, შემართული იყო მთელი ევროპული ცივილიზაცია. პირენი მიუთითებს მუსლიმური აღმოსავლეთის როლზე ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში: VII საუკუნეში, ისლამის შემოტევის შედეგად, დაიწყო ევროპული კულტურის ცენტრის გადანაცვლება ხმელთაშუაზღვისპირეთიდან (რომელიც არაბულ პროვინციად იქცა) ჩრდილოეთისაკენ. დასრულდა რომაული ტრადიცია და სათავე დაედო თვითმყოფად რომანულ-გერმანულ ცივილიზაციას. ევროპა იქცა დიდ ქრისტიანულ თანამეგობრობად, აღმოსავლეთი კი – მისთვის კულტურული თვალსაზრისით უცხო, „სხვა“ სამყაროდ[5].

ერთი სიტყვით, აღმოსავლეთი იყო ის „სხვა“, რომელიც დაეხმარა დასავლეთს (ევროპას) საკუთარი რაობის განსაზღვრაში. აღმოსავლეთის დახასიათების, მისი განსაზღვრის ფონზე დასავლეთმა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია კრიტიკული თვითრეფლექსია, შეიმუშავა საკუთარი მახასიათებლებიც, განსაზღვრა საკუთარი სახე.

და მაინც, ზემოთ ჩამოთვლილი ოპოზიციური წყვილები, ისევე როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნებისმიერი მახასიათებელი, ძირითადად, ასახავს დასავლელთა წარმოდგენას საკუთარ თავსა და აღმოსავლელებად წოდებულ არადასავლელებზე. ეს დამოკიდებულება სამეცნიერო ლიტერატურაში ორიენტალიზმის სახელითაა ცნობილი. მიჩნეულია, რომ მას საფუძველი 1312 წელს ჩაეყარა, როცა ვენის საეკლესიო კრებამ დაადგინა არაბული, ბერძნული, ძველებრაული და სირიული ენების კათედრათა შექმნა პარიზის, ოქსფორდის, ბოლონიის, ავინიონისა და სალამანკას უნივერსიტეტებში.

XIX ს-ის შუა ხანებისათვის ევროპაში სოლიდური ცოდნა დაგროვდა აღმოსავლეთის შესახებ, მაგრამ იგი, ძირითადად, ძველი პერიოდით შემოიფარგლებოდა. შეისწავლებოდა ძველი წიგნები, ხელნაწერები, მატერიალური კულტურის ძეგლები. შესასწავლ ქვეყანაში ჩასულ ევროპელ მკვლევარს ეჭვი არ ეპარებოდა თავის „წიგნისმიერ“ ცოდნაში, მაგრამ რეალობა საგრძნობლად განსხვავდებოდა წარმოდგენისაგან, ადგილობრივი მკვიდრნი – ლიტერატურული სახეებისაგან. ფაქტს ახსნა ჭირდებოდა და ისიც მოიძებნა: აბორიგენთა გადაგვარება და ოდესღაც დიდებული კულტურის დაკნინება. დასავლეთის ორიენტალისტური

---

[1] Ерасов Б.С. О статусе культурно-цивилизационных исследований. – В сб.: цивилизации и культуры. Вып.1. Россия и Восток: цивилизационные отношения. М., 1994, с.15.

[2] Василенко Н.А. Источники и механизмы согласия в межкультурном диалоге. – В сб.: Цивилизации и культуры. Вып.3. М., 1996, с.406.

[3] Steadman J.M. The Myth of Azia. N.Y., 1969, p.26-27.

[4] Shayegan D. The Challenges of Today and Cultural Identity. – East Asian Ciltural Studies. V-VI, 4, Tokyo, 1977, p.36-37.

[5] ციტ.ნაშრომიდან: Said E.W. Orientalism. L., 1978, p.71.

სკოლების დამსახურებაა ძველი ცივილიზაციების შესწავლა, ევროპის ბიბლიოთეკებში ძველი ხელნაწერების თავმოყრა და მათი კატალოგების გამოცემა, კვლევის მეთოდიკის შემუშავება, აღმოსავლეთის ქვეყნებში საკუთარი წარსულისადმი ინტერესის გაღვივება. ამავე დროს, ორიენტალიზმი, როგორც სამეცნიერო მიმართულება, ასახავს ევროპელთა დამოკიდებულებას აღმოსავლეთის როგორც პასიური „ობიექტისადმი", რომლის მიღწევები შორეულ წარსულში დარჩა. ე.საიდის სიტყვით, ორიენტალიზმი გაცილებით მეტს გვეუბნება თვით დასავლეთზე, ვიდრე აღმოსავლეთზე[1].

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში, ევროპული ცივილიზაციით ინტელექტუალთა ნაწილის იმედგაცრუებამ გააცხოველა ინტერესი აღმოსავლეთის, როგორც მდიდარი კულტურის მხარის მიმართ, რომლისგანაც დასავლეთს ბევრი რამ უნდა ესწავლა, თუ სურდა თავი დაეღწია მომაკვდინებელი მექანიციზმისა და მატერიალიზმისათვის; აქაც ინტერესის საგნად გვევლინებოდა არა აღმოსავლეთი თავისთავად, არამედ დასავლეთისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობა.

ორიენტალიზმი განასახიერებდა აღმოსავლეთისადმი ევროპელთა აქტიურ დამოკიდებულებას. ე.საიდის სიტყვით, ორიენტალიზმმა „შექმნა" ისეთი აღმოსავლეთი, რომელიც მთლიანად განსხვავდებოდა დასავლეთისაგან და ხასიათდებოდა მყარი ნიშნებით — რელიგიურით, ენობრივით, კულტურულით. უზოგადესი განსაზღვრებით, აღმოსავლეთი — ეს იყო აღმოსავლელი ადამიანის სახლი, სადაც ის ცხოვრობდა აღმოსავლურ კომფორტში, აღმოსავლური დესპოტიზმის პირობებში, აღმოსავლური ფატალიზმის გრძნობით[2].

კოლონიალიზმის ეპოქის დასასრულთან ერთად, დასავლეთი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, წააწყდა რა პოლიტიკურად გააქტიურებული და მებრძოლი აღმოსავლეთის გამოწვევას.

დასავლურ ორიენტალიზმზე რეაქციის სახით გვევლინება არადასავლელ ხალხთა მცდელობა, გაიაზრონ საკუთარი კულტურის ორიგინალურობა, ხაზი გაუსვან სოციალური და კულტურული არსებობის საკუთარი წესის არა მხოლოდ თანასწორობას, არამედ უპირატესობას ევროპულთან შედარებით. ათწლეულების მანძილზე ყალიბდება მეტ-ნაკლები მეცნიერული ღირებულების მქონე არაერთი კონცეფცია, მაგალითად, ლეოპოლდ სენგორის სახელთან დაკავშირებული ნეგრიტიუდი – მოძღვრება ნეგრო-აფრიკული ცივილიზაციის თვითმყოფადობის შესახებ, რომლის სულიერებასთან, გრძნობადობასთან, უშუალობასთან ორგანული კავშირის გარეშე დასავლეთის მექანიკური ცხოვრების წესს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრება. განვითარების საკუთარი გზის დასაბუთებას, პროგრესის დასავლური მოდელის ალტერნატივის შექმნას ცდილობენ ლათინოამერიკელი მკვლევრები, განსაკუთრებით, „გათავისუფლების ფილოსოფიის" მიმართულების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ მიზნად აცხადებენ კონტინენტის ევროპოცენტრისტული ისტორიის დაძლევას. ისინი აღნიშნავენ, რომ XV საუკუნიდან თანდათან დამკვიდრდა ევროპული ცივილიზაციის უნივერსალურობის იდეა, რომელიც დღეს კულტურული იმპერიალიზმის სახით ვლინდება. ამას მოსდევს ლათინური ამერიკის ქვეყნების ყოველდღიური ცხოვრების ამერიკანიზაცია. მზარდი ერთგვაროვნების ლოგიკას „გათავისუფლების ფილოსოფია" უპირისპირებს უნივერსალიზმის ახალ მოდელს, რომელიც კულტურათა მრავალფეროვნების იდეას ემყარება[3].

ზემოთ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორ იქცა კულტურის ფენომენი მეცნიერული და პოლიტიკური დაპირისპირების ობიექტად. დასავლეთში განათლებამიღებულმა და, ხშირ შემთხვევაში, იქ მომუშავე აღმოსავლელმა მკვლევრებმა ლაპარაკი დაიწყეს დასავლური ორიენტალიზმის კრიზისსა და მისი პრინციპების გადასინჯვის

---

[1] Said E. Orientalizm, p.118.

[2] Said E. Orientalizm, p.104.

[3] Петякшева Н.И. Трактовка феномена конкисты в латиноамериканской «философии освобождения». – В сб.: Iberica Americans. Культуры Нового и Старого Света XVI-XVIII вв. в их взаимодействии. СПб., 1991, с.49-54; Деменчонок Э.В. Историко-культурная драма прошлого и проблема «Латинская Америка-Запад» в современной латиноамериканской философии. – Там же, с.54-59.

აუცილებლობაზე[1]. ე.საიდმა საჭიროდ მიიჩნია ისტორიული აზროვნების – ორიენტალიზმის ფილოსოფიურ-ისტორიული საფუძვლის – ბინარული ოპოზიციებიდან („ვოლუნტარიზმი — დეტერმინიზმი“, „დასავლური საზოგადოება – აზიური საზოგადოება“ და ა.შ.) პოლიმორფული ობიექტებისა და განვითარების ნაირგვარი ვარიანტების მრავალგანზომილებიან ანალიზზე გადასვლა, ევროპოცენტრისტული უნივერსალიზმის შეცვლა მრავალგანზომილებიანი მიდგომით, ევროპული ისტორიზმის შესატყვისად დალაგებული მასალის „დაშლა“ და ხელახალი დალაგება[2]. ა.აბდელ-მალეკი კი აღნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ზეწოლამ და სოციალურ მეცნიერებებში მომხდარმა ძვრებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ორიენტალიზმის გარდაქმნაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად[3].

ტრადიციული ორიენტალიზმის კრიტიკოსებს მომხრეები თვით დასავლელთა შორისაც გამოუჩნდნენ (ჯ.სტიდმანი, ჯ.გუდი და სხვ.).

XX ს-ის ბოლო მეოთხედში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ტენდენცია: ერთი მხრივ, კულტურის გლობალიზაციის პერსპექტივა, მეორე მხრივ, არადასავლური სამყაროს გააქტიურება და მსოფლიოს ე.წ. „ფრაგმენტაცია“. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად იქცა გლობალიზაციისა და პარტიკულარიზმის ტენდენციათა ურთიერთქმედება, რიგ შემთხვევებში კი — დაპირისპირება[4]. ბიპოლარული მსოფლიოს დემონტაჟმა, რაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლასა და და „ცივი ომის“ დასრულებას, დღის წესრიგში დააყენა ახალი მსოფლიოს სახის საკითხი, კერძოდ, მისი ერთი თუ მრავალპოლუსიანობის პერსპექტივა. ეს პრობლემა, პოლიტიკურთან ერთად, კულტურის სფეროსაც მოიცავს.

დასავლელი მეცნიერები სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ მსოფლიოს არადასავლური ცენტრების ჩამოყალიბების, ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხის, კონფუციური სამყაროს ექსპანსიის შესახებ. დასავლური სამყაროს კულტურულ-ცივილიზაციური ოპონენტის როლში აქტიურად გამოდის ყოფილი „მესამე სამყარო“[5], რომლის სივრცეზე მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს. იგი რამდენიმე სტრუქტურულ ზონად დაიშალა, ჩამოუყალიბდა საკუთარი ჩრდილოეთი და სამხრეთი.

„ვინ იცის, იქნებ XXI საუკუნეში ორიენტალიზაციის პროცესმა, როგორც გაბატონებულმა ტენდენციამ, შეცვალოს მოდერნიზაციის პროცესი? წყნარი ოკეანის აუზში ფორმირებადი სამყარო პრეტენზიას აცხადებს ალტერნატიული ცივილიზაციური ცენტრის როლის შესრულებაზე ახალ, პოსტმოდერნულ მსოფლიოში“, — კითხულობს ა.ნეკლესა[6].

„წყნარი ოკეანის აუზში ფორმირებადი სამყაროს“ მზარდ პერსპექტივას შეეხო ს.ჰანთინგტონიც თავის ცნობილ ნაშრომში. მან აღნიშნა დასავლური ცივილიზაციის როლის გაორება არადასავლურ ცივილიზაციებთან მიმართებაში: ერთის მხრივ, დასავლეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მწვერვალზეა და, შესაბამისად, წარმატებით ახერხებს საკუთარ კულტურულ ფასეულობათა გავრცელება-დანერგვას დანარჩენ მსოფლიოში; მეორე მხრივ კი, იგი სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას აწყდება არადასავლური ცივილიზაციების მხრივ, რომლებშიც აშკარად შეიმჩნევა „საკუთარი კულტურული ფესვებისაკენ მიბრუნების“ პროცესი[7]. ერთნი ცდილობენ მოდერნიზაციას ვესტერნიზაციის გარეშე, მეორენი ვერ ახერხებენ ამ უკანასკნელის თავიდან აცილებას, მესამენი კი კონფრონტაციულ გზას ირჩევენ.

---

[1] იხ.: Abdel-Malek A. Orientalism in Crisis. – Abdel-Malek A. Civilizations and Social Theory. Albany, 1981, p.73-96; Said E. Orientalism. L., 1978 და სხვ.

[2] Said E. Orientalism. L., 1978, p.127-128.

[3] Abdel-Malek A., დასახ. ნაშრ., გვ.88.

[4] Празаускас А.А. Этнонационализм, многонациональное государство и процессы глобализации. – В журн.: Политические исследования. М., 1997, № 2, с.42.

[5] ტერმინი “მესამე სამყარო” 1952 წ. დაამკვიდრა ფრანგმა მკვლევარმა ალფრედ სოვიმ “მესამე წოდების” ანალოგიით – იმ წოდებისა, რომელმაც თავის დროზე დაამხო არსებული მსოფლწესრიგი. სოვის აზრით, იგნორირებულ “მესამე სამყაროს” მომავალში შეეძლო სულ სხვა ადგილის დამკვიდრება მსოფლიოში.

[6] Неклесса А. Конец цивилизации..., с.78.

[7] ჰანთინგტონი ს. ცივილიზაციათა შეჯახება? გვ. 10-11.

XX საუკუნის მანძილზე იყო მცდელობები — შეეერთებინათ „დასავლური ტექნიკა და აღმოსავლური მორალი“, „მუშაობა და ლოცვა“, მეცნიერება და ადამიანური ფასეულობანი, რაციონალიზმი და ჰუმანიზმი. მწვავე პრობლემამ – შესაძლებელია თუ არა სხვა ცივილიზაციამ აითვისოს დასავლური ტექნოლოგია და მოახერხოს მისი ტრანსფორმირება საკუთარ ღირებულებათა შესაბამისად – ცნობილ ამერიკელ მკვლევარ მ.მელკოსთან შემდეგი ინტერპრეტაცია შეიძინა: „თუ ჩინეთმა შესძლო ინდური ბუდიზმის ტრანსფორმირება ისე, რომ იგი უფრო დაოსიზმს დაემსგავსა, რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნეში იგი მოახერხებს დასავლური ტექნოლოგიებისა და პოლიტიკური იდეების ტრანსფორმირებას ისე, რომ ისინი ჩინურ კულტურას შეესატყვისებოდნენ?“[1]

მკვლევართა ნაწილი საუბრობს „ეკლექტიკური მსოფლიოს“ ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც მოიცავს დასავლურ და არადასავლურ ცივილიზაციებს და რომლის დასახასიათებლად ხშირად მიმართავენ „მსხვილად დაჭრილი სალათის“ ან „ნაკუწებისაგან შეკერილი საბნის“ მეტაფორას. ეს მეტაფორები ჩაენაცვლა „სადნობი ღუმელის“ სახელით ცნობილ თეორიულ წინამორბედს, რომლითაც აღინიშნებოდა ამერიკული კულტურის ხასიათი, ჩამოყალიბებული სხვადასხვა კულტურული ტრადიციის გადამუშავებისა და ურთიერთშერწყმის შედეგად. ახალი სახელით მონათლული ფენომენი კი გულისხმობს არა მთლიან, ერთიან კულტურას, არამედ ეთნიკურ კულტურულ ელემენტთა ნარევს. „ეკლექტიკური მსოფლიოს“ ლიდერად ჯერ კიდევ რჩება დასავლეთი, მაგრამ აზიურ-წყნაროკეანური რეგიონი ზუსტად რეაგირებს ცივილიზაცია-ლიდერის ნებისმიერ წარუმატებლობაზე და ცდილობს მის გამოყენებას თავის სასარგებლოდ. სწორედ იგი შეიძლება მოგვევლინოს ლიბერალური დასავლეთის პრინციპების მთავარ მეტოქედ[2].

მეორე ნაწილი არ იზიარებს ამგვარ ხედვას. მაგალითად, ა.დირლიკი მიიჩნევს, რომ აზიურ-წყნაროკეანური რეგიონი წარმოადგენს გეოეკონომიკურ სისტემას, რომლის სათავეებთან იდგნენ აღმოსავლეთ აზიაში შეჭრილი ევროპელები და ამერიკელები. მისივე აზრით, დღეს ამ სისტემის ფარგლებში მიმდინარე პროცესები დაკავშირებულია უკვე აღმოსავლეთ აზიელების მიერ ინიციატივის ხელში აღებასთან, რასაც მოსდევს „კვაზიკონფუციური მენეჯერული კაპიტალიზმის“ მიერ აშშ და კანადაში საკუთარი ნიშების შექმნა. ამის შედეგად ცივილიზაცია-ლიდერი კარგავს საკუთარი სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვან რგოლებზე კონტროლს, რომელიც დასავლეთის სამყაროში ჩართულ უცხო კულტურულ ერთობათა წარმომადგენლების ხელში გადადის[3].

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: თუ XIX საუკუნესა და XX ს-ის პირველ ნახევარში არადასავლური წარმომავლობის იმიგრანტები, ხვდებოდნენ რა დასავლური კულტურის „სადნობ ღუმელში“, იღებდნენ და ითვისებდნენ სამოქალაქო საზოგადოების კულტურას, ახლა ისინი არც ცდილობენ ჩამოყალიბებულ სოციალურ გარემოში ადაპტირებას, არამედ ქმნიან დიასპორებს, ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებულ, მეტ-ნაკლებად დახშულ ლოკალურ ერთობებს, რომლებიც ცხოვრობენ პირველ რიგში საკუთარი და მხოლოდ შემდეგ — მასპინძელი ქვეყნის ნორმების შესაბამისად. ამასთან, ისინი, როგორც წესი, იღებენ დასავლეთის ქვეშევრდომობას და გარდაქმნიან (ცვლიან) დასავლეთის ქვეყნების სოციალურ გარემოს[4].

ჩინეთისა და, საერთოდ, აღმოსავლეთ აზიის გარდა, დასავლეთის ცივილიზაციურ ოპონენტად ხშირად განიხილავენ მუსლიმურ სამყაროს. ხშირად საუბრობენ ბიპოლარიზმის ახალი ფორმის – დასავლეთისა და ისლამის სამყაროს დაპირისპირების შესახებ. დასავლეთის გამოწვევის პასუხად მუსლიმური სამყაროს გამოცოცხლების ერთ-ერთ ფორმად გვევლინება

---

[1] Melko M. World Systems Theory: Faustian Delusion. – Comparative Civilizations Review, 1994, 30, p.11-12.

[2] Цымбурский В. Сколько цивилизаций? (С Ламанским, Шпенглером и Тойнби над глобусом XX1 века. – В журн.: т.5, № 3 (Россия и ее южные соседи). М.., 2001, с.186.

[3] Цымбурский В. Сколько цивилизаций? ..., с.186.

[4] Иноземцев В.Л., Кузнецова Е.С. Глобальный конфликт XXI в. Размышления об истоках и перспективах межцивилизационных противоречий. – В журн.: Политические исследования. М., 2001, № 6, с.137.

ისლამისტების გააქტიურება, რომლებიც ძალაუფლების ხელში აღების გზით ფიქრობენ დასავლური ფასეულობებით „მოწამლული“ საზოგადოების რეისლამიზაციას, ამავე დროს, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენებას და თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ჩასმას ისლამის კონცეპტუალურ ჩარჩოებში. მათი დამოკიდებულება დასავლეთისადმი სამ ძირითად პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1. ნოსტალგია (სწორედ ისლამმა შეიტანა დასავლეთში ცივილიზაცია); 2. დასავლეთის ღირებულებათა მანკიერებისა და „ორმაგი სტანდარტების“ მხილება (ზნეობრივი პრინციპების დაცვას იგი მხოლოდ სხვებისაგან მოითხოვს); 3. ისლამის აპოლოგია[1].

გლობალიზაციის პროცესი დაკავშირებულია დასავლური ცხოვრების წესის, მასკულტურისა და აზროვნების ტიპის ექსპანსიასთან. კულტურის გლობალიზაცია ვესტერნიზაციის, განვითარებულ ქვეყნებში კი – ამერიკანიზაციის ფორმას იღებს, რასაც სათანადო რეაქცია მოჰყვება ნაციონალიზმის სხვადასხვა ფორმის გაძლიერების სახით. ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურები წარმოადგენენ ადამიანის ყოფის, ღირებულებათა და ნორმათა იერარქიის, თვითშეგნების საფუძველს. ადამიანს აშინებს კულტურული ფესვების დაკარგვისა და, აქედან გამომდინარე, ანომიის ანუ ფსიქოლოგიური დეზორიენტაციის საფრთხე. ხშირად ეს ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ფუნდამენტალიზმისათვის. ვესტერნიზაციის პროცესს თან სდევს ეთნიკური მითების, მოგონებებისა და ტრადიციების გამოცოცხლება. მათ პირისპირ კი, დგას გლობალური, კოსმოპოლიტური კულტურა, რომელიც, კონკრეტულ ისტორიულ იდენტურობასთან დაკავშირებული ეთნიკური კულტურისაგან განსხვავებით, მოკლებულია „მეხსიერებას“.

ვფიქრობთ, გლობალიზაციის თანამედროვე ინტერპრეტაციებში გადაჭარბებით ფასდება ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელობა. მაგრამ ნათელია, რომ შორეულ პერსპექტივაშიც კი მსოფლიოს მრავალფეროვნება არ წაიშლება. როგორც ი.კრასინი აღნიშნავს, „მსოფლიო მუდამ მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ყოველთვის ითვლებოდა, რომ შეიძლება მისი გაერთმნიშვნელიანება. იქმნებოდა ნაირნაირი სქემები, და თუმცა ბევრი რეალობა მათში არ „ჯდებოდა“, იგულისხმებოდა, რომ ინტეგრაციისა და კონვერგენციის შედეგად მსოფლიო ჰომოგენური გახდებოდა, და ეს დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში მოხდებოდა“[2].

მაგრამ სურათი გაცილებით რთულია. ცხადია, მისწრაფება დასავლური ნიმუშებისა და სტანდარტებისაკენ დღესაც დიდია და მას ზურგს უმაგრებს დასავლეთის ტექნოლოგიური უპირატესობა. ჩვენს თვალწინ გარეგნული იერი იცვალა მრავალმა არატრადიციულმა საზოგადოებამ, თუმცა მათ არ უღალატიათ თავიანთი ძირეული პრინციპებისათვის, რომლებიც შეუთავსებელია დასავლურ ინდივიდუალიზმთან. აფრიკულ ტომთა ბელადები პრეზიდენტებად იქცნენ, ინდონეზიაში გაჩნდა პარლამენტი, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში დეკლარირებულია ხელისუფლების დაყოფის პრინციპი. მკვლევართა ნაწილი ამას უბრალო მიმკრიად მიიჩნევს და მისი ახსნისათვის შემდეგ მარტივ მიზეზს გვთავაზობს: დასავლური კრედიტებისა და ინვესტიციების მოპოვების უმთავრეს პირობას წარმოადგენს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოებისაკენ სვლის ფორმალური ნიშნების არსებობა. ტრადიციულ საზოგადოებათა ლიდერები დასავლური პრინციპების შესაბამისად იქცევიან მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, საშინაო საკითხების გადაწყვეტისას კი ტრადიციულ სტერეოტიპებს ემყარებიან[3].

ერთი სიტყვით, საუბარია გლობალური (დასავლურ თარგზე აჭრილი) კულტურის მხოლოდ ფორმების კოპირებაზე, რაც შედარებით იოლად ხდება. მაგრამ ამ ფორმების საფუძვლები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა. დღეს დასავლური მოდა, მოხმარების საგნები, გართობის

---

[1] სანიკიძე გ. ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი – ცნებათა განმარტებისათვის. – საგ.საქ.სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი, 7 (16), თბ., 1999, გვ.42-43.

[2] Актуальные вопросы глобализации (Круглый стол «МЭ и МО»). – В журн.: Мировая экономика и международные отношения, М., 1999, № 5, с.42.

[3] Иноземцев В.Л., Кузнецова Е.С. Глобальный конфликт XXI в., с.135.

ინდუსტრია ფართოდაა გავრცელებული იქაც, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ხსენებაც კი არ არის.

აფრიკული წარმოშობის მკვლევარმა ა.ა.მაზრუიმ ყურადღება მიაქცია დასავლური კულტურის მიმზიდველობისა და მისადმი აგრესიული განწყობის ურთიერთდაშრევებას დასავლეთთან არადასვლური სამყაროს ურთიერთობის პროცესში: „მოსული (დასავლური – ნ.ჩ.) კულტურა იწვევს ერთდროულად აღფრთოვანებასა და ზიზღს, მიბაძვის სურვილსა და პროტესტის გრძნობას“[1]. სულ უფრო აშკარად იკვეთება არადასავლურ ცივილიზაციათა მისწრაფება საკუთარი სახის, საკუთარი ფასეულობების დამკვიდრებისაკენ. „ჩვენ ვცხოვრობთ არა მხოლოდ მთლიან სამყაროში, არამედ „სამყაროების სამყაროში“[2], სადაც მიმდინარეობს პასუხის ძიება გლობალიზაციის გამოწვევაზე.

ირანელი მეცნიერის, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორ დ.შაიეგანის აზრით, ეს გამოწვევა პრინციპულად განსხვავდება წარსულში კულტურათა ურთიერთქმედებისაგან, რადგან საქმე ეხება სოციალური და ინდივიდუალური ყოფის ორგანიზაციის ამოსავალ პრინციპთა ტოტალურ შეუთავსებლობას. დასავლეთისათვის ესაა ისტორიული ევოლუციის, გრძნობადი და ზეგრძნობადი სამყაროსგან განცალკევებული სულის, ნების პრიმატისა და რაოდენობრივ მახასიათებლებზე სამყაროს დაყვანის პრინციპები. იქ დამკვიდრებული სამყაროს სეკულარიზაცია ნიშნავს მის დესპირიტუალიზაციას, ბუნების უკიდურეს ობიექტივაციას, საიდანაც გამომდინარეობს სციენტიზმი და ტექნიციზმი. ძირეულად განსხვავებულია აღმოსავლურ ცივილიზაციათა პრინციპები. ისტორია აქ წმინდათაწმინდაა და უშუალოდ უკავშირდება ესქატოლოგიას. ადამიანური ინსტინქტები და ვნებანი არ მიიჩნევა ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად, — როგორც ისლამში, ისე ინდუიზმში მათ დაქვემდებარებული ადგილი მიეჩინებათ, ან კიდევ ისინი აღიქმება მძიმე ტვირთად, რომლისგანაც გათავისუფლებაა საჭირო.

დ.შაიეგანი თვლის, რომ დასავლური ცივილიზაციის, როგორც უნივერსალურის, დამკვიდრება ან ანგრევს სხვა კულტურათა ეთიკურ და ესთეტიკურ ფასეულობებს, ან დაყავს ისინი „ადგილობრივ კოლორიტამდე“. კულტურათა სინთეზი უცხო ღირებულებათა ზეწოლის პირობებში შეუძლებელია, რადგან მოტანილი ფასეულობები დიამეტრულად საწინააღმდეგოა ადგილობრივისა. ეს მოასწავებს დაგროვილ მემკვიდრეობაზე უარის თქმას, დამოუკიდებელ აზროვნებაზე, ქცევასა და ქმედებაზე ხელის აღებას, საბოლოოდ კი – უარის თქმას საკუთარ თავზე. „თუ აღმოსავლურ სამყაროს არა აქვს სხვა არჩევანი, გარდა „აშკარა გამოწვევის“, „გარდუვალი ბედისწერის“ მიღებისა, რაც დასავლეთთან შეგუება-მორგებაში გამოიხატება, მაშინ ეს იქნება აღმოსავლური ცივილიზაციების ტრაგიკული აღსასრული. ესაა ყოფიერების ორი ტიპის მკაცრი შეტაკება, რომელთა შორის კომპრომისი შეუძლებელია“, – ასკვნის მკვლევარი[3].

„თანამედროვე მუსლიმს არ შეუძლია, არ აწარმოოს მუდმივი ჯიხადი (წმინდა ომი) არა მხოლოდ საკუთარ თავთან, რათა შეინარჩუნოს საღი გონება და სულიერი სიჯანსაღე, არამედ თავის გარემომცველ სამყაროსთანაც, რათა დაიცვას წინაპართა დიდებული სულიერი და მხატვრული მემკვიდრეობა და გადასცეს იგი მომავალ თაობას“, — წერს ს.ნასრი[4].

ნიშანდობლივია საუდის არაბეთის პრინცის განცხადებაც, რომელიც ს.ჰანთინგტონს მოჰყავს: „უცხოური იმპორტი მშვენიერია ლამაზი ნივთების ან მაღალტექნიკური საგნების სახით. მაგრამ სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების იმპორტი შეიძლება

---

[1] Mazrui A. World Federation of Cultures: an African Perspective. N.Y., 1976, p.457.
[2] Актуальные вопросы глобализации, с.42.
[3] Shayegan D. The Challenges of Today and Cultural Identity. – East Asian Cultural Studies. Tokyo, 1977, 4, p.35-36.
[4] Наср С.Х. О столкновении принципов западной и исламской цивилизаций. –В кн.: Сравнительное изучение цивилизаций. Под ред. Б.С.Ерасова, с.481-482.

მომაკვდინებელი აღმოჩნდეს... ისლამი ჩვენთვის მხოლოდ რელიგია კი არა, ცხოვრების წესია. ჩვენ, საუდელებს, გვსურს მოდერნიზება, მაგრამ არ ვსაჭიროებთ ვესტერნიზებას“[1].

დასავლურ სამყაროსთან მუსლიმური აღმოსავლეთის ურთიერთობის შედეგებისა და პერსპექტივების შეფასებაში გაცილებით ნაკლებრადიკალურია ირანელი ლიტერატურათმცოდნე, დოქტორი აბდულჰუსეინ ზარინკუბი, რომელმაც 1974 წელს გამოაქვეყნა წიგნი ფრიად ნიშანდობლივი სათაურით: „არც დასავლური, არც აღმოსავლური — ადამიანური“. მიუხედავად დასავლეთისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებისა, იგი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ირანული კულტურის დაკონსერვება, მისი შენარჩუნება ძველი ტრადიციების ფარგლებში. იგი უნდა ვითარდებოდეს, ითვისებდეს ახალს — აუცილებელსა და სასარგებლოს. პრობლემას ქმნის არა დასავლურის ათვისება — ეს ისტორიული აუცილებლობაა, რადგან კაპიტალისტურ ეკონომიკასთან ერთად ხალხის ცხოვრებაში იჭრება გარკვეული კულტურული ფასეულობანი, — არამედ დასავლეთის წინაშე ქედის მოხრა, ცხოვრების უცხო ნორმების თავსმოხვევა. სად არის გამოსავალი? მეცნიერის აზრით, გადამწყვეტ როლს შეასრულებს ირანული კულტურის ისტორიული გამოცდილება, რომელმაც შესაძლებელი გახადა ენის, ლიტერატურისა და კულტურის შენარჩუნება სხვადასხვა სახის ზეწოლის პირობებში. უნდა ვიამაყოთ იმით — დასძენს მკვლევარი — რომ ირანული კულტურა არც აღმოსავლურია, არც დასავლური, იგი ადამიანურია[2].

ცხადია, დასკვნა, ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ საკითხის დასმა საინტერესოა: სხვა ირანელი მკვლევრები, მათ შორის, ზემოთ ნახსენები დ.შაიეგანი ირანული კულტურის აღმოსავლურობას ეჭვქვეშ არ აყენებენ. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ცნობილი ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი ისლამი ნოდუშენი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც მუდამ ზემოქმედებდა ირანის ისტორიაზე, არის მისი მდებარეობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. გეოგრაფიამ განსაზღვრა ჩვენთვის ერთადერთი გზა — წონასწორობის შენარჩუნება, ანუ საკუთარ საფუძველზე მყარად დგომის უნარი, ასკვნის იგი[3].

ვფიქრობთ, განხილული პოზიციები საინტერესოა ჩვენთვისაც: როგორც დავინახეთ, ირანელები ხაზს უსვამენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის თავიანთ ყოფნას (ჩვენი თვალსაწიერიდან, ირანული კულტურა ცალსახად აღმოსავლურია), ჩვენი მკვლევრების ნაწილი კი დაჟინებით ცდილობს ქართული კულტურის ან მხოლოდ დასავლური, ან მხოლოდ აღმოსავლური მახასიათებლების მოძიებას.

არადასავლელ მკვლევართათვის, ცხადია, მიუღებელია მტკიცება, რომ თუ არა კოლონიური ექსპანსია, აღმოსავლეთის ყველა ქვეყანა, იაპონიის ჩათვლით, დღეს თითქმის XV საუკუნის დონეზე იქნებოდა. ყველაფერი ახალი და თანამედროვე აღმოსავლეთში დასავლეთიდან მოვიდა, ვესტერნიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესის შედეგად, და აღმოსავლეთი ყოველივე (ან თითქმის ყოველივე) ამით მშვენივრად სარგებლობს. ამ თვალსაზრისით, სწორედ კოლონიალიზმმა დააახლოვა აღმოსავლეთი დასავლეთთან[4].

საპირისპიროდ, აღმოსავლელი მკვლევრები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ ღირებულებანი და მიღწევები, რომლებითაც ასე ამაყობს თანამედროვე დასავლეთი, არც აღმოსავლური, მათ შორის, მუსლიმური საზოგადოებებისათვისაა უცხო, ზოგ შემთხვევაში კი ეს უკანასკნელნი წინაც უსწრებენ დასავლელებს. მაგალითად, ა.ა.მაზრუი აღნიშნავს, რომ თუმცა ქალთა მდგომარეობა მუსლიმურ ქვეყნებში დასავლეთის მძაფრი კრიტიკის საგანია, მაგრამ, დასავლეთისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნებში ქალს ყოველთვის გააჩნდა ქმრისგან

---

[1] ჰანთინგტონი ს. დასავლეთი – უნიკალური, არა უნივერსალური. – კრებ.: კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, X, თბ., თსუ გამომც., 2001, გვ.185.

[2] Китаянов Д.С. Иран и Запад: история и современный диалог. – В кн.: Восток-Запад: Притяжение, отталкивание. М., 1998, с.32-33. აქვე აღვნიშნავთ, რომ ირანის ისლამური რევოლუციის იდეოლოგები ამ ლოზუნგს დაესესხნენ ზარინკუბს და იგი შემდეგნაირად გადააკეთეს: არც აღმოსავლური, არც დასავლური — ისლამური.

[3] იქვე, გვ.9.

[4] Васильев Л.С. დასახ. ნაშრ., გვ.107.

დამოუკიდებელი საკუთრების უფლება, რაც, ვთქვათ, ბრიტანელმა ქალებმა მხოლოდ 1870 წელს მიიღეს. მუსლიმური სამართალი ასევე თანაბრად ცნობდა როგორც ვაჟების, ისე ქალიშვილების მემკვიდრეობით უფლებებს, ბევრ დასავლურ ქვეყანაში კი ცოტა ხნის წინ ქალებს ასეთი უფლება არ ჰქონდათ. დიდ ბრიტანეთში ქალებმა საარჩევნო უფლება 1928 წელს მიიღეს, აშშ-ში – 1920 წელს, საფრანგეთში – 1971 წელს; ამ დროისათვის ბევრ მუსლიმურ ქვეყანაში (ირანი, ერაყი, პაკისტანი და სხვ.) ქალები არჩევნებში მონაწილეობდნენ. უფრო მეტიც – პაკისტანში, ბანგლადეშში, თურქეთში ქალები იკავებენ პრემიერ-მინისტრის პოსტებს, აშშ-ს კი არასდროს ჰყოლია ქალი-პრეზიდენტიო, დასძენს ა.ა.მაზრუი.

მისი აზრით, კულტურები/ცივილიზაციები უნდა ფასდებოდეს არა მხოლოდ უმაღლეს მიღწევათა მიხედვით, არამედ მანკიერებათა და შეუბრალებლობის ხარისხით, რომლისთვისაც ისინი სწირავენ საკუთარ თუ სხვა ხალხებს. ამ თვალსაზრისით, ისლამს უფრო ძლიერი იმუნიტეტი აქვს ნაციონალიზმის, კომუნიზმის, რასიზმის, გენოციდის წინააღმდეგ. თუ მუსლიმურ სამყაროში დასავლურზე ძლიერია პოლიტიკური ძალმომრეობა, დასავლეთში გაცილებით მასშტაბურია ქუჩის ძალადობა. დასავლური ლიბერალური დემოკრატია უზრუნველყოფს ეკონომიკის მაღალმწარმოებლურობას, მოსახლეობის ფართო მონაწილეობას მართვაში, მაგრამ დასავლურმა პლურალიზმმა წარმოშვა რასიზმი, ფაშიზმი, გენოციდი. დასავლეთმა მეტს მიაღწია ყოველივე საუკეთესოს რეალიზაციაში, რაც ადამიანის ბუნებაშია, აღმოსავლეთმა – ადამიანის ბუნების ყველაზე ცუდი მხარეების შეზღუდვაში. ზოგიერთი ადამიანური კრიტერიუმით (სტაბილური ოჯახი, სოციალური ძალმომრეობისაგან დაცვა და სხვ.), მუსლიმური სამყარო წინ უსწრებს დასავლეთს. ყოველივე ამის გამო, ა.ა.მაზრუის დასკვნით, კაცობრიობამ უნდა გამოიყენოს არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის, კერძოდ, მუსლიმური სამყაროს გამოცდილებაც[1].

აქვე დავძენთ, რომ ამ და ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც თავად საკითხის ამგვარი დაყენება უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც „პასუხი“ დასავლეთის „გამოწვევაზე“, ვიდრე მოტანილი მაგალითების რეალობასთან შესაბამისობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია დასავლეთისა და არადასავლური სამყაროს ურთიერთობაში. ერთის მხრივ, დასავლური ღირებულებები, მასობრივი კულტურის სახით, ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამ მოვლენას „კოკა-კოლონიზაციისა“ და „ჰამბურგერიზაციის“ ეფექტის სახელით იხსენიებენ. საქმე უფრო შორსაც მიდის. როგორც ე.საიდი აღნიშნავს, თანამედროვე არაბული სამყარო აშშ-ს პოლიტიკურ და კულტურულ სატელიტად გვევლინება. მიმდინარეობს გემოვნების ფართომასშტაბიანი სტანდარტიზაცია, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ტრანზისტორებით, ჯინსებითა და კოკა-კოლით, არამედ აღმოსავლეთის კულტურული სახეებით, რომელთაც ფართოდ ავრცელებს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და რომლებიც უკრიტიკოდ მოიხმარება მასობრივი აუდიტორიის მიერ. ამის პარადოქსული შედეგი ისაა, რომ არაბი საკუთარ თავს ჰოლივუდის მიერ შემოთავაზებული სახით აღიქვამს[2]. აზიელი სტუდენტები (და პროფესორები) კვლავ ამჯობინებენ, მოიკალათონ ამერიკელ ორიენტალისტთა ფერხთით, შემდეგ კი ადგილობრივ მსმენელებს გაუმეორონ კლიშეებით გაჯერებული ორიენტალისტური დოგმები[3].

მეორე მხრივ, XX ს-ის 50-იანი წლებიდან სათავეს იღებს აღმოსავლურ კულტურებთან დასავლეთის ურთიერთობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მოვლენა. თუ აქამდე დასავლეთი თავის მსოფლაღქმას ამდიდრებდა აღმოსავლურიდან ნასესხები ესთეტიკური თუ დეკორატიული ელემენტებით, ამ დროიდან ევროპულენოვანი აღმოსავლელი მწერლების მასობრივი შემოჭრის შედეგად „შეიქმნა სრულიად ახალი ტიპის ლიტერატურა – ორბუნებოვანი, ორცნობიერებიანი, ორგანზომილებიანი... მივიღეთ აღმოსავლური

[1] Mazrui A.A. Islamic and Western Value. – Foreign Affairs, N.Y., 1997, vol.76, 5, p.118-132.
[2] Said E.W. Orientalism. L., 1978, p.322.
[3] იქვე, გვ.323-324.

წარმოშობის ევროპული მწერლობა, რომლის ფილოსოფიურ-მხატვრულმა კონცეფციამ სრულიად გადაასხვაფერა მსოფლიოს მთლიანი ლიტერატურული პროცესები“[1]. მეცნიერები მიუთითებენ ახალი ტიპის მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბებაზე, რომელიც აღნიშნულია „მეტისურობის“, თანამედროვე დასავლეთში აღმოსავლეთის ყოფნის ნიშნით[2]. მაგალითად, ინგლისურ ლიტერატურულ პრემიებს ხშირად იღებენ ინგლისურენოვანი უცხოელი მწერლები, ფრანგულ ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად გვხვდება არაბული წარმოშობის ავტორები. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთის მიერ ევროპული ლიტერატურული სივრცეების დაპყრობის ტენდენცია ზოგადად მთელი თანამედროვე ევროპული ლიტერატურის მკვეთრი მახასიათებელია. სულ რაღაც ერთი საუკუნის წინ კი განსხვავება აღმოსავლურ და დასავლურ აზროვნებას შორის იმდენად დიდი იყო, რომ პირველი ჩინელი და იაპონელი მთარგმნელები კი არ თარგმნიდნენ, თითქმის თავიდან წერდნენ ევროპულ რომანებს[3].

აღნიშნული პროცესი მხოლოდ ლიტერატურის სფეროს არ ეხება.

თვით კულტურული კონვერგენციის თეორიის მომხრეები, რომლებიც თვლიან, რომ მიმდინარეობს კულტურის გლობალური ჰომოგენიზაცია ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ზეგავლენით („კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“ და სხვ.), აღნიშნავენ, რომ „მსოფლიო პროდუქციის“ მწარმოებელ კორპორაციათა საქმიანობა წარმატებულია იმდენად, რამდენადაც ისინი ადაპტირდებიან ადგილობრივ კულტურასთან. „იმპორტიორ“ ქვეყნებში დასავლური დაწესებულებანი თუ მოხმარების საშუალებანი სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფუნქციებს ასრულებენ, ვიდრე სამშობლოში. „სონის“ პრეზიდენტმა აკიო მორიტამ ამ პროცესის აღსანიშნავად შემოგვთავაზა ტერმინი „გლოკალიზაცია“ (გლობალიზაცია+ლოკალიზაცია), ანუ „ორივე მხარეს ყურება“[4].

მეცნიერები საუბრობენ კარდინალურ მიჯნაზე, რომელსაც მიადგა კაცობრიობა და რომლის იქით ისტორია, როგორც ჩანს, კალაპოტს იცვლის. „დომინირებადმა ცივილიზაციამ ძლიერების პიკს მიაღწია და გლობალური გახდა, მაგრამ იგი ნამდვილ სულიერ კატასტროფას განიცდის. ქრისტიანული კულტურა – ამ სუპერცივილიზაციის მაცოცხლებელი წყარო – თანდათან ადგილს უთმობს ახალ რეალიებს, ცნობიერების ორგანიზაციის სხვა ფორმებს,“ – წერს ა.ნეკლესა[5].

2001 წლის მიწურულს გამოქვეყნდა უკიდურესი მემარჯვენე ამერიკელი პოლიტიკოსის პატრიკ ბიუკენანის წიგნი ფრიად ნიშანდობლივი სათაურით: „დასავლეთის სიკვდილი: როგორ ემუქრება ჩვენს სახელმწიფოსა და ცივილიზაციას მოსახლეობის კლება და იმიგრანტთა შემოსევები“ (Patrick J.Buchanan. The Death of the West: How Dying Populations and Immigrant Invasions Imperil Our Country and Civilization). სხვათა შორის, ამ წიგნის პუბლიკაცია 11 სექტემბრის ტერაქტების გამო გადაიდო, თუმცა იგი ჯერ კიდევ ზაფხულში მზად იყო გამოსაცემად. ავტორი დასავლური სამყაროსა და, კერძოდ, აშშ-სათვის ფრიად სამწუხარო სამომავლო პერსპექტივას ხატავს: 2050 წლისათვის აშშ მესამეხარისხოვან ქვეყნად გადაიქცევა, ევროპის თეთრკანიანი მოსახლეობისა და იაპონელების რიცხვი კატასტროფულად დაიკლებს, საბოლოოდ კი, ისინი სულაც გაქრებიან აზიისა და აფრიკის მუსლიმური ქვეყნების დემოგრაფიული შემოტევის შედეგად. განახლდება ისლამის ზეწოლა ევროპის ქვეყნებზე, რაც უკვე იყო ისტორიაში, მაგრამ მისი შედეგები ამჯერად გაცილებით ტრაგიკული იქნება ევროპელთათვის. არც რუსეთის მომავალი ესახება ბიუკენანს ნათელ ფერებში: ჩინეთი განდევნის მას ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან, მუსლიმური სამყარო კი — კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან. ქრისტიანთა — კათოლიკეთა, პროტესტანტთა და

---

[1] ებრალიძე თ. ორ კულტურას შორის. – გაზ. “ჩვენი მწერლობა” (სალიტერატურო ჩანართი გაზეთისა “ახალი ეპოქა”), 23 (49), 8-15 ივნისი, 2001, გვ.3.

[2] Прожогина С.В. Литература магрибинцев во Франции: продолжение диалога культур Востока и Запада. – В кн.: Восток-Запад: Притяжение, отталкивание. М., 1998, с.178.

[3] ებრალიძე თ. დასახ ნაშრ., გვ.3.

[4] Питерсе Я.Н. Глобализация и культура.- В кн.: Этнос и политика. Автор-составитель А.А.Празаускас. М., 2000, с.322.

[5] Неклесса А. Конец цивилизации..., с.74.

მართლმადიდებელთა — რიცხვი თანდათან შემცირდება. ერთ-ერთ თავში — „ამერიკის დექრისტიანიზაცია“ — ბიუკენანი დასავლეთის ქვეყნების დემოგრაფიული კრიზისის მთავარ მიზეზად ქრისტიანული სარწმუნოების დაქვეითებას მიიჩნევს და აცხადებს, რომ უკვე ისახება ახალი ათეისტური ცივილიზაცია, რომელიც საფუძველს ურყევს დასავლურ კულტურას.

გლობალისტები მსოფლიოს კულტურულ გაერთგვაროვნებასა და ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელებას წინასწარმეტყველებენ. „ორი-სამი თაობის შემდეგ საზოგადოების მხოლოდ ყველაზე გაუნათლებელ წევრებს არ ეცოდინებათ ინგლისური... თქვენი ენა ხდება რაღაც, რაზეც ილაპარაკებენ სახლში, მეგობრების წრეში, ის, გარკვეულწილად, კულტურული დიალექტი იქნება და არა კომუნიკაციის მთავარი საშუალება“, — ამბობს ინგლისური ლიტერატურის ამერიკელი მკვლევარი ჯ.ბენსენი[1]. ამ მტკიცების საპირისპიროდ, ისევ ლინგვისტები მიუთითებენ, რომ რაც უფრო მეტი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი მიიღებს მონაწილეობას ინგლისური ენის ფუნქციონირებაში, მით მეტი ლექსიკური ერთეული შევა მასში სხვა ენებიდან, გაჩნდება გრამატიკული ინოვაციები, შეიქმნება ინგლისური ენის სხვადასხვა ვერსია და მათზე მოსაუბრეებს სულ უფრო მეტად გაუჭირდებათ ერთმანეთის გაგება.

დასავლელ მკვლევართა ნაწილი (ე.გელნერი და სხვ.) აღნიშნავს, რომ სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნა შეიძლება გამოყენებული იყოს ინდივიდთა მიერ ყოველდღიურ პრაქტიკაში, ისე, რომ არ გამომდინარეობდეს მისი კულტურიდან, არ წარმოადგენდეს მისი კულტურის ნაწილს. შემეცნების ხერხი არ ემყარება რელიგიას, კულტურას, ცივილიზაციურ ღირებულებებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქიმიური ფორმულები ან პლანეტათა განლაგების ცოდნა არ გვიხსნის, როგორ ვიცხოვროთ, როგორ აღვზარდოთ ბავშვები, თაყვანი ვცეთ ღმერთებს. მრავალმა არადასავლურმა კულტურამ შეიძლება აითვისოს მეცნიერების თანამედროვე შეხედულებანი, შემეცნებისა და მართვის რაციონალური მეთოდები, დასავლურ ცივილიზაციად ტრანსფორმირების გარეშე[2].

ჯერ კიდევ ა.ტოინბი მიუთითებდა, რომ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სოციალური ცხოვრების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები, რომელთაგან პირველ ორს შეეხო უნიფიკაცია (და არა ერთობა), მესამე კი, გაცილებით უფრო ღრმა და ფუნდამენტურია, ვიდრე პირველი ორი.

გლობალისტთა და კულტურული პლურალიზმის მომხრეთა კამათში გაჩნდა მსოფლიოს კულტურული მომავლის კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, ნეიტრალური ვერსია – კულტურის კრეოლიზაციის თეორია, რომლის ავტორია მარტინიკელი ფრანგულენოვანი მწერალი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი ედუარდ გლისანი. კულტურათა და ხალხთა ურთიერთ-შეხვედრასა და შეღწევაში იგი ხედავს კაცობრიობის არსებობის ახალ ფორმას. მსოფლიოში არსებულ სიტუაციას იგი აღნიშნავს ტერმინით „კრეოლიზაცია“; მისი აზრით, ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც განაპირობებს იდენტურისა და განსხვავებულის წარმოშობას. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენ შევიცვლებით სხვებთან შეხვედრის შედეგად, ამასთან, არც ერთი მხარე არ დაკარგავს საკუთარ ბუნებას და არ გაითქვიფება კულტურულ მაგმაში, — წერს გლისანი. იგი თვლის, რომ სიახლე პატარა ქვეყნებიდან მოვა, რომელთაც არა აქვთ არც კოლონიური წარსული, არც მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ტრადიციები. მათ ნაკლებად ეშინიათ „სტატუსის“ გაქრობის ან დაკარგვისა. ერთ-ერთ ასეთ რეგიონად იგი კარიბის კუნძულებს მიიჩნევს, სადაც, მისი აზრით, გამომუშავდება და ყალიბდება ურთიერთობათა თანამედროვე მოდელები, არსებობს კულტურათა მრავალფეროვნებისა და ერთობის მძლავრი პოტენციალი. ამდენად, კარიბის კუნძულები კრეოლიზაციის ნიმუშად იქცევა, თუმცა კრეოლიზაციას განიცდის მთელი დანარჩენი მსოფლიოც. კაცობრიობის არსებობის

[1] წიკლაური მ., ედილაშვილი მ. დედამიწა არასოდეს იქნება ნაცრისფერი. – გაზ. “ჩვენი მწერლობა”, თბ., 2001, 16 (40), გვ.3.

[2] Левашова А.В. Современная международная система: глобализация или вестернизация. – В журн.: Социально-гуманитарные знания, М., 2000, № 1, с.264.

თანამედროვე განზომილებანი სცილდება ეროვნულობის ჩარჩოებს, რომლების წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ[1].

მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ტრადიციების მქონე ქვეყნები და ხალხები კი ცდილობენ, თავიანთი მისია სხვაგვარად დაინახონ და დაასაბუთონ. ჩეხი მწერალი მ.კუნდერა აღნიშნავს: „მე ვხედავ პატარა ხალხების ისტორიულ მისიას თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც დიდი სახელმწიფოების ანაბარაა დარჩენილი, ეს უკანასკნელნი კი ცდილობენ მის „გამოჭრას“ საკუთარ თარგზე. პატარა ხალხები, მუდმივად ეძიებენ რა საკუთარ სახეს და იბრძვიან თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ხელს უწყობენ იმას, რომ მსოფლიო წინ აღუდგეს საშინელ უნიფიკაციას, შეინარჩუნოს ტრადიციათა სიჭრელე და ცხოვრების წესის მრავალფეროვნება, ადამიანს კი გააჩნდეს სამშობლოს ჯადოსნური გრძნობა“[2].

ამერიკანიზაციის ფორმით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს შეშფოთებით ადევნებენ თვალს თვით დასავლური სამყაროს წარმომადგენლებიც. XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში აშშ წამოაყენა კულტურულ ღირებულებათა თავისუფალი გაცვლის იდეა, რასაც დიდი კამათი მოჰყვა. საფრანგეთი და კანადა შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათ ემუქრებოდა ამერიკული კულტურული პროდუქციით წალეკვისა და ამერიკული ცხოვრების წესის მოძალების საფრთხე. 1993 წ. ევროკავშირმა, საფრანგეთის წინადადებით, უარი თქვა თავისუფალ გაცვლაზე კულტურის სფეროში.

„ჩვენ გლობალიზაციის ატმოსფეროში ვცხოვრობთ, რაც განაპირობებს იდეათა სტანდარტიზაციასა და ცხოვრების წესის გაერთგვაროვნებას – პირველ რიგში, ამერიკული მოდელის შესაბამისად.кшყველა, ვისთვისაც ძვირფასია საკუთარი ისტორია, ტრადიციები, ენა, ფილოსოფია და რელიგია, შეშფოთებულია აღნიშნული ტენდენციით, — წერდა ევროპარლამენტში საფრანგეთის დეპუტატი კატრინ ლალუმიერი[3]. მსოფლიოს სტანდარტიზაციის პერსპექტივის საპირისპიროდ, სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ კულტურული მრავალფეროვნების შესახებ.

მკვლევართა აზრით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პლურალისტურ „სამყაროთა სამყაროში“ იარსებებს არა ერთი, არამედ რამდენიმე ცივილიზაციურ-კულტურული ცენტრი, რომელთა ურთიერთობაში გაჩნდება პრობლემა ერთი, ისტორიულად ჩამოყალიბებული სიმბოლოთა ენიდან სხვა კულტურათა და ცივილიზაციათა სომბოლოების ენებზე თარგმნისა. ს.ჰანთინ-გტონის სიტყვით, თვალსაწიერ მომავალში არ ჩამოყალიბდება ერთიანი უნივერსალური ცივილიზაცია და თითოეულ არსებულ ცივილიზაციას მოუწევს სხვებთან თანაარსებობა.

კულტურათა და ცივილიზაციათა თანაარსებობის პერსპექტივა განსაკუთრებით მტკივნეულ თემად იქცა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, რომლებიც შეფასებულ იქნა როგორც ორი პლანეტის შეჯახება ერთ პლანეტაზე, ცივილიზაციათა ადრე ნაწინასწარმეტყველევი შეჯახება, მოდერნის შეჯახება არამოდერნთან და წინარემოდერნთან, რომლის აღმსრულებელნი თვით მოდერნის იარაღებს იყენებდნენ და მათ მოდერნისავე წინააღმდეგ მიმართავდნენ. დასავლელი მკვლევრები იმედოვნებენ, რომ ეს თავზარდამცემი ქმედება ბიძგს მისცემს სხვაგვარი მსოფლიოს შექმნას, რომელშიც სივრცითი და დროითი კულტურები აღარ მოინდომებენ ერთმანეთის განადგურებას. ეს ახალი მსოფლიო აღარ იქნება მარტოოდენ დროითი კულტურის სულ უფრო მზარდი და მძლავრი აღმავლობის იმედზე — იმ კულტურისა, რომელიც გამანადგურებლად მოქმედებს სივრცით კულტურებზე[4].

---

[1] Культурная креолизация мира. – В журн.: Label France (Информационный журнал МИД Франции), № 38, январь, 2000, с.39.

[2] ix.: Хольцер Я. Была или не была? (Существовала или нет центральная Европа: чешские споры о центральноевропейской ментальности малого народа). – В журн.: Политическая наука, № 4 (Регионализация посткоммунистической Европы), М., 2001, с.76.

[3] Лялюмьер К. Борьба за культурное многообразие. – В журн.: Label France (Информационный журнал МИД Франции), № 38, январь, 2000, с.25.

[4] შმიდი ვ. დასახ. ნაშრ., გვ.2.

თემა IV. მოდერნიზაცია — დასავლური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ეტაპი

ამ ეტაპზე დაწვრილებით განვიხილავთ მოდერნიზაციის იმ გაგებას, რომლის მიხედვით მოდერნიზაცია დასავლური საზოგადოების (ცივილიზაციის) განვითარების კონკრეტული ეტაპისათვის დამახასიათებელი სოციალურ-კულტურული ნიშნების ერთობლიობაა, რომელიც უნდა განიხილებოდეს ზოგადად, დასავლური საზოგადოების განვითარების კონტექსტში, ამ ცივილიზაციის წინამორბედ კულტურულ ფორმების თავისებურებებთან უშუალო კავშირში.

აქვე შევეხებით დასავლეთში მოდერნული საზოგადოების დამკვიდრების ისტორიულ პერიპეტიებს, ვისაუბრებთ წინამორბედი ისტორიული რეალობის შესახებ, მოდერნიზაციას განვიხილავთ, როგორც დასავლური ტრადიციის გაგრძელებას, დასავლური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ ეტაპს.

დასავლეთი და მოდერნიზაცია

უნივერსალური ცივილიზაციის გაჩენის შესაძლებლობის მესამე და ყველაზე ფართოდ გავრცელებული არგუმენტი მდგომარეობს წამოდგენაში, რომ იგი არის მოდერნიზაციის ყოვლისმომცველი პროცესის შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო. მოდერნიზაცია მოიცავს ინდუსტრიალიზაციას, ურბანიზაციას, წერა-კითხვის მცოდნეთა მზარდ პროცენტს, განათლებას, სიმდიდრეს და სოციალურ მობილურობას, სამუშაო ადგილების გამრავალფეროვნებას და დახვეწას. სწორედ XVIII საუკუნეში დაწყებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის უზარმაზარი ექსპანსიის შედეგია ის, რომ დღეს შეგვიძლია ვაკონტროლოთ და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი გარემო სრულიად ახალი სახით. მოდერნიზაცია რევოლუციური პროცესია, რომელიც მხოლოდ საზოგადოებების პრიმიტიულიდან ცივილიზებულ მდგომარეობაში გადასვლას თუ შეგვიძლია შევადაროთ, ანუ ცალკეული ცივილიზაციების გაჩენას ტიგროსისა და ევფრატის აუზებში, ნილოსისა და ინდის ხეობებში 5000 წლის წინ. თანამედროვე საზოგადოების შეხედულებები, ფასეულობები, ცოდნა და კულტურა დიდად განსხვავდება ტრადიციული საზოგადოებისაგან. დასავლეთი პირველი მოდერნიზდა და მოდერნული კულტურის ათვისების ავანგარდშია. ვინაიდან სხვა საზოგადოებები ითვისებენ განათლების, მუშაობის, სიმდიდრისა და კლასობრივი ორგანიზაციის მსგავს ფორმებს, აქედან მომდინარეობს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დასავლური კულტურა უნივერსალურ მსოფლიო კულტურად იქცევა.

ის, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს მოდერნულ და ტრადიციულ კულტურებს შორის კამათს აღარ იწვევს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მოდერნული კულტურის მატარებელი საზოგადოებები ერთმანეთს უფრო ჰგვანან, ვიდრე ტრადიციული კულტურის მატარებელი ხალხები. რა თქმა უნდა, სამყარო, სადაც ზოგიერთი საზოგადოება მაღალ დონეზე მოდერნიზებულია, ხოლო სხვები — კვლავ ტრადიციული, უფრო ნაკლებად ერთგვაროვანია, ვიდრე სამყარო, რომლის ყველა საზოგადოება შედარებით თანაბრად მოდერნიზებულია. მაგრამ რაღა ვუყოთ იმ სამყაროს, სადაც ყველა საზოგადოება ტრადიციული იყო? ასეთი სამყარო ხომ რამდენიმე ასეული წლის წინ არსებობდა. იყო იგი ნაკლებად ჰომოგენური, ვიდრე, როგორც ფიქრობენ, იქნება საყოველთაოდ მოდერნიზებული მომავალი მსოფლიო? ალბათ, არა. „მინის (დინასტიის) ჩინეთი... უეჭველად, უფრო ახლოს იყო ვალუას (დანასტიის) საფრანგეთთან“, ამბობდა ბროდელი, „ვიდრე მაო ძე დუნის ჩინეთი — მეხუთე რესპუბლიკის საფრანგეთთან.“

და მაინც, არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც მოდერნული საზოგადოებები უფრო შეიძლება ერთმანეთის მსგავსნი იყვნენ, ვიდრე ტრადიციული საზოგადოებები. პირველი მიზეზია ინტენსიური ურთიერთქმედება მოდერნულ საზოგადოებებს შორის, რომელიც, შეიძლება, ვერ წარმოშობს საერთო კულტურას, მაგრამ აადვილებს მოკლე დროში ტექნიკის, გამოგონებების, ჩვეულებების გადაცემას ერთი საზოგადოებიდან მეორეში, თანაც იმ დონით, რომლითაც ეს

წარმოუდგენელია ტრადიციულ სამყაროში. მეორე მიზეზი ისაა, რომ ტრადიციული საზოგადოება დაფუძნებულია სოფლის მეურნეობაზე, მოდერნული საზოგადოება კი მრეწველობაზე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მეურნეობის სისტემას — ხელოსნობიდან დაწყებული, კლასიკური მძიმე მრეწველობის გავლით, რთულ ტექნოლოგიებზე დამყარებული ინდუსტრიით დამთავრებული. სოფლის მეურნეობის სისტემა და მისი თანამდევი სოციალური სტრუქტურა უფრო დამოკიდებულია ბუნებრივ გარემოზე, ვიდრე მრეწველობის სისტემა. იგი იცვლება ნიადაგისა და კლიმატის მიხედვით და შეიძლება გამოიწვიოს მიწის ფლობის, საზოგადოებრივი წყობისა და ხელისუფლების სხვადასხვა ფორმის წარმოშობა. ვიტფოგელის ჰიდრავლიკური ცივილიზაციის თეორიის მიუხედავად, სოფლის მეურნეობა, რომელიც დამოკიდებულია მასშტაბური საირიგაციო სისტემების მშენებლობასა და ფუნქციობაზე, ხელს უწყობს ცენტრალიზებული და ბიუროკრატიული პოლიტიკური ხელისუფლების წარმოშობას. სხვანაირად არ ხდება. მდიდარი ნიადაგი და კარგი კლიმატი ხშირად ხელს უწყობს მასიური საპლანტაციო მეურნების გაჩაღებას და მისი თანამდევი სოციალური წყობის ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს მდიდარი მიწათმფლობელების მცირერიცხოვან და პლანტაციაში მომუშავე გლეხების, მონების თუ ყმების დიდ ფენას. მასშტაბური სოფლის მეურნეობის პირობებში შეიძლება გაჩნდეს დამოუკიდებელ გლეხთა საზოგადოება. მოკლედ, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებში საზოგადოებრივი წყობა განპირობებულია ბუნებრივი გარემოთი. მრეწველობა ნაკლებადაა დამოკიდებული ბუნებრივ გარემოზე. ინდუსტრიულ ორგანიზაციაში არსებული განსხვავებები კი უფრო კულტურასა და სოციალურ წყობაში არსებული სხვაობებით უნდა იყოს გამოწვეული, ვიდრე გეოგრაფიული მიზეზებით; აქედან პირველი შეიძლება გარდაიქმნას, მაგრამ უკანასკნელი — არასდროს.

მაშასადამე, მოდერნულ საზოგადოებებს ბევრი რამ აქვთ საერთო. მაგრამ არიან კი ისინი აუცილებლად ერთგვაროვანნი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გამომდინარეობს მოსაზრებიდან, რომ მოდერნული საზოგადოება უნდა დაემსგავსოს მხოლოდ ერთ – დასავლურ მოდელს, რომ მოდერნული ცივილიზაცია იგივე დასავლური ცივილიზაციაა. თუმცა, ეს სავსებით მცდარი მსჯელობაა. დასავლური ცივილიზაცია წარმოიშვა VIII-IX საუკუნეებში და თავისი ინდივიდუალური ნიშან-თვისებები შემდგომ საუკუნეებში შეიძინა. მისი მოდერნიზება მოხდა არაუადრეს XVII-XVIII საუკუნეებისა. დასავლეთი დასავლეთს წარმოადგენდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე იგი მოდერნული გახდებოდა. დასავლეთის მთავარი ნიშან-თვისებები, რომლებიც მას სხვა ცივილიზაციებისგან განარჩევენ, წინ უსწრებს დასავლეთის მოდერნიზაციას.

რა ნიშან-თვისებები ჰქონდა დასავლურ საზოგადოებას ასწლეულების განმავლობაში, სანამ ის მოდერნიზდებოდა? სხვადასხვა მეცნიერმა სხვადასხვანაირი პასუხი გასცა ამ კითხვას, ისინი განსხვავდებიან დეტალებში, მაგრამ აღიარებენ ძირითადი ინსტიტუტების, ჩვეულებების და რწმენა-წარმოდგენების ერთობლიობას, რომლებიც სავსებით კანონზომიერად შეიძლება მივიჩნიოთ დასავლური ცივილიზაციის საფუძვლად. ესენია:

კლასიკური მემკვიდრეობა. როგორც მესამე თაობის ცივილიზაციამ, დასავლეთმა ბევრი რამ შეითვისა წინამორბედი ცივილიზაციებისგან, განსაკუთრებით კი, კლასიკური ცივილიზაციისაგან. კლასიკური ცივილიზაციის მემკვიდრეობა მრავალფეროვანია: ბერძნული ფილოსოფია და რაციონალიზმი, რომაული სამართალი, ლათინური ენა და ქრისტიანობა. მუსლიმურმა და მართლმადიდებლურმა ცივილიზაციებმაც ბევრი რამ აითვისეს კლასიკური ცივილიზაციისაგან, მაგრამ შეუდარებლად ნაკლები, ვიდრე დასავლეთმა.

კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი. დასავლური ქრისტიანობა — თავდაპირველად კათოლიციზმი, შემდეგ კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი — წარმოადგენენ დასავლური ცივილიზაციის ისტორიულად უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს. თავისი არსებობის თითქმის მთელი ათასწლეულის მანძილზე ის, რაც დასავლური ცივილიზაციის სახელით არის ცნობილი, დასავლეთ საქრისტიანოდ იწოდებოდა; არსებობდა ერთობის კარგად განვითარებული გრძნობა დასავლეთის ქრისტიან ხალხებს შორის, რომლის მეშვეობით ისინი თავს განასხვავებდნენ

თურქების, მავრების, ბიზანტიელებისა და სხვებისაგან; სწორედ ღვთისა და ოქროს გულისათვის გავიდნენ დასავლელები კონტინენტიდან მსოფლიოს დასაპყრობად XVI საუკუნეში. რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია, დასავლეთ საქრისტიანოს გაყოფა პროტესტანტულ ჩრდილოეთად და კათოლიკურ სამხრეთად დასავლეთის ისტორიის ასევე განსაკუთრებული შტრიხია, რომელიც სრულიად უცხო იყო აღმოსავლური ორთოდოქსიისათვის და საერთოდ არ არსებობდა ლათინური ამერიკის სინამდვილეში.

ევროპული ენები. ენა, რელიგიის შემდეგ, რიგით მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ერთი კულტურის ხალხს მეორისგან განასხვავებს. დასავლეთი სხვა ცივილიზაციათა უმრავლესობისაგან გამოირჩევა ენების მრავალრიცხოვნებით. ჰინდი, მანდარინი, რუსული და თვით არაბული თავთავიანთი ცივილიზაციების ძირითად ენებად არიან მიჩნეული. დასავლეთმა მემკვიდრეობით ლათინური მიიღო, მაგრამ ერების ჩამოყალიბების კვალობაზე წარმოიშვა ეროვნული ენებიც, რომლებიც რომანულ და გერმანულ ენათა ვრცელ ჯგუფებში მოექცნენ. XVI საუკუნისათვის მათ, ძირითადად, მიიღეს თავიანთი დღევანდელი სახე.

სასულიერო და საერო ხელისუფლების გაყოფა. დასავლეთის მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესია, შემდეგ კი ეკლესიები, სახელმწიფოსაგან განცალკევებით იდგა. ღმერთი და კეისარი, ეკლესია და სახელმწიფო, სასულიერო ავტორიტეტი და ამქვეყნიური ძალაუფლება გამოკვეთილ დუალიზმად გვევლინება დასავლურ კულტურაში. მხოლოდ ინდურ ცივილიზაციაში თუ იყო რელიგია და პოლიტიკა ასე გამოკვეთილად გამიჯნული ერთმანეთისაგან. ისლამში ღმერთი კეისარია, ჩინეთსა და იაპონიაში კეისარი ღმერთია; მართლმადიდებლობაში ღმერთი კეისრის უმცროსი პარტნიორია. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა და მათი პერიოდული დაპირისპირება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია დასავლური ცივილიზაციისათვის, სხვა ერთობებში არ ფიქსირდება. ძალაუფლებების ასეთმა გამიჯვნამ, უდავოდ, დიდი ბიძგი მისცა დასავლეთში თავისუფლების იდეის განვითარებას.

კანონის ბატონობა. ცივილიზებულ ცხოვრებაში კანონის უზენაესობა რომაელებისგან მიღებული მემკვიდრეობაა. შუა საუკუნეების მოაზროვნეებმა შეიმუშავეს ბუნებითი სამართლის თეორია, რომლის მიხედვითაც, მონარქებს ენიჭებოდათ ძალაუფლების განხორციელების უფლება, რისი შედეგიცაა ინგლისში სამოქალაქო კოდექსის ტრადიციის ჩამოყალიბება. XVI და XVII საუკუნეებში, აბსოლუტიზმის ბატონობისას, კანონის უზენაესობა უფრო ირღვეოდა, ვიდრე დაცული იყო, მაგრამ იდეა ხელისუფლების დამორჩილებისა გარე შეზღუდვებისადმი ძალაში რჩებოდა: „Non sub homine sed sub Deo et lege“ („არა კაცის, არამედ ღვთისა და კანონის ქვეშევრდომობა“). კანონის უზენაესობის ტრადიციამ საფუძველი ჩაუყარა კონსტიტუციონალიზმსა და ადამიანის უფლებებს, მათ შორის, კერძო საკუთრების უფლებას, უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლას. სხვა ცივილიზაციათა უმრავლესობაში კანონი გაცილებით ნაკლებ როლს თამაშობდა ცნობიერებისა და ქცევეს ჩამოყალიბებაში.

სოციალური პლურალიზმი. ტრადიციულად, დასავლური საზოგადოება პლურალისტური იყო. როგორც დოიჩი შენიშნავდა, დასავლეთს გამოარჩევს „სხვადასხვა ავტონომიური ჯგუფის არსებობა და სიმყარე, რომლებიც არ არიან დამყარებული სისხლისმიერ ნათესაობაზე ან ქორწინებაზე“. VI და VII საუკუნეებიდან დაწყებული, ასეთ ჯგუფებს თავდაპირველად წარმოადგენდნენ მონასტრები, სამონასტრო ორდენები, გილდიები, შემდგომში ევროპის არაერთ კუთხეში მათ მოიცვეს მრავალი სხვადასხვა გაერთიანება და საზოგადოება. გაერთიანებათა პლურალიზმს შემდგომში კლასობრივი პლურალიზმი დაემატა. დასავლეთ ევროპული საზოგადოებების უმრავლესობაში არსებობდა შედარებით ძლიერი და დამოუკიდებელი არისტოკრატია, სოლიდური ფენა გლეხობის სახით და მცირერიცხოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი კლასი ვაჭრებისა. ევროპულ საზოგადოებათა უმრავლესობაში ფეოდალური არსიტოკრატიის ძლიერება მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ იქ აბსოლუტიზმის ფეხის მოკიდება შეუძლებელი ხდებოდა. ევროპული პლურალიზმის გაგება დიამეტრულად საპირისპროა სამოქალაქო საზოგადოების საღარიბის, არისტოკრატიის სისუსტისა და

ცენტრალიზებული ბიუროკრატიული იმპერიების სიძლიერისა, რომლებიც რუსეთის და ჩინეთის რეალობაში არსებობდა, ისევე როგორც თურქეთის სამფლობელოებსა და სხვა არადასავლურ საზოგადოებებში.

წარმომადგენლობითი ორგანოები. სოციალურმა პლურალიზმმა იმთავითვე მისცა დასაბამი კერძო საკუთრებას, პარლამენტს და სხვა ინსტიტუტებს, რომლებშიც წარმოდგენილი იყო არისტოკრატიის, სამღვდელოების, ვაჭრებისა და სხვა ფენების ინტერესები. ამ ორგანოებში წარმომადგენლობის ფორმები, მოდერნიზაციის კვალდაკვალ, გარდაიქმნენ თანამედროვე დემოკრატიულ ინსტიტუტებად. აბსოლუტიზმის პერიოდში ზოგი მათგანი საერთოდ გააუქმეს ან მნიშვნელოვნად შეზღუდეს. მიუხედავად ასეთი შემთხვევებისა, ეს ინსტიტუტები მთავარ საშუალებას წარმოდგენდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის ფართო მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. არც ერთ თანამედროვე ცივილიზაციას არ აქვს წარმოამდგენლობითი ორგანოების არსებობის მსგავსი ათასწლოვანი გამოცდილება. ჯერ კიდევ IX საუკუნიდან ადგილობრივ დონეზე, იტალიის ქალაქებში, დაიწყო მოძრაობა თვითმმართველობისათვის, რომელიც შემდგომ ჩრდილოეთით გავრცელდა, „აიძულებდა რა ეპისკოპოსებს, ადგილობრივ ბარონებს და სხვა წარჩინებულებს, ბურჟუებისთვისაც გაეზიარებინათ, და ხშირად, ბოლოს მთლიანად დაეთმოთ ძალაუფლება“. სახალხო წარმომადგენლობას ნაციონალურ დონეზე შემდგომში დაემატა ავტონომიურობის ხარისხი ადგილობრივ დონეზე, რაც არნახული მოვლენაა მსოფლიოს სხვა რეგიონებისათვის.

ინდივიდუალიზმი. დასავლური ცივილიზაციის ბევრმა ზემოთ ჩამოთვლილმა ელემენტმა ბიძგი მისცა ინდივიდუალიზმის, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების იდეას, რაც უნიკალური მოვლენაა ცივილიზებული საზოგადოებებისათვის. ინდივიდუალიზმი განვითარდა XIV-XV საუკუნეებში; XVII საუკუნეში დასავლეთში მოხდა თავისუფალი არჩევანის უფლების აღიარება, რასაც დოიჩი „რომეო და ჯულიეტას რევოლუციას“ უწოდებდა. ყველა ადამიანისათვის თანაბარი უფლებები („უღატაკესი კაციც ინგლისში ისევე იმსახურებს სიცოცხლეს, როგორც უმდიდრესი“), თუ საყოველთაოდ არ ხორციელდებოდა, ხაზი მაინც განსაკუთრებით ესმებოდა. ინდივიდუალიზმი მეოცე საუკუნეში არსებულ ცივილიზაციებს შორის დასავლეთის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშან-თვისებად რჩება. ამ საკითხთან დაკავშირებულ ერთ-ერთი გამოკვლევით, რომელშიც 50 ქვეყნის მონაცემები იყო წარმოდგენილი, ინდივიდუალიზმის უმაღლესი ინდექსის მქონე ქვეყანათა პირველი ოცეული მოიცავდა ყველა დასავლურ ქვეყანას, პორტუგალიის და ასევე ისრაელის გამოკლებით. ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის მეორე კროსკულტურული გამოკვლევის ავტორმა ასევე ხაზი გაუსვა დასავლეთში ინდივიდუალიზმის დომინირებას, დანარჩენ მსოფლიოში არსებული სიტუაციისგან განსხვავებით, სადაც უფრო კოლექტივიზმი იკვეთება და აღნიშნა, რომ „ღირებულებანი, რომლებიც დასავლეთში უმნიშვნელოვანესია, დანარჩენ მსოფლიოში ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანია“. დასავლელებიცა და არადასავლელებიც ისევ და ისევ ინდივიდუალიზმს მიიჩნევენ დასავლეთის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად.

ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები არ წარმოადგენს დასავლური ცივილიზაციის განმასხვავებელი ნიშნების ამომწურავ ჩამონათვალს. არც იმის თქმა მსურს, რომ ეს მახასიათებლები დასავლურ საზოგადოებაში ყოველთვის და ყველგან არსებობდა. რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა: დასავლეთის ისტორიაში არაერთი დესპოტია ცნობილი, რომელიც უგულებელყოფდა კანონის უზენაესობას და აუქმებდა წარმომადგენლობით ორგანოებს. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებების მიჩნევა დასავლეთის მახასიათებლებად ასევე არ ნიშნავს, რომ ისინი სხვა ცივილიზაციებში არ არსებობს. ცხადია, არსებობს. მაგალითად, ყურანი და შარიათი წარმოადგენენ მუსლიმური საზოგადოებების ძირითადი საკანონმდებლო ბაზაა; იაპონიას და ინდოეთს, დასავლეთის მსგავსად, აქვთ კლასობრივი სისტემა (და, სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო არიან ისინი ორადორი დიდი არადასავლური საზოგადოება, რომლებიც დემოკრატიულ მთავრობას ირჩევენ ნებისმიერი ვადით). სათითაოდ აღებული, არც ერთი ეს ნიშან-თვისება არ იყო უნიკალური მხოლოდ დასავლეთისათვის, მხოლოდ მათი

ერთობლიობა ქმნიდა დასავლეთის განსხვავებულ სახეს. ეს იდეები, ტრადიციები და ინსტიტუტები უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი დასავლეთში, ვიდრე სხვა ცივილიზაციებში. ყოველ შემთხვევაში, ისინი ქმნიან მთავარ, მუდმივ ბირთვს დასავლური ცივილიზაციისა. სწორედ მათგან გამომდინარეობს დასავლეთის დასავლურობა და არა მოდერნულობა. ამავდროულად, ისინი წარმოადგენენ ფაქტორებს, რომლებმაც დასავლეთს საშუალება მისცა მოდერნიზებულიყო და ამ პროცესის ავანგარდში ჩამდგარიყო მსოფლიო მასშტაბით.

უნივერსალური ცივილიზაცია: მნიშვნელობები

ხშირად ამტკიცებენ, რომ თანამედროვე სამყარო მოწმეა „უნივერსალური ცივილიზაციის“ შობისა (ეს ტერმინი ვ.ს.ნაიპოლს ეკუთვნის). რას გულისხმობენ ამ ტერმინში? ნაიპოლის იდეა ზოგადად გულისხმობს კაცობრიობის კულტურულ გაერთიანებას, მთელი მსოფლიოს ხალხების მიერ საერთო ფასეულობების, რწმენა-წარმოდგენების, ორიენტაციების, ტრადიციებისა და ინსტიტუტების გაზიარებას. უფრო ზუსტად, ეს შეიძლება გულისხმობდეს სიღრმისეულ, მაგრამ უმნიშვნელო, ან მნიშვნელოვან, მაგრამ არასიღრმისეულ მხარეებს, ან სულაც — უმნიშვნელოსა და ზედაპირულს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ყველა საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული ძირითადი ღირებულებანი — როგორიცაა, მაგალითად, მკვლელობის ბოროტებასთან გაიგივება; საერთო საბაზო ინსტიტუტები — მაგალითად, სხვადასხვა სახით წარმოდგენილი ოჯახის ინსტიტუტი. საზოგადოებათა უმრავლესობას ერთმანეთის მსგავსი „მორალური კოდექსი“ აქვს – ელემენტარული ზნეობრივი წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი. თუ „უნივერსალური ცივილიზაციის“ ცნებაში ეს აზრია ჩადებული, იგი ღრმა და მნიშვნელოვანია, მაგრამ, ამავე დროს, ეს არც ახალია და არც აქტუალური. ის ფაქტი, რომ ადამიანებს აქვთ რამდენიმე საერთო ფუნდამენტური ღირებულება და ინსტიტუტი მთელი ისტორიის განმავლობაში, შეიძლება გვიხსნიდეს ადამიანის ქცევის გარკვეულ კონსტანტებს, მაგრამ მას არ ძალუძს შუქი მოჰფინოს ან ახსნას ისტორია, რომელიც სავსეა ადამიანის ქცევაში მომხდარი ცვლილებებით. გარდა ამისა, თუ მთელი კაცობრიობისათვის საერთო უნივერსალური ცივილიზაცია არსებობს, მაშინ რა ტერმინს ვიყენებთ კაცობრიობის დიდი კულტურული დაჯგუფებების აღსანიშნავად, რასების გარდა? კაცობრიობა იყოფა ქვეჯგუფებად – ტომებად, ერებად და უფრო ფართო კულტურულ ერთობებად, რომელთაც ცივილიზაცია ეწოდება. თუ ცივილიზაციის ცნება აყვანილია მთელი კაცობრიობის აღმნიშვნელ გაგებამდე, მაშინ ან უდიდესი კულტურული დაჯგუფების — კაცობრიობის — აღმნიშვნელი ახალი ტერმინი უნდა გამოვიგონოთ, ან უნდა დავუშვათ, რომ ეს დიდი, მაგრამ არა კაცობრიობის მასშტაბის მქონე დაჯგუფებები გაქრება. მაგალითად, ვაცლავ ჰაველი, ამტკიცებდა, რომ „ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ერთ გლობალურ ცივილიზაციაში“ და რომ იგი სხვა „არაფერია, თუ არა თხელი საბურველი“, რომელიც „ფარავს ან მალავს კულტურათა, ხალხთა, რელიგიათა სამყაროების უდიდეს მრავალფეროვნებას, ისტორიულ ტრადიციებსა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებებს; ყველაფერი ეს, გარკვეული აზრით, მის საფარქვეშაა მოქცეული“. „ცივილიზაციის“ ტერმინისათვის გლობალური მნიშვნელობის მინიჭება, ხოლო იმ დიდი კულტურული ერთობების „კულტურის“ ან „სუბცივილიზაციის“ სახელით მოხსენიება, რომლებიც ყოველთვის ცივილიზაციებად იწოდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ტერმინების სემანტიკურ აღრევას თუ გამოიწვევს.

მეორე, გასათვალისწინებელია, რომ „უნივერსალური ცივილიზაცია“ შეიძლება გამოიყენებოდეს იმ ელემენტების აღსანიშნავად, რომელთა არსებობა დამახასიათებელია ცივილიზებული საზოგადოებებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, ქალაქები და განათლებულობა – ის, რაც განარჩევს მათგან პირველყოფილ საზოგადოებებსა და ბარბაროსებს. ეს, ცხადია, ტერმინის მეთვრამეტე საუკუნისეული გაგებაა, რომელიც ცივილიზაციის მხოლობით რიცხვს გულისხმობს და რომლის მიხედვით, უნივერსალური

ცივილიზაცია პერსპექტივის საქმეა, ანთროპოლოგებისა და პირველყოფილი საზოგადოებების ბედით შეწუხებული ხალხის საუბედუროდ. ამ გაგებით, ცივილიზაცია, კაცობრიობის ისტორიის მსვლელობის კვალობაზე, თანდათანობით ფართოვდებოდა და მისი (მხოლობით რიცხვში) გავრცელება თავსებადი იყო სხვადასხვა ცივილიზაციის (მრავლობით რიცხვში) არსებობასთან.

მესამე, ტერმინი „უნივერსალური ცივილიზაცია“ შეიძლება აღნიშნავდეს წარმოდგენებს, ფასეულობებსა და დოქტრინებს, რომლებიც საერთოა ბევრი ადამიანისათვის დასავლურ ცივილიზაციაში და ზოგიერთებისათვის — სხვა ცივილიზაციებში. ამას შეიძლება „დავოსის კულტურა“ ვუწოდოთ. ყოველწლიურად ათასამდე ბანკირი, ბიზნესმენი, სახელმწიფო მოხელე, მოაზროვნე თუ ჟურნალისტი მთელი რიგი ქვეყნებიდან იკრიბება მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში, შვეიცარიაში. თითქმის ყოველ მათგანს აქვს უნივერსიტეტის დიპლომი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ბიზნესში, სამართალში, ისინი იკვლევენ სიტყვებსა თუ რიცხვებს, თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას, დასაქმებული არიან სახელმწიფო ორგანოებში, კორპორაციებსა და აქტიურ საერთაშორისო ცხოვრებაში ჩამბულ სამეცნიერო დაწესებულებებში, ხშირად მოგზაურობენ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ისინი, ძირითადად, იზიარებენ საერთო წარმოდგენებს ინდივიდუალიზმზე, საბაზრო ეკონომიკასა და პოლიტიკურ დემოკრატიაზე, რაც დამახასიათებელია დასავლური ცივილიზაციის საზოგადოებისათვის. „დავოსის ხალხი“ აკონტროლებს, ფაქტობრივად, ყველა საერთაშორისო დაწესებულებას, მრავალი ქვეყნის მთავრობას და მსოფლიოს ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის მეტ წილს. აქედან გამომდინარე, „დავოსის კულტურა“ უაღრესად მნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, რამდენი ადამიანი იზიარებს ამ კულტურას მსოფლიო მასშტაბით? დასავლეთს გარეთ, ალბათ, 50 მლნ-ზე ნაკლები, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 1 პროცენტი. იგი საკმაოდ შორს არის იმისგან, რომ უნივერსალური კულტურა იყოს, და ლიდერებს, რომლებიც ეკუთვნიან „დავოსის კულტურას“, ყოველთვის როდი აქვთ მყარი დასაყრდენი საკუთარ საზოგადოებებში. როგორც ჰედლი ბული აღნიშნავდა, „ეს საერთო ინტელექტუალური კულტურა მხოლოდ ელიტური მოვლენაა: ბევრ საზოგადოებაში მისი ფესვები ფრიად მყიფეა... საეჭვოა, რომ იგი შეეზრდება იმას, რასაც საერთო ზნეობრივ პრინციპებს, საერთო ფასეულობებს უწოდებენ და რაც ესოდენ განსხვავებულია საერთო ინტელექტუალური კულტურისაგან.“

მეოთხე, მიღებული აზრია, რომ დასავლურ წარმოდგენათა სისტემებისა და პოპულარული კულტურის საყოველთაო გავრცელება მთელს მსოფლიოში უნივერსალურ ცივილიზაციას ქმნის. ეს მოსაზრება არც ღრმაა და არც მნიშვნელოვანი. კულტურული სიახლეები ცივილიზაციიდან ცივილიზაციას გადაეცემოდა მთელი ისტორიის მანძილზე. ერთი ცივილიზაციის წიაღში გაჩენილ ინოვაციას, როგორც წესი, მეორე ცივილიზაცია ითვისებს. თუმცა აქ ლაპარაკია ტექნიკურ სიახლეებზე, რომლებსაც არ მოჰყვება დიდი კულტურული გარდატეხები ან სიახლეები; ისინი წარმავალია, და არ ცვლიან მიმღები ცივილიზაციის ძირითად კულტურას. ამ სიახლეებს რეციპიენტი ცივილიზაცია ითვისებს ეგზოტიკურობის ან იძულების გამო. გასულ საუკუნეებში დასავლურ სამყაროს პერიოდულად გადაუვლიდა ხოლმე ჩინური და ინდური კულტურის გარკვეული ელემენტებით გამოწვეული ენთუზიაზმის ტალღა. XIX საუკუნეში დასავლეთის კულტურული სიახლეები პოპულარული გახდა ინდოეთსა და ჩინეთში, რადგან იქ შეიმჩნეოდა დასავლეთისადმი ლოიალურობა. მოსაზრება, თითქოს პოპულარული კულტურისა და სამომხმარებლო საქონლის მთელს მსოფლიოში გავრცელება დასავლური ცივილიზაციის ტრიუმფია, აუფასურებს კიდეც თავად დასავლურ კულტურას. დასავლური კულტურის არსია Magna carta (თავისუფლების დიდი ქარტია), და არა Magna Mak (დიდი სენდვიჩი). ის ფაქტი, რომ არადასავლელმა შეიძლება ეს უკანასკნელი მიირთვას, სულაც არ ნიშნავს, რომ მისთვის მისაღებია სხვა ფასეულობებიც.

ეს სრულიადაც არ გამოხატავს არადასავლელის დამოკიდებულებას დასავლეთისადმი. სადღაც ახლო აღმოსავლეთში ექვსიოდე ახალგაზრდა შეიძლება ჯინსებში იყოს გამოწყობილი, კოკა-კოლას სვამდეს, რეპს უსმენდეს, ამავე დროს კი, ლოცვებს შორის, რომელთაც ისინი

მექისაკენ პირშექცეული აღავლენენ, ბომბს ამზადებდნენ ამერიკული სამგზავრო თვითმფრინავის ასაფეთქებლად. 1970-იან და 1980-იან წლებში ამერიკელები ყოველგვარი „იაპონიზირების“ გარეშე მოიხმარდნენ მილიონობით იაპონურ მანქანას, ტელევიზორს, კამერას და ელექტრონულ ხელსაწყოს, მეტიც — ეს ყველაფერი იაპონიისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულების ფონზე ხდებოდა. მხოლოდ გულუბრყვილო ამპარტავნობა თუ აფიქრებინებს დასავლელებს, რომ არადასავლელები „ვესტერნიზდებიან“ დასავლური საქონლის შეძენის შედეგად. მართლაცდა სასაცილოა, როდესაც დასავლელები თავიანთ ცივილიზაციას აიგივებენ შუშხუნა სასმელებთან, გახუნებულ ჯინსებთან და სენდვიჩთან.

უნივერსალური პოპულარული კულტურის უფრო დახვეწილი ვერსია ყურადღებას ამახვილებას არა სამომხმარებლო საქონელზე, არა კოკა-კოლაზე, არამედ მედიასა და ჰოლივუდზე. ამერიკის გავლენა მსოფლიო კინოზე, ტელევიზიასა და კონოპროდუქციაზე აღემატება კიდეც ამერიკის პოზიციებს საავიაციო მრეწველობაში. 1993 წლის მონაცემების მიხედვით, 100 ყველაზე პოპულარული ფილმიდან 88 ამერიკული იყო. ორი ამერიკული და ორი ევროპული ორგანიზაცია დომინირებს გლობალური მასშტაბით ახალი ამბების მოპოვებასა და გავრცელებაში. აქ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ორი მოვლენა. პირველი — ესაა საყოველთაო მოთხოვნილება პროდუქციაზე, რომელიც დაკავშირებულია სიყვარულთან, სექსთან, ძალადობასთან, იდუმალ ამბებთან, გმირობასთან, სიმდირესთან; აგრეთვე მოგებაზე ორიენტირებული კომპანიების (პირველ რიგში, ამერიკული) უნარი — გამოიყენონ ეს მოთხოვნილება საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ძალიან ცოტაა ან საერთოდ არ არსებობს არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ვიფიქროთ, თითქოს გლობალური კომუნიკაციის საშუალებათა გასაყოველთაოებას გამოეწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ადამიანთა წარმოდგენებსა და რწმენაში. „გართობა“, ამბობდა მაიკლ ვლახოსი, „სულაც არ ნიშნავს კულტურული სახის შეცვლას.“ მეორე: ადამიანები სიახლეებს აღიქვამენ იმთავითვე განსაზღვრული ღირებულებების და თვალსაწიერის პოზიციიდან (ე.ი. თავისებურად). „ერთი და იგივე ვიზუალური გამოსახულების გადმოცემა პლანეტის სხვადასხვა კუთხეში“, ამტკიცებს კიშორე მაჰბუბანი, „სხვადასხვანაირ აღქმას იწვევს. დასავლეთში აპლოდისმენტებით შეხვდებიან მფრინავი რაკეტებით ბაღდადის დაბომბვის კადრებს, ხოლო სხვები დაინახავენ, რომ ფერადკანიანი ერაყელები და სომალელები, თეთრკანიანი სერბებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ისჯებიან დასავლეთის მიერ – საგანგაშო სიგნალია ყველა თვალსაზრისით.“

გლობალური კავშირის საშუალებები დასავლური გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე გამოხატულებაა. თუმცა, ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს არადასავლურ საზოგადოებათა პოპულისტ პოლიტიკოსებს, ლანძღონ დასავლური კულტურული იმპერიალიზმი და დარაზმონ თავიანთი საზოგადოებები გაქრობის პირას მყოფი საკუთარი კულტურების ერთიანობის დაცვისა და გადარჩენისათვის. გლობალურ კომუნიკაციათა სფეროში დასავლეთის გავლენის მასშტაბები დასავლეთისადმი არადასავლურ საზოგადოებათა მტრული და უარყოფითი დამოკიდებულების მთავარ წყაროდ (მიზეზად) გვევლინება. მეტიც, 1990-იანი წლების დასაწყისში არადასავლურ საზოგადოებათა მოდერნიზაციამ და ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა ადგილობრივი და რეგიონული მედიაინდუსტრიის გაჩენა, რომლის მუშაობა გათვლილი იყო იქაური საზოგადოებების გემოვნებაზე. მაგალითად, 1994 წელს, CNN International დაადგინა, რომ მას ჰყავდა 55 მილიონიანი პოტენციური მაყურებელი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 1 პროცენტი (საოცარია, რომ ეს რაოდენობა ემთხვევა „დავოსის კულტურის“ მატარებელი ხალხის რაოდენობას), მისმა პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ ინგლისურენოვანმა გადაცემებმა, საბოლოოდ, შეიძლება ბაზრის მხოლო 2-4 პროცენტი შეადგინოს. მაშასადამე, რეგიონული (ე.ი. ცივილიზაციური) ტელეკომპანიები დაიწყებენ გადაცემებს ესპანურად, იაპონურად, არაბულად, ფრანგულად (დასავლეთ აფრიკისათვის) და სხვა ენებზე. „გლობალურ რედაქციას“, სამი მკვლევრის დასკვნით, „კვლავ ეწინააღმდეგება ბაბილონის გოდოლი“. რონალდ დორს მოყავს დიპლომატიურ წრეებსა და საზოგადო მოღვაწეებში გლობალური ინტელექტუალური

კულტურის გაჩენის შთამბეჭდავი მაგალითი, თუმცა საბოლოოდ მიდის ავტორიტეტულ დასკვნამდე, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციების ინტენსიფიკაციის გავლენასთან: „*როგორც წესი* [ხაზგასმა ავტორის], კომუნიკაციების შემჭიდროებამ და დახვეწამ უნდა უზრუნველყოს საფუძველი ურთიერთობათა დათბობისათვის ნაციებს შორის, სულ ცოტა — საშუალო კლასებს შორის, ან, თუნდაც, დიპლომატიურ წრეებში“, თუმცა, დასძენს იგი, „წესი ყოველთვის არ წესობს.“

ენა. ნებისმიერი კულტურისა თუ ცივილიზაციის მთავარი ელემენტი არის ენა და რელიგია. თუ უნივერსალური ცივილიზაცია იქმნება, მაშინ უნდა შეიმჩნეოდეს უნივერსალური ენისა და უნივერსალური რელიგიის შექმნის ტენდენციები. მსგავსი მოსაზრება ხშირად გვესმის ენასთან დაკავშირებით. „მსოფლიო ენას ინგლისური წარმოადგენს“, როგორც ეს „უოლ სტრიტ ჯორნალის“ რედაქტორმა განაცხადა. აქ შეიძლება ორი რამ ვიგულიხმოთ, რომელთაგან მხოლოდ ერთი თუ ამართლებს მოსაზრებას უნივერსალური ცივილიზაციის არსებობის თუ გაჩენის თაობაზე. შეიძლება, ეს ნიშნავდეს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მზარდი ნაწილი ლაპარაკობს ინგლისურად. არავითარი მტკიცებულება არ არსებობს ამ მოსაზრების სასარგებლოდ, და ყველაზე უფრო სანდო მონაცემები, რომელიც, მართალია, ვერ იქნება სულ ზუსტი, სრულიად საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. სამ ათწლეულზე უფრო ხანგრძლივი პერიოდის (1958-1992 წწ.) მონაცემები მეტყველებს, რომ ენის მოხმარების საერთო სურათი ბოლო წლებში მსოფლიოში კარდინალურად არ შეცვლილა, საგრძნობლად შემცირდა ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად და იაპონურად მოლაპარაკე ხალხის წილი, მცირე კლება შეიმჩნევა მანდარინის დიალექტზე მოლაპარაკე ხალხის საერთო წილისა, მატება — ინდურად, მალაი-ინდონეზიურად, არაბულად, ბენგალურად, ესპანურად, პორტუგალიურად და სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხისა. 1958 წელს საერთაშორისო ენებს შორის (რომელზეც, სულ ცოტა, 1 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს) ინგლისურად მოლაპარაკეთა პროცენტული მაჩვენებელი მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 9.8 პრეცენტს შეადგენდა, ხოლო 1992 წლისათვის მისი წილი 7.6 პროცენტამდე შემცირდა (იხ. ცხრილი 3.1).

წყარო: პროცენტული მონაცემები გამოთვლილია პროფ.სიდნი ს.ქიულბერტის (ქ.სიეტლის ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიის კათედრა) მიერ თავმოყრილი მასალის საფუძველზე. ყოველწლიური გამოცემა World Almanac and Book of Facts გვაწვდის მონაცემებს, თუ რამდენი ადამიანი საუბრობს ენებზე, რომლებზე მოლაპარაკეთა რიცხვი მილიონია ან მილიონს აჭარბებს. ქიულბერტის მონაცემებში შევიდა როგორც მშობლიურ, ასევე არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. მასალები შეგროვებულია მოსახლეობის აღწერების, შერჩევითი და საეთერო გამოკითხვების, ასევე მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლების და სკოლების მიხედვით.

ხუთ ძირითად ევროპულ ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, პორტუგალიური, ესპანური) მოლაპარაკეთა რაოდენობა, 1958 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის საერთო რაოდენობის 24.1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1992 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 20.8 პროცენტამდე იკლო. 1992 წელს, უხეშად რომ ვიანგარიშოთ, დაახლოებით ორჯერ მეტი ადამიანი ლაპარაკობდა ჩინურად (მსოფლიოს მოსახლეობის 15.2 პროცენტი), ვიდრე ინგლისურად, და დამატებით კიდევ 3.6 პროცენტი საუბრობდა ჩინურის სხვა ვერსიებზე (იხ. ცხრილი 3.2).

ერთის მხრივ, ენა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის 92 პროცენტისათვის უცხოა, ვერ იქნება მსოფლიო ენა. თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ, რადგან ეს არის ენა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ენობრივი ჯგუფებისა და კულტურების ხალხი იყენებს ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარებისათვის, ანუ ის რეალურად მსოფლიოს lingua franka-ა — ლინგვისტური ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ფართო საურთიერთობო ენას წარმოადგნეს. თუ ადამიანებს სურთ ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება, უნდა გამონახონ საამისო

საშუალება. გარკვეულ ეტაპზე მათ, შეიძლება, მიმართონ პროფესიონალებს, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ორ ან მეტ ენას თარჯიმნობისა და მთარგნელობითი საქმიანობისათვის. თუმცა ეს ფრიად მოუხერხებელია, მას დიდი დრო და ხარჯი სჭირდება. სწორედ ამის გამო, ისტორიის განმავლობაში ჩნდებოდა ლინგუა ფრანკ-ები: ლათინური ანტიკურ და შუა საუკუნეების სამყაროში, ფრანგული — დასავლეთში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ზვაჰილური — აფრიკის მრავალ კუთხეში, ინგლისური — მსოფლიოს უმრავლეს ადგილებში XX საუკუნის მეორე ნახევარში. დიპლომატებს, ბიზნესმენებს, მეცნიერებს, ტურისტებს და მათ მოსამსახურე პერსონალს, ასევე სამგზავრო თვითმფრინავის პილოტებს და საჰაერო დისპეტჩერებს სჭირდებათ მოსახერხებელი საშუალება ურთიერთობისათვის, რომელიც ამჟამად ინგლისურის მეშვეობით ხორციელდება.

ამ აზრით, ინგლისური მსოფლიოს კულტურათშორისი ურთიერთობის საშუალებაა, ისევე როგორც ქრისტიანული კალენდარი წარმოადგენს მსოფლიოსათვის დროის განსაზღვრის საშუალებას, არაბული რიცხვები — თვლის საშუალებას, მეტრული სისტემა კი — უმეტესი მსოფლიოსათვის — გაზომვის საფუძველს. ამ გაგებით, ინგლისური ენის გამოყენება ინტერკულტურული ურთიერთობის სფეროს მოიცავს; იგი ითვალისწინებს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურების არსებობას. lingua franka ენობრივი და კულტურული განსხვავებების დაძლევის, და არა მათი მოსპობის საშუალებაა. იგი ურთიერთობის ხერხია, და არა საკუთარი მეობისა და გარკვეული საზოგადოებისადმი კუთვნილების განსაზღვრის საშუალება. როდესაც იაპონელი ბანკირი და ინდონეზიელი ბიზნესმენი ერთმანეთს ინგლისურად ელაპარაკებიან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი გაინგლისელებული ან ვესტერნიზირებულია. იგივე შეიძლება ვთქვათ გერმანულად და ფრანგულად მოლაპარაკე შვეიცარიელებზე, რომლებიც ერთმანეთთან უფრო ინგლისურად ლაპარაკს ამჯობინებენ, ვიდრე რომელიმე მათ სახელმწიფო ენაზე. ასევე, ინდოეთში, ნერუს გეგმების საწინააღმდეგოდ, ინგლისურის, როგორც დამხმარე-საურთიერთობო ენის შენარჩუნება მიუთითებს ინდოეთში მცხოვრები არა-ჰინდის ენაზე მოლაპარაკე ხალხის სურვილზე, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და კულტურა, არამედ იმის საჭიროებაზე, რომ ინდოეთი მრავალენოვან საზოგადოებად დარჩეს.

როგორც წამყვანმა მკვლევარმა-ლინგვისტმა ჯოშუა ფიშმენმა აღნიშნა, უფრო სავარაუდოა, lingua franka-დ ანუ ფართო საურთიერთობო ენად (LWC) იქცეს ის ენა, რომელიც ნაკლებადაა გაიგივებული კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან, რელიგიასა თუ იდეოლოგიასთან. წარსულში ინგლისური ენა დაკავშირებული იყო ზემოთ ხსენებულ ფაქტორებთან. ბოლო დროს იგი „დეეთნიზებული (ან მინიმალურად ეთნიზებული)“ გახდა, როგორც ეს წარსულში აქადური, არამეული, ბერძნული თუ ლათინური ენების შემთხვევებში მოხდა. „ინგლისურს, როგორც დამხმარე (მეორად) ენას, კარგი ბედი დაჰყვა, რის დასტურიცაა ის ფაქტი, რომ არც ერთი მისი წყარო — არც ბრიტანული და არც ამერიკული, *დაახლოებით ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე,* არ განიხილება ფართოდ და აშკარად ეთნიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტში“ [ხაზგასმა ავტორის]. მაშასადამე, ინგლისური ენის გამოყენება კულტურათშორის ურთიერთობებში ხელს უწყობს და აძლიერებს კიდეც ცაკლეულ ხალხთა კულტურულ იდენტურობებს. სწორედ იმის გამო, რომ ხალხს სურს საკუთარი კულტურის შენარჩუნება, სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას იგი იყენებს ინგლისურ ენას.

მთელ მსოფლიოში ინგლისურად მოლაპარაკე ხალხი სხვადასხვანაირ ინგლისურზე საუბრობს. ინგლისური ავტოქტონიზებულია და იძენს ადგილობრივ შეფერილობას, რითიც შორდება ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს, უკიდურეს შემთხვევებში — იმდენადაც კი, რომ მათ უკვე აღარ ესმით ერთმანეთის, ისევე, როგორც ეს ჩინური ენის დიალექტების შემთხვევაში ხდება. ნიგერიული ინგლისური პიჯინი, ინდური ინგლისური და ინგლისურის სხვა ვარიანტები შერწყმულნი არიან თავიანთ მასპინძელ კულტურებს; სავარაუდოდ, მათი დიფერენცირების პროცესი მომავალში უფრო გაღრმავდება, ისე, რომ ისინი გადაიქცევიან

ინგლისურის მონათესავე, მაგრამ სხვა (ცალკე) ენებად, ისევე, როგორც ლათინურიდან აღმოცენდნენ რომანული ენები. თუმცა იტალიური, ფრანგული და ესპანური ენებისაგან განსხვავებით, ეს ინგლისურიდან ნაწარმოები ენები საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის მიერ იქნება გამოყენებული, ან კიდევ მათ გამოიყენებენ, უმთავრესად, ცალკეული ლინგვისტური ჯგუფების ურთიერთობებში.

სწორედ მსგავს პროცესებს შეიძლება მივადევნოთ თვალი ინდოეთში. მაგალითად, არაზუსტი ცნობებით, 1983 წელს იქ, 733 მილიონიან მოსახლეობაში, 18 მილიონი ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი ცხოვრობდა, ხოლო 1991 წლისათვის, 867 მილიონიანი მოსახლეობიდან 20 მილიონი მეტყველებდა ინგლისურად. მაშასადამე, ინდოეთის მოსახლეობაში ინგლისურად მოლაპარაკეთა წილი შედარებით მდგრადი იყო (2-4 პროცენტის ფარგლებში). ვიწრო ელიტური წრეების გარეთ ინგლისური ენა lingua franka-ს ფუნქციას არც ასრულებს. „სიმართლე ისაა, რომ როდესაც ვინმე კაშმირიდან კანიაკუმარისკენ (ინდოეთის ნახევარკუნძულის ყველაზე სამხრეთი წერტილი) მიემგზავრება, კავშირი, ძირითადად, ჰინდის, და არა ინგლისური ენის მეშვეობით ხორციელდება“, – აცხადებს ნიუ დელის უნივერსიტეტის ინგლისური ენის ორი პროფესორი. მეტიც, ინდური ინგლისური თავისთავად იძენს არაერთ გამორჩეულ მახასიათებელს: იგი ინდუიზებულ იქნა, უფრო ზუსტად კი მან, სივრცის ცვლილების კვალობაზე, ლოკალური თვისებები შეიძინა. ინგლისური ერწყმის ინდურ კულტურას ისევე, როგორც ეს წარსულში მოხდა სანსკრიტთან და სპარსულ ენასთან დაკავშირებით.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ენის გადანაწილება ასახავდა ძალების გადანაწილებას მსოფლიოში. ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ენები — ინგლისური, მანდარინი, ესპანური, ფრანგული, არაბული, რუსული – არიან ან იყვნენ იმპერიულ სახელმწიფოთა ენები, რომლებიც მონდომებით ცდილობდნენ იმას, რომ ამ ენაზე სხვა ხალხებიც ამეტყველებულიყვნენ. ცვლილებები ძალთა თანაფარდობაში გავლენას ახდენს ენების გამოყენებაზე. „ბრიტანეთის და ამერიკის კოლონიურმა, სავაჭრო, ინდუსტრიულმა, სამეცნიერო და ფინანსურმა ძალაუფლებამ საგრძნობი დაღი დაამჩნია უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას, სახელისუფლო მმართველობას, ვაჭრობასა და ტექნოლოგიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში“. ბრიტანეთი და საფრანგეთი მოითხოვდნენ მათი ენების გამოყენებას კოლონიებში. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილ კოლონიათა უმრავლესობა, გარკვეული აქტიურობითა და სხვადასხვა წარმატებით, შეეცადა იმპერიული ენის შეცვლას ადგილობრივი ენით. საბჭოთა კავშირის ზენიტში ყოფნის დროს რუსული ენა საერთაშორისო ენას წარმოადგენდა პრაღიდან მოყოლებული ჰანოიმდე. რუსეთის ძალაუფლების დამცრობის პარალელურად, აღინიშნა რუსულის, როგორც მეორადი ენის გამოყენების შემცირება. რაც შეეხება კულტურის სხვა ელემენტებს, მზარდ ზეწოლას თან სდევს როგორც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა თვითდაჯერებულობა, ისე სტიმული სხვებისათვის — აითვისონ იგი. ბერლინის კედლის დანგრევის შემდგომ თაბრუდამხვევ პერიოდში გერმანია მოიაზრებოდა ახალ გიგანტად, შეიმჩნეოდა ტენდენცია, რომ ინგლისურად სუფთად მოლაპარაკე გერმანელს საერთაშორისო შეხვედრებზე გერმანულად ელაპარაკა. იაპონიის ეკონომიკურმა ძლიერებამ სტიმული მისცა იაპონურის სწავლას არაიაპონელთა მიერ; ჩინეთის ეკონომიკური დაწინაურებაც იგივე ტენდენციებს განაპირობებს. ჩინური ენა აქტიურად იკავებს ინგლისურის დომინანტურ პოზიციას ჰონგ-კონგში. მიეცათ რა გასაქანი ჩინეთის საზღვარს გარეთ მცხოვრებ ჩინელებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინური გადაიქცა ენად, რომელზეც იწარმოება რეგიონის უმრავლესი საერთაშორისო ბიზნეს-გარიგებები. სხვა ცივილიზაციებთან შედარებით, დასავლეთის ზეგავლენის დაკარგვის თანადროულად, ინგლისურის და სხვა დასავლური ენების გამოყენება სხვა საზოგადოებებში და სხვადასხვა საზოგადოებათა შორის ურთიერთობებში ნელ-ნელა შესუსტდება. თუ გარკვეულ ეტაპზე, შორულ მომავალში, ჩინეთი ჩაენაცვლება დასავლეთს, როგორც მსოფლიოს წამყვან ცივილიზაციას, ინგლისური დათმობს პოზიციებს მანდარინის, როგორც საერთაშორისო ენის პირისპირ.

კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და მისი მოპოვების ფონზე, ადგილობრივი ენების ხელშეწყობა და იმპერიული ენების შევიწროება ნაციონალისტური ელიტებისათვის დასავლელი კოლონისტებისაგან საკუთარი თავის განსხვავებისა და საკუთარი იდენტურობის განსაზღვრის ერთი-ერთი ფორმა იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მეორეს მხრივ, ამ საზოგადოებათა ელიტებს სურდათ საკუთარი თავის განცალკევება საკუთარივე საზოგადოებებისაგან. ინგლისურის, ფრანგულის თუ სხვა დასავლური ენის სრულყოფილად ფლობა სწორედ ამის საშუალებას იძლეოდა. ამის შედეგია ის, რომ არადასავლურ საზოგადოებათა ელიტებს დასავლელებთან და ერთმანეთთან უფრო ეიოლებათ ურთიერთობა, ვიდრე საკუთარ საზოგადოებასთან (იგივე სიტუაცია იყო XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ქვეყნებში, რომელთა არისტოკრატებს ადვილად შეეძლოთ ფრანგულ ენაზე კონტაქტის დამყარება ერთმანეთთან, ხოლო საკუთარი ქვეყნის სალაპარაკო ენას ვერ ფლობდნენ). არადასავლურ საზოგადოებებში ორი სახის ტენდენცია შეიმჩვნევა. ერთი მხრივ, ინგლისური სულ უფრო და უფრო აქტიურად გამოიყენება საუნივერსიტეტო დონეზე, რათა გამოუშვან მომზადებული კადრები, რომლებიც შეძლებენ სავაჭრო და სამომხმარებლო (ბიზნესი...) სფეროში საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ნაყოფიერ მოღვაწეობას. მეორე მხრივ, სოციალური და პოლიტიკური ზეწოლა იწვევს ადგილობრივი ენების შემოსვლას საყოველთაო ხმარებაში. ჩრდილოეთ აფრიკაში არაბული ფრანგულ ენას ენაცვლება, პაკისტანში ურდუს ენა სახელმწიფო და საგანმანათლებლო დონეზე უწევს კონკურენციას ინგლისურს, ადგილობრივენოვანი მედიის საშუალებები თანდათანობით ენაცვლება ინგლისურენოვან მედიის საშუალებებს ინდოეთში. მოვლენების ასეთი განვითარება ჯერ კიდევ 1948 წელს იწინასწარმეტყველა ინდოეთის განათლების კომისიამ, როდესაც აცხადებდა, რომ „ინგლისურის გამოყენება... ხალხს ორ ნაწილად ყოფს: მცირერიცხოვან მმართველებად და მრავალრიცხოვან მართულებად. მმართველები არ ფლობენ უმრავლესობის ენას და, შესაბამისად, ვერ უგებენ მას. ორმოცი წლის შემდეგ ინგლისურის, როგორც ელიტის ენის მდგრადობამ გაამართლა წინასწარმეტყველება, რომ ეს გამოიწვევდა „არაბუნებრივი სიტუაციის შექმნას იქ არსებული დემოკრატიის პირობებში, რომელიც დამყარებულია სრულწლოვანთა საარჩევნო უფლებებზე... ინგლისურად მოლაპარაკე ინდოეთი და პოლიტიკურად აქტიური ინდოეთი სულ უფრო და უფრო შორდება ერთმანეთს“, ეს კი იწვევს „დაძაბულობას ინგლისურის მცოდნე მმართველ უმცირესობასა და დანარჩენ მრავალ მილიონს შორის, რომელიც შეირაღებულია საარჩევნო ხმის უფლებით და რომელიც არ ფლობს ინგლისურს. არადასავლურ საზოგადოებებში დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისა და ხელისუფლებაში იქაური ხალხის უფრო ფართოდ წარმოდგენის ფონზე, დასავლური ენების მოხმარება იკლებს, ხოლო ადგილობრივი ენები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

საბჭოთა იმპერიისა და ცივი ომის დასასრულმა დაჩაგრული თუ დავიწყებული ენების საყოველთაო გავრცელება და გამოცოცხლება გამოიწვია. მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკათა უმრავლესობაში ტრადიციული ენების ასაღორძინებლად. ესტონური, ლატვიური, ლიტვური, უკრაინული, ქართული და სომხური ამჟამად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნაციონალურ (სახელმწიფო) ენებს წარმოადგენენ. მსგავსი ენობრივი გამოცოცხლება მოხდა მუსლიმურ რესპუბლიკებში: აზერბაიჯანმა, ყირგიზეთმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა ყოფილი რუსი მჩაგვრელის „კირილიცას“ შრიფტი თავიანთი თურქი ნათესავების დასავლური შრიფტით შეცვალეს, სპარსულენოვანმა ტაჯიკეთმა კი არაბული ანბანი შემოიღო. მეორეს მხრივ, სერბები ამჯერად თავიანთ ენას უფრო სერბულს უწოდებენ ხოლმე, ვიდრე სერბულ-ხორვატულს და თავიანთი კათოლიკე მტრების დასავლური ანბანი რუსი ნათესავების ანბანით შეცვალეს. მათ მსგავსად, ხორვატებიც ამჟამად თავიანთ ენას ხორვატულს უწოდებენ და ცდილობენ გაწმინდონ იგი თურქული და სხვა უცხოენოვანი სიტყვებისაგან. ამ დროს კი „თურქულიდან და არაბულიდან ნასესხები სიტყვები — ბალკანეთზე თურქეთის იმპერიის 450 წლიანი არსებობის ენობრივი დანალექი — კვლავ პოპულარობას იძენს“ ბოსნიაში. ენა გადაეწყობა და გადასხვაფერდება

იმის მიხედვით, თუ როგორ ითხოვს ამას იდენტურობის საკითხი, ცივილიზაციური შეფერილობა. დიდი ძალების ნგრევის ნიადაგზე ღრმავდება ბაბილონიზაციის პროცესი.

რელიგია. უნივერსალური რელიგიის ჩამოყალიბების ალბათობის პროცენტი დიდად არ აღემატება უნივერსალური ენის ჩამოყალიბების შანსებს. მეოცე საუკუნის დასასრული აღინიშნა მთელს მსოფლიოში რელიგიათა საყოველთაო აღორძინებით. იგი მოიცავდა რელიგიური თვითშეგნების გაძლიერებას და ფუნდამენტალისტური მოძრაობების გააქტიურებას, რამაც, შესაბამისად, გააძლიერა რელიგიათა შორის განსხვავებანი. ეს მაიცნდამაინც არ გულისხმობდა მსოფლიოს მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების მკვეთრ ცვლას. კონფესიურ მიკუთვნებულობასთან დაკავშირებული მონაცემები კიდევ უფრო ფრაგმენტული და არასანდოა, ვიდრე ენებისა. 3.3 ცხრილში მოცემული მაჩვენებლები საყოველთაოდ ცნობილია. ეს და სხვა მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ამ საუკუნეში სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა ხვედრითი წილი მკვეთრად არ შეცვლილა. ყველაზე უფრო მასშტაბური იყო „არარელიგიურთა“ ან „ათეისტთა“ სახელის ქვეშ კლასიფიცირებული 0.2 პროცენტის (1900 წ.) გაზრდა 20.9 პროცენტამდე 1980 წლისათვის. სავარაუდოდ, ეს მაჩვენებელი ასახავდა მკვეთრ ცვლილებას რელიგიის საზიანოდ; 1980 წელს რელიგიური გამოღვიძება მხოლოდ იწყებდა ძალების მოკრებას. თუმცა არამორწმუნეთა 20.7 პროცენტამდე მატება ზუსტად ემთხვევა „ჩინური ხალხური რწმენა-წარმოდგენების (ტრადიციული რელიგიების)“ კლებას: 1900 წ. იგი 23.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1980 წელს ამ მაჩვენებელმა 4.5 პროცენტამდე დაიწია. ამ მაჩვენებელთა თანაბარი ზრდა და კლება იმაზე მიუთითებს, რომ კომუნიზმის მოსვლასთან ერთად ჩინური ხალხური რელიგიის მიმდევარი უზარმაზარი მასა ათეისტებად იქცა.

ცხრილი უჩვენებს გასული 80 წლის განმავლობაში ორი დიდი პროზელიტური რელიგიის, ქრისტიანობისა და ისლამის პროპორციების ზრდას მსოფლიო მოსახლეობაში. 1900 წელს დასავლეთ ქრისტიანები მსოფლიო მოსახლეობის 26.9 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო 1980 წელს — 30 პროცენტს. მულისმთა წილმა კიდევ უფრო საგრძნობლად მოიმატა: 1900 წლისათვის — 12.4 პროცენტი, 1980 წლისათვის — 16.5 პროცენტი, ხოლო სხვათა გამოთვლით, 1980 წლისათვის 18 პროცენტსაც კი გაუტოლდა. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაზარდა ისლამისა და ქრისტიანობის მიმდევართა რიცხვი აფრიკაში, ქრისტიანობას განსაკუთრებული წარმატებები ჰქონდა სამხრეთ კორეაში. სწრაფად მოდერნიზირებად საზოგადოებებში, თუ ტრადიციულ რწმენას არ ძალუძს ადაპტირება მოდერნიზაციის მოთხოვნებთან, იზრდება ქრისტიანობის ან ისლამის გავრცელების ალბათობა. ასეთ საზოგადოებებში ნეოკლასიკოსი ეკონომისტები, დემოკრატიის ჯვაროსნები ან ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელმძღვანელები დასავლური კულტურის მთავარ გმირებად კი არა, არამედ მისიონერებად არიან წარმოდგენილი. ქალაქში დასახლებულებისა და საშუალო განათლებამიღებულთა პირველი თაობის ფსიქოლოგიურ, ემოციურ, მორალურ თუ სოციალურ მოთხოვნილებებს ვერც ადამ სმიტი დააკამყოფილებს და ვერც თომას ჯეფერსონი; იესო ქრისტეს ამის უკეთესი შანსი აქვს, თუმცა იგი მათ, შეიძლება, საერთოდ არ შეხვდეთ. საბოლოოდ, გამარჯვებული მაინც მუჰამედი რჩება. ქრისტიანობა ვრცელდება, ძირითადად, ამ სარწმუნოებაზე მოქცევით, ისლამი — მოქცევითა და გამრავლებით. ქრისტიანობამ თავის პიკს 1980-იან წლებში მიაღწია (30 პროცენტი), ერთ ადგილზე გაჩერდა, ახლა კი უკვე კლებულობს, ხოლო 2025 წლისათვის, ალბათ, 25 პროცენტს მიუახლოვდება. გამრავლების მაღალი პროცენტის გამო, მსოფლიოში მუსლიმთა ხვედრითი წილი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, საუკუნეთა გასაყარზე 20 პროცენტამდეც კი ავა, რამდენიმე წლის შემდეგ ქრისტიანთა რაოდენობას გადააჭარბებს, ხოლო 2025 წლისათვის 30 პროცენტსაც გაუტოლდება.

უნივერსალური ცივილიზაცია: წყაროები

უნივერსალური ცივილიზაციის ცნება დასავლური ცივილიზაციის კუთვნილებაა. XIX საუკუნის იდეა „თეთრი კაცის საზრუნავის“ თაობაზე ამართლებდა არადასავლურ საზოგადოებებზე დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბატონობას. XX საუკუნის მიწურულს კი უნივერსალური ცივილიზაცია გამართლებას უძებნის სხვა საზოგადოებებზე დასავლეთის კულტურულ გავლენასა და მათ მიერ დასავლური წეს-ჩვეულებებისა და ინსტიტუტების უპირობოდ ათვისების აუცილებლობას. უნივერსალიზმი დასავლეთის იარაღია არადასავლურ კულტურებთან დაპირისპირებისათვის. როგორც ხშირად ხდება ხოლმე მარგინალური და რწმენაშეცვლილი ადამიანების შემთხვევაში, ერთიანი ცივილიზაციის იდეის ყველაზე დიდი დამცველები დასავლეთში განათლებამიღებული ხალხია, როგორიცაა ნაიპოლი და ფუად აჯამი, რომელთათვისაც ეს ცნება სავსებით დამაკმაყოფილებელი პასუხია მთავარ კითხვაზე: „ვინ ვარ მე?“ „თეთრი კაცის ნეგრი“ – ასე უწოდა ერთმა არაბმა მოაზროვნემ ასეთ მიგრანტებს. უნივერსალური ცივილიზაციის იდეა ნაკლებად იმსახურებს მოწონებას სხვა ცივილიზაციებში. არადასავლელი დასავლურს ხედავს იმაში, რასაც დასავლელი უნივერსალურად მიიჩნევს. რასაც დასავლელები ნაყოფიერ გლობალურ ინტეგრაციას უწოდებენენ (მაგალითად, მსოფლიო მედიის გავრცელება), არადასავლელები გმობენ, როგორც საძულველ დასავლურ იმპერიალიზმს. დასავლელები მსოლიოს მთლიანობაში აღიქვამენ, სხვები კი ამ მთლიანობაში საფრთხეს ხედავენ.

უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბების ვარაუდი ემყარება ერთ-ერთს სამი მოსაზრებიდან იმის შესახებ, თუ რატომ შეიძლება ეს მოხდეს: პირველი უკავშირდება I თავში განხილულ მოსაზრებას, რომ საბჭოთა კომუნიზმის კრახი მოასწავებდა ისტორიის დასასრულს და მთელ მსოფლიოში ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვებას. ეს არგუმენტი გამომდინარეობს ცივი ომის პერიოდის მცდარი წარმოდგენიდან იმის თაობაზე, რომ კომუნიზმის ერთადერთი ალტერნატივა ლიბერალური დემოკრატიაა და პირველის კვდომა მეორის გასაყოველთაოებას იწვევს. თუმცა, რა თქმა უნდა, ავტორიტარიზმი, ნაციონალიზმი, კორპორატიზმი და საბაზრო კომუნიზმი (როგორც ჩინეთშია) უამრავი ფორმითაა წარმოდგენილი დღევანდელ მსოფლიოში. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სამოქალაქო იდეოლოგიის სამყაროს მიღმა მისი უამრავი რელიგიური ალტერნატივა არსებობს. თანამედროვ სამყაროში რელიგია ხალხის ერთ-ერთი, შესაძლოა ერთადერთი მამოძრავებელი და მაკონსოლიდირებელი ძალაა. ნამდვილი ამპარტავნება იქნება იმის თქმა, რომ რადგან საბჭოთა კომუნიზმი დაეცა, დასავლეთმა მთელი მსოფლიო ხელში ჩაიგდო და რომ მუსლიმები, ჩინელები, ინდოელები და სხვები აღფრთოვანებით აიტაცებენ დასავლურ ლიბერალიზმს, როგორც ერთადერთ არჩევანს. სამყაროს ცივი ომის დროინდელი დაყოფა წარსულს ჩაბარდა. უფრო მნიშვნელოვანი – ეთნიკური, რელიგიური და ცივილიზაციური დაყოფა ჯერ კიდევ არსებობს და კონფლიქტის ახალ კერებს წარმოშობს.

მეორე: გავრცელებულია მოსაზრება, რომ ხალხთა გაცხოველებული ურთიერთქმედება (ძირითადად — ვაჭრობა, ინვესტიციები, ტურიზმი, მედია, ელექტრონული კავშირის საშუალებები) წარმოქმნის საერთო მსოფლიო კულტურას. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიურმა წინსვლამ მართლაც უფრო იოლი და იაფი გახადა ფულის მოძრაობა, ტვირთის გადაზიდვა, ადამიანების გადაადგილება, ცოდნის, იდეებისა და წარმოდგენების გავრცელება. ეჭვი არ არის, რომ არსებობს ინტენსიური საერთაშორისო მოძრაობა ამ სფეროებში, მაგრამ ეჭვს იწვევს ამ მოძრაობის შედეგები: ზრდის თუ ამცირებს იგი კონფლიქტის შესაძლებლობას? წარმოდგენა, თითქოს იგი ამცირებს ომის ალბათობას ხალხებს შორის, სულ მცირე, არ მტკიცდება, ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებს. საერთაშორისო ვაჭრობა გაფართოვდა 1960-იან და 1970-იან წლებში, ასევე ცივი ომის დასრულების შემდეგ ათწლეულში. მაგრამ 1913 წელს საერთაშორისო ვაჭრობის მასშტაბებს სარეკორდო მაჩვენებლები ჰქონდა, ხოლო რამოდენიმე წელიწადში ერები ერთმანეთს უმაგალითოდ უსწორდებოდნენ. თუ საერთაშორისო ვაჭრობას აღნიშნულ სიტუაციაში არ შეეძლო ომის

თავიდან აცილება, მაშ, როდის შეძლებს? ფაქტები არ მეტყველებს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობას უწყობს ხელს. 1990-იანი წლების შეფასება კიდევ უფრო მეტად აყენებს ეჭვქვეშ აღნიშნულ იდეას. ერთ-ერთი გამოკვლევაში ასკვნიან, რომ „აქტიური ვაჭრობა შეიძლება საკმაოდ ძლიერ გამთიშველ ძალად მოგვევლინოს საერთაშორისო პოლიტიკაში“, და რომ „აქტიური საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები, თავისთავად, ვერ მოხსნის საერთაშორისო დაძაბულობას, ვერ უზრუნველყოფს სერიოზულ საერთაშორისო სტაბილურობას“. მეორე ნაშრომი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაღალი დონე „შეიძლება იყოს მშვიდობის დამამყარებელი *ან* ომის გამჩაღებელი, რაც დამოკიდებულია მომავალი ვაჭრობის პერსპექტივებზე.“ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ხელს უწყობს მშვიდობას მხოლოდ მაშინ, „როდესაც სახელმწიფოები მოელიან სავაჭრო ურთიერთობების მაღალი დონის შენარჩუნებას უახლოეს მომავალში“. თუ სახელმწიფოები არ ელიან თანამშრომლობის (ურთიერთდამოკიდებულებების) პერსპექტივას, შედეგად, სავარაუდოდ, ომს ვიღებთ.

ვაჭრობისა და კომუნიკაციების უძლურება — უზრუნველყონ მშვიდობა და თანხმობა — შეესაბამება სოციალურ მეცნიერებათა სფეროში გამოკვლევების შედეგებს. სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებული განსხვავებულობის თეორიის მიხედვით, ხალხი საკუთარ თავს განსაზღვრავს სწორედ იმით, რითაც განირჩევა სხვისგან კონკრეტულ კონტექსტში: „ადამიანი განიხილავს თავს იმ მახასიათებლებით, რომლებიც განარჩევს ერთს მეორე ადამიანისაგან, განსაკუთრებით, თავისივე ჩვეულ სოციალურ გარემოში... ათობით სხვა პროფესიის მქონე ქალთა საზოგადოებაში ქალი-ფსიქოლოგი თავის თავს განსაზღვრავს, როგორც ფსიქოლოგი, ხოლო ათობით მამაკაცი-ფსიქოლოგის გარემოცვაში — როგორც ქალი“. ადამიანები განსაზღვრავენ თავიანთ მეობას იმის მეშვეობით, რაც არ არიან. ვინაიდან ინტენსიური კავშირის საშუალებების, ვაჭრობისა და მოგზაურობების შედეგად ცივილიზაციათაშორისი ურთიერთქმედება გაათმაგებულია, ხალხი უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ ცივილიზაციურ იდენტურობას. ორი ევროპელი – გერმანელი და ფრანგი, ურთიერთობისას ერთმანეთს განარჩევენ, როგორც ფრანგს და გერმანელს. ხოლო ორი ევროპელი – გერმანელი და ფრანგი, და ორი არაბი – საუდელი და ეგვიპტელი, ერთმანეთში ურთიერთობისას თავიათ თავს განსაზღვრავენ ევროპელებად და არაბებად. ჩრდილოაფრიკელთა იმიგრაცია საფრანგეთში ფრანგებს შორის არაკეთილგანწყობას იწვევს, ამავე დროს, ამაღლებს ევროპელ კათოლიკე პოლონელ ემიგრანტთა მიმღეობის ხარისხს. ამერიკელები იაპონურ ინვესტიციებს გაცილებით უარყოფითად ხვდებიან, ვიდრე მსგავსი მასშტაბის კანადურ და ევროპულ ინვესტიციებს (რომლებიც მასშტაბით პირველს აღემატება). სწორედ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა დონალდ ჰოროვიცი: „ნიგერიის აღმოსავლეთში იბო შეიძლება იყოს... იბო ოვერი ან იბო ონიტშა. ლაგოსში იგი, უბრალოდ, იბოა. ლონდონში ის ნიგერიელია, ნიუ-იორკში – აფრიკელი.“ სოციოლოგიის კუთხით, გლობალიზაციის თეორია მსგავს დასკვნას გვთავაზობს: „სწრაფად გლობალიზებად მსოფლიოში, რომელიც ხასიათდება ისტორიულად უპრეცენდენტო ცივილიზაციური, საზოგადოებრივი თუ სხვა სახის ურთიერთდამოკიდებულებით და მისი საყოველთაო გააზრებით, შეიმჩნევა ცივილიზაციური, საზოგადოებრივი და ეთნიკური თვითშეგნების გამწვავება.“ რელიგიათა გლობალური აღორძინება“, „სიწმინდესთან დაბრუნება“ წარმოადგენს პასუხს სამყაროს, როგორც მთლიანობის გააზრებაზე.

თემა V. მოდერნიზაცია და გლობალიზაცია

საკითხის შესაწავლისათვის აუცილებელია ცნება გლობალიზაციის წარმოშობის და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული დეფინიციების განხილვა. ამის შემდგომ უნდა მოხდეს გლობალიზაციის, როგორც პროცესის განვითარების გაანალიზება. ყურადღება უნდა მიექცეს

იმას, რომ თავდაპირველად ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებულმა პროცესმა შემდგომ ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა დონეზე მეტ-ნაკლებად შეაღწია (ზოგადად იგულისხმება სამი დონე: ეკონომიკა, პოლიტიკა და კულტურა). გლობალიზაციის კულტურულ დონეზე გაშლამ განსხვავებულ საზოგადოებებში გამოიწვია უაღრესად საინტერესო და ურთიერთსაპირისპირო პროცესების წარმოშობა. საკითხის დასმის ძირითადი მიზანი სწორედ გლობალური პროცესებიდან მომდინარე წინააღმდეგობების განსაზღვრა და წარმოდგენაა.

XX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო პერიოდია, იგი გამოირჩევა დიდი ძვრებითა და მსოფლიო წესრიგის სწრაფი ცვალებადობით. საინტერესოა, რომ XX საუკუნე მოესწრო ტიპურ ფეოდალურ იმპერიებს, მათ რღვევასა და ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, მსოფლიო მნიშვნელობის რამდენიმე რევოლუციას, ორ მსოფლიო ომს, რომლებმაც სამყაროს შემდგომ განვითარებასა და სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

ესა თუ ის ეპოქა, სხვა მახასიათებლებთან ერთად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მსოფლწესრიგის ნიშნითაც. განსხვავება არის არა მარტო გეოგრაფიულ საზღვრებში (მაგალითად, პორტუგალიის მსოფლიო ბატონობა შეცვალა ესპანეთის ბატონობამ), არამედ სახელმწიფოთა დაჯგუფების ხასიათშიც. თუ ცნობილ პოლიტოლოგ ს.ჰანთინგტონს დავესესხებით, მსოფლიო ისტორია იცნობს შემდეგი სახის დაპირისპირებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოს სახესა და საზღვართა გავლების პრინციპს: იყო პერიოდი, როცა საზღვრები გადიოდა იმ ტერიტორიათა შორის, რომელსაც ესა თუ ის მმართველი ფლობდა, მთავარ როლს ასრულებდა წინააღმდეგობა მმართველებს შორის, ანუ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დომინანტი მმართველის ნება იყო. ამან ჩამოაყალიბა ერი-სახელმწიფოები. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ საზღვრები სწორედ ამა თუ იმ ერის განსახლების არეალს მიჰყვებოდა. კონფლიქტები და დაპირისპირებაც ერებს შორის მიმდინარეობდა, ანუ დომინანტი იყო ერი-სახელმწიფო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საზღვართა გავლება იდეოლოგიურმა კუთვნილებამ განსაზღვრა, ერები გაერთიანდნენ იდეოლოგიის ნიშნით, მსოფლწესრიგის დომინანტიც იდეოლოგია გახდა. სამყარო დაიყო ორ ნაწილად. ერთ მხარეს იყო ნაციონალ-სოციალისტური სამყარო, რომელიც წარმოდგენილი გახლდათ, ძირითადად, იტალიისა და გერმანიის სახით, დანარჩენი მსოფლიო კი მოიცავდა ორ იდეოლოგიურ ბანაკს — ლიბერალურსა და კომუნისტურს. საერთო მტრის არსებობამ ისინი გააერთიანა, მაგრამ არა იდეოლოგიური, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან აუცილებელი იყო ნაციზმის დამარცხება. მისი განადგურების შემდეგ საზღვარი გაივლო ლიბერალურ დემოკრატიასა და კომუნიზმს შორის. მას „რკინის ფარდა“ ეწოდა, ხოლო დაპირისპირებას — „ცივი ომი“. კომუნიზმის მარცხმა ეს საზღვარიც მოშალა. მსოფლიო, ამ თვალსაზრისით, ერთიან სივრცედ გარდაიქმნა.

„ცივი ომის“, როგორც მსოფლწესრიგის გაქრობამ და კომუნიზმის ისტორიად ქცევამ წარმოშვა უამრავი განსხვავებული მოსაზრება მომავალი მსოფლწესრიგის შესახებ: მაგალითად, ფრენსის ფუკუიამა თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ კაცობრიობამ შეაბიჯა განვითარების ახალ ფაზაში, რომელსაც, შეიძლება, „ისტორიის დასასრული“ ეწოდოს, რადგან კაცობრიობის ერთმა დიდმა ნაწილმა მიაღწია ევოლუციური განვითარების უმაღლეს საფეხურს და შექმნა ადამიანის ბუნებისა და მოთხოვნილებებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი, მისაღები საზოგადოებრივი ორგანიზაცია — ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობა. ფ.ფუკუიამა არ გამორიცხავდა, რომ იგი იქცეოდა კაცობრიობის ორგანიზაციის უკანასაკნელ და უცვლელ ფორმად. რამდენადაც ფ.ფუკუიამასათვის ისტორია არის ერთიანი ევოლუციური პროცესი ყველა ხალხისა და ყოველი დროის ერთობლიობაში, ამდენად, იგი მიიჩნევს, რომ ერების, კულტურების უმრავლესობა საბოლოოდ აღიარებს დემოკრატიას, როგორც მმართველობის ერთადერთ ლეგიტიმურ ფორმას. ამ ნიადაგზე შეიქმნება „პოსტისტორიული სამყარო“.

მეორე საინტერესო მოსაზრებაა ისტორიის „ცივილიზაციური ხედვა“. ამ მიდგომის წარმომადგენლის ს.ჰანთინგტონის აზრით, კაცობრიობის გამყოფი უმნიშვნელოვანესი საზღვრები კულტურული ნიშნით იქნება განპირობებული. მოხდება მსგავსი კულტურის მქონე ერ-სახელმწიფოთა დაახლოება. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოოდ კულტურის დომინანტობა შენიშნა თავად ფ.ფუკუიამამაც. მისი თქმით, ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე მთავარი დაბრკოლების სახით წინ მოიწევს კულტურა.

დღეისათვის კულტურას, როგორც საზოგადოებათა გამიჯვნის საფუძველს, ყველაზე დიდი დატვირთვა ენიჭება.

უკანასკნელ ხანებში ფართო ინტერესის საგანია მსოფლიოს „გლობალიზაციის“ პრობლემა. ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ, თუ რას ნიშნავს „გლობალიზაცია“, საიდან იღებს სათავეს და რა არის მისი წარმოშობის საფუძველი, განვითარების რა კანონზომიერებებს ექვემდებარება, საით მიემართება, საით მიჰყავს სამყარო?

ცივი ომის დასრულებითა და საბჭოთა იმპერიის დაშლით საქართველო ჩაება მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესში, რომელიც საბჭოეთის დაშლამდე განვითარების გარკვეულ ეტაპზე ავიდა. სრულ დამოუკიდებლობას საქართველომ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ხანმოკლე პერიოდებს, როგორიც იყო მაგ. გიორგი ბრწყინვალეს პერიოდი, თითქმის ათი საუკუნეა ვერ მიაღწია, ხოლო უკანასკნელი სამასი წლის განმავლობაში საქართვლო რუსეთის იზოლაციის ქვეშ იმყოფება. საქართველომ რუსული კარჩაკეტილობა დაძლია და ცდილობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ჩაერთოს როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი. მოდერნიზაცია იქცა განვითარების მიმართულებად, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კულტურამ სხვადასხვა-გვარად აღიქვა და, აქედან გამომდინარე, სხვადსახვაგვარი რეაქცია ჰქონდა. მოდერნიზაცია თანამედროვეობის გამოწვევაა; ზოგიერთი არადასავლური ქვეყნისათვის მოდერნიზაცია იგივდება ვესტერნიზაცია-ამერიკანიზაციასთან, ანუ ისინი მიიჩნევენ, რომ თუკი საზო-გადოებას სურს მოდერნიზაციის პროცესში ჩართვა, აუცილებელი და გარდაუვალია დასავ-ლური, კონკრეტულად, ამერიკული კულტურით საკუთარი კულტურის ჩანაცვლება, ანუ გარდაუვალია ამერიკანიზაცია. ეს უკანასკნელი კი ორიგინალური კულტურების წარმომად-გენელთათვის მიუღებელია; ამან ხელი შეუწყო საკუთარი კულტურისაკენ მიბრუნებას, ანუ ლოკალიზაციას. ზოგიერთი კულტურისათვის კი, მოდერნიზაცია ანუ გათანამედროვეობა ამერიკანიზაციის გარეშეც მისაღწევია; და კიდევ მესამე — გლობალიზაციის პროცესში მოდერნიზაციის მიღწევა შესაძლებელია სრულიად უმტკივნეულოდ, ორი კულტურის ელემენტთა შერევით.

ამ პროცესებიდან საქართველო საგრძნობლად დაშორებული იყო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გლობალიზაციის პროცესი მანამ, სანამ საქართველო საბჭოთა სივრცეში იყო ჩაკეტილი, განვითარების გარკვეულ ეტაპზე ავიდა, აქედან გამომდინარე, დაგროვდა ამ პროცესიდან მომდინარე გამოწვევების წინააღმდეგ პასუხის გაცემის არაერთგვაროვანი გამოცდილება. ამიტომ საინტერესოა, თუ რომელი სახის პასუხია საქართველოსათვის უფრო მისაღები, რა პრობლემებზე და ნიუანსებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება გლობალიზაციის ეპოქაში.

„გლობალიზაციის მახიდან არ არსებობს ეროვნული გამოსავალი, მაგრამ არსებობს ტრანსნაციონალური გამოსავალი“. რეგიონალიზაცია არის საშუალება ტრანსნაციონალური ზესახელმწიფოებრივი ორგანიზმების შექმნისა; ზესახელმწიფოებრივი ორგანიზმების შექმნის მიზეზი და მიზანი პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან მომდინარეობს, მაგრამ საშუალება არის კულტურული ურთიერთმსგავსება; დღეისათვის მსოფლიოში ზესახელ-მწიფოებრივ ორგანიზმში ინტეგრაცია მოახერხეს ევროპის ქვეყნებმა; ევროპა არის არა მხოლოდ გეოგრაფიული განზომილება, არამედ ზესახელმწიფოებრივი საზოგადოება; მისი ერთიანობის საფუძველია დემოკრატია; ანუ ევროკავშირში აღმოჩნდნენ და შესვლის უფლება ეძლევათ იმ ქვეყნებს, რომლებიც იღვწიან საკუთარ საზოგადოებაში დემოკრატიულობის

ხარისხის გაზრდისათვის, ანუ ევროკავშირი წარმოადგენს მოდერნიზაციის შედეგს, რადგან მოდერნიზაცია გულისხმობს საზოგადოების განვითარებას დემოკრატიული ნიშნებით. საქართველოს განვითარების გეზი ამ მიმართულებით აქვს აღებული და ცდილობს გლობალიზაციის გამოწვევას პასუხი ევროკავშირში ინტეგრაციით გასცეს. შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს მაგალითზე საზოგადოების მოდერნიზაცია ემთხვევა გლობალიზაციის პროცესს.

იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაცია, აუცილებელია საზოგადოების მოდერნიზება და დემოკრატიზაცია. გეოპოლიტიკური მდებარეობა იძლევა საქართველოს გლობალურ პროცესებში ჩართვის საშუალებას; არსებობს ეკონომიკური და პოლიტიკური პროექტები, რომელშიც მას თავისი ფუნქცია აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოუწევს გლობალურ კულტურასთან შეხება, რადგან თანამედროვე ეტაპზე პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ურთიერთგანპირობებულობის ხარისხი საკმაოდ გაიზარდა.

მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესი არადასავლურ ტრადიციულ ქვეყნებში პირველივე დარტყმას კულტურას აყენებს; მათთვის დემოკრატიზაციის პროცესი კულტურის ტრანსფორმაციასა და შეცვლასთან არის პირდაპირ კავშირში. ამის გამო უმრავლესი არადასავლური ქვეყნის რეაქცია საკმაოდ მძაფრია; როდესაც საუბარს იწყებენ დემოკრატიაზე, ადამიანის თავისუფლებასა და უფლებებზე, მათ მიღებაზე საკუთარ საზოგადოებაში, ამოსავალი წერტილი კულტურაა.

ამდენად, მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ წამოჭრილი პრობლემის კვლევა ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რადგან თანამედროვე ეტაპზე კულტურის როლი საკმაოდ იზრდება. იუნესკოს პროგრამის — „მსოფლიო კულტურული პროექტი“ — დირექტორის დ.პ.შაფერის სტატიაში „ახალი მსოფლიო სისტემისაკენ კულტურული პერსპექტივის თვალსაზრისით“ ნათქვამია, რომ მსოფლიო მიიწევს ეკონომიკური საუკუნიდან კულტურული საუკუნისაკენ. ნათელი გახდა, რომ განვითარების პრობლემათა გადაწყვეტა შეუძლებელია კულტურის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. სხვაგვარად მსოფლიოს მოწყობის ნებისმიერი პროექტი განწირულია წარუმატებლობისათვის. დ.შაფერის აზრით, ახალი მსოფლიო სისტემის აგების საფუძველია კულტურული თეორიული ტრადიციის გათვალისწინება, კულტურისადმი ჰოლისტური მიდგომა, ისტორიის კულტურული ინტერპრეტაციის გააზრება, ყველაზე მდგრადი კულტურული ფასეულობების განმტკიცება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსოფლიო შევიდა განვითარების იმ სტადიაში, რომელსაც ბევრი მკვლევარი განსაზღვრავს როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახებას.

როგორც ვხედავთ, და რასაც ქვემოთ წარმოდგენილი კვლევა უფრო თვალნათელს გახდის, თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურას. მოსაზრებები და თეორიები კულტურის გლობალიზაციის შესახებ ისეთივე სწარფი ტემპით იცვლება და ვითარდება, როგორც თავად პროცესი. იმისათვის, რომ საქართველომ, როგორც ერთ-ერეთმა მცირე კულტურამ, მოახეროს თანამედროვე პროცესებისათვის ფეხის აწყობა და არ ჩამორჩეს მას, აუცილებლად მიმაჩნია პროცესის გაანალიზების, ახალი თეორიებისდმი ყურადღების მუდმივი მიქცევა. საკითხისადმი მიდგომის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ყველა მედალს ორი მხარე გააჩნია. ჩვენი აზრით, არ შეიძლება გლობალიზაციის პროცესის ცალსახად დადებითად ან უარყოფითად შეფასება. ეს პროცესი შეიცავს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ თვისებებსაც. ერთის მხრივ აცხადებენ, რომ გლობალიზაცია მიმართულია გაერთგვაროვნებისაკენ და ცხოვრების წესის სტანდარტიზაციისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს კულტურათა ორიგინალობის გაქრობას. მეორეს მხრივ, არსებობენ საზოგადოებები, რომელთათვისაც გლობალიზაცია წარმოადგენს განვითარებისა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრების კარგ საშუალებას, ძირითადად ეს ეხებათ მცირე კულტურებს. ამდენად, აუცილებელია განხილულ იქნეს სხვადსხვა საზოგადოების დამოკიდებულება და რეაქცია გლობალიზაციისადმი, რადგან იგი ხელს შეგვიწყობს უკეთ

გავაანალიზოთ პროცესის არსი, შეძლებისდაგვარად მკვეთრად გამოვყოთ საქართველოსათვის თუ რა შეიძლება აღმოჩნდეს დადებითი და რა უარყოფითი, რადგან ის რაც მისაღებია ერთისათვის, მიუღებელია მეორესთვის. სხვათა გამოცდილების გაანალიზება და შესწავლა საშუალებას მოგვცემს ჩამოყალიბოთ გლობალიზაციისადმი საკუთარი მიდგომა. ეს აუცილებელია, რადგან ჩვენ პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი სწორედ მთავარი გლობალიზატორის, თუ შეძლება ასე ითქვას, დასავლეთისაკენ გვაქვს აღებული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ „მაცივარს მოჰყვება ჰაქსლიც“, ანუ პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის დაშორება შეუძლებელია, არ შეიძლება პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირს არ მოყვეს ურთიერთობა კულტურის დონეზე. ამ მხრივ საკითხს ართულებს ის, რომ ერთის შეხედვით ერთიან დასავლეთში საკმაოდ დიდი და რთული წინააღმდეგობები გაჩნდა დასავლეთ ევროპასა და ამერიკას შორის, როგორც იკვეთება კულტურის დონეზე მათ შორისაც საკმაოდ დიდი განსხვავება ყოფილა, რადგან ევროპის ზოგიერთი ქვეყნისათვის მიუღებელი აღმოჩნდა გლობალიზაციის პროცესში ამერიკიდან იმპორტირებული კულტურა. კვლევის აქტუალობას ესეც ამტკიცებს, რადგან პოლიტიკის დონეზე განცხადება ჩვენი დასავლური ორიენტაციის შესახებ გასაგები და მისაღებია, მაგრამ მეორე მხრივ, თუკი ჩვენ შევხედავთ ამას მეცნიერული თვალით, გაურკვეველია რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია — კარი გავუღოთ ყველაფერს რაც მოდის მთლიანად დასავლეთიდან, ანუ აშშ-დან და ევროპიდან და მივიღოთ იგი, თუ უნდა განვასხვავოთ ამერიკული და ევროპული.

როგორც ვხედავთ, პრობლემა მცირე კულტურებისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, საკმაოდ ბევრ საინტერესო და აქტუალურ საკითხებს მოიცავს. შევეცადოთ განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს „გლობალიზაცია“, საიდან იღებს სათავეს და რა არის მისი წარმოშობის საფუძველი, განვითარების რა კანონზომიერებებს ექვემდებარება, საით მიემართება, საით მიყავს სამყარო?

დავიწყოთ იმით, რომ „ერი-სახელმწიფო აღარ იქნება ეფექტური ძალა: იგი ძალიან პატარაა დიდი პრობლემისათვის და ძალიან დიდი — პატარა პრობლემებისათვის“ (არტურ შლეიზინგერი; ამერიკელი ისტორიკოსი). ეს არის ფორმულა, რომელიც კარგად მიესადაგებოდა “ცივი ომის“ შემდგომ, გარდამავალ პერიოდში მყოფ მსოფლიოს, რადგან აშკარა იყო, რომ იდეოლოგიათა კონფლიქტის ეპოქის დასრულების შემდეგ წარმოუდგენელი იქნებოდა ერი-სახელმწიფოს ქცევა (თუ დაბრუნება) მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელად; მაგრამ სრულიად გაურკვეველი რჩებოდა ის, თუ რას ან ვის უნდა დაეკავებინა მისი ადგილი. თუკი დავაკვირდებით ამ პერიოდის სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ სტატიებს, დავინახავთ, რომ შესავალ სიტყვებში ასეთი გამოთქმები ფიგურირებს: „მსოფლიო გაგიჟდა“, „ეს ფანტასტიკური მსოფლიოა“, „კაცობრიობამ განვითარების ახალ ფაზაში შეაბიჯა“. სწავლულები თითქოს, შეშინებულნი, უფრო კი გაოცებულნი არიან.

შემოთავაზებულ იქნა უამრავი და სხვადასხვაგვარი თეორია მომავალი მსოფლიო წესრიგის შესახებ: ისტორიის დასასრული, ცივილიზაციათა შეჯახება, მარქსიზმის აღორძინება. ერთ-ერთმა მათგანმა მსოფლიოში მიმდინარე პროცესს გლობალიზაცია უწოდა. ეს მოხდა 1983 წელს. ამერიკელმა მეცნიერმა ტ.ლევიტმა ამ ტერმინით ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების გაერთიანება დაახასიათა. მანამდე არსებობდა მონდიალიზმის ანუ გლობალიზმის ცნება, რომელიც 70-იანი წლებიდან პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის მთელს პლანეტაზე გავრცელებას ახასიათებდა. ამის შემდეგ ტერმინმა უფრო ღრმა შინაარსი შეიძინა და იქცა ცნებად, რომელიც მსოფლიოში არსებულ პროცესს გამოხატავს. თავად პროცესის განსაზღვრება იმდენივეა, რამდენი მოაზროვნეც შეეხო მას.

ჩვენც, ჩვენის მხრივ, არ ჩამოვრჩებით მოაზროვნეთა დიდ ლაშქარს და ვეცდებით მისი შინაარსის განსაზღვრას სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ დეფინიციებზე დაყრდნობით.

თავად ცნება „გლობალიზაცია“ მოდის სიტყვიდან გლობალ, რაც ფრანგულად საყოველთაოს, მთლიანს, საერთოს ნიშნავს, აქედან, ცნებაც, ადვილი მისახვედრია, „გასაყოველთაოებას“ აღნიშნავს.

ახლა ორიოდ სიტყვა იმაზე, თუ რის „გასაყოველთაოებაზეა“ საუბარი. მართალია, ცნებას თავდაპირველად მხოლოდ ეკონომიკური დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ დღეს იგი უკვე, ფაქტობრივად, ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. როდესაც ვამბობთ ყველაფერს, ვგულისხმობთ დონეებს: ეკონომიკურს, პოლიტიკურსა და კულტურულ-რელიგიურს.

ყველაზე ზოგადად, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც მსოფლიოს დავიწროებას ახდენს. დედამიწას „პატარა დიდი სოფელი“ შეიძლება ეწოდოს. ეს არის ერთიანი „მსოფლიო საზოგადოება“. ამ სიტყვათწყობაში თუ სიტყვათშეთანხმებაში გერმანელი ფილოსოფოსი უ.ბეკი სიტყვა „მსოფლიოს“ განსხვავებულობის, მრავალფეროვნების მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო „საზოგადოებას“ — არაინტეგრირებულობის. ამიტომ, გამოდის, რომ მსოფლიო საზოგადოება არის ერთიანობის გარეშე არსებული მრავალფეროვნება. უ.ბეკი განასხვავებს გლობალიზმს, გლობალურობასა და გლობალიზაციას. აღნიშნული განსხვავების მიზანია დაამსხვრიოს პოლიტიკურისა და საზოგადოებრივის ტერიტორიული ორთოდოქსულობა, რომელიც პირველი მოდერნის პროექტში ჩამოყალიბდა, დაუკავშირდა ეროვნულ სახელმწიფოს და მიიღო კატეგორიალურ-ინსტიტუციური აბსოლუტის სტატუსი.

გლობალიზმი — ეს არის მსოფლიო ბაზრის ბატონობის გაგება. მას გლობალიზაციის მრავალმხრივობა (პოლიტიკური, კულტურული, ეკოლოგიური და სხვა) დაყავს მხოლოდ სამეურნეო განზომილებამდე და სხვა დანარჩენს მხოლოდ მის დაქვემდებარებაში წარმოადგენს. გლობალიზმი იძლევა იმის საშუალებას, რომ, შეიძლება მაგალითად, გერმანია, მართო უბრალო საწარმოსავით.

რამდენადაც „მსოფლიო“ და სიტყვათშეთანხმება „მსოფლიო საზოგადოება“ აღნიშნავს განსხვავებებს, მრავალფეროვნებას, ხოლო „საზოგადოება“ — არაინტეგრირებულეობას, ამიტომ მსოფლიო საზოგადოების ცნების ქვეშ შესაძლოა ვიგულისხმოთ ერთიანობის გარეშე მრავალფეროვნება.

მსოფლიო საზოგადოება წარმოადგენს არა მეგასაზოგადოებას, რომელიც თავის თავში აერთიანებს და აქრობს ყველა ნაციონალურ საზოგადოებას, არამედ მრავალფეროვნებით გამორჩეულ და ინტეგრაციას დაუქვემდებარებელ მსოფლიო ჰორიზონტს, რომელიც იღება მაშინვე, როცა ის იქმნება და, ამასთან, ინარჩუნებს კომუნიკაციისა და მოქმედების თავისუფლებას.

ახალია არა მარტო ყოველდღიური ცხოვრება და ქმედებანი, რომლებიც გასცდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საზღვრებს და ქვეყნები ურთიერთდამოკიდებულებების ქსელით დაფარეს, არამედ ისიც, რომ აღარ არსებობს საზოგადოების, შრომისა და კაპიტალის გარკვეულ ადგილზე მიჯაჭვულობა.

გლობალიზაციაში არ იგულისხმება მსოფლიო სახელმწიფოს არსებობა; უფრო ზუსტად: ესაა მსოფლიო საზოგადოება მსოფლიო სახელმწიფოსა და მსოფლიო მთავრობის გარეშე. ლაპარაკია გლობალურად დეზორგანიზებული კაპიტალიზმის გაფართოებაზე, ვინაიდან არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით, არ არსებობს ჰეგემონი ხელისუფლება და ინტერნაციონალური რეჟიმი.

ერთი სიტყვით, გლობალური ნიშნავს ერთიან სივრცეს, მას უფრო გეოგრაფიული დატვირთვა ენიჭება. გლობალიზმი არის ამ სივრცეში მსოფლიო ბაზრის გაბატონების გამომხატველი ცნება. რაც შეეხება გლობალიზაციას, ეს არის პროცესი, ანუ ის, რაც გლობალიზმით გაჯერებულ გლობალურ მსოფლიოში ხდება და მიმდინარეობს, ანუ გლობალიზაცია არის ცოცხალი, დინამიური და მიმდინარე პროცესი, რომელმაც მსოფლიო ახალ წესრიგამდე უნდა მიიყვანოს.

შესაძლოა, დღესდღეისობით, გლობალიზაცია თავად წარმოადგენს მსოფლიო წესრიგს, რადგან უახლოეს მომავალში სწორედ მისგან მომდინარე გამოწვევებზე მოუწევს საზოგადოებებს პასუხის გაცემა.

გლობალიზაციის შესახებ შექმნილი თეორიები ისეთივე სწრაფი ტემპით ვითარდება, როგორც თავად პროცესი. თუკი თქვენ გახსნით ამ პროცესის ერთ-ერთ დამახასიათებელ

საშუალებას — ინტერნეტს — და საძიებელში ჩაწერთ სიტყვას „გლობალიზაცია“, თქვენს თვალწინ გაიხსნება საშუალოდ 4 მლნ ვებ-გვერდი.

გლობალიზაცია დამყარებულია ადამიანთა ურთიერთობაზე, უფრო სწორად, სხვადასხვა საზოგადოებათა ურთიერთობაზე. ესე იგი, როცა საუბარია გლობალიზაციაზე, იგულისხმება ამ თუ იმ საზოგადოების ღირებულებათა გასაყოველთაოება. ხოლო საზოგადოებამ თავისი ღირებულებები საყოველთაოდ რომ აქციოს, საჭიროა იგი სხვა საზოგადოებებს გააცნოს და გაუთავისოს, რისთვისაც საჭიროა კონტაქტი. ესე იგი, ლოგიკურად მივედით დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის პირველი აუცილებელი პირობა სხვადასხვა საზოგადოების, სხვადასხავა კულტურული ერთობის ურთიერთობაა.

იმისათვის, რომ მსჯელობა განვაგრძოთ, საჭიროა გლობალიზაციის სათავე რომელიმე ისტორიულ ეპოქას დავუკავშიროთ. ამ მხრივ მეცნიერთა აზრი იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის სათავეები საძიებელია XV საუკუნეში, იგი უკავშირდება დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, როდესაც დედამიწის მაცხოვრებელთა უმეტესობამ მოახერხა ურთიერთგაცნობა. მკვლევართა ამ ჯგუფის აზრით, ეს იყო პირველი ფაქტი მსოფლიოს ხალხთა ურთიერთობისა, სწორედ ამ პერიოდში ხდება კულტურულ ღირებულებათა პირველი მასობრივი გაცვლა.

მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ გლობალიზაცია არის XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწყებული მოვლენა, დაკავშირებული მნიშვნელოვან აღმოჩენებთან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში და მსოფლიოს განაწილების ერთი ეტაპის დამთავრებასთან.

მესამე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია XX საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენაა, რადგან მისი საფუძვლები საძიებელია ინფორმაციული ეპოქის დასაწყისში.

აუცილებლად მივიჩნევთ, შემოგთავაზოთ კონკრეტულ მეცნიერთა ვარაუდები; ეს ვარაუდები უ.ბეკის ნაშრომშია წარმოდგენილი:

ავტორი	*დასაწყისი*	*თემა*
მარქსი	მე-15 ს.	თანამედროვე კაპიტალიზმი
უოლერსტაინი	მე-15 ს.	მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა
რობერტსონი	1870-1920წ.წ.	მრავალწყობიანობა
გიდენსი	მე-18 ს.	მოდერნიზაცია
პერლმუტერი		აღმოსავლეთისა და დასავლეთის გლობალური ცივილიზაცია

დასასრული

რა თქმა უნდა, საკამათოა, რომელი დასკვნაა უფრო მისაღები, რადგან ყოველ მათგანს საკუთარი, მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი დასაბუთება აქვს.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ამ წინააღმდეგობაში და ჩვენთვის უფრო ადვილი შეიქმნეს საკუთარი დასკვნის გაკეთება, ორიოდე სიტყვით შევეხოთ იმ ისტორიულ პერიოდებს, როდესაც დასავლეთს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვა სამყაროსთან.

პირველი ინტენსიური შეხება მას აღმოსავლეთთან ჰქონდა. ეს იყო ანტიკურ ხანაში, როდესაც ერთმანეთს ებრძოდა ბერძნული და სპარსული სამყარო. ამ სამყაროთა ურთიერთობამ გამოიწვია სრულიად ახალი კულტურული ერთობის — ელინისტური სამყაროს — წარმოშობა, რაც მთლიანად გამოხატული იყო ბერძნული და არაბერძნული (სპარსული და სხვა) ადათ-წესების, კულტურულ ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლით. თუკი შედეგების მხრივ ვიმსჯელებთ, ამ პერიოდის შემდეგ (თუ არ ჩავთვლით ჯვაროსნულ ომებს), ღირებულებათა ურთიერთგაცვლის მხრივ, მსგავსი ნაყოფიერი შედეგი სამყაროთა ურთიერთობას აღარ ჰქონია. ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ, მართალია, იმპერია დაიშალა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა სამყარო, რომელიც არც სპარსულ-აღმოსავლური იყო და არც ბერძნულ-დასავლური, იგი ამ სამყაროთა ურთიერთობის შედეგი გახლდათ.

როდესაც კულტურულ ღირებულებათა გასაყოველთაოებაზეა საუბარი, უნდა გამოიყოს რამდენიმე ისტორიული ეპოქა. თუ შედეგებზე მხოლოდ დასავლეთთან მიმართებაში

ვისაუბრებთ, მსგავსი შემთხვევა რამდენიმეა: ელინისტური ეპოქა, საფრანგეთის რევოლუცია და, შემდეგ, კომუნიზმის პერიოდი. ყოველ მათგანს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს პიროვნებათა სახელი: ელინისტურს — ალექსანდრე მაკედონელის, საფრანგეთის რევოლუციას — ნაპოლეონის, ხოლო კომუნიზმის პერიოდს — სტალინის. საფრანგეთის რევოლუცია თამამად ჩაითვლება ევროპულ რევოლუციად, რაც შეეხება კომუნიზმს, ეს იდეოლოგია დასავლეთში აღმოცენდა და თითქმის მთელ ევრაზიაში გავრცელდა. არც მაკედონელი, არც ნაპოლეონი და არც სტალინი იმ კულტურის უშუალო წარმომადგენლები არ იყვნენ, რომლის სახელითაც მოქმედებდნენ. არადა, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს სამი პიროვნება-ეპოქა დასავლეთის სახის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. კერძოდ, მაკედონელმა შეძლო ის, რაც თავად ბერძნებმა ვერ შეძლეს, ანუ მოახერხა ბერძნული სამყაროს გაერთიანება, რომელიც გახდა საფუძველი ერთიანი დასავლური კულტურისა. ნაპოლეონმა ფრანგ განმანათლებელთა იდეები ზოგადევროპულად აქცია და საფუძველი დაუდო ერთიანი ევროპის ჩამოყალიბებას, სტალინმა კომუნიზმის გაძლიერებით ჩამოაყალიბა ბანაკი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც შეიძლება ჩაითვალოს ნაპოლეონის ეპოქაში დაწყებული ევროპის კონსოლიდაციის საბოლოო ჩამოყალიბების პროცესად; კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იქცა ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ დამაჩქარებელ მოვლენად.

სამივე მოვლენაში ჩანს „გასაყოველთაოების“ ნიშნები, მაგრამ „გლობალიზაციაზე“ საუბარი ჯერ კიდევ ადრეა, რადგან პირველ შემთხვევაში მხოლოდ ორი საზოგადოების ურთიერთობაზეა საუბარი, მეორე შემთხვევაში ეს ურთიერთობა ვერ გასცდა ევროპის საზღვრებს, ხოლო მესამე შემთხვევაში კომუნიზმი, როგორც საყოველთაო იდეოლოგია, თავად მშობელმა დასავლეთმა უარყო. მაგრამ სამივე მათგანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი წვლილი მიუძღვის ფასეულობათა იმ სისტემის ჩამოყალიბებაში, რის გასაყოველთაოებაზეც დღეს არის საუბარი. მხედველობაში გვაქვს ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებს.

ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია არის დასავლურ ფასეულობათა სისტემა, აქედან გამომდინარე, „გლობალიზაცია“ დასავლური მოვლენაა. სწორედ დასავლური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას უკავშირდება „გლობალიზაციის“ პროცესის დაწყება.

დასავლური ცნობიერებით, „პროგრესი საზოგადოების განვითარების კანონია“. ხოლო პროგრესი მარტო რწმენით, ანუ გონების გარეშე შეუძლებელია. იდეოლოგია იძლევა ამქვეყნიური კეთილდღეობის ეტალონს. ამ შემთხვევაში კი დასავლური იდეოლოგია, როგორც თავად დასავლეთი ფიქრობს, ერთადერთია, რომელიც იძლევა კარგი ცხოვრების გარანტიას. ამ დასკვნამდე დასავლეთი იმ ლოგიკით მივიდა, რომ ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის საჭიროა ძლიერი ეკონომიკა, ხოლო ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ წესების დაცვით, რომელსაც ლიბერალური დემოკრატია გვთავაზობს.

სანამ უშუალოდ „გლობალიზაციის“ დონეთა განხილვაზე გადავიდოდეთ, გვსურს ერთ ფაქტზე გავამახვილოთ ყურადღება. მსჯელობას ჟან-ჟაკ რუსოს სიტყვებით დავიწყებთ: „ყველაზე ძლიერი არ არის ისე ძლიერი, რომ მუდამ ბატონი იყოს, თუ თავის ძალას უფლებად, ხოლო მორჩილებას მოვალეობად არ გარდაქმნის“. დღეს ძლიერად მსოფლიოს სწორედ დასავლეთი ევლინება, ამიტომ ეს უკანასკნელი ყველანაირად ცდილობს, დღევანდელი ძლიერება გამოიყენოს იმისათვის, რომ ძალა უფლებად აქციოს, ხოლო მორჩილება კი მოვალეობად, რათა ყოველთვის დომინანტად დარჩეს. კერძოდ, იგი ცდილობს შექმნას სამყარო, სადაც თვითონ მოთამაშე არბიტრის როლში იქნება. დასავლეთი ცდილობს, მსოფლიოს თამაშის საკუთარი წესები უკარნახოს. „გლობალიზაციის“ იდეა არის ის, რომ დასავლური ღირებულებანი — დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა პატივისცემა, ღიაობა — ანუ ლიბერალური დემოკრატია აქციოს მსოფლიო იდეოლოგიად.

„გლობალიზაციის“ დასავლურ ხედვას კარგად გამოხატავს ამ საუკუნის ორმოციან წლებში ადამინის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების ისტორია. მისი განხილვის დროს, დასავლეთის მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, კერძოდ, ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციამ,

მელვილ ჰერსკოვიცის ხელმძღვანელობით, წარმოადგინა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც, საჭირო იყო იმ ფაქტისათვის ყურადღების მიქცევა, რომ ყოველ საზოგადოებაში თავისუფლება თავისებურად ესმით. როგორც ბლეზ პასკალი ამბობდა, „ის, რაც ალპებს აქეთ ჭეშმარიტებაა, ალპებს იქით სიცრუეა“. მემორანდუმი ემყარებოდა ფორმულას: „ადამიანი თავისუფალია იმ შემთხვევაში, თუკი მას შეუძლია იცხოვროს თავისუფლების იმ გაგებით, რომელიც მის საზოგადოებაშია მიღებული“. მათი აზრით, ღირებულებებსა და ფასეულობებს სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვა ხასიათი აქვთ, ამიტომ, ყოველი მცდელობა — ჩამოყალიბდეს ისინი მხოლოდ ერთი რომელიმე კულტურის წარმოდგენებზე დაყრდნობით, ხელს უშლის ადამიანის უფლებათა ასეთი დეკლარაციის გავრცელებას მთელ კაცობრიობაზე. ოფიციალური დასავლეთისათვის ეს მემორანდუმი მიუღებელი აღმოჩნდა და მათ მიიღეს დეკლარაცია, რომელიც მხოლოდ დასავლურ ღირებულებებს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, „გლობალიზაცია“, ანუ დეკლარაციის გასაყოველთაოების მცდელობა დასავლური მოვლენაა.

სანამ უშუალოდ თანამედროვეობაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით ეკონომიკური „გლობალიზაციის“ თემას შევეხოთ. დასავლელ მეცნიერთა დიდი ნაწილი მსოფლიო ისტორიას აღიქვამს, როგორც ერთ მთლიან პროცესს. ამ მეცნიერთაგან უნდა გამოვყოთ ისინი, ვინც მსოფლიო ისტორიის ამოსავალ წერტილად ეკონომიკას მიიჩნევენ. საინტერესოა მსოფლსისტემური მიდგომა, რომელიც „ანალების“ სკოლის წარმომადგენელმა ფერნარ ბროდელმა და ეკონომიკის ისტორიის მკვლევარმა იმანუელ ვალერსტაინმა ჩამოაყალიბეს. ამ უკანასკნელის წიგნში „თანამედროვე მსოფლსისტემა“ კარგად არის ჩამოყალიბებული მსოფლისტემური თვალთახედვა, რომლის მიხედვითაც, მსოფლსისტემა არის არა მსოფლიო სისტემა, არამედ ესაა სისტემა, რომელიც წარმოადგენს სამყაროს.

მსოფლსიტემური მიდგომისათვის ამოსავალია უფრო დიდი ორგანიზმების გამოყოფა, ვიდრე სოციალურ-ისტორიული ორგანიზმია, მაგრამ ამოსავალი წერტილი არის არა კულტურა, არამედ ეკონომიკა. პირველი მსოფლსისტემები მსოფლიო იმპერიებია, რომლებიც წარმოადგენს არა მხოლოდ სამყაროებს, არამედ წარმოების წესსაც. ეს მსოფლიო იმპერიები თავის თავს გარდაქმნის ახალ მსოფლიო სისტემად, ანუ მსოფლეკონომიკად. წარმოების წესის მიხედვით, ვალერსტაინი გამოყოფს სხვადასხვა მსოფლსისტემას და აღიარებს, რომ თანამედროვე მსოფლსისტემა, ანუ კაპიტალისტური მსოფლეკონომიკა, ერთადერთია, რომელიც არა მხოლოდ გადარჩა, არამედ აჯობა სხვა სოციალურ სისტემებს, „შეისრუტა რა ისინი“.

80-იანი წლების მიწურულიდან გამოიკვეთა მსოფლსისტემური მიდგომის მომხრეთა მიერ კაცობრიობის ისტორიის ორგვარი ხედვა: პირველის მიხედვით, მსოფლიო ყოველთვის წარმოადგენდა ერთიან მსოფლსისტემას, ხოლო მეორის მიხედვით, მსოფლიო ყოველთვის იყო გახლეჩილი რამდენიმე მსოფლსისტემად. კ.ჩეიზ-დანმა პირველის მომხრეებს „მონოლი-თისტები“ უწოდა, ხოლო მეორეთ კი — „დამნაწევრებლები“.

„მონოლითისტების“ აზრით, უკანასკნელი 5 ათასი წლის მანძილზე (რაც არსებობს კალასობრივი საზოგადოება) მთელი ძველი სამყარო წარმოადგენდა ერთიან მსოფლსისტემას, ახალი სამყარო კი, XV საუკუნის ბოლომდე მეორე მსოფლსისტემა იყო. XV საუკუნეში ეს ერთი „ნაპრალი“ შეავსო ამერიკის აღმოჩენამ. ამ თვალსაზრისის წარმომადგენლები არიან ა.გ.ფრანკი, ს.ამინი, ჟ.აბუ-ლუგჰოდი. ყოველი მათგანისათვის დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად აგრესიული ანტიევროპეიზმი.

„დამნაწევრებლების“ წარმომადგენელია კ. ჩეიზ-დანი, რომელიც გამოყოფს მსოფლსისტე-მათა სხვადასხვა ტიპს, შემოაქვს ცნება „ზემსოფლსისტემა“, რომლითაც აღინიშნება ევრაზია.

როგორც ვხედავთ, მსოფლისტემა თავის თავში გულისხმობს „გლობალიზაციას“. „მონოლითისტები“ აღიარებენ კაპიტალისტური მსოფლეკონომიკის, როგორც ერთიანი მსოფლსისტემის, დომინანტობას და თვლიან, რომ კაპიტალიზმის საფუძვლები საძიებელია არა ერთ რომელიმე საზოგადოებაში, რომელსაც ვალერსტაინი „ნაციონალურ სახელმწიფოებს“ უწოდებს, არამედ სწორედ მათ ურთიერთობაში. მათი აზრით, კაპიტალიზმის საფუძვლები

საძიებელია იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთ აფრიკას, ახლო აღმოსავლეთს, ინდოეთის ნაწილს, ცენტრალურ და სამხრეთ აზიას, სწორედ აქ იყო პროტოკაპიტალისტური ელემენტები. ესე იგი, მათი აზრით, საფუძველი აღმოსავლეთია, ხოლო შემდეგ ხდება „აღმოსავლეთის დაცემა“ და დასავლეთის აყვავება. მომავალში მოსალოდნელია აღმოსავლეთის ხელახალი აყვავება, შესაბამისად, თუ დღეს დომინანტი დასავლეთია, ხვალ აღმოსავლეთი გახდება.

თემა VI. თანამედროვე მოდერნიზებული მსოფლიო საზოგადოება გლობალიზაციის გამოწვევების წინაშე

გლობალიზაციის კვლევისას ერთ პარადოქსს ვაწყდებით: კვლევის დაწყებამდე გეჩვენება, რომ მასზე მკაფიო წარმოდგენა გაქვს, ხოლო კვლევისას უფრო ბუნდოვანი ხდება მისი არსი.

გამომდინარე იქიდან, რომ არსებობს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, საჟურნალო სტატია და თეორია გლობალიზაციის შესახებ, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, წინასწარ შემოგთავაზოდ სქემა, რომლის ჩარჩოებშიც გავაგრძელებთ კვლევას.

სქემა, რომელსაც წარმოგიდგენთ, შემუშავებულ იქნა 1999-2002 წლებში წლებში ჩატარებული კვლევის შდეგად. იგი განახორციელა ბოსტონის უნივერსიტეტმა და ეკონომიკური კულტურის შემსწავლელმა ინსტიტუტმა (ISEC). კვლევას ხელმძღვანელობდნენ პიტერ ლ. ბერგერი (სოციოლოგი, ISEC-ის დირექტორი) და სამუელ პ. ჰანთიგტონი (პოლიტოლოგი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი). მკვლევართა ჯგუფებმა მსოფლიოს ათობით ქვეყანაში ჩაატარეს დაკვირვება კულტურის გლობალიზაციის დინამიკაზე. ჩატარებული სამუშაოს შედეგად პიტერ ლ. ბერგერმა გამოყო ოთხი მიმართულება, რომლის საშუალებითაც ვრცელდება გლობალური კულტურა ესენია:

1. დავოსური კულტურა, ანუ საერთაშორისო ბიზნეს-კულტურა;
2. „მაკ-მსოფლიო“ კულტურა, ანუ მასობრივი სამომხმარებლო კულტურა;
3. ინტელექტუალთა საერთაშორისო საკლუბო კულტურა;
4. ახალი რელიგიური მოძრაობები.

იმისათვის, რომ მიმართულებათა ასეთი დაყოფა მკაფიო და თვალსაჩინო გახდეს, მათ უფრო საფუძვლიანად განვიხილავთ.

არსებობს განვითარებადი, ზრდადი გლობალური კულტურა და იგი ხასიათითა და წარმომავლობით ამერიკულია. ჩილელმა ისტორიკოსმა კლაუდიო ველიზიმ მას უწოდა „ანგლო-ამერიკული ცივილიზაციის ელინისტური სტადია“ — სტადია, რომელიც არ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც „იმპერიალიზმი“. ანტიკური სამყარო ბერძნულად იქცა სწორედ მაშინ, როცა საბერძნეთს იმპერიული შესაძლებლობები არ გააჩნდა. დღეს, მართალია, აშშ უდიდეს ძალას ფლობს, მაგრამ, როგორც თავად ამერიკელები მიიჩნევენ, აშშ არ ცდილობს საკუთარი კულტურის თავს მოხვევას სხვა საზოგადოებებისათვის. ადრეც და ახლაც ენა დიდ როლს თამაშობდა კულტურის გავრცელებაში. ელინიზმის პერიოდში მთავარ ენას წარმოადგენედა „კოინე“ — უბრალო ხალხის სალაპარაკო ენა; დღეს იგივე როლს არსულებს ინგლისური, ამერიკული ინგლისური ენა. იგი წარმოადგენს მზარდი გლობალური კულტურის „კოინეს“. მას უახლეს მომავალში კონკურენტი ძნელად თუ გამოუჩნდება. მილიონობით ადამიანი საუბრობს ინგლისურ ენაზე, მაგრამ მათი უმრავლესობა ინგლისურ ენას ინტერნეტში ძიებისა და უკეთესი სამუშაოს მოსაძებნად სწავლობს, და არა ორიგინალში შექსპირისა და ფოლკნერის წასაკითხად. უცხო ენის გამოყენება უკვალოდ არ ქრება. ენას აქვს კულტურული პლასტები, როგორც ცნობიერ, ასევე ნორმატიულ და ემოციურ დონეზეა.

მზრდად გლობალურ კულტურას აქვს შესაძლებლობა, გავრცელდეს როგორც ელიტარულ, ასევე ფართო ფენებზე. შეასძლოა, ელიტარულ დონეზე კულტურის გავრცელების ყველაზე მთვარი საშუალება არის ის, რასაც ს.ჰანთინგტონმა დაოსური კულტურა უწოდა (სახელწოდება

მომდინარეობს შვეიცარიული ქალაქის სახელიდან); ამ სახელწოდებით განისაზღვრება წამყვანი საქმიანი და პოლიტიკური წრეების საერთაშორისო კულტურა, რომლის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, ისევე როგორც ეკონომიკური და ტექნოლოგიური გლობალიზაციისა, საერთაშორისო ბიზნესია. ამ კულტურის მატარებლებად მოიაზრებიან არა მარტო ის ადამიანები, რომლებიც ხშირად დადიან დავოსში, არამედ ისინიც, ვისაც სურს იყოს ამ საზოგადოებს წევრი და არ არის, ან ჯერ არ არის.

მსოფლიოში არსებობს ბიზნესში ჩაბმული ახალგაზრდების საზოგადოებათა მთელი ქსელი (იაპი-ინტერნაციონალი — აბრევიატურა, რომელიც მოდის young urban professional-დან), რომლებიც კარგად საუბრობენ ინგლისურად, შესაბამისად იცვამენ და ერთობიან, ასევე, შეიძლება ითქვას, აზროვნებენ ინგლისურად. მათ შორის გამოსაყოფია ორი მიმართულება: ამ ახალგაზრდების ნაწილი სრული კოსმოპოლიტია; მეორე ნაწილი კი ცდილობს ერთდროულად ორ სამყაროში იცხოვროს: არ ჩამორჩეს გლობალურ საქმიან კულტურას, მაგრამ საკუთარი პირადი ცხოვრება ორიენტირებული აქვს განსხვავებულ კულტურულ ფასეულობებზე.

გლობალურ კულტურაში არსებობს კიდევ ერთი ელიტარული სექტორი, რომელიც ხშირად ერთვის საქმიან კულტურას, ხშირად კი უპირისპირდება მას. ეს არის დასავლური ინტელიგენციის გლობალიზაცია, რომელსაც ბერგერმა უწოდა ინტელექტუალთა საკლუბო კულტურა (faculty club culture). მისი გავრცელება ხდება სახვადასხვა გზით: აკადემიური სტრუქტურებით, ფონდებით, არასამთავრობო ორგანიზაციებით. იგი ქმნის საკუთარ ბაზარს — ეს არის იდეები, ქცევის ნორმები, რომლებიც შექმილია დასავლელი, კერძოდ, ამერიკელი ინტელექტუალების მიერ, როგორებიც არიან ადამიანის უფლებათა დამცველები, სპეციალისტები და სხვანი.

დავოსურ კულტურას და ინტელექტუალთა საკლუბო კულტურას აქვს ცენტრი და პერიფერია. განსხვავება ამ ორ კულტურას შორის არის ის, რომ დავოსური კულტურის ცენტრები მხოლოდ დასავლეთში არ არის განლაგებული. ისეთი დიდი ბიზნეს-ცენტრები, როგორებიცაა ტოკიო, ჰონგ-კონგი, სინგაპური ისეთსავე იმავე როლს ასრულებენ. ხოლო ინტელექტუალთა საკლუბო კულტურის ცენტრი მხოლოდ დასავლეთში, კერძოდ, ამერიკაშია. ასე, რომ მთავარ გლობალიზატორად, ამ მიმართულებით, დღეს ამერიკა მიიჩნევა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელი ინტელექტუალების მიერ შემოღებული ცხოვრების ჯანმრთელი წესი და მისი განხორციელების ცდა დასავლეთში თავისთავადი მოვლენაა და პირდაპირ დანიშნულებას ემსახურება. სხვა კულტურებში კი მას სხვა დანიშნულება აქვს, კერძოდ, ეს არის ამ საზოგადოების მიერ დემოკრატიულობის ხარისხის დადასტურების მცდელობა. ამის მაგალითია სამხრეთ აფრიკაში თამბაქოს წევის საწინააღმდეგო კანონმდებლობის შექმნა, მაშინ როცა შიდსის ვირუსმა სამხრეთ აფრიკაში კატასტროფულ ზღვარს მიაღწია. სიგარეტის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, ბერგერის აზრით, სწორედ ინტელექტუალთა საკლუბო კულტურისაკენ სწრაფვით იყო გამოწვეული და არა ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვით.

ჯეიმს ჰანტერი საუბრობს იმ კოსმოპოლიტებზე, რომლებიც ძალზედ ადვილად მოძრაობენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ორიგინალური კულტურის გავლენას არ განიცდიან. ეს ხალხი გვხვდება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო კორპორაციებში, ევანგელისტურ მისიებში. ესენი არიან გლობალიზატორები.

როდესაც საუბარია დავოსური კულტურისა და ინტელექტუალთა საკლუბო კულტურის თავისებურებებზე, აუცილებლად მიმაჩნია ყურადღება გავამახვილო რუსი მეცნიერის, საერთაშორისო გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის ა.ი. უტკინის მიერ შემოთავაზებული მოსაზრებაზე. იგი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის პროცესი ორ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უნდა ვეძიოთ, ხოლო მეორე ეტაპი — XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს. მათ შორის წყალგამყოფია მეორე მსოფლიო ომი და მისი მომდევნო ათწლეულები. XX საუკუნის 70-იან წლებში გლობალიზაციის მეორე ტალღას, უტკინის აზრით, საფუძველი დაუდო შეთანხმებამ, რომელიც ცნობილია „ვაშინგტონის კონსენსუსის“ სახელით.

1980-იან წლებში სამი ყველაზე ძლიერი ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც განთავსებული იყო აშშ დედაქალაქში — აშშ ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი — მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი ხელშემშლელი პირობა იყო საბაჟო სისტემები. „ვაშინგტონის კონსენსუსი“ მოიცავს მსოფლიო ვაჭრობის რეორგანიზაციის ათ რეკომენდაციას, რომელიც შემუშავებულ იქნა ეკონომისტ ჯ.ვილიამსონის მიერ.

კერძო ბიზნესის რაციონალიზაციის შესაძლებლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა „ოქროს კორსეტის“ წესი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული კანონების მიხედვით მოქმედებას; კერძოდ: კერძო სექტორი იქცევა ეკონომიკის განვითარების, ეკონომიკური აღმავლობის ძირითად საშუალებად; უნდა მოხდეს ინფლაციის დაბალი დონის მხარდაჭერა; შენარჩუნებულ იქნეს ფასების სტაბილურობა; სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის როლი მცირდება; ასევე მცირდება იმპორტზე გადასახადი; უცხოურ ინვესტიციებზე შეზღუდვები იხსნება; ხდება სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული საწარმოების პრივატიზება; ეს ზრდის იმპორტს; ასევე ადგილობრივი ინდუსტრია გახსნილია მსოფლიოსათვის და სხვა. უტკინის თქმით, „ოქროს კორსეტის“ წესის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი ითვალისწინებს „ყველასათვის ერთ ზომას“; უტკინი მიჩნევს, რომ სწორედ ეს იწვევს სხვადსხვა ქვეყანაზე სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ზეწოლას, რასაც, თავისთავად, არაერთგვაროვანი პასუხები მოჰყვება. მაგრამ კომპენსაციად მიიჩნევა ის, რომ „ოქროს კორსეტის“ მიღების შემთხვევაში იზრდება წარმოება, ეკონომიკური შემოსავალი. ოცი წლის წინ მალაიზიელის საშუალო შემოსავალი იყო 350 დოლარი წელიწადში, მაგრამ „ოქროს კორსეტში“ ჩათრეული მალაიზიელი ახლა წელიწადში 5000 დოლარს იღებს.

პოლიტიკურ სფეროში, აცხადებს უტკინი, „ოქროს კორსეტი“ ამცირებს ხელისუფლების სათავეებთან მდგომ პარტიებს შორის არსებულ გასხვავებებს. კერძოდ, ავიღოთ აშშ დემოკრატები და რესპუბლიკელები, მათი სამოქმედო გეგმა, მიზანი და წარმოდგენილი სახელმწიფო მოწყობის გეგმა არ სცდება „ოქროს კორსეტის“ წესებს, ამიტომ მათ შორის არსებული წინააღმდეგობა მცირეა: იმდენად მცირე, რომ სამხრეთ კორეაში 1999 წელს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კიმ ტე დჟუნმა ვაშინგტონში ელჩად მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერი გაგზავნა. ეს უკანასკნელიც დათანხმდა იმ მოტივით, რომ განსხვავება ამ მიმართულებით და, საერთოდ, მათ შორის მცირე იყო.

ყველა ქვეყანა ვერ ახერხებს „ოქროს კორსეტის“ საბოლოოდ შენარჩუნებას და მორგებას. ზოგიერთი ქვეყანა მხოლოდ ნაწილობრივ ირგებს მას (ეგვიპტე, ინდოეთი); ზოგიერთი პირველივე შედეგის მწარე გამოცდილების გამო იხსნის მას (რუსეთი, მალაიზია); მესამენი ცდილობენ, ოქროს კორსეტი საკუთარ ნაციონალურ კულტურას მოარგონ და ისე მიიღონ (იაპონია, გერმანია, საფრანგეთი); არსებობენ ისეთებიც, დასძენს უტკინი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ კორსეტში თავის შეყოფა არც ღირს და უკეთესად მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ბუნებრივ რესურსებს მიენდონ (საუდის არაბეთი, ირანი); არსებობენ კიდევ ისეთი საზოგადოებები, რომელნიც ყველაფერს გაიღებენ იმისათვის, რომ კორსეტის მკაცრ წესებსა და კანონებში არ აღმოჩნდნენ (კუბა, სუდანი, კორეა); ისინი, ვინც კორსეტის წესებს აღიარებენ, მიიჩნევენ, რომ ვისაც სურს მატერიალური პროგრესის მიღწევა, აუცილებლად მოუწევს ამ წესების შესრულება. მის დასტურად კორსეტის მომხრეებს მოყავთ ფაქტებიც. კერძოდ, ისინი ხაზს უსვამენ ვიწრო რეგიონების განვითარებას: ჩრდილოეთ იტალია, სამხრეთ კორეა, შანხაის ტერიტორია, ტელ-ავივი ისრაელში, ბეირუთი ლიბანში, ბანგალორი ინდოეთში — ყველა მათგანი მიეკუთვნება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კორიფეთა რიცხვს, „კიბერნეტიკულ ტომებს“, რომლებიც ცხოვრობენ შედგენილი გეგმის მიხედვით.

„ოქროს კორსეტის“ მოწინააღმდეგენი ერთნაირად რეაგირებენ მასზე და მიიჩნევენ, რომ ისინი საკუთარი კულტურის მიხედვით, საკუთარი სისწრაფით ივლიან, რადგან კორსეტი ძალზედ დეტერმინიზებულია. ისინი სვამენ კითხვას — რატომ არ შეიძლება, შეიკრიბონ ხელახლა და შექმნან ახალი, ნაკლებად ამკრძალავი მოდელი? რაზეც მსოფლიოს ძლიერი

ნაწილისგან მკაცრი პასუხი მიიღეს — თუკი თქვენი კულტურა ვერ შეძლებს წარმოდგენილის მიღებას... ეს მხოლოდ სამწუხაროა. მაგრამ მთავარი არის ის, რომ დღევანდელი მსოფლიოს გლობალური საბაზრო ეკონომიკა შექმნილია უდიდესი ისტორიული ძალების მიერ, რომლებმაც შეცვალეს ურთიერთობის, ინვესტირების სტილი და მსოფლიოს აღქმაც კი. თუკი თქვენ გსურთ წინ აღუდგეთ ამ ცვლილებებს, თქვენ ამით მხოლოდ თავს მოიტყუებთ და სხვა არაფერი.

გლობალური კულტურის გავრცელება ხდება, აგრეთვე მასობრივი კულტურის საშუალებებით (ადიდასი, მაკდონალდსი, ლევისი, მტვ და სხვა). მას მხოლოდ ზედაპირული ხასიათი აქვს. „გლობალიზაცია“ — ეს არის მოვლენა, რომელიც ერთგვაროვანი სამომხმარებლო კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ერთგვაროვნება კი მისაღებია „მასისათვის“. ხოსე ორტეგა ი გასეტი გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში წერდა, რომ ევროპა დღეს ყველაზე დიდ კრიზისს განიცდის, რამაც შეიძლება მოიცვას ხალხები, ერები და კულტურები. მისი თქმით, ეს არის „მასების ამბოხი“. მასას იგი ახასიათებს როგორც ფსიქოლოგიური რიგის მოვლენას. „ადამიანი-მასა“ ისაა, ვისაც არ შეუძლია, როგორც კარგი, ასევე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავი; ვინც თავის თავს აღიქვამას „ისეთად, როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას. მას მოსწონს იყოს ისეთი, როგორიცაა ყველა.

ორტეგა ი გასეტი ამ კრიზისის დასაწყისს XIX საუკუნეში ხედავს. ჯერ კიდევ მაშინ იწინასწარმეტყველეს ჰეგელმა, კონტმა, ნიცშემ „მასების ამბოხი“, რომელიც მას შემდეგ სულ უფრო გაძლიერდა. ადამიანი-მასა — ეს არის პიროვნება, რომელსაც არ გააჩნია შემოქმედებისა და შეფასების უნარი. იგი იღებს ყველაფერს ისეთად, როგორც აწვდიან. ამის გამო, მასაზე ზეგავლენის მოხდენა ადვილია.

ნეოლიბერალური მსოფლწესრიგის პირობებში ინდივიდის სულიერი და კულტურული მსოფლშეგნება განიცდის საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებათა ზეწოლას. ფილმების, შოუებისა და სერიალების გლობალური აუდიტორიის გაჩენა და მათი ზეგავლენა პროგრამების შინაარსზე უპრეცედენტო მოვლენაა. მედია ორიენტირებულია პოპულარულ და მასობრივ კულტურაზე და მასობრივი ცნობიერებიდან დევნის ალტერნატიულ ფორმებს. მაყურებელთა და მსმენელთა რეიტინგისათვის მებრძოლი მედიის საშუალებათა საქმიანობა განსაზღვრულია ეკონომიკური ინტერესით, და არა ინტელექტუალური შინაარსით. კულტურა განიხილება, როგორც გლობალური აუდიტორიისა და გლობალური ინფორმაციული საზოგადოების მიღწევის საშუალება.

გლობალური კულტურის ჩამოყალიბების ცენტრშია ინტერნეტი. გარემოცვა, რომელშიც ქვეყანას, კულტურას უხდება არსებობა, დიდ გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბება-განვითარებაზე, რადგან ამა თუ იმ საზოგადოებაში სახელმწიფოს ურთიერთობა აქვს განსხვავებული კულტურის მქონე ერთობებთან. ურთიერთობისას ხდება კულტურულ ღირებულებათა გაცვლა, ერთობის ცნობიერება განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას.

იყო პერიოდი, როდესაც მსოფლიო არ წარმოადგენდა ერთიან სივრცეს და დაყოფილი გახლდათ პატარა სამყაროებად; ერები ხალხები და კულტურები არ იცნობდნენ ერთმანეთს, არ ჰქონდათ ურთიერთობა, შეხება, რამაც განაპირობა მრავალი ორიგინალური კულტურის, ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

დღეს მსოფლიო გახსნილია, იგი ერთიან სივრცეს წარმოადგენს. არსებობს ფართო საინფორმაციო საშულებები, ტელეფონი, საჰაერო ტრანსპორტი, კოსმოსური სადგურები და, რაც მთავარია, ინტერნეტი. მათი მეშვეობით შესაძლებელია ურთიერთობის დამყარება ათასობით კილომეტრის დაშორებით. ყოველდღიურად ინტერნეტის მეშვეობით იგზავნება მილიონობით იმეილი, ციფრული ფოტო, წიგნის მოცულობის ტექსტები, ხმოვანი და ვიდეო ფაილი. აუდიონაკადი შესაძლებელს ხდის ბერლინის რადიოსადგურის მოსმენას ნიუ-დელიში და პირიქით. ინტერნეტის „ჩეთ-რუმი“ და სადისკუსიო ჯგუფები ვირტუალური საქალაქო შეხვედრის ცენტრებია, სადაც ათასობით ადამიანი ერთმანეთს უზიარებს საკუთარ აზრს; თამაშობენ, იბმება მეგობრობის ძაფები, იდება ბიზნეს-გარიგებები. ყველა ადამიანური

ურთიერთობა, რომელიც შეიძლება დამყარდეს სკოლაში, ქუჩაში, კაფეში, ქარხანაში, ინტერნეტშიც ხორციელდება.

ინტერნეტი ხელს უწყობს გლობალური კულტურის შექმნას, აცხადებს საერთაშორისო მარკეტინგული ფირმა IDC-s ვიცე-პრეზიდენტი გიგი ვანგი (Gigi Wang). ამ სახის უკანასკნელი ცვლილება იყო გადასვლა ლოკალურიდან ეროვნულ ეკონომიკაზე, რასაც თან სდევდა გადასვლა რკინიგზიდან და რადიოდან ავტომობილსა და ტელევიზორზე. ახლა ხდება გადასვლა ეროვნული ეკონომიკიდან გლობალურ ეკონომიკაზე, რასაც მოსდევს საჰაერო ტრანსპორტი და ინტერნეტი.

ბოლონიის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი დევიდ ელვუდი (David Elwood) მიიჩნევს, რომ ინტერნეტი არ ქმნის გლობალურ კულტურას, არამედ მხოლოდ აჩქარებს მოვლენებს და ქმნის ამ ფენომენის ერთ-ერთ შრეს. გლობალური კულტურა დიდი ბიზნესია და მისი სათავე შეიძლება მოიძებნოს ინდუსტრიის ისეთ სფეროებში, როგორიცაა სპორტი, ფილმები, ფოტოგრაფია, მუსიკა და ავიახაზები. ყოველივე ამის თავი და თავია აშშ გასართობი ინდუსტრიის მიერ მასობრივი კულტურის უნიკალური და მზარდი მოცულობით გამოგონება, წარმოება და გავრცელება. დ.ელვუდის თქმით, 1996 წელს აშშ ფილმებმა, სატელევიზიო პროდუქციამ, კომპიუტერულმა ტექნიკამ, წიგნებმა და კულტურის სხვა ფორმებმა გადააჭარბა საჰაერო და თავდაცვითი პროდუქციის ექსპორტს, და ამ მხრივ პირველი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ ინგლისური ენა იქცა არა მხოლოდ გლობალური კომერციის, არამედ საერთაშორისო ტექნოლოგიისა და გართობის ენადაც.

კაცობრიობამ შეაბიჯა განვითარების ახალ ეპოქაში, ეს არის საინფორმაციო ეპოქა, ინტერნეტი არის მასობრივი კულტურის ფართოდ გავრცელების საშუალება. აფრიკელი მკვლევარი ქალის ფარიდა მიუალე-მანენჯის (Fridah Muyale-Manenji) თქმით, გლობალიზაცია უზარმაზარ გავლენას ახდენს კულტურაზე, იგი სხვადასხვა გზით ზემოქმედებს ხალხის კულტურულ ქცევაზე. ადამიანები იცვლიან ცხოვრების წესს. კოკა-კოლას რიტმული რეკლამა ისმის ქვეყნიერების ნებისმიერ წერტილში, იმ სოფლებშიც კი, სადაც არსებობს სასმელი წყლის პრობლემა.

ინფორმაციულმა ეპოქამ განაპირობა ის, რომ კულტურები დაუახლოვდნენ ერთმანეთს; ტრადიციულ სიმბოლოთა გვერდით გაჩნდა ინტერნაციონალური მნიშვნელობის სიმბოლოები და პოპულარული სისტემები.

საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი ხდება ზედაპირულად, ანუ ყველაფრის გაუცნობიერებლად მიღებას ახდენს მასა, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია თავისი კულტურის ორიგინალური ღირებულებების შექმნაში, მასა, რომელსაც გაცნობიერებულიც კი არ აქვს, თუ რას ნიშნავს ძირეული განსხვავება კულტურებს შორის, ამიტომ მასზე დიდ გავლენას ახდენს რეკლამა. მედიის ზემოქმედებით კულტურის მიღება ზუსტად ისეთივე მოვლენაა, როგორც რეკლამით რაღაც ნაწარმის ფართო მასისათვის გაცნობა. რეკლამაში შექმნილი სამყარო იმდენად მიმზიდველი და მაცდურია, რომ აუცილებლად ახდენს მომხმარებელზე გავლენას. მომხმარებელი კი დღეს არის მასა, რომელიც იმდენად გაძლიერდა, რომ, მართალია, თავად ვერ ქმნის, მაგრამ ელიტას, რომელსაც შემოქმედებითი უნარი აქვს, კარნახობს იმას, თუ რა უნდა შექმნას, კარნახობს მოდას. დღეს იქმნება ის, რაც მოსწონს ყველას, ყველა კი „მასაა“, იქმნება ის, რაშიც მასა უფრო მეტ თანხას იხდის.

ფ.ფუკუიამას თქმით, დღეს საუბარი შეძლება მხოლოდ გლობალურ სამომხმარებლო კულტურაზე, რომელიც ვრცელდება მაკდონალდსისა და კოკა-კოლას მსგავსი კომპანიების მეშვეობით[1]. მაგრამ, საერთოდ, კულტურა უფრო მეტია, ვიდრე სამომხმარებლო ბაზარი, ეს უკანასკნელი არის ზედაპირული ასპექტი, კულტურას კი აქვს სიღრმე, რომელიც გავლენას

[1] (ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება; რუანდაში მომხდარი გენოციდის შემდეგ არ არსებობდა არანაირი ინფრასტრუქტურა, არანაირი წესრიგი, ქვეყანა სრულ ქაოსით იყო მოცული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც გაემგზავრა მისიის შესასრულებლად ამ ქვეყანაში, ერთი საინტერესო ფაქტის მომსწრე გახდა: მათზე უფრო ადრე რუანდაში ჩასვლა “კოკა-კოლას” წარმომადგენლებმა მოახერხეს)

ახდენს იმაზე, თუ როგორ უკავშირდება ხალხი ერთმანეთს. სწორედ ამიტომ კულტურები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ინდივიდუალურობას. მისივე თქმით, 60-იან წლებში აზია აშშ-ს შეჰყურებდა როგორც მოდერნიზაციის მოდელს. გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ დასავლეთი ფლობს მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რომელთა მეშვეობითაც ადვილი შესაძლებელი იქნებოდა კულტურის გავრცელება. მაგრამ სწორედ იმან, რომ ამ საკომუნიკაციო საშუალებებმა აზიას და სხვა საზოგადოებებს უფრო მკვეთრად დაანახა ის განსხვავება, რომელიც მათი კულტურების ძირებშია საძიებელი და, რომლის გაფერმკრთალებაც კი ძალიან ძნელი, თითქმის მიუღწეველია. ამას ისიც ემატება, რომ აზიისა და სხვა არადასავლური საზოგადოებები სულ უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ ამერიკაში მიმდინარე ურბანულ ხრწნასა და ოჯახის დაცემას. ეს კი ისედაც არსებულ უფსკრულს სულ უფრო აღრმავებს.

შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციულმა დაახლოებამ მხოლოდ მოჩვენებითი გლობალური კულტურა შექმნა, რომელიც მისაღებია მასისათვის. მასას, შესაძლოა, დიდი სურვილიც ჰქონდეს, რომ მიიღოს და იცხოვროს უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი წესებით, მაგრამ ეს ვერ მოახერხოს, რადგან საკუთარი კულტურა არ მისცემს ამის საშუალებას. სწორედ ეს განასხვავებს მასას ელიტისაგან, რადგან ელიტა იღებს არა იმას, რაც სურს, არამედ იმას, რისი მიღებაც მის პიროვნებას შეუძლია. უფრო სწორად, ელიტას იმის მიღების სურვილი უჩნდება, რაც მისი კულტურისათვის არის მისაღები და ამას იგი აკეთებს არა ისე, რომ მოახდინოს საკუთარის, ძირეულის უარყოფა, რადგან ელიტა თავიდან ბოლომდე შეიგრძნობს კულტურას, მასას კი ეს გრძნობა არ გააჩნია, სწორედ ამიტომ მისთვის გლობალური სამომხმარებლო კულტურა უკვე ნიშნავს მთლიანად კულტურის გლობალიზაციას, რადგან კულტურის მეტი სიღრმე მასას არ აინტრესებს. სწორედ ამის ეშინოდა ხ.ორტეგა ი გასეტის ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც აცხადებდა, რომ გაქრებიან ბეთჰოვენისა და მოცარტის მსმენელები. ეს შიში დღესაც არსებობს — შიში იმისა, რომ მასების გაძლიერება თავისთავად მოახდენს კულტურული ორიგინალურობის გაქრობას. მასა მოითხოვს კომფორტს, მას არა აქვს მიზანი, რასაც ცხოვრებას შესწირავს, მისი მიზანია კომფორტული ცხოვრება, მას მხოლოდ ის სურს, რომ იყოს ყველას მსგავსი.

ასევე დიდი როლი ეკისრება გლობალური კულტურის გავრცელებაში ევანგელისტურ პროტესტანტიზმს. ინგლისელი სოციოლოგი დევიდ მარტინი დიდი ხნის განმავლობაში იკვლევდა ამ საკითხს და დაზუსტა, რომ მსოფლიოში ამ რელიგიის მიმდევარი 250 მილიონამდე ადამიანია. ამ რელიგიის მიღება იწვევს გარკვეულ ცვლილებებს ოჯახურ ურთიერთობებში, სექსუალურ გამოვლინებებში, ბავშვთა აღზრდაში და, რაც ყველაზე მთავარია, საქმისადმი დამოკიდებულებაში, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ეკონომიკაზე საერთოდ.

გლობალური კულტურა მიმართულია ადამიანების ინდივიდუალიზაციისაკენ და ტრადიციებისგან და ერთობებისაგან მათი დამოუკიდებლობისაკენ. ინდივიდუალიზაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესი, რომელიც ემპირიულ გამოხატულებას პოვებს ადამიანის ქცევასა და ცნობიერებაში, დამოუკიდებლად იმ იდეისაგან, რომელიც ამ ადამიანებს შესაძლოა ჰქოდეთ ამის შესახებ. სხვა სიტყვებით, ინდივიდუალიზაცია როგორც ემპირიული გამოვლინება, აუცილებლად განსასხვავებელია „ინდივიდუალიზმისაგან, როგორც იდეოლოგიისაგან. მსგავსი მიდგომა მომგებიანია იმდენად, რამდენადაც გვეხმარება ავხსნათ, თუ რით არის მიმზიდველი ახალი გლობალური კულტურა. როგორც უკვე ცნობილია, მოდერნიზაცია ანგრევს ტრადიციებისა და კოლექტიური სულის მეფობას და ინდივიდს ხდის უფრო თვითმყოფადს. ეს კი ნიშნავს გათავისუფლებას. ახალ გლობალურ კულტურას ბევრი აქვს საერთო მოდერნიზაციის პროცესთან. დღევანდელ დღეს კი მსოფლიოს მრავალ კუთხეში კიდეც ემთხვევიან ერთმანეთს.

მოდერნიზაციის ადრეულ ეტაპზე ადამიანებს უჩნდებათ მეტი თავისუფლებისა და ახალი შესაძლებლობების აღტაცებული გრძნობა. ამიტომ ახალი გლობალური კულტურა მომხიბლავია მათთვის, ვინც აფასებს პიროვნულ თავისუფლებას და ცდილობს მის სრულად

რეალიზებას. ამით გლობალური კულტურა ძალზედ წააგავს ელინიზმის ეპოქას, როდესაც გაიზარდა ინდივიდების მისწრაფება „სრულყოფილებისაკენ“.

მიზანშეწონილად მივიჩნევთ, ორიოდე სიტყვით თავად მოდერნიზაციის ცნებასაც შევეხოთ. ამ ტერმინით სოციოლოგიაში აღნიშნავენ ტრადიციული, სასოფლო, აგრარული საზოგადოებიდან სეკულარულ, ინდუსტრიულ, ურბანისტულ საზოგადოებად ტრანსფორმაციას. მოდერნული საზოგადოება ინდუსტრიული საზოგადოებაა. საზოგადოების მოდერნიზება, უპირველეს ყოვლისა, მის ინდუსტრიალიზაციას ნიშნავს. ისტორიულად, მოდერნული საზოგადოების აღზევება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ინდუსტრიული საზოგადოების წარმოშობასთან. მოდერნულობის ყველა ძირითადი მახასიათებელი/ნიშანი დაკავშირებულია ცვლილებათა ერთობლიობასთან, რომელმაც ორი საუკუნით ადრე განაპირობა ინდუსტრიული საზოგადოების წარმოშობა. ტერმინი „ინდუსტრიალიზაცია“ და „ინდუსტრიული საზოგადოება“ გაცილებით მეტს გულისხმობს, ვიდრე ეკონომიკური და ტექნოლოგიური კომპონენტებია, რომლებიც მის არსს წარმოადგენენ. ინდუსტრიალიზმი ცხოვრების წესია, რომელიც მოიცავს ძირეულ ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებებს. ინდუსტრიალიზაციის ყოვლისმომცველი გარდაქმნების შედეგად საზოგადოება ხდება მოდერნული. მოდერნიზაცია არის უწყვეტი და უსასრულო პროცესი. ისტორიულად, მოდერნიზაცია საუკუნეებს მოიცავს, თუმცა, არსებობს დაჩქარებული მოდერნიზაციის მაგალითები. ორივე შემთხვევაში, მოდერნიზაცია არ არის ერთჯერადი მონაპოვარი. როგორიც არ უნდა იყოს განვითარების დონე, ყოველთვის არსებობენ „ჩამორჩენილი“ რეგიონები და „პერიფერიული“ ჯგუფები. ეს არის მოდერნულ საზოგადოებაში დაძაბულობისა და კონფლიქტების მუდმივი საფუძველი. მოდერნიზაციის პროცესი არ შემოიფარგლება ერთი ცალკეული ქვეყნის შინაგანი განვითარებით. ის უნდა განიხილებოდეს გლობალური მასშტაბით, რადგან მოდერნიზაცია გავრცელდა თავისი წარმოშობის ადგილიდან — დასავლეთიდან — და მთელი მსოფლიო მოიცვა. განვითარების არათანაბარი დონის მქონე ნაციების არსებობა მსოფლიო სახელმწიფოთა სისტემაში არასტაბილურობის ფუნდამენტური ელემენტია.

მოდერნიზაციას ორი ძირითადი ფაზა აქვს. მისი განვითარების გარკვეულ მომენტამდე მოდერნისტული იდეები პროგრესულად ითვლება, თუმცა მას შეიძლება თავდაპირველად წინააღმდეგობა შეხვდეს. მოდერნიზაციის თავდაპირველი წინააღმდეგობები, შესაძლოა, ხანგრძლივი და მწვავე იყოს, მაგრამ, ძირითადად ისინი განწირულია წარუმატებლობისათვის. თუმცა, გარკვეული მომენტის შემდეგ მოდერნიზაცია იწვევს მზარდ უკმაყოფილებას. ეს ნაწილობრივ გამოიწვია მოდერნული საზოგადოების ადრეული წარმატებისა და დინამიზმისაგან დიდი შედეგების მოლოდინმა. ჯგუფებს ერთობებში მზარდი მოთხოვნები უჩნდებოდათ და ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. უფრო დასაბუთებულად, მოდერნიზაციამ განვითარებულ დონეზე მსოფლიო მასშტაბით მოიტანა ახალი სოციალური და მატერიალური სირთულეები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა განვითარებასა და ექსპანსიას, რომელსაც მოდერნული საზოგადოება ეფუძნება. მეორე ფაზაში, მოდერნული საზოგადოება უამრავი პრობლემის პირისპირ აღმოჩნდა. ამ პრობლემათა გადაჭრა, უმრავლეს შემთხვევაში, აღემატებოდა ტრადიციული ერი-სახლემწიფოს შესაძლებლობებს. ამავე დროს, მსოფლიოს დღევანდელი სახის განმსაზღვრელ დომინირებად ფაქტორად რჩება არათანაბარი სიძლიერისა და კონფლიქტური ინტერესების მქონე სუვერენულ ერ-სახელმწიფოთა სისტემა.

მოდერნული საზოგადოების წარმოშობა დაკავშირებულია XVIII საუკუნეში მომხდარ ორ დიდ ცვლილებასთან (ძვრასთან) პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში. ორივე მათგანი იმ ფართო ცვლილებების ნაწილია, რომლებმაც, რენესანსისა და რეფორმაციის შემდეგ, დასავლეთი გადაიყვანა განვითარების ახალ, დანარჩენი სამყაროსაგან განსხვავებულ, ეტაპზე. ცვლილებათა ეს მოდელი გულისხმობდა ინდივიდუალიზმსა და, საბოლოო ჯამში, სეკულარიზმს, რაც პროტესტანტულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. ცვლილებები გამოიხატა

ასევე მეცნიერების განვითარებაშიც. ცვლილებებმა ამ ორივე მიმართულებით XVIII საუკუნის ბოლოს კულმინაციას მიაღწია. პირველმა მოდერნმა განაპირობა პოლიტიკური რევოლუციები საფრანგეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. მეორე კი, რომელიც მიმდინარეობდა ტექნოლოგიური ინოვაციებისათვის ხელსაყრელ ვითარებაში, დიდ ბრიტანეთის ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო.

ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებმა დააფუძნეს მოდერნული საზოგადოების პოლიტიკური ტიპი — კონსტიტუციური და დემოკრატიული. ეს ნიშნავს არა იმას, რომ ამიერიდან ყველა მთავრობას ამგვარი ხასიათი ჰქონდა, არამედ იმას, რომ აქედან მოყოლებული, პრაქტიკულად ყველა მოაზროვნისათვის ცხადი გახდა, რომ ახლა პოლიტიკურ სისტემებს აღარ უნდა ჰქონოდათ პრეტენზია ლეგიტიმურობაზე, თუ ის არ იქნებოდა დამყარებული კონსტიტუციურად გამოხატულ „ხალხის ნებაზე“.

თავი VII. ვესტერნიზაციისა და მოდერნიზაციის ცნებათა ურთიერთმიმართებისთვის

ერთ-ერთი დიდი პრობლემაა გლობალიზაციისა და ვესტერნიზაციის ურთიერთმიმართება. ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი:

პირველის მიხედვით, გლობალიზაცია არის უფრო ფართო პროცესი, ვიდრე ვესტერნიზაცია; ამასთან ერთად, გლობალიზაცია პრაქტიკულად თანაბარმნიშვნელოვანია მოდერნიზაციისა; ამ შეხედულებას მხარს უჭერენ ა.გიდენსი, რ.რობერტსონი, მ.ოლბროუ, უ.კონოლი. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა დაამტკიცეს, რომ ინდუსტრიალიზაცია შესაძლებელია ვესტერნიზაციის გარეშე.

მეორე მიდგომის მიხედვით, გლობალიზაცია მხოლოდ და მხოლოდ დასავლური მოდერნიზმის გლობალურ დიფუზიას წარმოადგენს. და იგი მიმართულია ვეტერნიზაციის გაფართოების, დასავლური კაპიტალიზმისა და ინსტიტუტების გავრცელებისაკენ. ამ მიმართულებას მხარს უჭერენ ს.ამინი და ლ.ბენტონი. რ.გილპინი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ინტერნაციონალიზაცია არის ამერიკული მსოფლიო წესრიგის გავრცელების პროდუქტი. ა.კალინიკოსი და რიგი მეცნიერებისა თანამედროვეობაში ხედავენ დასავლური იმპერიალიზმის ახალ ფაზას, რომელშიც ნაციონალურმა ხელისუფლებებმა შეასრულეს მონოპოლიტიკური კაპიტალის აგენტების როლი. ამერიკელი თეორიტიკოსის ჰ.გლეიზერის აზრით, გლობალიზაცია არის გავრცელება დასავლეთის მიერ რეგულირებული ინფორმაციისა და გასართობი საშუალებებისა, რომლებიც გარკვეულ ეფექტს ახდენს იმ ქვეყნების ფასეულობებზე, რომელბშიც ეს ინფორმაცია აღწევს. ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა წარმოადგინა უბრალო ბედუინის სახე, რომელიც ზის აქლემზე და ტრადიციული სამოსის ქვეშ ჯინსებს ატარებს. მას ხელში რადიომიმღები და კოკა-კოლა უჭირავს. კოკა-კოლა და ჯინსი, მართალია, ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ რადიომიმღები და ტელევიზორი უკვე დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან მათი საშუალებით ბედუინი იღებს ინფორმაციას, რომელიც აუცილებლად ახდენს გავლენას ბედუინის პირველსაწყის ღირებულებებზე. როდესაც საუბარია კულტურის გლობალიზაციაზე, საუბარია დასავლური ცივილიზაციის, კერძოდ, ამერიკული კულტურის გავლენაზე მსოფლიოს სხვა ცივილიზაციებზე.

თემა VIII. დასავლურ და არადასავლურ კულტურათა წარმომადგენლების თვალით დანახული სამომავლო პერსპექტივა

როგორც დავინახეთ, გლობალიზაცია თანამედროვე მოვლენაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დღეს მიმდინარე პროცესების მსგავსი ისტორიის განმავლობაში არ ხდებოდა. გლობალურ მოვლენები ადრეც აღინიშნებოდა; ისტორიაზე დაკვირვებით, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ საქართველო მუდმივად ჩართული იყო გლობალურ პროცესებში (ნებისმიერი ახლო თუ

შორეული მეზობელი, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო იმპერიად ქცევის პრეტენზია, მეტ-ნაკლებ ყურადღებას აქცევდა საქართველოს, მის გეოგრაფიულ მდებარეობას); შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მაშინდელ სამყაროში მიმდინარე გლობალურ პროცესებში მონაწილეობა გახდა ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთი საფუძველი; გლობალური პროცესებიდან მომდინარე გამოწვევების მუდმივობა განაპირობა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რამაც საქართველოს გარკვეული ფუნქცია მიანიჭა; საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები ორი სახისა იყო: გამოწვევა, რომელიც ამ ფუნქციიდან მომდინარეობდა და გამოწვევა, რომელზე გაცემულ პასუხსაც ამ ფუნქციის დაბრუნებამდე მივყავდით.

ჩვენი აზრით, გლობალიზაციის პირობებში მოდერნიზაციის გამოწვევებზე არსებობს ორი პასუხი თუ განვითარების შედეგი — ლოკალიზაცია და მულტიკულტურალიზამი; ლოკალიზაციის ფარგლებში განიხილება ისეთი მოვლენა, რომელსაც მეცნიერებაში გლოკალიზაცია ეწოდა. „გლობალურად“ — ნიშნავს მრავალ ადგილზე ერთდროულად, ანუ ტრანსლოკალურად“. კონცერნები „კოკა-კოლა“ და „სონი“ საკუთარ სტრატეგიებს „გლობალურ ლოკალიზაციას“ უწოდებენ, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია არ ნიშნავს და მოითხოვს მსოფლიოს ყველა კუთხეში ქარხანა-ფაბრიკების აშენებას, არამედ აუცილებელია ისინი ამ თუ იმ კულტურის ნაწილად იქცნენ, ანუ „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“ თუ „სონი“ კონკრეტული კულტურის მოთხოვნებს ითვალისწინებს მენეჯმენტში.

ლოკალიზაცის პროცესი იწვევს რეგიონალიზაციას; მაგალითად ავიღოთ იაპონია, რომელიც გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში და საზღვრებში იქცა ლიდერ ქვეყნად; იგი ახდენს საკუთარი კულტურის რეკლამირებას და გავრცელებას; ტაივანის მაგალითზე, სინ-ხუან მაიკლ სიაო გლობალიზაციის პროცესში გამოყოფს სამ მიმართულებას — ამერიკანიზაცია, ევროპეიზაცია და იაპონიზაცია. მისივე თქმით, ტაივანური და იაპონური კულტურები ძალზედ ახლოს არიან ერთმანეთთან; 1990-იან წლებში ტაივანში გაჩნდა ახალი გამოთქმა ჰა-რი-ზუ („იაპონიის თაყვანისმცემელთა თაობა“), რომელიც ასოცირდება ყველაფერი იაპონურით აღტაცებასთან. ჰა-რი-ზუ-ს წარმომადგენლებმა, შესაძლოა, იაპონიის არც ისტორია იცოდნენ კარგად და არც პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა; ეს თაობა შეიქმნა იაპონიის მიერ საკუთარი კულტურის პროპაგანდის შედეგად; სინ-ხუან მაიკლ სიაო აღნიშნავს, რომ ტაივანური კულტურის იაპონურთან სიახლოვემ ტაივანზე ვესტერნიზაციის გავლენა შეასუსტა; უფრო ზუსტად: იაპონიას ტაივანში აქვს მრავალი საკაბელო სატელევიზიო არხი; იაპონურმა მელოდრამებმა წარმატებით მოახდინა დასავლური კულტურის, ცხოვრების წესის ლოკალიზაცია ანუ ადაპტირება ადგილობრივთან და ისე გადასცა იგი ტაივანელ მაყურებელს; ანუ ტაივანი დასავლურ ღირებულებებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, იაპონურ წნეხში გამოვლილს იღებს; იაპონური კულტურა კი იმდენად ახლოა ტაივანურთან, რომ ტაივანური კულტურა აბსოლუტურად ღია აღმოჩნდა გლობალური კულტურის მიღებისათვის ისე, რომ გლობალურ კულტურას არ მოუხდენია ადგილობრივი კულტურის გადასხვაფერება. მსგავს გავლენას, ამბობს სინ-ხუან მაიკლ სიაო, იაპონური კულტურა სხვა ჩრდილო და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის კულტურებზეც ახდენს. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ იაპონურმა კულტურამ ლოკალიზაციის შედეგად მოახერხა გარკვეული სახის რეგიონალიზაცია, ამ რეგიონში იგი წარმოადგენს წამყვან საზოგადოებას, რაც იმის საშუალებასაც იძლევა, რომ მისი მსგავსი კულტურები და საზოგადოებები ადვილად იღებენ გლობალური კულტურის თავისებურებებს და საკუთარი კულტურის ორიგინალობის დაკარგვის გარეშე ახერხებენ მოდერნიზაციას.

დასაწყისში მინდა აღვნიშნო, რომ მიზანი მსჯელობისა, რომელსაც მე შემოგთავაზებთ, არ არის დასკვნის გაკეთება; ის უფრო გლობალიზაციის გამოწვევაზე საქართვლოს მიერ გასაცემი პასუხის ძიებაა.

ამჯერად მინდა თანამედროვე საქართველოს გეოგრაფიულ გარემოს შევეხო. იაპონიის მაგალითზე განვსაზღვრეთ, რომ რეგიონალიზაციის მიღწევა კულტურულად მონათესავე მეზობლის გარეშე, რომელიც გახდება რეგიონში წამყვანი ქვეყანა, შეუძლებელია; ანუ

რეგიონალიზაციის პროცესს სჭირდება მეთაური, მედროშე; როდესაც ვსაუბრობთ რეგიონში წამყვან ქვეყანაზე, აქ არ იგულისხმება რაიმე პოლიტიკური ან ეკონომიკური ზეწოლა, რეგიონალიზაცია კულტურის ნიშნით გამორიცხავს ძალდატანებას, იმპერიულ ზრახვებს. კულტურული ნიშნით რეგიონალიზაციის პროცესი დამყარებულია საზოგადოებათა კულტურულ მსგავსებაზე; იგი ბუნებრივი და შეუქცევადი პროცესია, რომელიც თავისთავად მიმდინარეობს; განსხვავების სახით გავიხსენებ რეგიონალიზაციას იდეოლოგიის ნიშნით; მსგავსი ერთობა საბჭოთა კავშირის სახით არსებობდა; მისი დაშლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ კულტურული მრავალფეროვნება და განსხვავებულობა გახდა.

ლოკალიზაციის და რეგიონალიზაციის საინტერესო თეორიას გვთავაზობს უკრაინელი მეცნიერი — პოლიტოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ აქსელროდი; საერთაშორისო კონფერენციაზე: „თანამედროვეობის ხელახლა გააზრება“ მან განაცხადა, რომ უახლოესი ოცი წლის მანძილზე კაცობრიობა შეეჩეხება შემდეგ პოტენციურ საფრთხეებს:

1. სამხედრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება;
2. ერთა პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური თვითიდენტიფიკაციის პრობლემა;
3. მნიშვნელოვანი რესურსების (საკვები, წყალი, ნავთობი) უკმარისობა მსოფლიო მასშტაბით;
4. გავლენისა და ძლიერების ცენტრების გადაადგილება;
5. გაძლიერდება განხეთქილება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის და წარმოიშობა ფინანსური არასტაბილურობა;
6. დემოგრაფიული კრიზისი.

უდავოა, რომ ამ გამოწვევებს სჭირდება ადეკვატური პასუხი, აცხადებს რ.აქსელროდი და მიიჩნევს, რომ გლობალიზმის იგნორირება არ შეიძლება. მაგრამ გლობალიზმი მხოლოდ ნაწილია დიდი პროცესისა, რომელსაც გლობალიზაცია ეწოდება. თუ გლობალიზმი გამოიყენება მხოლოდ ერთ განზომილებასთან, ეკონომიკასთან დაკავშირებით, გლობალიზაცია, გერმანელი პოლიტოლოგის ულრიხ ბეკის თვალსაზრისით, მოიცავს სხვა ასპექტებსაც, როგორებიცაა: პოლიტიკური, ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული, ცივილიზაციური. დღევანდელობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა ისაა, რომ გლობალიზმი წინ უსწრებს გლობალიზაციას. ზენაციონალური მონოპოლიები, რომელთაც მოკავშირედ ჰყავთ აშშ, თავიანთ პირობებს კარნახობენ მსოფლიოს, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტები ვერ ახერხებენ ამაზე რეაგირებას. კონფლიქტების დარეგულირებაში უსუსურია ხოლმე გაერო. თეორიულადაც კი არ არსებობს სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ურთიერთთანაარსებობის ფორმები. საეკლესიო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ლიდერების მხრიდან იმის ოფიციალური მტკიცება, რომ ტრადიციული რელიგიური კონფესიები და სახელმწიფოები ურთიერთმიმართ ტოლერანტები არიან და ეყრდნობიან საერთო საკაცობრიო ღირებულებებს, მხოლოდ კვამლის ფარდაა, რომელსაც ადვილად არღვევენ ფუნდამენტალისტები.

რ.აქსელროდი მიზანშეწონილად მიიჩნევს პოლიტკოსების, მეცნიერების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების ძალისხმევის გაერთიანებას იმისთვის, რათა შეიქმნას საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც შეამცირებენ გლობალიზმის ნეგატიურ შედეგებს. არავისათვის არ არის საიდუმლო ის ფაქტი, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია ავიწროებს და მეორე პლანზე გადააქვს გლობალიზაციის ის პროცესები, რომელთა მიზანია განსხვავებული ცივილიზაციების ღირებულებების მუდმივი დაახლოება მათი უნივერსალიზაციის მიმართულებით. მას, შეიძლება, კაცობრიობისათვის არაპროგნოზირებადი შედეგები მოჰყვეს.

უკრაინელი მეცნიერი აყალიბებს გლობალიზაციის პროცესის უმტკინვეულოდ გადაქცევის გზებს. ის აღნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე უნდა დაიწყოს არა ერთიანი, უნივერსალური იდეისათვის შეკავშირება, არამედ უნდა მოხდეს განსხვავებულ პოლიტიკურ, კულტურულ, რელიგიურ და ნაციონალურ ჯგუფთა გაერთიანება, რომლებიც წინ აღუდგებიან იმ ფასეულობებზე თავდასხმას, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანია. მეცნიერი აღნიშნავს უკრაინის როლს მომავალში. ის დასძენს, რომ მიუხედავად მათი ქვეყნის მცირე ეკონომიკური შესაძლებლობებისა, კარგად შეიძლება იქნეს გამოყენებული მათი

გეოპოლიტიკური მდებარეობა — საკუთარი და მსოფლიო ინტერესების შესაბამისად. მეცნიერის აზრით, უკრაინამ უნდა გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსი და არ დაიწყოს იმ გაერთიანებების კარებზე კაკუნი, სადაც არავის სჭირდება: ნატოში და ევროკავშირში. უკრაინელები ღარიბები და თანაც ბევრნი არიან და ახლო მომავალში ამ ორგანიზაციაში მათ არავინ ელის. აქსელროდის აზრით, უკრაინა უნდა გახდეს მიზიდულობის ცენტრი ბალკანეთის ქვეყნებისთვის, რუმინეთისთვის, ბულგარეთისთვის, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის, მოლდოვისა და ყაზახეთისთვის. უკრაინელებმა უნდა მოაწყონ ცივილიზებული სახელმწიფო ევროპული ნიმუშის მიხედვით, სადაც ადგილი არ ექნება ავტორიტარიზმს. აქსელროდს ღრმად სწამს, რომ ამ მიმართულებით უკრაინის პერსპექტივა იმედისმომცემია. მეცნიერის აზრით, უკრაინელებმა უნდა დაძლიონ თავიანთი პროვინციალიზმი და გლობალიზაციის ეპოქაში მსოფლიოში არსებული პრობლემების გადაჭრაში თავიანთი წვლილი შეიტანონ.

ამ თეორიის მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რეგიონი, რომლის ორგანიზატორი და ლიდერი უნდა გახდეს უკრაინა; მის წევრად საქართველოც მოიაზრება.

უკრაინის მეთაურობით აღმოსავლეთ ევროპაში ახალი რეგიონის შექმნა, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელია; პირველ რიგში თავად უკრაინა არ წარმოადგენს ძლიერ დემოკრატიულ საზოგადოებას (არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად), რომელსაც შესწევს უნარი, კონკურენცია გაუწიოს ევროკავშირს, რადგან თავად აქსელროდის მიერ ჩამოთვლილ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა, მათგან ბულგარეთი და რუმინეთი უკვე წევრები არიან; მეორეს მხრივ, მივიჩნევთ, რომ თავად ევროპას, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გამოცდილებით, აღარ უნდა სჭირდებოდეს აღმოსავლეთ ევროპაში რაიმე ალტერნატიული რეგიონის შექმნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი რეგიონის შექმნას ვერ მოახერხებს ვერც ერთი კავკასიური ქვეყანა; თურქეთი თვითონ ცდილობს გახდეს ევროკავშირის წევრი; ერთადერთი, ვისაც, შესაძლოა, გარკვეული სურვილი ჰქონდეს რეგიონის შექმნისა, არის რუსეთი; დსთ, ჩვენი აზრით, წარმოადგენს არა გლობალიზაციის გამოწვევებზე გაცემულ პასუხს და ბუნებრივ ერთობას, არამედ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის გადმონაშთს; იგი იმთავითვე განწირულია დაშლისათვის; ანუ საქართველოსათვის ამ მიმართულებას და ევროკავშირის ალტერნატიული რეგიონის ძიებას რეალური საფუძველი არ აქვს.

ამ მსჯელობის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ „გლობალიზაციის მახიდან არ არსებობს ეროვნული გამოსავალი, მაგრამ არსებობს ტრანსნაციონალური გამოსავალი“. რეგიონალიზაცია არის საშუალება ტრანსნაციონალური ზესახელმწიფოებრივი ორგანიზმების შექმნისა. ზესახელმწიფოებრივი ორგანიზმების შექმნის მიზეზი და მიზანი პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან მომდინარეობს, მაგრამ საშუალება არის კულტურული ურთიერთმსგავსება. დღეისათვის მსოფლიოში ზესახელმწიფოებრივ ორგანიზმში ინტეგრაცია მოახერხეს ევროპის ქვეყნებმა. ევროპა არის არა მხოლოდ გეოგრაფიული განზომილება, არამედ ზესახელმწიფოებრივი საზოგადოება. მისი ერთიანობის საფუძველია დემოკრატია. ანუ ევროკავშირში აღმოჩნდნენ და შესვლის უფლება ეძლევათ იმ ქვეყნებს, რომლებიც იღვწიან საკუთარ საზოგადოებაში დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდისათვის, ანუ ევროკავშირი წარმოადგენს მოდერნიზაციის შედეგს, რადგან მოდერნიზაცია გულისხმობს საზოგადოების განვითარებას დემოკრატიული ნიშნებით. საკითხის ამ მიმართულებით კველევა მართებულად მიმაჩნია, რადგან საქართველოს განვითარების გეზი ამ მიმართულებით აქვს აღებული და ცდილობს გლობალიზაციის გამოწვევას პასუხი ევროკავშირში ინტეგრაციით გასცეს.

მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია გამოწვეულია ქართული კულტურის დასავლური ხასიათით. უამრავი მოსაზრება გამოითქვა იმის შესახებ, თუ რა ნიშნების გამო შეიძლება ჩავთვალოთ დასავლური ცივილიზაციის წევრად. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით კვლევა აუცილებელია, მაგრამ მივიჩნევ, რომ საკითხის

იმგვარად დასმა, რომ საქართველო აუცილებლად უნდა იყოს ან დასავლური, ან აღმოსავლური ცივლიზაციის შემადგენელი ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია განვითარების გეზის და მიმართულების განსაზღვრა, არ არის მართებული. ქართულ კულტურაში აღმოსავლური კულტურის ნიშნების არსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოება ვერ მოახერხებს მოდერნიზაციას და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას, ან დასავლეთში ინტეგრაციას. ამის ნათელი მაგალითები მსოფლიოში უამრავია: იაპონია, რომელიც სრულიად სხვა სამყაროს წარმოადგენს, მაგრამ მოახერხა დემოკრატიის მიღება ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების დონეზე, ისე, რომ კულტურული ორიგინალობა არც დაუკარგავს. ჩვენი აზრით, გლობალიზაცია გლობალურ მსოფლიოში საკუთარი ადგილის, ფუნქციის პოვნის საშუალებას იძლევა. ქართული კულტურის ყოფნა კულტურათა გზაგასაყარზე შეიძლება იყოს დასავლური საზოგადოების ჩვენით დაინტერესების მიზეზი. ძალზედ აქტუალურია მსოფლიოში კულტურათა დიალოგის პროცესი; არსებობენ ერთმანეთისაგან მკვეთარად განსხვავებული კულტურები, რომლებიც დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციებს განეკუთვნებიან. ქართულ კულტურას აქვს საშუალება მეტ-ნაკლებად, საერთო ენა გამონახოს როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ კულტურებთან.

კულტურათა დიალოგის პროცესში სასაზღვრო[1] კულტურებს დიდი მნიშვნელობა მიენიჭება; ნიშნადობლივია, რომ ევროკავშირში ბალტიისპირეთის ქვეყნების გაერთიანებისთანავე სამივე მათგანი იქცა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების ლობისტად; თავად ევროპის მხრიდანაც სწორედ ბალტიის ქვეყნებს დაევალათ ჩვენი დახმარება და კურატორობა გარკვეულ საკითხებში, მაგალითად, პატრულის სამსახურის შექმნაში ინსტრუქტორები სწორედ ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლები არიან; ბალტიისპირეთის ქვეყნები უფრო ადვილად შეძლებენ საქართველოსთან საუბარას, რადგან იგივე გზა მათ სულ ახლახან გაიარეს. შეიძლება იმის დაშვებაც, რომ საქართველო გახდეს შუამავალი ევროპასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, რადგან ევროპას აზერბაიჯანთან და სომხეთთან საუბარი საქართველოდან უფრო გაუადვილდება. ამის საფუძვლად მიმაჩნია როგორც ისტორიული თანაცხოვრების საფუძველზე ჩამოყალიბებული კულტურათა გარკვეული ურთიერთმსგავსება, ასევე ეკონომიკურ დონეზე ურთიერთსაჭიროება (აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირება).

იმისათვის, რომ საქართველომ მოახერხოს დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაცია, აუცილებელია საზოგადოების მოდერნიზება და დემოკრატიზაცია. გეოპოლიტიკური მდებარეობა იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველო ჩაებას გლობალურ პროცესებში; არსებობს ეკონომიკური და პოლიტიკური პროექტები, რომელშიც საქართველოს თავისი ფუნქცია აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოუწევს გლობალურ კულტურასთან შეხება.

საინტერესოა განვიხილოთ ფ.ფუკუიამას, მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია. მისი თქმით, დემოკრატიის კონსოლიდაცია მოხდება ოთხ დონეზე: იდეოლოგია, როგორც რწმენა იმისი, რომ დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა; ინსტიტუტები, რომელიც მოიცავს კონსტიტუციებს, სასამართლო და პარტიულ სისტემებს, საბაზრო სტრუქტურებს და ა.შ; მესამეა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოსაგან გამოცალკევებული და დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტებზე დაფუძნებული სპონტანურად წარმოქმნილი

[1] სასაზღვრო ეწოდება კულტურას, რომელიც ცივილიზაციათა საზღვარზე, მათი შეხების არეალში მდებარეობს. ასეთ კულტურებს ახასიათებს: სტრუქტურირების დაბალი ხარისხი; შინაგანი დაძაბულობა და წინააღმდეგობანი; კულტურაში სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ფენომენთა თანაარსებობა; არქაულ (ძველ) ფენომენთა მუდმივი გამოცოცხლება; იდენტიფიკაციის პრობლემის განსაკუთრებული აქტუალობა და მტკივნეულობა. სასაზღვრო კულტურები ასრულებენ შუამავლის, თარჯიმნის ფუნქციას ცივილიზაციებს შორის. საზღვრულობა განიხილება როგორც ლოკალურ კულტურათა გარკვეული სახეობის დამახასიათებელი განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული თვისება, ცივილიზაციური პროცესის განსაკუთრებული ტიპი, და არა განვითარების ეტაპი. ეს პროცესი დროში გაჭიმულია და შეიძლება რამდენიმე ათასწლეულსაც კი მოიცავდეს. ამდენად, საზღვრულობა დროებითი კი არა, მუდმივი მდგომარეობაა.

სოციალური სტრუქტურების სამყაროა; იგი სახელმწიფოს მხრიდან მანიპულირებას ნაკლებად ექვემდებარება; მეოთხე დონე არის კულტურა; იგი ყველაზე ღრმაა და მოიცავს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ოჯახის სტრუქტურა, რელიგია, მორალური ღირებულებები; დემოკრატიული ინსტიტუტების საყრდენი არის ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო თავად სამოქალაქო საზოგადოების წინამძღვარია კულტურა. ფ.ფუკუიამას აზრით, დასავლეთი სამართლიანი სოციალური წყობის აშენებას ცდილობს ზემოდან ქვემოთ, ანუ ამოსავალი წერტილია პირველი და მეორე დონე; ხოლო აღმოსავლური კულტურები მესამე და მეოთხე დონიდან იწყებენ და მიემართებიან ზევით. მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესი არადასავლურ ტრადიციულ ქვეყნებში პირველივე დარტყმას კულტურას აყენებს; მათთვის დემოკრატიზაციის პროცესი კულტურის ტრანსფორმაციასა და შეცვლასთან არის პირდაპირ კავშირში. ამის გამო მათი რეაქცია საკმაოდ მძაფრია; როდესაც საუბარს იწყებენ დემოკრატიას, ადამიანის თავისუფლებასა და უფლებებზე, მათ მიღებაზე საკუთარ საზოგადოებაში, ამოსავალი წერტილი კულტურაა.

ფრიდა მაიალ-მანენჯი თავის ნაშრომში: „გლობალიზაციის ეფექტი აფრიკულ კულტურაზე, დანახული აფრიკელი ქალის თვალით“, აღნიშნავს, რომ გლობალიზაციამ დიდი გავლენა იქონია აფრიკელი ხალხის ყოფაზე, კონკრეტულად კი სოციუმში ქალის როლზე. გლობალიზაციამ, რომლის მიზანია გლობალური ბაზრისათვის და მისი ძალებისათვის ყველა ქვეყნის ეკონომიკის ფართოდ გახსნა, უზარმაზარი გავლენა იქონია აფრიკელ ხალხზე და აიძულა ისინი შეეცვალათ ცხოვრების გზა და წესი. გლობალიზაციის პროცესმა უბიძგა აფრიკულ ქვეყნებს, მოეხდინათ უცხოური ინვესტიციების დერეგულაცია, იმპორტის ლიბერალიზაცია, შესუსტდა სახელმწიფო კონტროლი. ამის შედეგად, ქალები, რომლებიც ამ კონტინენტზე დიდ როლს ასრულებდნენ ფერმერობასა და ინდუსტრიაში, უცხოური კაპიტალის შემოდინებისა და საწარმოებში ახალი მარკეტინგის დანერგვის შემდეგ უმუშევრები დარჩნენ და იძულებული გახდნენ, მიემართათ ქვეყნების გარეთ ვაჭრობისათვის. ისინი გავიდნენ ქვეყნიდან, რის შედეგადაც ბავშვებს მშობლების ზრუნვა დააკლდათ. გლობალიზაციის კიდევ ერთი შედეგი აფრიკაში ოჯახის რღვევა აღმოჩნდა. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ქალების ოჯახიდან გასვლის შემდეგ ბავშვები აღარ სხდებიან ბუხრის ირგვლივ და აღარ უსმენენ იმ მოთხრობებს, რომლებიც ასწავლიან საკუთარი ღირებულებების პატივისცემას, ერთიანობას, მშვიდობას, სიყვარულს. ეს აღარ ხდება თვით აგრარულ მხარეებშიც კი, რომელსაც კარგად ერგებოდა ასეთი გარემო. აფრიკაში კაცი, ქალი თუ ბავშვი — ყველა ჩართულია გადარჩენისათვის, თითოეული დღისათვის საკვების მოსაპოვებლად ბრძოლაში. ავტორის თქმით, აფრიკულ მუსიკასა და ცეკვაში ჭარბობს ობლობის, ტკივილის, ომისა და ნარკოტიკების თემები. ეს განეიტრალდა დასავლური მაიკლ ჯექსონის მუსიკით. ახალგაზრდობა ადგილობრივ მუსიკას დასავლურს ამჯობინებს. დასავლური მოდის მიხედვით შეიცვალა ვარცხნილობის სტილი, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. გლობალიზაციის წყალობით, აფრიკაში დაფუძნდა და გაფართოვდა დიდი კომპანიები, რომელთაც ადგილობრივ საწარმოებზე იაფად შემოიტანეს თავიანთი პროდუქცია და ამით მრავალი ადგილობრივი საწარმო აიძულეს დახურულიყვნენ. უფრო ხშირად კაცი რჩება უმუშევარი, ვიდრე ქალი. მოხდა ოჯახში როლების გაცვლა — კაცი შინ, ქალი — გარეთ. კაცი ზრუნავს ბავშვებზე და საოჯახო საქმეებზე. მრავალი ბავშვი, განსაკუთრებით კი გოგონები, იძულებული გახდნენ, სწავლისათვის თავი დაენებებინათ, რასაც, ბუნებრივია, დიდი გავლენა ექნება მათ მომავალზე.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის მიერ მოტანილმა ახალმა რეალობამ უზარმაზარი გავლენა იქონია აფრიკული კულტურის შტრიხებზე, მათ ტრადიციებზე. მოხდა ღირებულებების გადაფასება და რღვევა. საფრთხე შეექმნა აფრიკულ თვითმყოფადობას, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია საზოგადოებისათვის. ამის გამო ფრიდა მაიალ-მანენჯი მიიჩნევს, რომ „ჩრდილოეთმა უნდა შეცვალოს განვითარების კონცეფცია. ეკონომიკური წინსვლა, კულტურული და სოციალური სამართლიანობის გარეშე, ვერ იქნება ჩვენი განვითარების იდეალი. აუცილებელია, რომ განვითარების დონე განისაზღვროს ადამიანთა ცხოვრების

დონით, რაც აისახება საზოგადოების თითოეული წევრის უკეთეს განათლებასა და ჯანმრთელობაში. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ ქალსაც და კაცსაც თანაბარი უფლებები აქვთ, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. ჩრდილოეთს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრება ამ პროცესში. არასოდეს უნდა იქნეს დაშვებული ის, რაც შეზღუდავს ხალხის უსაფრთხოებას, იდენტურობის გრძნობასა და ღირსებას. აფრიკამ უნდა ისწავლოს საკუთარი ხალხის განსხვავებული აზრის პატივისცემა. ამავე დროს, ჩრდილოეთმა ყურადღება უნდა მიაქციოს აფრიკელი ხალხის გამონათქვამს: „შენ არ შეიძლება იცოდე და ვერ გაუძღვები მეზობლის სახლის საშინაო საქმეებს“

ძირითადი პრობლემა, რაც გლობალურმა კულტურამ აფრიკულ საზოგადოებას შეუქმნა, მომდინარეობს შემდეგიდან: დავიწყოთ იმით, რომ გლობალური კულტურა, აფრიკულ კულტურასთან შედარებით, არის მეტი შესაძლებლობების მქონე, იგი უფრო ძლიერია; ძალა გამოიხატება იმაში, რომ გლობალურ კულტურას, როგორც ერთი სახის ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომელიც ცდილობს გარკვეული ღირებულებების მთელ მსოფლიოში დამკვიდრებას, ზურგს უმაგრებს პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოება. გლობალური კულტურა მატერიალური თვალსაზრისით უზრუნველყოფილია, რასაც, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამის ნათელი დადასტურებაა ზემოთ მოყვანილი მაგალითი; მატერიალური უზრუნველყოფის გამო აფრიკაში დაირღვა ოჯახის ძველი ტრადიცია, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს მთელი კულტურის გადაგვარება, რადგან აფრიკული კულტურის საფუძველი ოჯახია; ფრიდა მაიალე-მანენჯის სტატიის წაკითხვის შემდეგ ჩნდება განწყობა, რომ აფრიკელი დილემის წინაშე დგას: ან მატერიალური მინიმუმის უზრუნველყოფა, ან კულტურის სახის შენარჩუნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მაგალითის მიხედვით, ორიგინალურ კულტურაზე გავლენას ახდენს არა გლობალური კულტურა, არამედ ეკონომიკა, ანუ ტრანსნაციონალური კორპორაციები; აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ კარგად რეკლამირებული გლობალური კულტურა მოქმედებს. ამის მიხედვით შეიძელება დავასკვნათ, რომ დასვლეთიდან გლობალიზაციიის პროცესში მოემართება ერთიანი სისტემა, წარმოდგენილი სამი მიმართულებით: ეკონომიკა, პოლიტიკა და კულტურა. სამივე მათგანი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. კულტურა განსაზღვრავს პოლიტიკისა და ეკონომიკის მართვის წესებს, თავად პოლიტიკა და ეკონომიკა ზემოქმედებას ახდენს კულტურაზე. XIX საუკუნის იაპონური კულტურა ისევ იაპონურია, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების გამო, იგი განსხვავდება XVIII საუკუნის იაპონური კულტურისაგან. გარე ზეწოლის შედეგად მან განიცადა ტრანსფორამაცია; დემოკრატიზაცია და მოდერნიზაცია იაპონიამ, ფუკუიამას მეთოდოლოგიის მიხედვით, განიცადა ზევიდან ქვევით, ანუ იაპონიამ, პირველ რიგში, ირწმუნა დემოკრატიიული ფასეულობანი, ამის შედეგად კი მოხერხდა ინსტიტუტების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, რამაც განაპირობა კულტურის ტრანსფორმაცია, განვითარება და არა შეცვლა. იაპონური კულტურა ტრადიციული კულტურაა, მაგრამ არ წარმოადგენს ჩაკეტილ მთლიანობას. შინტოიზმი საშუალებას იძლევა, იყო ერთდროულად შინტოისტი და ქრისტიანი, ან ბუდისტი, ან კიდევ მუსლიმი. ანუ იაპონურ კულტურას აქვს უნარი, რომ მიიღოს გარედან მოსული და აქციოს იგი იაპონურად, დაუქვემდებაროს საკუთარ კულტურას. ყურადღებას გავამახვილებ იაპონურ სამზარეულოზე: დაოსური ბიზნეს-კულტურის თანმდევია „ფასტ-ფუდიზაცია“ — სწრაფი კვების კულტურა, რადგან „დრო ფული ღირს“; ამან განაპირობა მსოფლიოს „მაკდონალდიზაციის“ პერსპექტივა; მაგრამ მოხდა ისე, რომ „ფასტ-ფუდიზაციამაც“ იაპონიაში ადგილობრივი ხასიათი მიიღო. სწრაფი კვების ბაზარზე დღეს წარმოდგენილია ჰამბურგერები, იაპონური სუში, gyidon-ი (ლამბაქი ბრინჯითა და ხორცით) და ჩინური წარმოშობის ბულიონი ramen. გარედან მოსული ჰამბურგერის გაჩენამ გამოიწვია ადგილობრივი, საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელი საკვები ნაწარმის წინ წამოწევა; იაპონიამ მოხერხა ლოკალიზება.

საინტერესოა, რომ მსგავსი პროცესები საქართველოშიც განვითარდა; იგივე მაკდონალდიზაციამ საქართველოშიც გარკვეული ლოკალიზება განიცადა. ეს ზუსტად ის

პროცესია, რასაც გლოკალიზაცია დაერქვა: მრავალ ადგილზე ერთდროულად, და ამასთან ერთად, განსხვავებულად. თავად რესტორან „მაკდონალდსის“ დანიშნულება, როგორც ცნობილია, სწრაფი კვებაა. დასავლეთის ქვეყნებში ამ რესტორანში ადამიანი საშუალოდ 7-9 წუთს ჩერდება; არადასვლურ ქვეყნებში „მაკდონალდსმა“ სხვა დანიშნულება შეიძინა. საქართველოში იგი წარმოადგენს არა მარტო სწრაფი კვების ობიექტს, არამედ იგი დასვენებისა და გართობის ადგილიცაა. სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ბებია-ბაბუები შვილი-შვილებთან ერთად, შეყვარებული წყვილები ხშირად დადიან იქ „დროის სატარებლად“. ამასთან ერთად, „მაკდონალდსის“ გვერდით საქართველოში გაჩნდა უამრავი ე.წ. „საცხობები“ და ეროვნული საკვების წარმოების წერტილები. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ კულინარიაში „ფასტ-ფუდიზაციისათვის“ დამახასიათებელი საკვები ნაწარმის პოვნა არცთუ ისე ძნელი აღმოჩნადა. ტრადიციული ხაჭაპურისა და ლობიანის, კარტოფილისა და ხორცის ღვეზელის გვერდით გაჩნდა მისი მსგავსი ახალი „სასუსნავები“, მაგალითად, როგორიც არის ბრინჯისა და ხორცის შერეული ფარშით მომზადებული ღვეზელი, ბოსტნეულის ღვეზელი, რომელსაც „ბოსტნეულის სამარხვო პიცა დაერქვა“ და სხვა მრავალი. სხვაგვარად, დასავლური ჰამბურგერების შემოსვლამ საფუძველი მისცა ადგილობრივი კულინარიის ტრანსფორმაციას, თანამედროვეობაზე მორგებას და ახალი ქართული კერძების შექმნასაც კი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართვლოში „მაკდონლადსზე“ უფრო სწრაფად კვება სწორედ ზემოთ ნახსენებ „საცხობებშია“ შესაძლებელი.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში, გლობალურ კულტურასთან მიმართებაში ქართული კულტურა ახერხებს საკუთარის, ორიგინალურის წინ წამოწევას, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ქართულ კულტურას, როგორც ტრადიციულსა და ორიგინალურს, აქვს საშუალება არ გაითქვიფოს გლობალურ კულტურაში და მოახერხოს ლოკალიზება; შესაძლოა, კულინარია არ თამაშობს გადამწყვეტ როლს, მაგრამ იგი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტეფაქტია.

ქართული სამზარეულოს მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია „მაკდონალ-დიზაციასთან“ არ იგივდება („ეს ეროვნული კატასტროფა არც საქართველოს ემუქრება, ვინაიდან მეტად ავტორიტეტულ ქართველ ექსპერტებს მრავალსაათიანი მოხსენების წაკითხვა შეუძლიათ იმის თაობაზე, თუ როგორ ყველა პარამეტრებით დაჯაბნა ქართულმა ხინკალმა და ხაჭაპურმა ჰამბურგერი და ჩისბურგერი“), თუმცა ქართულმა სამზარეულომ განიცადა „ფასტ ფუდიზაცია“, რაც თავისთავად გლობალიზაციის შედეგია და თანაც საკმაოდ სასარგებლოც.

„მაკდონალდიზაცია“, „ფასტ-ფუდიზაცია“ მასობრივ-სამომხმარებლო გლობალური კულტურის ელემენტებია; როდესაც ვსაუბრობთ გლობალური მასობრივი კულტურისა და ადგილობრივი ქართული კულტურის ურთიერთობაზე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ დასავლური — ევროპული და ამერიკული — სატელევიზიო, კინო და შოუ-ბიზნესის სხვა სახის ელემეტთა ზემოქმედების ხარისხი. რამდენიმე წელია საქართველოში, უფრო ზუსტად თბილისში, რეგულარულად ეწყობა სხვადსხვა მუსიკალური ფესტივალი, ჩამოდიან მსოფლიოში ცნობილი შემსრულებლები, გაიხსნა სატელევიზიო არხები, არსებობს საკაბელო ტელევიზიები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის არხების თვალყურის დევნების საშუალებას იძლევა. გლობალური და ადგილობრივი კულტურის ურთიერთობაზე საუბრისას და, საერთოდ, საქართველოში გლობალიზაციის პროცესზე მსჯელობისას, ჩვენი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო წლებში ქართული საზოგადოება, ფაქტობრივად, დაიყო ორ ნაწილად: თბილისი, რომელთან ერთადაც შეიძლება კიდევ რამდენიმე ქალაქის წარმოდგენა (ბათუმი, ქუთაისი, ფოთი) და დანარჩენი საქართველო. ზემოთ ჩამოთვლილ ქალაქებს ურთიერთობა აქვთ, არა მარტო ქალაქის და ქვეყნის ფარგლებში, არამედ საზღვარგარეთაც. არსებობს ინფორმაციის ადგილობრივი და მეტ-ნაკლებად უწყვეტი საშუალებები: სატელევიზიო არხები, რადიოსადგურები და ბეჭდვითი გამოცემები. დანარჩენი საქართველო ამ ყველაფერს, შეიძლება ითქვას, თითქმის მოკლებულია. არ არსებობს საფოსტო მომსახურება, ანუ ჟურნალ-გაზეთები არ მიეწოდებათ თავის დროზე; განიცდიან ინფორმაციის

ნაკლებობას; აქვთ ელექტროენერგიის პრობლემა; აღარ ვსაუბრობ კულტურულ ცხოვრებაზე. რაიონები ჩაკეტილ სივრცეებად იქცნენ, სიახლე თითქმის არ ხდება, რაც ხელს უშლის განვითარებას.

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციაზე საუბარი შეიძლება იქ, სადაც საშუალო წლიური შემოსავალი აღემატება 5000 აშშ დოლარს. ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ კულტურის გლობალიზაცია — ეს არის გლობალური და ადგილობრივი კულტურების ურთიერთობის პროცესი. გლობალიზაციის დროს დასავლეთიდან მოემართება კულტურა, რომელიც უზრუნველყოფილია პოლიტიკური და, პირველ რიგში, ეკონომიკური საშუალებებით; ამიტომ გლობალური კულტურის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გასაცემად მხოლოდ კულტურა არ არის საკმარისი, საჭიროა ამ კულტურის მატერიალური უზრუნველყოფაც.

ამ საკითხის შესახებ, თავისი ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით, საუბრობს საფრანგეთის დეპუტატი ევროპარლამენტში კატრინ ლალუმიერი. თავის ნაშრომში „ბრძოლა კულ-ტურისათვის“ ის აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის პროცესი იწვევს იდეათა სტანდარტი-ზაციასა და ცხოვრების წესის გაერთგვაროვნებას, ამერიკული მოდელის მიხედვით. მის განცხადებაში საინტერესოა ერთი აღიარება: საფრანგეთს ეშინია თავისი ენისა და კულტურის დაკარგვის. ის ხაზს უსვამს გლობალიზაციის გავლენას საფრანგეთზე, განსაკუთრებით კულტურისა და ხელოვნების სფეროზე. მაგალითად მოჰყავს კინოინდუსტრია. კინოს, რომელიც პირველად საფრანგეთში გაჩნდა, ფრანგები მიუდგნენ როგორც გართობისა და ხელოვნების სფეროს, და ის მეორეხარისხოვნად მიიჩნიეს. ამის პარალელურად, აშშ-მ შექმნა ჰოლივუდი და მომავალი გიგანტური აუდიოვიზუალური ინდუსტრიის საფუძველი, სათანადო გავრცელების სისტემით. ლალუმიერი აღნიშნავს, რომ აშშ, აუდიოვიზუალური ინდუსტრიით, კინო-კულტურით, მასკულტურით ემუქრება საფრანგეთს. იგი ამას წინ უნდა აღუდგეს თავისი კულტურის თანამედროვეობის შესაფერისი ორგანიზაციათა (გავრცელების და პოპულა-რიზაციის საშუალებებით) მხარდაჭერით. საბოლოოდ ლალუმიერი ერთ რჩევა-რეკომენდაციას იძლევა: კარგად ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს კულტურულ შემოქმედებას და უნდა აძლევდეს მას ახალ შესაძლებლობებს განვითარებისა და აყვავე-ბისთვის.

როგორც დავინახეთ, საფრანგეთმა იგრძნო ამერიკული კულტურის მოძალება, რაც ფრანგებმა მეტად მტკივნულად აღიქვეს. დღეს საფრანგეთი ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანია, რომელიც მკაცრ უარს აცხადებს გლობალიზაციაზე და მას აღიქვამს, როგორც ამერიკანიზაციას. ამის საპირისპიროდ, საფრანგეთი მიუბრუნდა საკუთარ კულტურას და დაიწყო მისი ფართო მასშტაბით რეკლამირება, რათა გვიან, მაგრამ მაინც შეძლოს საკუთარი ორიგინალური და განსხვავებული კულტურის შენარჩუნება. ამის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე ლოკალიზაცია და საკუთარი კულტურის შენარჩუნება გამორიცხულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სურვილი საშუალებას ვერ დაემთხვევა და, შესაძლოა, საზოგადოება აღმოჩნდეს იგივე მდგომარეობაში, როგორიც ფ.მ.მანენჯიმ აფრიკის მაგალითზე დახატა.

როდესაც ვსაუბრობთ კულტურის ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე და მხოლოდ ამ შემთხვევაში მის გადარჩენაზე, ჩნდება კითხვა: დასავლურ — ევროპულ და ამერიკულ — კულტურას, აქედან გამომდინარე, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებს ძნელად თუ გაუწევენ კონკურენციას და წინააღმდეგობას სხვა საზოგადოებები; ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული საზოგადოებები განწირულნი არიან კულტურული გაერთგვაროვნებისა და კულტურული იმპერიალიზმის ბატონობისათვის?! ჩვენი აზრით, კულტურა განწირულია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება სამი-ოთხი თაობის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების ნულოვან ნიშნულს ვერ გასცდა; მაგრამ საინტერესოა, რომ გლობალიზაცია თავად სთავაზობს საზოგადოებებს „შემამსუბუქებელ გარემოებებს“; ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები, რომელთაც გარკვეული მიზნებით უწევთ კონკრეტულ ქვეყანაში მოღვაწეობა, გარკვეულ

საშუალებას იძლევიან ამ მიმართულებით. ავიღოთ ფაქტი ქართული სინამდვილიდან: ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „ერისიონი“ მსოფლიოში პოპულარული სწორედ მას შემდეგ გახდა, რაც ფრანგულმა ორგანიზაციამ დააფინანსა. ერთობლივი პროექტის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს შოუ-ბიზნესის ბაზარზე სიახლის შეტანა და მოგების ნახვა. ერთობლივი პროექტით ორივე მხარე მოგებული დარჩა ბიზნესის თვალსაზრისით, ხოლო ქართული ცეკვა განვითარების და წარმატების შემდეგ საფეხურზე ავიდა[1].

სხვადასხვა კულტურების ურთიერთობის შედეგად კულტურული არტეფაქტის ტრანსფორმაცის თვალსაზრისით მეორე კარგი მაგალითია სუხიშვილების ანსამბლის მიერ წარმოდგენილი შოუ „ასა-ფართი“. მათ მიერ ფილარმონიაში გამართული კონცერტი ორ ნაწილად იყოფა: პირველი კლასიკური ქართული ხალხური ცეკვებითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე განყოფილება აბსოლუტურად უცხოა, იმ გაგებით, რომ ნაციონალური ბალეტის მოცეკვავეები სცენაზე ტრადიციული ქართული ტანსაცმლით არ გამოდიან; ქალებს შარვლები აცვიათ და თავზე კაცის, უფრო ზუსტად, ყარაჩოღელის ქუდები ახურავთ, მამაკაცები შავ ფორმებში არიან გამოწყობილნი, ტანზე „კაპიშონიანი“ მაისურებით; მათი მოძრაობები, მართალია, ქართული ცეკვიდან არის აღებული, მაგრამ სრულიად უჩვეულოა; ქართულ ტრადიციულ დოლ-გარმონთან ერთად, ისმის ელექტრონული მუსიკის ჰანგები, გამოყენებულია არატრადიციული დასარტყმელი ინსტრუმენტები. ანუ ილიკო სუხიშვილმა (უმცროსმა) ქართულ ცეკვებში შეიტანა სხვა კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს იმის გარკვევა, ღირებულია თუ არა „ასა-ფართი“, როგორც ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუში, უბრალოდ, იგი ქართული და დასავლური კულტურის ურთიერთობის შედეგია.

გვინდა კვლავ „ერისიონს“ დავუბრუნდეთ; ანსამბლის გასტროლების წინ მოხდა შოუს რეკლამირება. სარეკლამო კლიპის შინაარსის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ ხაზს გავუსვამთ იმას, რომ ის არის ფრანგული სარეკლამო კლიპი, რომელიც დამზადდა ქართული ცეკვის პოპულარიზაციის მიზნით. ეს კლიპი წარმოადგენს ფრანგებისათვის მოსაყოლ ქართულ მითს. არსებითად შეცვლილი არაფერია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მუსიკას და ტრადიციულ საცეკვაო ილეთებს დამატებული აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით შექმნილი ეფექტები; ანუ ფრანგების წინაშე წარსდგა აბსოლუტურად ქართული „გენია როკვით განფენილი“.

კიდევ ერთი მაგალითი: სულ ახლახანს ერთი საინტერესო და საგულისხმო ფაქტი მოხდა. ქართული ტელესერიალი „მგლების ხორუმი“ იყიდა აშშ ერთ-ერთმა სატელევიზიო არხმა. მართალია, ამ ფილმის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჟანრი ამერიკულია, მაგრამ იგი ქართული „ბოევიკია“ და არა ამერიკული. იგი საინტერესო გახდა ამერიკელებისათვის, რადგან ფილმის ისტორია მოთხრობილია მათთვის უცხო ქვეყნის შესახებ და მთხრობელიც ამ ქვეყნის წარმომადგენელია. ამას ემატება ისიც, რომ მსგავსი ჟანრის ტელესერიალის გადაღება ამერიკაში იმაზე გაცილებით ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე „მგლების ხორუმის“ შესყიდვა, თარგმნა და რეკლამის გაკეთება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამერიკელი და ფრანგი შოუ-ბიზნესმენების ინტერესის სფეროში მოხვდა ქართული კულტურის არტეფაქტები, ანუ მასობრივი კულტურის გავრცელება არ არის ცალმხრივი პროცესი; თუ საქართვლოში შემოდის ევროპული და ამერიკული მასობრივი კულტურა, ასევე საქართველოდანაც ექსპორტირდება კაულტურის გარკვეული არტეფაქტები, თან ისეთ დონეზე, რომ დიდ ოვაციასაც იწვევს (იგივე „ერისიონი“ და თუნდაც ის, რომ ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერიან ფრანგები, იაპონელები, ამერიკელები და სხვა). ანუ კონკრეტული ადგილობრივი კულტურები თავის თავში ატარებენ იმის საშუალებას, მოახერხებენ თუ არა გლობალურ კულტურასთან კონფლიქტის გარეშე ურთიერთობა-მორიგებას და საკუთარი ორიგინალობის

[1] ქართველების წარმატებას, ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ მანამდე “სუხიშვილების” ანსამბლს მსოფლიო მასშტაბით ჰქონდა აღიარება.

არათუ შენარჩუნებას, არამედ გავრცელებასაც. მაგრამ იქიდან შემოსული მასკულტურის ნიმუშთა ნიაღვარი მასში ვრცელდება, ჩვენი კულტურის ნიმუშები კი მხოლოდ ძალიან ვიწრო მომხმარებელს მიეწოდება.

კულტურათა შორის ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობენ პიროვნებები, რომელთა ბიოგრაფიას შესაძლოა ეწოდოს გლობალური, რადგან არსებობენ ადამიანები, რომლებიც იბადებიან ერთ საზოგადოებაში, განათლებას იღებენ სხვაგან, სხვა ქვეყანაში ქმნიან ოჯახს და ასე შემდეგ. მათი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ტრანსნაციონალურია. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ გლობალური კულტურის გავრცელების საშუალებები. დავოსური კულტურა და ინტელექტუალთა საკლუბო კულტურა ხელს უწყობს პიროვნების ბიოგრაფიის გლობალიზებას. ბიზნესმენებს, საგარეო უწყების თანამშრომლებს, დიპლომატებს, საერთაშორისო საფინანსო თუ სამოქალაქო ინსტიტუტების წარმომადგენლებს ხშირად უწევთ ცხოვრება სხვადასახვა ადგილზე. ამის შედეგად პიროვნებები ახერხებენ, ღრმად გაიცნონ მათთვის უცხო კულტურა. გაცნობის შემდეგ არსებობს ორი შესაძლო შედეგი: პიროვნება ახდენს კულტურათა მახასიათებლების მკვეთრ გამიჯვნს და მეორე, პიროვნებისათვის მისაღებია კულტურათა შერწყმა; უფრო თვალნათელი რომ გახდეს, შემოგთავაზებთ რამდენიმე სხვადსხვა კულტურის წარმომადგენელი ინტელექტუალის თეორიას. თითოეულ ამ ადამიანს შეიძლება ეწოდოს გლობალიზებული ბიოგრაფიის მქონე.

საინტერესოა წარმოშობით აფრიკელი, კერძოდ, სენეგალელი მეცნიერის ლეოპოლდ სენგორის ბიოგრაფია და თეორია სენეგალი საფრანგეთის კოლონია გახლდათ. ლ.სენგორი იყო კათოლიკე, მიიღო ბრწყინველე დასავლური განათლება, იცოდა თეოლოგია, მუშაობდა საფრანგეთის ხელისუფლებაში, იყო „ზღვისპირა ქვეყნების“ დეპუტატი, მუშაობდა ვიცე-სპიკერად საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში და ბოლოს გახდა სენეგალის პირველი პრეზიდენტი. ეს იმიტომ მოვყევით, რომ ხაზი გაგვესვა იმისათვის, თუ რა ახლო კავშირი ჰქონდა მას დასავლურ ცივილიზაციასთან, შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი დასავლური ფასეულობებით ცხოვრობდა. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს კულტურა არ ქცეულა მის შინაგან კულტურად, რადგან სენგორისათვის დასავლეთი არ იქცა ეტალონად. ამას მოწმობს ის, რომ ცხოვრების უკანსაკნელ წლებში ლ.სენგორმა შექმნა თეორია ზანგო-აფრიკული კულტურის თვითმყოფადობის შესახებ. მისი ოცნება იყო სინთეზირება დასავლური ღრმა კონცეპტუალიზმისა და აფრიკული ნათელი წარმოსახვისა. იგი ოცნებობდა მომავალ ევრო-აფრიკაზე, რომელიც იქნებოდა წინამორბედი კაცობრიობის ერთიან კულტურაზე დაყრდნობილი მსოფლიო ცივილიზაციისა. ლ.სენგორი და მისი მომხრეები, იმაზე დაყრდნობით, რომ აფრიკული ცივილიზაციაც ცივილიზაციაა და, ამასთან ერთად, ორიგინალური და თვითმყოფადი, უფრო შორს წავიდნენ, მათი აზრით, დასავლური, მანქანის მსგავსი ცივილიზაცია აუცილებლად განწირულია კრახისათვის, თუ არ მოხდა მისი ორგანული სინთეზი აფრიკულ მგრძნობიარე, უშუალო ადამიანურ სულთან. გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიც არის აფრიკელი ევროპელი, და ევროპელი აფრიკელი. აფრიკელი აბსოლუტურად საწინააღმდეგოა ევროპელისა. ამ დაპირისპირების განვითარებამ განაპირობა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პიროვნების ჩამოყალიბება. აფრიკელი დაუპირისპირდა ევროპელს. ევროპელი — ეს არის ინჟინერი, პრაგმატიკოსი, რომელიც განუწყვეტელ ექსპლუატაციას უწევს ბუნებას, თავის თავს და თავის მსგავსებს; მუდამ, როგორც მანქანა, ისეა, თვლის ფულს. სამყაროს შეიცნობს ფორმულით, მეცნიერებით, გონებით. აფრიკელი კი არის პოეტი, ლირიკოსი; იგი ბუნებას აირეკლავს, გამოხატავს და მასთან ურთიერთობას ამყარებს ცეკვით, ხელოვნებით, სულით, გრძნობით. აფრიკაში იდილიური დამოკიდებულებაა ბუნებასთან, კოლექტივიზმი, ურთიერთდახმარება და ურთიერთთანაგრძნობა, ევროპაში კი — სოციალური ანტაგონიზმი, კონფლიქტები, აგრესია, ადამიანის მიერ ადამიანის დისკრიმინაცია.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა აშშ-ში მოღვაწე აფრიკელი მკვლევრის ალი მაზრუის პოზიცია, რომელიც დასავლურ და აღმოსავლურ ღირებულებებზე მსჯელობს და ცდილობს დაამტკიცოს, რომ, ერთის მხრივ, პასუხი კითხვაზე — არსებობის რომელ წესს მივყავართ

ცხოვრების უფრო მაღალ დონემდე, სრულიად არ არის ცალსახად დასავლეთის სასარგებლო, მეორეს მხრივ კი, ის ღირებულებები, რომლითაც ასე ამაყობს დასავლეთი, სულაც არ არის დასავლური წარმოშობის, ან კიდევ აღმოსავლეთში დასავლეთზე ადრე დამკვიდრდა.

როგორც ვხედავთ, ამ ორი ავტორისათვის ცხოვრების მხოლოდ დასავლური სტილი მისაღები არ არის, ისინი უპირატესობას აფრიკულს ანიჭებენ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების ეკონომიკური დონე დასავლეთში გაცილებით მაღალია. სწორედ ეს განასხვავებს კულტურებს, მსოფლაღქმებს. თითოეული მათგანი სხვადასხვა მომენტს აყენებს წინ.

ერთ-ერთი მოსაზრება შემოგვთავაზა პაკისტანელმა მეცნიერმა მუჰამედ ტაჰირ-ალ-ქადრიმ სტატიაში „კულტურის გლობალიზაცია?“ ალ-ქადრი კულტურული ინტეგრაციის მომხრეა, ხოლო ამოსავალი წერტილი არის ის, რომ არსებობს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობანი, ესენია: წარმატებისა და მიღწევების სტანდარტები, მოქმედება და მუშაობა, მატერიალური კომფორტი, პრაქტიკულობა და ეფექტურობა, მეცნიერება და ტექნოლოგია, თავისუფლება და ინდივიდუალური არჩევანი, ინდივიდუალური ინიციატივა და სხვა ელემენტები, ანუ საშუალება კულტურათა შორის დიალოგის გამართვისა, რადგან ალ-ქადრის აზრით, კულტურული ურთიერთქმედების მიღწევა მათ შორის დიალოგის გარეშე შეუძლებელია. თუმცა ამას ესაჭიროება უმრავლესობის და უმცირესობის მხრიდან ინტეგრაციისათვის გარემოს შექმნა. აქ თავდაპირველი პასუხისმგებლობა ეკისრება უმრავლესობას.

კულტურული ურთიერთქმედების საფუძველია კულტურული ღიაობა. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველა კულტურაში არსებული პრობლემების, პრიორიტეტებისა და მოთხოვნების მოსმენისთვის, მიუხედავად იმისა, ეს კულტურა უმრავლესობის სახითაა წარმოდგენილი, თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის კუთვნილება, აცხადებს ალ-ქადრი.

ამის შემდგომ ალ-ქადრი საუბრობს მუსლიმური და დასავლური საზოგადოების მსგავსებაზე. ავტონომია, განათლება, სიცოცხლისუნარიანობა, მორალი, სულიერი კმაყოფილება, სამუშაო ეთიკა, სოციალური ჰარმონია, გლობალური პერსპექტივები და ეკოლოგიური ცვლილებები — ეს ის ძირითადი საფუძვლებია, რომლებზეც, მისი თქმით, შეიძლება მულტიკულტურალიზმის დამყარება. ადამიანთა უფლებები კიდევ ერთი ფაქტორია, რომელსაც კულტური გლობალიზაციის პროცესი შეიძლება დაეფუძნოს. ისლამი არის ფუძემდებელი და საუკეთესო მხარდამჭერი ადამიანთა უფლებებისა და დემოკრატიისა, აცხადებს, ალ-ქადრი.

მისი თქმით, ძალზედ მნიშვნელოვანია კულტურათა შორის არსებულ მსგავსებებზე ყურადღების გამახვილება, და, ამავე დროს, განსხვავებების რეალისტური და დემოკრატიული შეფასება. არ შეიძლება გადაწყვეტილების ხელოვნურად მიღება.

როგორც ჩანს, ალ-ქადრი უკმაყოფილოა ისლამისადმი დასავლეთის დამოკიდებულებით. დასავლურ საზოგადოებას არ აქვს ისლამის ჭეშმარიტი სურათი. ის იცნობს მხოლოდ დღევანდელ შეხედულებას, რომელიც მისივე მედიითაა მიწოდებული. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ნებისმიერი მცირეოდენი ინცინდენტი, რომლისგანაც ნეგატიური დასკვნა შეიძლება იყოს გამოტანილი, გაშუქებულია და პროპაგანდირებულია მედიით და მის ირგვლივ ფართო დებატები იმართება, მაშინ როდესაც, ათასობით პოზიტიური ფაქტორი უარყოფილია და ამის შედეგად შეუძლებელია ხიდის გადება კულტურებს შორის.

ამ მსჯელობაზე დაყრდნობით, ალ-ქადრი აცხადებს, რომ კულტურული მრავალფეროვნებისა და რეალური ინტეგრაციის ნაკლებობის ასახსნელად ეთნოცენტრიზმი არ გამოდგება. ეთნოცენტრიზმი — ეს არის სხვა კულტურის განსჯა საკუთარი სტანდარტებით. არც უნიკულტურალიზმი გადაწყვეტს ამ საკითხს, რამდენადაც ის ყველა ეთნიკურ კულტურას ერთ მთლიანობად აქცევს.

ამ პრობლემის გადაწყვეტა სამი მიმართულებითაა საძიებელი.

ესენია:

1. მულტიკულტურალიზმი;
2. პლურალიზმი;
3. გლობალიზაცია.

როგორც ჩანს, გლობალიზაცია ალ-ქადრისათვის წარმოადგენს მულტიკულტურული მსოფლიო საზოგადოების შექმნის საშუალებას, რაც მისთვის მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის მხრიდან გათვალისწინებულ იქნება მცირე საზოგადოებებისა და კულტურების ინტერესებიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს საზოგადოებები, რომელთათვისაც გლობალიზაციის პროცესი კულტურათა შერევას ნიშნავს და ეს პროცესი მათთვის არ წარმოადგენს რაიმე საშიშროებას, პირიქით — მათთვის გლობალიზაციის გამოწვევები მისაღებია;

ედუარდ გლისანი — მარტინიკელი მწერალი და ფილოსოფოსი — კულტურის „კრეოლიზაციის" თეორიის ავტორია. კულტურათა და ხალხთა ურთიერთშეხვედრასა და შეღწევაში იგი ხედავს კაცობრიობის ახალ ფორმას, დამყარებულს საკუთარ ტრადიციებსა და ფესვებზე, ოღონდ გამდიდრებულს სხვა ხალხთა კულტურული ტრადიციებით. მისთვის ამოსავალია „ურთიერთობის" ცნება, რომელიც უპირისპირდება კულტურულ დომინირებას ან მულტიკულტურას (ეს უკანასკნელი კულტურულ მრავალფეროვნებას ენაცვლება).

რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა მისი რომანი „სარტორიუსი", რომელიც ბატატუს ტომს ეხება. ეს არის თანამედროვე იგავი არადომინირებაზე. თუმცა ბატატუს ხალხის არსებობა დროსა და სივრცეში მკაფიოდაა განსაზღვრული (ძვ.წ. 500 წელი, ცენტრალური აფრიკა), მაგრამ ბატატუ მითიური ტომია. მსოფლიოს სჭირდება ასეთი მითი, რადგან ბატატუ იმ ხალხის განსახიერებაა, რომელსაც არ სურს იყოს ნიმუში სხვებისათვის და მიმართავს მათ არა დასამორჩილებლად, არამედ თანაარსებობისათვის.

„ურთიერთობა", "კრეოლიზაცია", "უნივერსალობა" — ეს ცნებები ურთიერთშემავსებელია. „უნივერსალობა" — ესაა თანამედროვე მსოფლიო მთელი მისი მრავალფეროვნებით და ქაოსით. ქაოსი უბრალოდ უწესრიგობა კი არ არის, არამედ მოვლენათა განსაზღვრისა და მსოფლიოს გონივრული მართვის შეუძლებლობაა. „ურთიერთობა" აღნიშნავს, პირველ რიგში, მოვლენათა ტრანსვერსალურ, და არა მიზეზ-შედეგობრივ თანაფარდობას.

მწერალი გადაჭრით ილაშქრებს ტერმინის „კრეოლური კულტურა" წინააღმდეგ. მისი აზრით, სიტუაციას მსოფლიოში გაცილებით უფრო შეესაბამება ტერმინი „კრეოლიზაცია". ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც განაპირობებს იდენტურისა და განსხვავებულის წარმოშობას. „კრეოლური კულტურა" კი ის ტერმინია, რომელსაც მულტილინგვიზმი და მულტიეთნიკური საწყისი დოგმისა და ნიმუშის რანგში აყავს, ამიტომ იგი მიუღებელია ავტორისათვის, რომელიც ყოველგვარი ნიმუშის წინააღმდეგია.

შეკითხვაზე, ხომ არ ნიშნავს „მსოფლიო ქაოსის" პოზიტიური მნიშვნელობით ხმარება იმის დავიწყებას, რომ ქაოსი იწვევს ურთიერთობის გაწყვეტას და ბაბილონის გოდოლის შენებას, მწერალი პასუხობს: მე ვგულისხმობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დაგეგმვა და განჭვრეტა. ჩვენმა ჩარევამ სამყარო უფრო რთული გახადა. ამიერიდან ჩვენ ხელი უნდა ავიღოთ მსოფლიოს მართვის ამბიციურ სურვილზე. უნდა შევეგუოთ იმ აზრსაც, რომ ჩვენ შევიცვლებით სხვებთან შეხვედრის შედეგად. ამასთან, არც ერთი და არც მეორე მხარე არ დაკარგავს საკუთარ ბუნებას და არ გაითქვიფება მულტიკულტურულ მაგმაში. ეს ყველაფერი ძნელად გაიაზრება და კიდევ უფრო ძნელად ხორციელდება, მაგრამ სწორედ ეს უდებს ზღვარს „მსოფლიო ქაოსს".

მწერლის აზრით, კარიბის კუნძულები ის რეგიონია, სადაც გამომუშავდება და ყალიბდება ურთიერთობათა თანამედროვე მოდელები. აქ არსებობს კულტურათა მრავალფეროვნებისა და ერთობის მძლავრი პოტენციალი. კარიბის კუნძულები კრეოლიზაციის ნიმუშად იქცევა. თუმცა კრეოლიზაციას განიცდის მთელი დანარჩენი მსოფლიოც. მწერალი თვლის, რომ კაცობრიობის არსებობის თანამედროვე განზომილებანი სცილდება ეროვნულობის ჩარჩოებს, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ.

ე.გლისანის აზრით, სიახლე პატარა ქვეყნებიდან მოვა, რომელთაც არ აქვთ არც კოლონიური წარსული, არც მკაფიოდ გამოხატული ეროვნული ტრადიციები. მათ ნაკლებად ეშინიათ სტატუსის გაქრობის ან დაკარგვისა. ჩვენ უნდა შევეჩვიოთ აზრს მსოფლიოს ასეთი

ორგანიზაციის შესახებ, სადაც სრულიად განსხვავებული ურთიერთობა იქნება ცენტრსა და პერიფერიას შორის; ყველა იქნება ერთსა და იმავე დროს ცენტრიც და პერიფერიაც.

როგორც აქედან ჩანს, გლობალიზაცია მისაღებია იმისათვის, ვისაც არ გააჩნია საკუთარი, უკვე მკაცრად ჩამოყალიბებული, თვითმყოფადი კულტურა. მაგრამ ის, ვინც ამგვარი კულტურის წარმომადგენელია, ეწინააღმდეგება ამ პროცესს.

ჩვენს მიერ განხილული თეორიების ავტორები არადასავლური სამყაროს წარმომადგენლები არიან. ყოველი მათგანი აღიარებს გლობალური კულტურის აღმავლობას; აქედან გამომდინარე, ისინი ცდილობენ, მოძებნონ თანამედროვე პროცესებთან შეგუება-მორიგების საშუალებები. სამივე მათგანი კარგად იცნობს დასვალურ კულტურას, ამიტომ მათთვის ადვილი დასანახია საკუთარ და უცხო კულტურას შორის არსებული სხვაობა, თუ მსგავსება. თუმცა, რიგ სემთხვევებში, მათი შეხედულებანი უფრო დასავლეთის „გამოწვევაზე“ პასუხია, ვიდრე რეალობის ობიექტური შეფასება.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მსოფლიოში კულტურის როლი უფრო და უფრო იზრდება. უნდა ითქვას, რომ თავად კულტურის ხასიათი განაპირობებს საზოგადოების დამოკიდებულებას გლობალიზაციის მიმართ. კერძოდ, ზემოთ მოყვანილი თეორიების მიხედვით, სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ინტელექტუალები სხვადასხვაგვარ სახელს არქმევენ კულტურის გლობალიზაციის პროცესს: გლობალური კულტურის გავრცელება, მაკდონალდიზაცია, კოკა-კოლონიზაცია, ჰამბურგერიზაცია, ფასტ-ფუდიზაცია, ვესტერნიზაცია, ამერიკანიზაცია, კრეოლიზაცია — ყველა ეს არის სხვადსხვაგვარი ახსნა, გაგება მსოფლიოში მიმდინარე ერთი პროცესისა, რომელსაც ყველაზე ზოგადად გლობალიზაცია ეწოდება გლობალიზაციის პროცესს საყოველთაო ხასიათი აქვს, ხოლო ის, თუ რას დაარქმევს მას საზოგადოება, გამოხატავს კონკრეტული საზოგადოების დამოკიდებულებას პროცესისადმი. გლისანის მიერ შემოთავაზებული ცნება „კრეოლიზაცია“ არ აღნიშნავს მხოლოდ კარიბის კუნძულებზე მიმდინარე პროცესს. ეს მხოლოდ დამოკიდებულებაა მის მიმართ: ხალხი, ვისაც არ გააჩნია ღრმა ისტორიული წარსული და ტრადიციები, უმტკივნეულოდ მიიღებს გლობალურ კულტურას და მოხდება საზოგადოების მოდერნიზება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი განსაზღვრება შეიქმნა და ჩამოყალიბდა გლობალიზაციის გამოწვევებისა და მასზე გაცემული პასუხების შედეგად.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის გამოწვევებმა განაპირობა კულტურების მიერ საკუთარი „ფესვებისაკენ“ მიბრუნება, ლოკალიზება კულტურული ნიშნით. საზოგადოებათა შორის ახლო და მუდმივმა ურთიერთობებმა უფრო ნათელყო მათ შორის არსებული განსხვავებები, რამაც განაპირობა საკუთარი კულტურის მახასიათებელთა სისტემატიზაცია და მკვეთრად განსაზღვრა, ისე, როგორც ეს აფრიკული კულტურის მაგალითზე ლ.სენგორმა გააკეთა. ლ.სენგორს ახალი არაფერი უთქვამს, უბრალოდ ახლებურად, სისტემური სახით წარმოადგინა აფრიკული კულტურის მახასიათებლები და მისი განსხვავება დასავლური კულტურისაგან.

ლოკალიზაცია განაპირობებს კულტურული ნიშნით მსოფლიოს მრავალპოლუსიანობას. მსოფლიო საზოგადოებაში თანაარსებობენ ორიგინალური კულტურები. საზღვრების გაფერმკრთალებამ, შორ მანძილზე მგზავრობის პრობლემის მოხსნამ, მუდმივი კონტაქტის საშუალებებმა განაპირობა ის, რომ ადამიანი საკუთარ კულტურულ ცენტრს აღარ სცილდება, მიუხედავად ფიზიკური დაშორებისა, მას საკუთარ სახლთან მუდმივი და უწყვეტი კონტაქტი აქვს; ეს კი ადამიანებს კულტურული ასიმილაციისგან იცავს. მაგალითად, ამერიკაში, კერძოდ, ნიუ-იორკში დასახლებული ჩინელების ერთი ნაწილი ისე ამთავრებს ცხოვრებას, რომ ინგლისური ენის სწავლაც კი არ სჭირდება, რადგან ჩინურ სამყაროს არ სცდება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მთელი ამერიკა მოიაროს. გლობალიზაცია ქმნის ერთ მეტად აქტუალურ გამოწვევას, ეს არის მულტიკულტურალიზმი; ანუ საზოგადოება, ქვეყანა წარმოდგენილი იქნება მულტიკულტურული ერთობით. მაგალითად, ჩინეთი არის არა მარტო გეოგრაფიულ საზღვრებში მოქცეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთეული, არამედ წარმოსახვითი

საზოგადოებაა, კულტურული ნიშნით ერთიანი და განსხვავებული სამყარო, რომელიც განფენილია დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიაზე — ჩინეთი ჩინეთში, ჩინეთი ამერიკაში, ჩინეთი რუსეთის ტერიტორიაზე. ეს გამოწვევა უფრო დიდ პრობლემებს ჯერჯერობით დასავლეთის ქვეყნებს უქმნის.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის შედეგად, შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი. მისი პროექტირება თავდაპირველად მოხდა დასავლეთში. გლობალიზაცია არ წარმოადგენს დასავლეთის, კონკრეტულად ამერიკის სამოქმედო გეგმას. იგი ბუნებრივად წარმოშობილი პროცესია. მსოფლიოში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესმა, რომლის სათავეც დასავლეთი იყო, განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწია. მსოფლიო ძალზედ მჭიდროდ დასახლებულ სოფელს დაემსგავსა, სადაც ყოველ მოსახლეს ურთიერთთან აქვს კონტაქტი. მჭიდრო კონტაქტმა გამოააშკარავა საზოგადოებათა შორის არსებული განსხვავებები. დაინგრა მითი დასავლური მოდერნიზაციის, როგორც განვითარების ერთადერთი აუცილებელი პირობის შესახებ.

გლობალიზაცია არაერთგვაროვნად აღიქმება საზოგადოებათა მიერ. იგი ყველა დონეზე მისაღებია ისეთი კულტურებისათვის, რომელთაც არ აქვთ წარსული, ეს ის კულტურებია, რომლებიც ახლა ყალიბდებიან, ამიტომ მათთვის ადვილია ყოველივე ახლის მიღება.

გლობალიზაცია მიუღებელია კულტურებისათვის, რომელთაც აქვთ წარსული, ის, რაც შექმნილია მათ მიერ, რაშიც წარმოდგენილია მათი სული, ცნობიერება, მენტალიტეტი. რადგან კულტურები, რომელთაც დღეს გლობალურ, ვიწრო სამყაროში უწევთ არსებობა და აქვთ ძალზედ მჭიდრო კონტაქტები, ოდესღაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ. მათ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ურთიერთობა დაიწყეს მაშინ, როდესაც წარმოადგენდნენ ზრდასრულ ერთობებს. ანუ ის, რაც განაპირობებდა მათ ქცევას, ჩამოყალიბდა მანამდე, სანამ ერთმანეთს საფუძვლიანად გაიცნობდნენ. ეს პირველადობა საყურადღებოა, რადგან ერთ კულტურას არ შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს მეორე კულტურის სიღრმისეულ, პირველად შრეში. თანამედროვე ეტაპზე მჭიდრო ურთიერთკავშირი და შეხება კი არ აახლოვებს კულტურებს, არამედ აღრმავებს მათ შორის არსებულ განსხვავებებს.

გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია. თუ თავდაპირველად გამოწვევები მხოლოდ დასავლეთიდან მომდინარეობდა, თანამედროვე ეტაპზე მას არადასავლური კულტურებიც ქმნიან. და, რაც ყველაზე მთავარია, უკვე საუბარია არადასავლური კულტურების მიერ განხორციელებულ კონტრშეტევებზე.

საქართველო გლობალურ პროცესებში მაშინ ჩაება, როდესაც თითქმის გამოხატული იყო კონტურები, თუ სად გამოჩნდებოდა გლობალიზაციის ძირითადი და მძლავრი მოწინააღმდეგეები. ჩვენ შევეცადეთ, მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებისა და კულტურების წარმომადგენელ ინტელექტუალთა მიერ შემოთავაზებული თეორიებისა და მოსაზრებების საშუალებებით გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა გლობალიზაციისადმი საერთო დამოკიდებულების შესახებ. როგორც ჩანს, შესაძლებელია, გამოვყოთ ზოგადად რამდენიმე მიმართულება, რომელთა ჩარჩოებშიც გავანაწილებთ კულტურის გლობალიზაციის მიმართ საზოგადოებათა დამოკიდებულებებს:

1. გლობალური კულტურის სრული უარყოფა;
2. ადგილობრივი კულტურის გლობალური კულტურით შეცვლა;
3. ადგილობრივი და გლობალური კულტურის თანაარსებობა საგრძნობი და მკვეთრი შერევის გარეშე;
4. ადგილობრივი და გლობალური კულტურების თავისებურებათა სინთეზი.

ძალზედ საინტერესოა, თუ რომელი მათგანია საქართველოსათვს მისაღები. დიდი სჯაბაასი იმის შესახებ, რომ საქართველოს გააჩნია ისტორიული წასული, ტრადიციები, საერთოდ თვითმყოფადი კულტურა, არ არის საჭირო. წარსულის მქონე კულტურებისათვის გლობალური

კულტურით საკუთარის ჩანაცვლება მიუღებელი და წარმოუდგენელია, რადგან ეს ნიშნავს საკუთარის, თვითმყოფადისა და ორიგინალურის დაკარგვას. კულტურა იმდენად არის საზოგადოების სისხლში გამჯდარი, რომ მისი რევოლუციური შეცვლა დროის მოკლე მონაკვეთში შეუძლებელია. საქართველოსათვის საკუთარი კულტურის გლობალური კულტურით ჩანაცვლება წარმოუდგენელია. ეს ჩვენ კარგად დაგვანახა თუნდაც კულინარიაზე გაკეთებულმა კვლევამ, სადაც ქართულმა ხინკალმა საგრძნობლად დასჯაბნა ჰამბურგერი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს გლობალური კულტურის სრულ უარყოფას. ზოგადად რომ ვთქვათ, გლობალური კულტურის სრული უარყოფა შეუძლებელია, საქართველოს შემთხვევაში კი — წარმოუდგენელი, რადგან საქართველო ცდილობს დასავლურ საზოგადოებაში ინტეგრაციას, რაც მოდერნიზაცის გარეშე წარმოუდგენელია. პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში წარმატების მიღწევა და დასავლურ ყაიდაზე საზოგადოების მოწყობა კულტურის დონეზე ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. ეს ურთიერთობა კი ითვალისწინებს საზოგადოებაში გარკვეული სახის ცვლილებებს, სხვა კულტურასთან ადპტირებას და მორიგება-შეგუებას. გლობალური კულტურის სრულ უარყოფას საქართველო ვერც მოახერხებს და, ჩვენი აზრით, არც უნდა იყოს აუცილებელი და საჭირო. მოდერნიზაცია, ფ.ფუკუიამს თქმით, საზოგადოებაში ცვლილებებს ოთხ დონეზე იწვევს — იდეოლოგია, ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოება და კულტურა. საქართველომ გლობალური კულუტურის ტალღა უნდა გამოიყენოს მოდერ-ნიზაცისათვის, ანუ თუ საქართვეოლოში ისე, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ადგილზე, გლობალური კულტურის გავრცელება დაემთხვა მოდერნიზაციას ან გამოიწვია იგი, გლობალიზაცია საქართველოში დადებით პროცესად უნდა ჩაითვალოს. გლობალური კულტურა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვრცელდება ისეთი საშუალებებით, რომელთაც ს.ჰანთინგტონმა და პ.ბერგერმა "დაოსური კულტურა" და "ინტელექტუალთა" საკლუბო კულტურა უწოდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსოფლიოში არსებობს ბიზნესში ჩაბმული ახალგაზრდების საზოგადოებათა მთელი ქსელი, რომლებიც კარგად საუბრობენ ინგლისურად, შესაბამისად იცვამენ და ერთობიან, ასევე, შეიძლება ითქვას, აზროვნებენ ინგლისურად. მათ შორის გამოსაყოფია ორი მიმართულება: ამ ახალგაზრდების ნაწილი სრული კოსმოპოლიტია; მეორე ნაწილი კი ცდილობს ერთდროულად ორ სამყაროში იცხოვროს: არ ჩამორჩეს გლობალურ საქმიან კულტურას, მაგრამ საკუთარი პირადი ცხოვრება ორიენტირებული აქვს განსხვავებულ კულტურულ ფასეულობებზე.

გლობალურ კულტურაში არსებობს კიდევ ერთი ელიტარული სექტორი, რომელიც ხშირად ერთვის საქმიან კულტურას, ხშირად კი უპირისპირდება მას. ეს არის დასავლური ინტე-ლიგენციის გლობალიზაცია, რომელსაც ბერგერმა უწოდა ინტელექტუალთა საკლუბო კულტურა (ფაცულტყ ცლუბ ცულტურე). მისი გავრცელება ხდება სახვადასხვა გზით: აკადემიური სტრუქტურებით, ფონდებით, არასამთავრობო ორგანიზაციებით. იგი ქმნის საკუთარ ბაზარს — ეს არის იდეები, ქცევის ნორმები, რომლებიც შექმილია დასავლელი, კერძოდ, ამერიკელი ინტელექტუალების მიერ, როგორებიც არიან ადამიანის უფლებათა დამცველები, სპეციალისტები და სხვანი.

„ინტელექტუალთა საკლუბო კულტურა" და „დაოსური კულტურა" არის საქართველოში საზოგადობის განვითარების ერთ-ერთი გარანტი და საფუძველია იმ ცვლილებებისა, რომელიც აუცილებლად უნდა განხორციელდეს ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საოზგადოების დონეზე. ანუ შესაძლებელია, საქართველოში გლობალური კულტურა და მოდერნიზაციის პროცესი ერთმანეთს დაემთხვეს. ამდენად გლობალური კულტურის სული უარყოფა, ჩვენი აზრით, რომც შეგვეძლოს, დადებითი შედეგის მომტანი არ უნდა იყოს.

არსებობს შიში იმისა, რომ მოდერნიზაციის პროცესი უარყოფს წარსულიდან შემორჩენილ ტრადიციებს, სპობს მათ და ადამიანს მეტ თავისუფლებას სთავაზობს. ბევრისათვის ეს ტრადიციისგან გათავისუფლება კულტურის ორიგინალობისა და თვითმყოფადობის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომ ხშირად მოდერნიზაცია უარყოფითად ფასდება და საზოგადოება ცდილობს

მის თავიდან აცილებას, უბრუნდება საკუთარ კულტურას. თავისთავად საკუთარი კულტურისაკენ მიბრუნება კარგიცაა და აუცილებელიც, მაგრამ ამან არ უნდა მიიღოს გარემოსაგან იზოლაციის სახე. იზოლაცია გამოიწვევს კარჩაკეტილობას, რასაც შესაძლოა საზოგადოების სტატიკურ მდგომარეობაში გადასვლა მოყვეს (მაგალითისათვის საკმარისია ორი კორეის და უახლოეს წარსულში ორი გერმანიის შედარება). როგორც ჩანს, რაც არ უნდა დიდი და ძლიერი იყოს კულტურა, გამორიცხულია გარე სამყაროსთან ურთიერთობისა და სიახლეთა მიღების გარეშე მისი განვითარება. თვით ისეთი დიდი კულტურა, როგორიცაა ჩინეთი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ცივილიზაცია, ვერ უარყოფს ამას. იგი ცდილობს გარედან შესული სიახლეები მართვადი გახადოს, მიიღოს ის, რაც სურს. ამიტომ უწოდეს ჩინეთის მაგალითს "მართვადი გლობალზაცია".

ახლის მიღება არ ნიშნავს ძველის უარყოფას და მოდერნიზაციის პროცესი არ არის ტრადიციებისგან გათავისუფლება. კ.ტომპსონი მიიჩნევს, რომ კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება აბსოლუტურად დაუკავშირებელია ერთმანეთთან, ჩემთვის უფრო მისაღებია შ.ეიზენშტადტის მოსაზრება. მისი თქმით, რაც არ უნდა დიდი იყოს კონტრასტი "ტრადიციულ" და "თანამედროვე" საზოგადოებებს შორის, წარმატებული მოდერნიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ტრადიციული ელემენტების რეგულაციაზე დაყრდნობით. ამის ნათელი დადასტურებაა იაპონიის მაგალითი, რომელზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. მსჯელობის მიზანია დამაჯერებელი გახადოს დასკვნა, რომლის მიხედვითაც გლობალური კულტურა და თავად გლობალიზაცია არ წარმოადგენს ისეთ საშიშროებას, როგორადაც იგი საქართველოში აღიქმება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი იდეალურია და ყურადღების მიქცევას არ საჭიროებს.

გლობალურ კულტურასთან ურთიერთობა საქართველოს აუცილებლად მოუწევს. ამ კულტურათა ურთიერთობას უნდა მოყვეს რაიმე შედეგი. საქართველოს მიერ გლობალური კულტურის სრული უარყოფა ისევე მიუღებლად და უარყოფითად მიმაჩნია, როგორც ადგილობრივი კულტურის გლობალური კულტურით ჩანაცვლება.

ადგილობრივი და გლობალური კულტურის ურთიერთობას თეორიულად, შეიძლება, ის შედეგები მოჰყვეს, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ესენია: კონფრონტაცია, სიმბიოზი, სინთეზი. მაგრამ შესაძლებელია, კულტურათა ურთიერთქმედება არ მივიდეს რომელიმე ამ ტიპის რეალიზაციამდე და შემოიფარგლოს მხოლოდ კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგაცვლით, რომელიც ინტესივობითა და ხარისხით ჩამოუვარდება ზემონახსენებ ტიპებს.

პასუხები დასავლეთს და მოდერნიზაცია

დასავლეთის ექსპანსიამ არადასავლური საზოგადოებების მოდერნიზება და ვესტერნიზირება გამოიწვია. ამ საზოგადოებების პოლიტიკური და ინტელექტუალური ლიდერების პასუხი დასავლეთის შემოტევაზე სამგვარი იყო: 1) ორივეს — მოდერნიზაციისა და ვესტრენიზაციის — უარყოფა, 2) ორივეს მიღება, 3) ერთის მიღება და მეორის უარყოფა.

უარყოფა. 1542 წლიდან — დასავლეთთან პირველი კონტაქტის დამყარებიდან — XIX საუკუნის შუა ხანებამდე იაპონია დასავლეთის მკვეთრი უარყოფის გზით მიდიოდა. დაშვებული იყო მოდერნიზაციის მხოლოდ შეზღუდული ფორმები, მაგალითად, საბრძოლო მასალების შეძენა, ხოლო დასავლური კულტურის იმპორტი, მათ შორის ყველაზე გამორჩეულად — ქრისტიანობისა, სასტიკად იკრძალებოდა. XVII საუკუნეში დასავლელები საერთოდ გამოაძევეს ქვეყნიდან. უკომპრომისო დამოკიდებულებას ბოლო მოეღო 1854 წელს, როდესაც კაპიტანმა პერიმ ძალით დაარღვია იაპონიის კარჩაკეტილობა, 1868 წელს მეიძის რესტავრაციას მოჰყვა აქტიური მცდელობები, გაეზიარებინათ დასავლეთის გამოცდილება. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჩინეთიც ცდილობდა, ხელი შეეშალა მოდერნიზებისა და ვესტერნიზების სერიოზული მცდელობებისათვის. 1601 წელს ქვეყანაში შეუშვეს ქრისტიანი მისიონერები, თუმცა 1722 წლისათვის ისინი საგულდაგულოდ გამოაძევეს იქიდან. იაპონიისგან განსხვავებით, ჩინეთის

კარჩაკეტილობის პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ჩინელების წარმოდგენით საკუთარ თავზე, როგორც მსოფლიოს ცენტრზე, აგრეთვე ყველა სხვა ხალხზე ჩინური კულტურის უპირატესობის მტკიცე რწმენით. ჩინეთის იზოლაცია, ისევე, როგორც იაპონიისა, დასავლეთის იარაღის მეშვეობით დასრულდა, რომელიც 1839-1842 წლების ოპიუმის ომის დროს გამოიყენა ინგლისმა. როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, XIX საუკუნეში დასავლური სახელმწიფოები შანსს არ უტოვებდნენ არადასავლურ საზოგადოებებს, განეხორციელებინათ აბსოლუტურად კარჩაკეტილი პოლიტიკა.

მეოცე საუკუნეში მომხდარმა წინსვლამ სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებათა სფეროში, აგრეთვე გლობალურმა ურთიერთდამოკიდებულებამ განზე დგომა დიდ ფუფუნებად აქცია. მოდერნიზაციის, ისევე როგორც ვესტერნიზაციის სრული უარყოფა ნაკლებად რეალურია იმ მსოფლიოში, რომელიც დღითიდღე სულ უფრო თანამედროვე და ურთიერთ-დაკავშირებული ხდება. ასეთი ფუფუნების უფლება მხოლოდ პატარა, იზოლირებულმა სასოფლო თემმა თუ შეიძლება მისცეს თავს, რომლის მისწრაფებები საარსებო მინიმუმის იქით არ მიდის. „მხოლოდ ყველაზე ექსტრემისტი ფუნდამენტალისტები“, — წერს დანიელ ფაიპსი ისლამთან დაკავშირებით, „უარყოფენ როგორც მოდერნიზაციას, ისე ვესტერნიზაციას. ისინი მდინარეში ყრიან ტელევიზორებს, კრძალავენ მაჯის საათის ტარებას, უარს აცხადებენ შიდაწვის ძრავის მოხმარებაზე. მაგრამ მათი სამოქმედო გეგმის არარეალურობა მსგავს ჯგუფებს მიმზიდველობას უკარგავს; ზოგიერთ შემთხვევაში კი (მაგალითად, იენ იზალა კანოში, სადათის მკვლელები, მექას მეჩეთზე თავდამსხმელები, დაყვას ზოგიერთი დაჯგუფება მალაიზიაში) – ხელისუფლებასთან სისხლიან შეტაკებებში განცდილმა მარცხმა მოგვიანებით მათი თითქმის უკვალოდ გაქრობა გამოიწვია.“ უკვალოდ გაქრობა – ასეთია სრული უარყოფის პოლიტიკის ზოგადი პერსპექტივა მეოცე საუკუნის მიწურულს. ფანატიზმი, ტოინბის სიტყვით რომ ვთქვათ, უბრალოდ, არასიცოცლისუნარიანი არჩევანია.

ქემალიზმი. მეორე შესაძლო პასუხი დასავლეთისადმი არის ტოინბისეული ჰეროდიანიზმი, ანუ როგორც მოდერნიზაციის, ისე ვესტერნიზაციის მიღება. ასეთი პასუხი გამომდინარეობს წარმოდგენიდან, რომ მოდერნიზაცია სასურველი და აუცილებელია, და რომ ადგილობრივი კულტურა შეუთავსებელია მოდერნიზაციასთან, ამიტომ მასზე უარი უნდა ითქვას, ან იგი უნდა განადგურდეს. საზოგადოება სრულად უნდა ვესტერნიზდეს, რათა შესაძლებელი გახდეს წარმატებით მოდერნიზება. მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია აძლიერებს ურთიერთს და ისინი თანადროულად უნდა წარიმართონ. მსგავსი დამოკიდებულება გამოხატულია მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის ზოგიერთი იაპონელი და ჩინელი მოაზროვნის მსჯელობებში, რომელთა მიხედვით, მოდერნიზაციისათვის საჭიროა, რომ მათმა საზო-გადოებებმა დაივიწყონ თავიანთ ისტორიული ენები და აღიარონ ინგლისური, როგორც სახელმწიფო ენა. ეს შეხედულება, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო დასავლურ წრეებში იყო პოპულარული, ვიდრე არადასავლურ ელიტებში. მისი მთავარი პრინციპია: „თუ გინდა წარმატებას მიაღწიო, ჩვენნაირი უნდა გახდე; ეს ერთადერთი გამოსავალია“. არგუმენტი კი ისაა, რომ „[არადასავლურ] საზოგადოებათა რელიგიური ღირებულებები, ზნეობრივი ნორმები და საზოგადოებრივი წყობა საუკეთესო შემთხვევაში უცხოა, თუ არა მტრული, ინდუსტრიალიზმის ღირებულებებისა და ტრადიციებისადმი.“ აქედან გამომდინარე, ეკონო-მიკური განვითარება მოითხოვს ცხოვრებისა და საზოგადოების მკვეთრ და ძირეულ რეორგანიზაციას, და, ხშირად, თავად ამ ცივილიზაციის ხალხის მიერ არსებობის სააზრისის ხელახლა გააზრებას.“ იგივე აზრს იმეორებს ფაიპსი ისლამზე მსჯელობისას:*„ანომიის თავიდან ასარიდებლად, მუსლიმებს მხოლო ერთი გზა დარჩენიათ, რადგან მოდერნიზაცია ვესტერ-ნიზაციას* გულისხმობს... ისლამი არ გვთავაზობს ალტერნატიულ გზას მოდერნიზებისათვის... სეკულარიზმის დათმობა წარმოუდგენელია, თანამედროვე მეცნიერება და ტექნოლოგია მოითხოვს მისი თანამდევი სააზროვნო პროცესების გათავისებას; იგივე სიტუაციაა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან დაკავშირებითაც. შინაარსიც ისევე უნდა იყოს ათვისებული, როგორც გარეგნული ფორმა. დასავლური ცივილიზაციის პირველობა იმთავითვე უნდა იყოს

გათავისებული, რათა მისგან ისწავლო(ნ). ევროპული ენები და დასავლური საგანმანათლებლო დაწესებულებები სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი მართლაც ხელს უწყობენ თავისუფალ აზროვნებასა და უზრუნველყოფილ ცხოვრებას. მუსლიმები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ ისეთ მდგომარეობას, როცა შესაძლებელი იქნება ტექნიკური სიახლეების ათვისება და შემდგომ განვითარება, თუ ისინი უპირობოდ მიიღებენ დასავლურ მოდელს".

სამოცი წლით ადრე, ვიდრე ეს სიტყვები დაიწერებოდა, მუსტაფა ქემალ ათათურქი მსგავს დასკვნამდე მივიდა და ოტომანთა იმპერიის ნანგრევებიდან ახალი თურქეთი შექმნა, დიდი ძალისხმევა გასწია როგორც მისი ვესტერნიზების, ასევე მოდერნიზებისათვის. ამ კურსის არჩევითა და მუსლიმური წარსულის უარყოფით ათათურქმა თურქეთი „გახლეჩილ ქვეყნად" აქცია, რომლის საზოგადოება მუსლიმური იყო თავისი რელიგიით, მემკვიდრეობით, ჩვეულებებით და ინსტიტუტებით, მაგრამ ჰყავდა მმართველი ელიტა, რომელსაც განზრახული ჰქონდა მისი გათანამედროვეობა, დასავლურ ყაიდაზე მოწყობა და დასავლეთთან ყოფნა. XX საუკუნის ბოლოსათვის რამდენიმე ქვეყანა ადგას ქემალისტურ გზას, ისინი ცდილობენ შეცვალონ არადასავლური იდენტურობა დასავლურით. მათი მცდელობები გაანალიზებულია მეექვსე თავში.

რეფორმიზმი. უარყოფა გულისხმობს საზოგადოების იზოლირების უიმედო მცდელობას თანამედროვე ცვალებად სამყაროში. ქემალიზმი ნიშნავს ძნელ და მტკივნეულ გზას საუკუნეების განმავლობაში არსებული კულტურის ნგრევისა და მისი ჩანაცვლებისა სხვა ცივილიზაციიდან შემოტანილი (ნასესხები) კულტურით. მესამე გზა გულისხმობს მოდერნიზაციის შეხამებას ადგილობრივი კულტურის უმთავრესი ფასეულობებთან, ჩვეულებებთან და ინსტიტუტებთან. რასაკვირველია, ეს მიმართულება ყველაზე უფრო პოპულარული იყო არადასავლურ ელიტებს შორის. ჩინეთში ცინის დინასტიის მმართველობის ბოლო ხანებში აქტუალური იყო დევიზი „ტი-იონგი": ჩინური სწავლება — ფუნდამენტური პრინციპებისათვის, დასავლური სწავლება — პრაქტიკული გამოყენებისათვის." იაპონიაში ეს იყო „ვაკონ, იოსეი" (იაპონური სული, დასავლური ტექნიკა"). 1830-იანი წლების ეგვიპტეში მუჰამედ ალიმ სცადა „ტექნიკური მოდერნიზაციის ჩატარება სერიოზული კულტურული ვესტერნიზაციის გარეშე". თუმცა ეს მცდელობა კრახით დამთავრდა; ბრიტანეთმა აიძულა იგი, უარი ეთქვა მთელ რიგ რეფორმებზე, რომლებიც მოდერნიზაციისაკენ იყო მიმართული. ამის შედეგად, როგორც ალი მაზრუი შენიშნავს, „ეგვიპტეს არ ეწერა იაპონიის ბედი ტექნიკური მოდერნიზაციისა კულტურის ვესტერნიზაციის გარეშე, არც ათათურქისეული ბედი ტექნიკური მოდერნიზაციისა კულტურის ვესტერნიზაციის საშუალებით". XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჯამალ ალ-დინ ალ-ავღანმა, მუჰამედ აბდულამ და სხვა რეფორმატორებმა კვლავ სცადეს ისლამისა და თანამედროვეობის ურთიერთმორგება, ამტკიცებდნენ რა „ისლამის თავსებადობას თანამედროვე მეცნიერებასთან და დასავლური აზროვნების საუკეთესო მომენტებთან", ცდილობდნენ მუსლიმური დასაბუთება მოეძებნათ თანამედროვე იდეებისა და ინსტიტუტების (იქნებოდა ეს სამეცნიერო, ტექნიკური თუ პოლიტიკური — კონსტიტუციონალიზმი და წარმომადგენლობითი მთავრობა) მისაღებად საფუძვლის მომზადებისათვის." ეს უკვე ფართო რეფორმატორული მოძრაობა იყო, რომელიც, მიდიოდა რა ქემალიზმის გზით, არა მარტო მოდერნიზიაციისკენ ისწარფვოდა, არამედ ზოგიერთი დასავლური ინსტიტუტის ათვისებისთვისაც იყო მზად. ასეთი სახის რეფორმიზმი მუსლიმური ელიტების მხრიდან დასავლეთისადმი ყველაზე გავრცელებული პასუხი იყო ორმოცდაათი წლის განმავლობაში, 1870-იანი წლებიდან 1920-იან წლებამდე, სანამ იგი არ წააწყდა გამოწვევეას ჯერ ქემალიზმის, ხოლო მოგვიანებით — ფუნდამენტალისტური ფორმის უფრო დახვეწილი რეფორმიზმის მხრიდან.

უარყოფის პოლიტიკა, ქემალიზმი და რეფორმიზმი ეფუძნება სხვადასხვა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა არის შესაძლებელი და რა — სასურველი. უარყოფის პოლიტიკისათვის ორივე — მოდერნიზაციაც და ვესტერნიზაციაც — არასასურველია და შესაძლებელია ორივეს უარყოფა. ქემალიზმისათვის ორივე — მოდერნიზაციაც და ვესტერნიზაციაც — სასურველია,

უკანასკნელი მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ მის გარეშე პირველის განხორციელება არარეალურია, და ორივე შესაძლებელია. რეფორმიზმისათვის მოდერნიზაცია სასურველი და შესაძლებელია ყოველგვარი ძირეული ვესტერნიზების გარეშე, რომელიც, ამავდროულად, არასასურველიცაა. მაშასადამე, უთანხმოებაა უარყოფის პოლიტიკასა და ქემალიზმს შორის მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის სასურველობის თაობაზე, ასევე ქემალიზმსა და რეფორმიზმს შორის იმის თაობაზე, თუ რამდენად რეალურია მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის გარეშე.

ცხრილი 3.1 სწორედ ამ მიმართულებებს გამოსახავს. „უარმყოფელი“ A წერტილზე დარჩება; ქემალისტი დიაგონალს მიჰყვება B წერტილამდე; რეფორმატორი ჰორიზონტალს გაუყვება C წერტილამდე. რა გზით წავიდნენ სინამდვილეში საზოგადოებები? რა თქმა უნდა, ყოველ არადასავლურ საზოგადოებას განვითარების საკუთარი გზა აქვს, რომელიც, შესაძლოა, შესამჩნევად განსხვავდებოდეს მოცემული სამი პროტოტიპული მარშრუტისაგან. მაზრუი იმასაც ამტკიცებდა, რომ ეგვიპტე და აფრიკა D წერტილის მიმართულებით წავიდა: ეს იყო „კულტურის ვესტერნიზაციის მტკივნეული პროცესი ტექნიკური მოდერნიზაციის გარეშე.“ თუ მოდერნიზაციისა და ვესტერნიზაციის ნებისმიერ ძირითად ფორმას განვიხილავთ, როგორც არადასავლური საზოგადოებების პასუხს დასავლეთისადმი, მაშინ გამოგვივა მრუდი - თავდაპირველად ვესტერნიზაცია და მოდერნიზაცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: არადასავლური საზოგადოება ითვისებს დასავლური კულტურის თითქმის ყველა ელემენტს, ამავე დროს, შეიმჩნევა მოდერნიზაციის ნელი პროცესი. თუმცა, როგორც კი მოდერნიზაცია დაჩქარდება, ვესტერნიზაციის ინტენსივობა კლებულობს და იწყება ადგილობრივი კულტურის აღორძინება. შემდგომი მოდერნიზაცია უკვე ცვლის ცივილიზაციურ ბალანსს დასავლურ და არადასავლურ საზოგადოებათა შორის და აძლიერებს საკუთარ კულტურაზე მიჯაჭვულობას.

მაშასადამე, ცვლილებათა ადრეულ სტადიაზე მოდერნიზაცია ვესტერნიზაციის საშუალებით ხორციელდება. შემდგომ ეტაპებზე მოდერნიზაცია დევესტერნიზაციის გზით მიდის და განაპირობებს ადგილობრივი კულტურების გამოცოცხლებას ორი სახით: საზოგადოებრივ დონეზე, მოდერნიზაცია ავითარებს ეკონომიკას, ჯარს, ახდენს საზოგადოების პოლიტიკურ კონსოლიდაციას, ანიჭებს ამ საზოგადოების წევრებს თავიანთი კულტურისადმი რწმენასა და თვითდაჯერებულობას. ინდივიდუალურ დონეზე, მოდერ-ნიზაციას თან ახლავს გაუცხოებისა და ანომიის გრძნობა, რადგან ირღვევა ტრადიციული კავშირებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმები, რასაც პიროვნება მიჰყავს იდენტურობის კრიზისამდე, რომელზეც პასუხს რელიგია იძლევა.

ეს ზოგადი ჰიპოთეზური მოდელი ითვალისწინებს როგორც სოციალურ მეცნიერებათა თეორიებს, ისე ისტორიულ გამოცდილებასაც. დაწვრილებით მიმოიხილავს რა „უცვლელობის თეორიას“, რაინერ ბაუმი ასკვნის, რომ „ადამიანის მიერ იდეალური მმართველობისა და იდეალური პიროვნული ავტონომიის მუდმივი ძიება სხვადასხვა ფორმით ვლინდება ცაკლეულ კულტურებში. ამ მხრივ მულტიკულტურული და ჰომოგენური მსოფლიოსაკენ სწრაფვა არ იკვეთება. პირიქით, როგორც ჩანს, ის სისტემები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ განვითარების ისტორიულ და ადრე-მოდერნულ საფეხურებზე, კვლავ უცვლელადაა შენარჩუნებული.

სესხების თეორია, შემუშავებული ფრობენიუსის, შპენგლერისა და ბოუზმანის მიერ, ხაზს უსვამს საზღვრებს, რომელთა ფარგლებში ცივილიზაცია-რეციპიენტები შერჩევითად ითვისებენ სხვა ცივილიზაციების ელემენტებს, ახდენენ მათ ადაპტირებას, გარდაქმნასა და ასიმილაციას და ამით უზრუნველყოფენ თავიანთი კულტურების უმთავრესი ღირებულებების — „პაიდეუმი“ — გადარჩენას. მსოფლიოს თითქმის ყველა არადასავლური ცივილიზაცია არსებობდა, სულ ცოტა, ერთი, ზოგი კი რამდენიმე ათასი წელი. არსებობს არაერთი მაგალითი სხვა ცივილიზაციათაგან სესხებისა, საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ჩინეთის მიერ ინდოეთისგან ბუდიზმის ათვისებას არ გამოუწვევია ჩინეთის „ინდუიზაცია“. ჩინელებმა იგი თავიანთ მიზნებსა და საჭიროებებს შეუსაბამეს, ჩინური კულტურა კი ჩინური დარჩა. ჩინელებს შეუძლიათ შეადგინონ ქრონოლოგიური ჩამონათვალი

დასავლეთის წარუმატებელი მცდელობებისა, ქრისტიანულ რჯულზე მოექციათ ისინი. თუ ჩინელები როდესმე ისესხებენ რაიმეს ქრისტიანობიდან, ალბათ, შეცვლიან მას ისე, რომ იგი თავსებადი გახდეს ჩინური კულტურის ძირითად ელემენტებთან. ანალოგიურად, მუსლიმმა არაბებმა აითვისეს, დააფასეს და გამოიყენეს „ელინური მემკვიდრეობა უკიდურესად უტილიტარული მიზნებისათვის. იყვნენ რა ძირითადად დაინტერესებულნი გარკვეული გარეგნული ფორმების ან ტექნიკური მხარეების ათვისებით, მათ იცოდნენ, თუ როგორ უგულებელეყოთ ბერძნული ფილოსოფიური აზრის ნებისმიერი ელემენტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ყურანის ფუნდამენტური ნორმებითა და სწავლებით დადგენილ „ჭეშმარიტებას“. იაპონიამაც მსგავსი გზა გაიარა. VII საუკუნეში მან განახორციელა ჩინური კულტურის იმპორტი და საკუთარი ნებით, „ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის გარეშე, გარდაქმნა იგი“ უფრო მაღალ ცივილიზაციად. „მომდევნო საუკუნეებში ერთმანეთს ენაცვლებოდა კონტინენტური გავლენისაგან შედარებითი იზოლაციისა (როცა ხდებოდა ადრინდელ ნასესხებ ელემენტთა გადარჩევა და სასარგებლოს შეთვისება) და კონტაქტისა თუ კულტურული სესხების პერიოდები“. მთელი ამ ხნის განმავლობაში იაპონურმა კულტურამ შეინარჩუნა თვითმყოფადი სახე.

ქემალისტთა მოზომილი მსჯელობა იმის შესახებ, რომ არადასავლური საზოგადოებები *შეიძლება* მოდერნიზდნენ ვესტერნიზების გზით, არ მტკიცდება. უკიდურესი ქემალისტების წარმოდგენა, თითქოს არადასავლური საზოგადოებები *უნდა* ვესტერნიზრდნენ, რათა შემდგომში მოდერნიზდნენ, არ გამოდგება საყოველთაო „რეცეპტად“. ჩნდება კითხვა: არსებობენ თუ არა ისეთი არადასავლური საზოგადოებები, სადაც ლოკალური კულტურა ისე აფერხებს მოდერნიზაციის პროცესს, რომ ეს კულტურა ძირეულად უნდა ამოიძირკვოს და შეიცვალოს დასავლური კულტურით? თეორიულად, ეს უფრო შესაძლებელია დასრულებულ, ვიდრე ინსტრუმენტულ კულტურებში. ინსტრუმენტული კულტურები „ხასიათდება საბოლოო მიზნებისაგან განცალკევებული და დამოუკიდებელი შუალედური მიზნების ვრცელი არეალის არსებობით. ეს სისტემები ადვილად განახლდება, აფარებს რა ცვლილებას ტრადიციის საფარს. ასეთ სისტემებს ძალუძთ განახლება ისე, რომ არც გამოამჟღავნონ ძირეული ცვლილებები თავიანთ სოციალურ ინსტიტუტებში. პირიქით, სიახლე ძველის დავიწყებას ემსახურება“. დასრულებული სისტემები, პირიქით, „ხასიათდება მჭიდრო კავშირით შუალედურ და საბოლოო მიზნებს შორის... საზოგადოება, სახელმწიფო, ხელისუფლება და ა.შ. წარმოადგენენ საგულდაგულოდ შეკავშირებულ, კარგად შეკრულ სისტემას, რომელიც გამსჭვალულია რელიგიით, როგორც შემეცნების სახელმძღვანელო პრონციპით. ასეთი სისტემები ყოველთვის მტრულად იყვნენ განწყობილნი სიახლისადმი“. აპტერი იყენებს ამ კატეგორიებს აფრიკულ ტომებში მომხდარი ცვლილებების ანალიზისათვის. აიზენშტადტმა შედარებითი მეთოდის გამოყენებით გააანალიზა აზიის დიდი ცივილიზაციები და მსგავს დასკვნებამდე მივიდა. შინაგან ცვლილებებს „მნიშვნელოვნად აადვილებს სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტების ავტონომია“. ამ მიზეზით, შედარებით უფრო ინსტრუმენტული ხასიათის იაპონური და ინდური საზოგადოებები უფრო ადვილად და ადრე დაადგნენ მოდერნიზაციის გზას, ვიდრე კონფუციური და მუსლიმური საზოგადოებები. მათ უფრო მეტი უნარი გააჩნდათ თანამედროვე ტექნოლოგიებისა სესხებისა და მათი გამოყენებისა საკუთარი კულტურის განმტკიცებისათვის. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩინურმა და მუსლიმურმა საზოგადოებებმა ან უარი თქვან როგორც მოდერნიზაციაზე, ისე ვესტერნიზაციაზეც, ან ორივე მიიღონ? არჩევანი არც ასე შეზღუდულია. იაპონიასთან ერთად, სინგაპური, ტაივანი, საუდის არაბეთი და, ნაკლებად, ირანიც თანამედროვე (მოდერნულ) საზოგადოებებად გარდაიქმნენ ყოველგვარი ვესტერნიზაციის გარეშე. საინტერესოა, რომ შაჰის მცდელობებმა, ქემალისტურ კურსს გაჰყოლოდა და განეხორციელებინა ორივე — მოდერნიზაციაცა და ვესტერნიზაციაც, მძაფრი ანტიდასავლური, მაგრამ არა ანტიმოდერნული რეაქცია გამოიწვია. ჩინეთიც აშკარა რეფორმისტულ გზას დაადგა.

მუსლიმურ საზოგადოებებს გარკვეული სიძნელეები შეხვდათ მოდერნიზაციის გზაზე, ამიტომ ფაიპსი, იმ თვალსაზრისის დასასაბუთებლად, რომ ვესტერნიზაცია მოდერნიზაციის აუცილებელი პირობაა, მიუთითებს წინააღმდეგობაზე ისლამსა და თანამედროვეობას შორის ეკონომიკურ საკითხებში, როგორიცაა კაპიტალდაბანდება, მემკვიდრეობის კანონი და ქალის შრომის უფლება. მაგრამ იგი მაინც ეთანხმება მაქსინ როდინსონს იმასთან დაკავშირებით, რომ „არ არსებობს არავითარი დამაჯერებელი არგუმენტი იმისა, რომ მუსლიმურმა რელიგიამ ხელი შეუშალა მუსლიმურ სამყაროს თანამედროვე კაპიტალიზმის გზით განვითარებაში". ფაიპსი ამტკიცებს, რომ ისლამი და მოდერნიზაცია არც სხვა საკითხებში ეწინაღმდეგებიან ერთმანეთს. მორწმუნე მუსლიმებს ძალუძთ განავითარონ მეცნიერება, ნაყოფიერად იმუშაონ ქარხნებში ან გამოიყენონ დახვეწილი იარაღი. მოდერნიზაცია არ მოითხოვს არანაირ პოლიტიკურ იდეოლოგიას ან ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა არჩევნები, სახელმწიფო საზღვრები, სამოქალაქო ორგანიზაციები. არც დასავლური ცხოვრების სხვა დამახასიათებელი ნიშნებია აუცილებელი ეკონომიკური განვითარებისათვის. როგორც მრწამსი, ისლამი აკმაყოფილებს მენეჯმენტის კონსულტანტსაც და გლეხსაც. შარიათი არაფერს ამბობს მოდერნიზაციის თანამდევ ისეთ ცვლილებებზე როგორიცა გადასვლა სოფლის მეურნეობიდან მრეწველობაზე, მოძრაობა სოფლიდან ქალაქისკენ თუ სოციალური უძრაობის სოციალური მობილურობით შეცვლა. იგი არ ეხება არც ისეთ საკითხებს როგორიცაა საყოველთაო განათლება, კომუნიკაციის დაჩქარებული საშუალებები, ტრანსპორტის ახალი სახეობები თუ ჯანდაცვა.

ყველაზე რადიკალი ანტივესტერნისტები და ადგილობრივი კულტურების აღორძინების მომხრეებიც კი უყოყმანოდ იყენებენ თანამედროვე ტექნიკას — ელექტრონულ ფოსტას, კასეტებს თუ ტელევიზიას – საკუთარი იდეების პროპაგანდისათვის.

ერთი სიტყვით, მოდერნიზაცია აუცილებლად არ ნიშნავს ვესტერნიზაციას. არადასავლურ საზოგადოებებს შეუძლიათ და შეძლეს კიდეც მოდერნიზება საკუთარი კულტურის უარყოფისა და ყველა დასავლური ღირებულების, ინსტიტუტისა თუ ჩვეულების ათვისების გარეშე. ეს უკანასკნელი, ალბათ, შეუძლებელიცაა: რა დაბრკოლებებიც არ უნდა შეუქმნან არადასავლურმა კულტურებმა მოდერნიზაციას, ისინი ვერც კი შეედრება იმ სირთულეებს, რომლებიც ვესტერნიზაციის პროცესს ეღობება. ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, აღნიშნავს ბროდელი, რომ მოდერნიზაცია, ანუ „ერთი *ცივილიზაციის* ტრიუმფი", შეიძლება, საწინდარი გახდეს ისტორიული კულტურების მრავალრიცხოვნების მოსპობისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ხორცს ისხამდნენ მსოფლიოს დიდ ცივილიზაციებში. ამის ნაცვლად, მოდერნიზაცია აძლიერებს ამ კულტურებს და ამცირებს დასავლეთის ძალას. მსოფლიო ხდება სულ უფრო და უფრო მოდერნული და ნაკლებად დასავლური.

თემა IX. „მცირე კულტურები" და მოდერნიზაციის პრობლემა. ქართული კულტურა მოდერნიზაციის პრობლემასთან მიმართებაში

როდესაც მცირე კულტურების მოდერნიზაციის საკითხს ვეხებით, დგება ტრადიციის კატეგორიის გამოყენების აუცილებლობა, რადგან, უმეტეს შემთხვევაში მცირე კულტურების მოდერნიზაცია განიხილება როგორც ამ კულტურათა ტრადიციის დაკნინების ხარჯზე განხორციელებული პროცესი, რაც ამ კულტურათა თავისთავადობის დაკარგვას უტოლდება.

მოდერნიზაციამ „ანტიტრადიციული" ხასიათი, ალბათ, არადასავლური კულტურების მოდერნიზაციის გაანალიზების შედეგად მიიღო, რადგან ამ საზოგადოებათა მოდერ-ნიზაცია, უმეტესად ადგილობრივი ტრადიციების დათრგუნვის ხარჯზე ხდებოდა. დასავლურ საზოგადოების კონსტექსტში კი მოდერნიზაცია სწორედაც დასავლური ტრადიციის გაგრძელებასა და განვითარებას ნიშნავს.

რაც არ უნდა დიდი იყოს კონტრასტი „ტრადიციულსა" და „თანამედროვე" საზოგადოებებს შორის, წარმატებული მოდერნიზაცია შეიძლება მოხდეს ტრადიციული რეგულაციის ზოგიერთ

ელემენტზე დაყრდნობით. ეს იმას ნიშნავს, რომ „თანამედროვე“ საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ტრადიციული წინაპირობების არსებობაზე, თანამედროვე სისტემაში მათ ჩართვაზე და გამოყენებაზე.

ამიტომ აუცილებელია:

1. გადაიხედოს ტრადიციისა და ცვალებადობის თანაფარდობა, ჩატარდეს მოცემული ტრადიციული საზოგადოების იმ ძალთა/ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებების პროცესს და იმათიც, რომლებიც აბრკოლებენ მას. შესაბამისად უნდა გაანალიზდეს ამ ფაქტორთა ადგილი რეგულაციის ზოგად სტრუქტურულ და კულტურულ სისტემაში;
2. გამოვლინდეს განსხვავება იმ ცვლილებებს შორის, რომლებიც ახასიათებს/თან ახლავს თავად ტრადიციულ წესრიგს და რომლებიც სცილდებიან ამ ფარგლებს და იწვევენ საზოგადოების განახლებას;
3. გამოვლინდეს განსხვავება იმ ცვლილებებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების შემდგომ განვითარებას და რომლებიც ამ უნარს ძირს უთხრიან;
4. გამოვლინდეს ტრადიციულ სისტემაზე თანამედროვე ცვლილებების ზემოქმედების ზოგადი ხასიათი;
5. განისაზღვროს, რამდენად შეუძლია საზოგადოებას გამოიმუშაოს თავის საკუთარ მემკვიდრეობაში უნარი გადაჭრას ეს პრობლემები; ან მიაღწიოს ამას ახალ პირობებთან ადაპტაციით თავისი ცენტრალური ინსტიტუტებისა და ფასეულობით-აზრობრივ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე (ან მათი ტრანსფორმაციით) (S.N. Eisenshtadt).

ქართული კულტურა მოდერნიზაციის პრობლემასთან მიმართებაში

ამ ლექციებზე შევეცდებით კურსის მანძილზე მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე მოვახდინოთ ქართული კულტურის ტიპოლოგიური (ტრადიციული თუ ინოვაციური, ინდივიდუალისტური თუ კოლექტივისტური) რაობის განსაზღვრა; ასევე ქართული კულტურის კონტექსტში თავს მოვუყრით მიღებულ ცოდნას კულტურაში ტრადიციისა და მოდერნიზაციის ურთიერთქმედების/პროპორციის შესახებ; მოდერნიზაციასთან მიმართებაში ქართული კულტურის თავისებურებების გაანალიზებას წინა (VIII) თემაში მოტანილი ხუთი პუნქტის საფუძველზე. ვეცდებით გავარკვიოთ ქართული საზოგადოების მოდერნიზებულობის ხარისხი. ამისათვის, კურსის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმოვიხილავთ უკანასკნელი ორი საუკუნის საქართველოს ისტორიას; ვისაუბრებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე ქართულ კულტურაში მომხდარ (ან მოსალოდნელ) ცვლილებებზე. აქედან გამომდინარე, დავსახავთთ ქართული კულტურის განვითარების შესაძლო ვარიანტებს.

ქართული კულტურის ტიპოლოგიური რაობისა და ცივილიზაციური კუთვნილების კვლევის ზოგიერთი თანამედროვე მიმართულება

ეთნოლოგთა მიერ მოპოვებული მასალებით დიდი ხანია ცნობილია, რომ სხვადასხვა ხალხი ბიოლოგიურ აქტებსაც კი (ჟესტები, თავის დაჭერის მანერა, საკვების მიღება, მოძრაობა, ავადმყოფობა, სიკვდილი და ა.შ.) სხვადასხვაგვარად განახორციელებს, და ამ განსხვავებათა საფუძველი კულტურაა.

არსებობს კულტურათა ნაირგვარი კლასიფიკაცია, სხვადასხვა კრიტერიუმზე დაყრდნობით შემოთავაზებულია კულტურათა სხვადასხვა ტიპოლოგიური მოდელი. ჩვეულებრივ, კულტურის რაობაზე მსჯელობენ ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა გახსნილობა–კარჩაკეტილობა, ორიგინალურობა–იმიტაციურობა, ტრადიციულობა–ინოვაციურობა და ა.შ.

უკანასკნელ წლებში კულტურული იდენტურობის პრობლემის კვლევაში, ჰუმანიტარებთან ერთად, აქტიურად ჩაერთნენ ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, გეოგრაფები და ნეირობიოლოგები.

ფიზიოლოგების მიერ შემოთავაზებულია თავის ტვინის ჰემისფეროთა ფუნქციური ლატერალიზაციისა და მისგან გამომდინარე სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინება კულტურული იდენტურობის საკითხის გარკვევისათვის[1]. ჰემისფეროთა ფუნქციური ლატერალიზაცია ნიშნავს ადამიანის ფსიქიკური პროცესების ორგანიზაციაში ტვინის ნახევარსფეროთა განსხვავებული აქტივობით მონაწილეობა. როგორც აღმოჩნდა, თავის ტვინის ფუნქციურ ლატერალიზაციას, სქესობრივ და ასაკობრივ თავისებურებებთან ერთად, ეთნიკური თავისებურებებიც გააჩნია, რომლებიც ურთიერთქმედებენ გარემოსთან, დამოკიდებული არიან სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე და, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე[2].

ჰემისფეროთა ფუნქციური ლატერალიზაცია ნაწილობრივ კულტურულად დეტერმინირებულია. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის არსებობს განსხვავება თავის ტვინის ფუნქციურ ასიმეტრიაში, სივრცეში ორიენტაციის პროცესის ორგანიზაციის თვალსაზრისით[3].

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებითა და ფიზიოლოგთა მიერ შემოთავაზებული მეთოდის გამოყენებით ქართული კულტურის რაობის კვლევის პირველი შედეგები ფრიად საყურადღებოა, თუმცა ისინი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის და ამიტომ მათზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

2000 წლის სექტემბერში ნეირობიოლოგი, პროფესორი ვოლფ ზინგერი მოხსენებით წარსდგა გერმანელ ისტორიკოსთა დღეზე აახენში, რომელიც 43-ჯერ ჩატარდა. მან მიუთითა აღქმისა და მოგონებათა პროცესებზე, როგორც კვლევის ერთნაირად საინტერესო საგანზე ნეირობიოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის. პირველნი მას იკვლევენ როგორც ტვინის ფუნქციონირების ერთ-ერთ სფეროს, მაგრამ, ვ.ზინგერის აზრით, ამ კვლევათა შედეგები მნიშვნელოვანია ისტორიკოსებისთვისაც: ისინი წარსულის რეკონსტრუქციისათვის იყენებენ ტექსტურ და გრაფიკულ წყაროებს, რომელთა უმრავლესობა სწორედ აღქმის, ინტერპრეტაციისა და მოგონებების შედეგია. მეცნიერის აზრით, წყაროთა სანდოობის ხარისხზე მსჯელობისას ისტორიკოსებს მართებთ ტვინის ფუნქციონირების კვლევის შედეგთა გათვალისწინება, კერძოდ, მათ მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ ადამიანის ცნობიერება გარესამყაროდან შემომავალი სიგნალების ფართო სპექტრიდან არჩევს მხოლოდ იმათ, რომელთაც ის ელის, რომლებიც გამოსადეგია ამ რთულ სამყაროში გადარჩენისათვის. სწორედ ამ მცირედიდან იქმნება შემდეგ მსოფლიოს სურათი[4].

ფსიქოლოგებისა და გეოგრაფების მიერ დამუშავდა ე.წ. მენტალური რუკის კონცეფცია, რომელიც გეოგრაფ რ.მ. დოუნზისა და ფსიქოლოგ დ.სთეას სახელებს უკავშირდება. მენტალური რუკა განიმარტება როგორც ადამიანის სუბიექტური შინაგანი წარმოდგენა გარემომცველი სივრცის ნაწილზე, ამ ნაწილის ადამიანის მიერ შექმნილი გამოსახულება. მენტალური რუკის ცნება მნიშვნელოვანია საისტორიო მეცნიერებისთვისაც, რადგან ადამიანთა ჯგუფები თუ ერთობები ასევე ქმნიან ისტორიული და კულტურული თვალსაზრისით სპეციფიკურ წარმოდგენებს გარემომცველი სამყაროს სივრცით სტრუქტურაზე. კულტუროლოგიისათვის საყურადღებოა ამა თუ იმ საზოგადოების (კულტურის) წარმოდგენა სივრცეზე, გამოხატული ტექსტურად თუ გამოსახულებათა სახით – მაგალითად, წერილობით წყაროებში, რუკებსა და ნახატებზე[5].

---

[1] მაყაშვილი მ., სამადაშვილი ი., აზმაიფარაშვილი თ., შაინათან შაი ა.თ. თავის ტვინის ფუნქციური ლატერალიზაციის ეთნიკური თავისებურებების შესახებ. — ჟურნ.: ახალი პარადიგმები, 1, თბ., 1998, გვ.155; მაყაშვილი მ. თავის ტვინის ჰემისფეროთა ფუნქციური ასიმეტრია ადამიანის სივრცით ორიენტაციაში. დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998.

[2] მაყაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ.6.

[3] იქვე, გვ.130.

[4] Шенк Ф.Б. Ментальные карты: Конструирование географического пространтсва в Европе. – В журн.: Политическая наука, № 4 (Регионализация посткоммунистической Европы), М., 2001, с.6.

[5] იქვე, გვ.8.

იმ დეტერმინანტთაგან, რომლებზე დაყრდნობით ახდენენ კულტურათა ტიპოლოგიზებას, ერთ-ერთი საინტერესოა ფსიქოლოგიური მახასიათებლები. შევეხებით ზოგიერთ მათგანს, რომელთა გაანალიზებისა და მათ კონტექსტში ქართული კულტურის რაობის გააზრების საყურადღებო მცდელობანი სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება.

ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა ერთობლიობა ჩვენს საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება სიტყვით „ხასიათი". ქართველთა ხასიათის პირველ ყველაზე სრულ აღწერას ვახუშტი ბაგრატიონთან ვხვდებით. მის მიერ აღნიშნულ ფსიქოლოგიურ მახასიათებელთაგან ზოგიერთი მომდევნო ხანის მეცნიერთა განხილვა-ანალიზის საგნად იქცა, ამიტომ სრულად მოვიტანთ ვახუშტისეულ დახასიათებას: „ხოლო კაცნი ამის ქუეყნისანი არიან... მხნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობასა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი; სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა და მეფესა თვისსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაი შეიჭირვიან; უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვისას კრძალავენ; საუნჯეთა არა მმესველნი; გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი"[1].

ქართული კულტურის ფსიქოლოგიური რაობის განსაზღვრის მცდელობას ვხვდებით კ.კაპანელის ნაშრომში „ქართული კულტურის სული", თუმცა ავტორი ოპერირებს არა კულტურის, არამედ ტემპერამენტისა და სულის ცნებებით: „ჩვენი ტემპერამენტი ქალური და ისტერიულია: ტრაგედიას ქართული სული არ იცნობს; რაც უნდა ცუდად მიმდინარეობდეს ცხოვრება ჩვენს გარშემო, ჩვენ მაინც ოცნებებსა და იმედებში ვართ". „ქართული სული ისტერიული და პათეტიურია, არასისტემატური". „ქართველი ფსიქოლოგიურად აკრობატი და ჟონგლიორია"[2].

არარაციონალიზმი, რომელსაც კ.კაპანელი ქართული კულტურის მახასიათებლად მიიჩნევს (ერთთავად ოცნებებსა და იმედებში ყოფნა) ტიპური არადასავლური ნიშანია. როგორც თავად კ.კაპანელი ამბობს, „აღმოსავლეთი გრძნობის ქვეყანაა: სისხლის ინტენსიური მოძრაობა გულის საშუალებით გონებას ებრძვის"[3]. ეს სავსებით შეესაბამება იმავე ავტორის მიერ ქართული კულტურის შეფასებას სხვა ნიშნების მიხედვითაც. კერძოდ, სხვა ნაშრომში კ.კაპანელი აღნიშნავს, რომ „შორეული წარსულიდან საქართველო განიცდიდა აღმოსავლეთის გავლენას. ქართული ლიტერატურა და ხალხური მეტყველება ერთნაირად ატარებს დაღს მუსლიმანურ-არაბული კულტურის გავლენის. „ვეფხისტყაოსანი" ათარგულია მუსლიმანურ-არაბული კულტურის იდეოლოგიურ დაზგაზე. დროთა ვითარებაში ქართული სული ჩაიკეტა აზიური ცხოვრების დეგრადაციის პირობებში. საქართველო ისტორიულმა აუცილებლობამ დააყენა მუსლიმანურ ქვეყნებთან ერთად დეგენერაციის გზაზე"[4]. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან შემოდის „ქართული კულტურის აღმოსავლეთურ წყობაში დასავლეთური კულტურა", რომელიც მხოლოდ შორეული ნაშთის სახითღა შემორჩენილიყო[5].

ქართველთა კულტურული რაობის საკითხზე მსჯელობისას კ.კაპანელი აღნიშნავდა: „ქართულ ძარღვებში მოძრაობს სისხლი ჩქარი, რყევადი თითქმის ყველა აღმოსავლური რასის და ტომის: გადმოდიოდნენ რა აღმოსავლეთიდან საქართველოს მიწა-წყალზე აზიელები,

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 45.

[2] კაპანელი კ. ქართული კულტურის სული. — წიგნში: კაპანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, გვ. 328-330.

[3] კაპანელი კ. ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. — იქვე, გვ. 108.

[4] იქვე, გვ.98-99.

[5] იქვე, გვ.108.

ტოვებდნენ როგორც თავიანთ ზნე-ჩვეულებებს და სტილს, აგრეთვე ფიზიოლოგიურ ელემენტებს, უჯრედებს, სისხლს“[1].

საინტერესოა, რატომ მხოლოდ აზიელები (თუმცა, ცხადია, მათი რიცხვი მეტი იყო და მათთან კონტაქტი — ხანგრძლივი)?

ზოგი მკვლევრის აზრით, მფარველის ძიება ქართული კულტურის არადასავლურობის ერთ-ერთი მკაფიო ნიშანია. „არაფერია უფრო არაევროპული, ან არადასავლური, ვიდრე კარგი „პატრონის“ თუ „მფარველის“ ძიება, რომლის კალთასაც ამოეფარები, — წერს გ.ნოდია. — „დასავლურობის“ თვით იდეისთვის განმსაზღვრელია ადამიანის თავისუფლება, მისი პასუხისმგებლობა, მისი არჩევანი, და შემდეგ მისი აქტივობა, შრომა, მიმართული ამ არჩევანის განსახორციელებლად. ეს აქტივობა, შრომა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ძალისხმევას საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად და საკუთარი თავის შესაქმნელად“[2].

ვფიქრობთ, გ.ნოდიას დასკვნა მეტისმეტად კატეგორიულია. ნიშნავს თუ არა მფარველის ძიება პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარებას? იქნებ, ეს სწორედ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებაა (მოძებნილი „მფარველის“ გამო), ის არჩევანია, რომლის უფლება ადამიანის თავისუფლებაში შედის და რომლის განხორციელებას სწორედაც ზემოთ ნახსენები „შრომა და აქტივობა“ სჭირდება?

სად განთავსდება ქართული კულტურა ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა მიხედვით?

ქართული კულტურის ფსიქოლოგიური რაობის განსაზღვრისათვის გ.გაჩეჩილაძე გვთავაზობს რესენტიმენტის — მეხსიერებაში მოტივტივე „მტანჯველ მოგონებათა“ — მახასიათებელს, რომელსაც გარკვეული ფუნქცია ეკისრება კულტურის სისტემაში. ამ სისტემაში, აღნიშნავს გ.გაჩეჩილაძე, რესენტიმენტი არის ტოინბისეული „გამოწვევისა და პასუხის“ ანალოგი. მასზე დაყრდნობით განასხვავებენ „სირცხვილისა“ და „დანაშაულის“ კულტურებს. პირველი ტიპის კულტურა პიროვნებაზე სოციალური კონტროლის ორიენტირად სირცხვილის კატეგორიას იყენებს (რა აზრის არიან ჩემს შესახებ სხვები), მეორე — სინდისისა (როგორ გამოვიყურები ჩემი თვითშეფასების სამსჯავროზე)[3].

ამ ორი ტიპის გამიჯვნა ძნელია, რადგან მათ შორის საზღვრები გამჭვირვალე უფროა, ვიდრე შეუვალი. და მაინც, გარკვეული პირობითობის გათვალისწინებით, მეცნიერები იყენებენ ამ მახასიათებელს კულტურათა ტიპოლოგიზაციასთვის: აღმოსავლური კულტურები (იაპონური, ჩინური, არაბული) სირცხვილის კულტურებად მიიჩნევა, დასავლური (ევროპული, ამერიკული) — დანაშაულისა[4].

როგორც გ.გაჩეჩილაძე აღნიშნავს, ბუნებრივია, რომ აღმოსავლურ-დასავლურ კულტუ-რათა გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოში, როგორც სარკეში, ისე ირეკლება „სირცხვილისა“ და „დანაშაულის“ კულტურათა ტიპოლოგია[5]. დანაშაულის კულტურის კლასიკურ ნიმუშად მიაჩნია მკვლევარს „გალობანი სინანულისანი“, ამავე კულტურიდან გამოხმობილ გმირებად — ვაჟას ჯოყოლა, ალუდა და მინდია. ამავე დროს, ქართულ კულტურაში ადამიანი ფასდება მოვალეობასთან ანუ როლებრივ ფუნქციასთან მისი შესატყვისობის საფუძველზე, მოვალეობათა არსის მატარებელი კი სირცხვილის კულტურაა. ამ ტიპის კულტურის, როგორც ერთი მედლის, ორ მხარედ მიაჩნია გ.გაჩეჩილაძეს ადრე შუა საუკუნეების „შუშანიკის წამება“ და რენესანსული „ვეფხისტყაოსანი“, იგივე ტიპის

---

[1] კაპანელი კ. ქართული კულტურის სული. — წიგნში: კაპანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, იქვე, გვ.330.

[2] ნოდია გ. წინათქმა კრებულისათვის “ჭკუა ვაისაგან”, თბ., 1994, გვ.IV.

[3] გაჩეჩილაძე გ. ღესსენტიმენტ-ის (“მტანჯველ მოგონებათა”) ერთი გამოძახილის შესახებ და გამო. — გაზ. “ახალი 7 დღე”, თბ., 2001, 13-19 აპრილი, გვ.14-15.

[4] იხ. ჟურნ. “ოგონიოკიდან” გადმობეჭდილი ჟურნალისტ ა.ნიკონოვის ინტერვიუ ფსიქოლოგიის მეცნ. დოქტ. ტ.სტეპანენკოსთან: აღმოსავლეთი — დასავლეთი: სირცხვილის კულტურა მტყუანობის წინააღმდეგ. — გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა”, 17-18. 10. 2001.

[5] გაჩეჩილაძე გ. დასახ. ნაშრ.

გამოვლინებას ხედავს XVII-XVIII სს. ქართულ კულტურაში და ასკვნის, რომ „ამ ინერციის ცხოველმყოფელობა არ განელებულა XIX-XX საუკუნებშიც“[1].

ამგვარად, გ.გაჩეჩილაძის მიხედვითაც, ქართული კულტურის ადგილი კვლავ აღმოსავლურ კულტურათა შორის იძებნება, თუმცა თავად მკვლევარი დასკვნისაგან თავს იკავებს, მხოლოდ სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „კულტურის ამ მექანიზმების გათვალისწინების გარეშე იმპრესიონიზმის დონეზე რჩება ქართული კულტურისა და მენტალობის ანალიზის ყველაზე წარმატებული ცდები როგორც ლიტერატურის ისტორიაში, ისე კულტურის ფილოსოფიაში“[2].

გ.ნიჟარაძემ ქართული კულტურის ტიპოლოგიური რაობის განსაზღვრა სხვა მახასიათებლით სცადა, კერძოდ, მიმართა გერმანელი ფსიქიატრის კრეჩმერის მიერ შემოთავაზებულ პიროვნებათა „ფსიქიატრიულ“ კლასიფიკაციას, რომელიც შემდგომ გადატანილ იქნა კულტურებზეც. მიჩნეულ იქნა, რომ ყოველი კულტურა განამტკიცებს გარკვეული ტიპის განწყობებსა და ქცევებს და ხელს უშლის სხვათა დამკვიდრებას. ყოველ კულტურაში მიღებული ნორმებისა და ფასეულობების კომპლექსი მიდრეკილია ამა თუ იმ „ფსიქიატრიული“ მიმართულებით — პარანოიდული, კატატონიური თუ ისტეროიდული. მაგალითად, ამერიკულ (აშშ) კულტურას პარანოიდულ ტიპს მიაკუთვნებენ, ლათინურამერიკულ კულტურებს — კატატონიურს და ა.შ. გ.ნიჟარაძის აზრით, ქართული კულტურა ისტეროიდულ ტიპს განეკუთვნება. მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ემოციის უფრო ინტენსიური გამოხატვა, ვიდრე განცდის სიღრმეს შეესაბამება. ქართული კულტურის ისტეროიდული ხასიათის ყველაზე მკაფიო გამოხატულებად მკვლევარი მიიჩნევს ჩვენი კულტურის „ბაზურ“ რიტუალებს — პანაშვიდსა და სუფრას[3]. მასვე მოცემული აქვს ამ უკანასკნელი რიტუალის ფრიად საინტერესო ანალიზი. განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართული სუფრის (როგორც მისი მიმდინარეობის, ასევე მენიუს) რიტუალური ხასიათი.

რიტუალიზებისაკენ მიდრეკილება ასევე აღმოსავლურ კულტურათა მახასიათებლად ითვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ.გაჩეჩილაძის აზრით, ქართული კულტურის მიდრეკილება ყოფითობის რიტუალიზებისაკენ მკაფიო გამოვლინებაა მოვალეობასთან მიმართებაში ადამიანის შეფასების ტრადიციისა (სირცხვილის კულტურა), ხოლო დაკრძალვის ცერემონიალი და ჭამა-სმის რიტუალი ამის თვალსაჩინო დასტურია. თუმცა კულტურათა გზაჯვარედინზე ყოფნის ფაქტი აქაც მჟღავნდება: „თამადა ქართულ სუფრაზე და სადღეგრძელოს პოეტიკა თავიდან ბოლომდე ნასაზრდოებია „სირცხვილისა“ და „დანაშაულის“ პოეტიკიდან გამოხმობილი აქსესუარებით“[4].

მოვალეობისადმი დამოკიდებულების ნიშნით სხვაგვარად აფასებს ქართულ კულტურას კ.კაპანელი, რომლის აზრით, „ჩვენს ერს უფრო აფექტები ამოძრავებს, ვიდრე მოვალეობა“, საიდანაც გამომდინარეობს, ცოტა არ იყოს, უცნაური დასკვნა იმის თაობაზე, რომ „ქართულ კულტურას ახრჩობს, ორიგინალობას უმცირებს და ნებისყოფას უსუსტებს „უჩემოთ ვინ იმღერეთობა“... ჩვენი კულტურის პროვინციალიზმი დამთავრდა ლოგიკურად პერსონალიზმით. სოციალური, კოლექტიური არსებობისა და თვითშენახვის ინსტინქტი ჩვენში არ მოქმედებს; ქართველი პირადი ინტერესების თვალსაზრისით უყურებს ყოვლგვარ საზოგადო საქმეს, ყოველგვარ ისტორიულ მოძრაობას“[5].

ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმი ერთ-ერთია იმ ფსიქოლოგიურ მახასიათებელთაგან, რომლებზე დაყრდნობით ფსიქოლოგები ცდილობენ კულტურის სახის განსაზღვრას და მის ტიპოლოგიზებას.

კოლექტივიზმი გულისხმობს საერთო ინტერესების პრიორიტეტს პიროვნულთან შედარებით. კოლექტივისტურ საზოგადოებებში ინდივიდი ძირითადად მოტივირებულია იმ

---

[1] გაჩეჩილაძე გ. დასახ. ნაშრ.
[2] იქვე.
[3] ნიჟარაძე გ. ქართული სუფრა კულტურულ კონტექსტში. — გაზ. "განახლებული ივერია", თბ., 2000, 8-9, გვ.12.
[4] გაჩეჩილაძე გ. დასახ. ნაშრ.
[5] კაპანელი კ. ქართული კულტურის სული. — წიგნში: კაპანელი კ. ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, გვ.327-328.

ჯგუფის თუ ჯგუფების ინტერესებით, რომელთა წევრიცაა იგი. ამ ჯგუფების წევრობა ტრადიციულია და არა ნებაყოფლობითი. ჯგუფი შეიძლება იყოს დიდი (ერი, სახელმწიფო, რელიგიური ერთობა და სხვ.) და შედარებით მცირე (ნათესაობა, სამეზობლო, ნაცნობ-მეგობართა წრე და სხვ.). შესაბამისად, განარჩევენ ე.წ. „დიდჯგუფოვან“ (მაგალითად, რუსეთი) და „მცირეჯგუფოვან“ კოლექტივისტურ კულტურებს.

რაც შეეხება საქართველოს, ძალზე გავრცელებულია ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი ქართველთა პერსონალიზმისა და ინდივიდუალისტობის შესახებ, მაგრამ, ფსიქოლოგთა მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, „საქართველო წარმოადგენს კლასიკურ „მცირეჯგუფოვან“ კოლექტივისტურ კულტურას“, სადაც ძირითად სოციალურ ერთეულს შეადგენს ნათესაობა, სამეგობრო, ნაცნობთა წრე და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს სწორედ ამ ჯუფებში არსებული ნორმები[1]. საზოგადოების წევრთა ასეთი ნორმები საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა, როცა საქართველო (მისი ცალკეული ნაწილები) დამოუკიდებელი არ იყო და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები მის ფარგლებს გარეთ წყდებოდა. ცალკეული ინდივიდის აზროვნებისა და პასუხისმგებლობის სივრცე ზემოთ დასახელებული ჯგუფებით შემოიფარგლებოდა (ანუ საკმაოდ ვიწრო იყო) და თითქმის არ ვრცელდებოდა უფრო დიდ სოციალურ ერთობაზე — სახელმწიფოზე ან ერზე და, მით უმეტეს, ისეთ აბსტრაქტულ ნორმაზე, როგორიცაა კანონი[2].

ვფიქრობთ, გ.ნიჟარაძის მიერ აღნიშნული მახასიათებელი საყურადღებოა და, თანაც, კონკრეტული მახასიათებლის დადგენის მცდელობა წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი კულტურის ხასიათის განსაზღვრის რთულ გზაზე, რადგან იგი არ წარმოადგენს მხოლოდ დღეისათვის აშკარა ფაქტის კონსტატაციას (თუნდაც კანონთან დამოკიდებულების თვალსაზრისით), არამედ იძლევა ერთგვარ გასაღებსაც ამ მახასიათებლის ისტორიული ჩამოყალიბების ასახსნელად.

ცხადია, არ ვაპირებთ ფსიქოლოგთა და სოციოლოგთა კომპეტენციის ფარგლებში შეჭრას, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ გამოვთქვათ აზრი, რომ აუცილებელია, პირველ რიგში, მკაფიოდ განისაზღვროს, რა შეიძლება ჩაითვალოს კულტურის (საზოგადოების) მახასიათებლიად და რა — ამ მახასიათებლის პრაქტიკულ გამოვლინებად, რეალიზაციად, მისი მოქმედების შედეგად. სხვაგვარად თავს ვერ დავაღწევთ აღრევასა და ბუნდოვანებას, რომელსაც არც თუ იშვითია ქართული კულტურის ხასიათზე მსჯელობის დროს. მაგალითად, გ.ნიჟარაძესთან კანონისა და ყოფის ერთმანეთისაგან დაშორება ქართული კულტურის ერთ-ერთი მახასიათებლის — მცირეჯგუფოვან-კოლექტივისტური ხასიათის — გამოვლინებად და შედეგად წარმოგვიდგება, ე.ჯგერენაიასთან კი — თავად ძირითად მახასიათებლად („ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ნიშანი წერილობით მოცემული ნორმების (კანონის) და ყოფის ერთმანეთისაგან მაქსიმალური დაშორებულობაა“, — აღნიშნავს იგი[3]). ჩვენი აზრით, პირველი მიდგომა უფრო მკაფიოა და კულტურის მახასიათებელთა განსაზღვრისათვის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენი თვალსაზრისის სასარგებლოდ, ალბათ, ისიც მეტყველებს, რომ გ.ნიჟარაძეს საშუალება აქვს იმსჯელოს ზემოთ დასახელებული მახასიათებლის ფუნქციობასა და როლზე ქართული კულტურის ისტორიაში, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განიხილოს იგი ისტორიულ ჭრილში. კერძოდ, იგი მიუთითებს ამ მახასიათებლის მოქმედების ადაპტაციურ ღირებულებაზე დამოუკიდებლობის არქონის პირობებში: ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის მეშვეობით ჩვენ შევინარჩუნეთ თვითმყოფადობა, ენა, კულტურული ფასეულობები[4]. ეს სისტემა მორგებული

[1] ნიჟარაძე გ. პოლიტიკური ქცევა საქართველოში. — ჟურნ.: ეპოქა (საზოგადოებრივი მეცნიერებები). თბ., 2001, 1, გვ.7.
[2] ნიჟარაძე გ. პოლიტიკური ქცევა საქართველოში, გვ.7.
[3] ჯგერენაია ე. ქართული სუფრის სოციოფილოსოფია და ზოგიერთი სხვა რამ. — გაზ.: “მერიდიანი”, თბ., 2001, 27, გვ.8.
[4] ნიჟარაძე გ. პოლიტიკური ქცევა საქართველოში, გვ.7.

იყო ვითარებას, როცა „ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს განსაზღვრავდა და აგვარებდა (ცუდად თუ კარგად) ვიღაც, გარეშე ძალა, მორჩილებისა და ლოიალობის საფასურად“[1].

მართლაც, ჩვენს ისტორიაში ფრიად ხანგრძლივია პერიოდი, როცა გარეშე ძალა განაგებდა ქვეყნის ბედს, თანაც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არა ერთი ძალა და არა მთლიანი ქვეყნისა, არამედ სხვადასხვა ძალა — ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულებისა. ასეთ ვითარებაში, ალბათ, მართებულია საუბარი არა „მოვალეობის გრძნობისა“ და „კოლექტიური არსებობისა და თვითშენახვის ინსტინქტის“ არარსებობაზე (კ.კაპანელი), არამედ სწორედ მცირეჯგუფოვანი კოლექტივის წინაშე პასუხისმგებლობაზე, ანუ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სივრცის სივიწროვეზე. აქედანვე გამომდინარეობს გ.ნიჟარაძის მიერ აღნიშნული გაწაფულობა პიროვნებათაშორის ურთიერთობაში, ინდივიდუალურ ურთიერთობათა დამყარების, პარტნიორის გულის მოგების ჩვევები და, ამავე დროს, საჯარო ქცევის ჩვევათა დეფიციტი.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის პირობებში ზემოთ დასახელებული ადაპტაციური მექანიზმი, ცხადია, ვეღარ იმუშავებს, ამიტომ ქართული კულტურის წინაშე ახალ ვითარებასთან შეგუების ამოცანა დგას.

ახლა დავუბრუნდეთ ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმის ნიშნით კულტურათა (საზოგადოებათა) დასავლურობა-აღმოსავლურობის განსაზღვრის პრობლემას. ჩვეულებრივ, ინდივიდუალიზმს დასავლურ, კოლექტივიზმს კი აღმოსავლურ მახასიათებლად მიიჩნევენ. ასეთი დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია. გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოება. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საზოგადოების კოლექტივისტური ორიენტაცია და, საერთოდ, ცხოვრების წესი, კაცობრიობისათვის გაცილებით უფრო რეპრეზენტატიულია, ვიდრე ინდივიდუალიზმი, თუ გავითვალისწინებთ მის უფრო ხანგრძლივ დროით პერსპექტივას და სივრცით განფენილობას სხვადასხვა ქვეყანაში[2]. XVI საუკუნემდე დასავლური კულტურებიც მკაფიო კოლექტივისტური ორიენტაციით ხასიათდებოდნენ, ინდივიდუალისტური ტენდენციები მხოლოდ ამის შემდეგ იჩენს თავს[3].

„შუა საუკუნეების დასავლეთი ისეთივე „არადასავლური“ იყო, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო“, — წერს ნ.მუზაშვილი. შემდეგ მისი სახე შეცვალა რენესანსისა და რეფორმაციის პროცესებმა, რომლებიც დაუპირისპირდა „შუასაუკუნეობრივი კოლექტივიზმის ციტადელს — სახელმწიფოსა და ეკლესიის სიმბიოზს. ამ ჭიდილს შეიძლება ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ბრძოლაც ვუწოდოთ“[4]. ამიტომ ხშირად საუბრობენ წინაინდუსტრიული საზოგადოებების კოლექტივისტურ ხასიათზე, დღეს კი კოლექტივისტურად მიიჩნევენ სამხრეთ ევროპის, ლათინური ამერიკის, აზიური და აფრიკული კულტურების უმრავლესობას. დასავლეთ ევროპაში ყველაზე მკაფიო კოლექტივისტური ორიენტაციით ესპანურ კულტურას გამოარჩევენ.

საქართველოს არ ჰქონია ურთიერთობა ევროპასთან მას შემდეგ, რაც იქ ინდივიდუ-ალისტური საზოგადოება მკაფიოდ ჩამოყალიბდა. ჩვენი კულტურა, კოლექტივისტური აღმოსავლური (მუსლიმური) კულტურების გარემოცვაში, რომელსაც მოგვიანებით რუსეთის ასევე კოლექტივისტური კულტურა დაემატა, მცირეჯგუფოვან კოლექტივისტურ კულტურად ჩამოყალიბდა. ამას ხელი შეუწყო იმ მიზეზებმა, რომლებზეც ცოტა ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჰოლანდიელი ფსიქოლოგის გ.ჰოფსტედეს მიერ შემოთავაზებულია კიდევ ერთი მახასიათებელი კულტურის სახის განსასაზღვრად, ანუ, როგორც თავად მეცნიერი უწოდებს, „კულტურული განზომილება“; ესაა მასკულინობა-ფემინობის მახასიათებელი[5]. მასკულინური

---

[1] ნიჟარაძე გ. პოლიტიკური ქცევა საქართველოში, გვ.7.

[2] სურმანიძე ლ. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები). თბ., 2001, გვ.7.

[3] Гуревич А.Я. Категории средневековой культуры. М., 1984.

[4] მუზაშვილი ნ. “ორიენტაციების” შესახებ. — ჟურნ. “ომეგა”, თბ., 2000, 7, გვ.4.

[5] იხ.: სურმანიძე ლ. დასახ. ნაშრ., გვ. 84-86; ნიჟარაძე გ. ქართული კულტურა: ქალური, მამაკაცური, ბავშვური. — ჟურნ.: დრო მშვიდობისა, თბ., 2001, 2, გვ.79-82.

(მამაკაცური) კულტურებისათვის დამახასიათებელია მამაკაცისა და ქალის სოციალური როლების მკვეთრი გამიჯნვა; ნორმირებულია მამაკაცური და ქალური პროფესიები და საქმიანობის სფეროები; ქალის ცხოვრება უფრო მკაცრადაა რეგლამენტირებული, ვიდრე მამაკაცის, და წესის დარღვევისათვის მას მამაკაცზე უფრო მძიმე სასჯელი ელის; საზოგადოებას მსჭვალავს მამაკაცური ფასეულობანი, ფასობს ყველაფერი დიდი, მასშტაბური და ძლიერი; წარმატების დემონსტრირება კარგ ტონად მიიჩნევა; აზროვნება რაციონალურობისაკენ ისწრაფვის. ფემინურ კულტურებში პირველადია ის ფასეულობანი, რომლებიც, ტრადიციულად, ქალის როლს უკავშირდება: თავმდაბლობა; კომფორტი და დაცულობა; სხვებზე — განსაკუთრებით, სუსტებზე — ზრუნვა; ორიენტაცია ურთიერთობებზე და არა საქმეზე; ლამაზად მიიჩნევა არა „ყველაზე დიდი“, არამედ პატარა და კოხტა; მნიშვნელოვანია რომელიმე ჯგუფისადმი კუთვნილება; აზროვნება ინტუიტიურისაკენ იხრება. გ.ჰოფსტედეს მიერ ჩატარებული გამოკვლევებით, თანამედროვე განვითარებულ კულტურებში მასკულინობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა იაპონია, რომელსაც მოსდევს გერმანულენოვანი კულტურები. ფემინურობის მაჩვენებლით პირველობენ სკანდინავიის ქვეყნები და ჰოლანდია[1]. თუმცა მიჩნეულია, რომ მასკულინობა-ფემინურობის დონე კულტურაში მეტ-ნაკლებად მყარია, იგი მაინც შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური გარემოებების ზეგავლენით. მაგალითად, ომები, პოლიტიკური კრიზისები და მსგავსი მოვლენები გმირების მოთხოვნილებას ბადებს და მასკულინობის ღირებულებას ზრდის[2], მაგრამ ძნელი სათქმელია, რამდენად მყარია ასეთი კონიუნქტურით გამოწვეული ცვლილება და, საერთოდ, ცვლის თუ არა იგი კულტურის მასკულინურ თუ ფემინურ ხასიათს.

მასკულინური და ფემინური კულტურების გარდა, არსებობს შერეული ტიპის კულტურები. გ.ნიჟარაძის აზრით, ქართული კულტურა სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნება. მასში თანაარსებობენ მასკულინური და ფემინური ნიშნები, რომელთა უცნაურ კომბინაციას განაპირობებს ჩვენი კულტურის ერთგვარი ინფანტილიზმი.

ფსიქოლოგთა ინტერესის სფეროს სცილდება იმის კვლევა, განვითარების რომელი ეტაპიდან იჩენს თავს ეს ინფანტილიზმი, ბავშვურობა, სურვილი — დავრჩეთ ბავშვად, რომელსაც მუდმივად სჭირდება დედა. საერთოდ, ეს (და სხვა) კულტურული განზომილებები ისტორიულ ჭრილში არავის უკვლევია. ასეთი სამუშაოს ჩატარებას, ალბათ, ისტორიკოსთა და ფსიქოლოგთა ერთობლივი შრომა დასჭირდება, რომელთაგან პირველების მიერ მოძიებულ ფაქტებსა თუ მოვლენებს (მიღებულს არა მხოლოდ ისტორიულ ხდომილებათა ქრონოლოგიური რიგის გახსენებით, არამედ საისტორიო წყაროთა ანალიზის და სხვა მონაცემების შეჯერების გზითაც) მეორენი კულტურის ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდების მომარჯვებით გაიაზრებენ.

ჯერჯერობით კი, ფსიქოლოგთა მიერ მხოლოდ ის აღინიშნება, რომ „საზოგადოება ან მასკულინური უნდა იყოს, ან ფემინური; ინფანტილურ საზოგადოებას მხოლოდ დაქვემდებარებული ქვეყნის სტატუსით შეუძლია არსებობა“, აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჩვენი საზოგადოება ამ თვალსაზრისითაც უნდა ჩამოყალიბდეს, ანუ განსაზღვროს საკუთარი სახე. მაგრამ აქ ღია რჩება საკითხი: რამდენად ცნობიერია კულტურული განზომილებების ჩამოყალიბების პროცესი, რამდენად შესაძლებელია ამ პროცესების მიზანმიმართული მართვა?

რაც შეეხება ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმისა და მასკულინობა-ფემინურობის მახასიათებელთა ურთიერთმიმართებას, ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის საპირისპიროდ, გ.ჰოფსტედე აღნიშნავდა მასკულინობის ინდივიდუალიზმთან, ხოლო ფემი-

---

[1] გ.ნიჟარაძე საინტერესო გარემოებაზე მიუთითებს: სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობის დიდი ნაწილი, ძირითადად, მრისხანე ვიკინგების შთამომავლები არიან (იხ.: ნიჟარაძე გ. ქართული კულტურა..., გვ. 80). როგორც ჩანს, მასკულინობა-ფემინობის ხარისხი პირდაპირ კავშირში არ არის ცხოვრების წესთან, ან კიდევ სიმყარით არ ხასიათდება და შედარებით ადვილად ექვემდებარება ცვლილებას.

[2] სურმანიძე ლ. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

ნურობის კოლექტივიზმთან გაიგივების უმართებულობას და იმას, რომ კოლექტივისტური საზოგადოება შეიძლება იყოს მასკულინური და პირიქით[1].

ცივილიზაციისა და კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად მიჩნეულია ლინგვისტური ტრადიცია — განსხვავებული დამოკიდებულება სიტყვა-ლოგოსისადმი[2], რომელიც ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ჩამოყალიბდა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა განსხვავება უძველეს ცივილიზაციათა და კულტურათა შორის. ინდური, ჩინური თუ ანტიკური (ბერძნულ-ლათინური) ცივილიზაციები მკვეთრად განსხვავდებოდნენ სიტყვისადმი დამოკიდებულების ნიშნით.

ევროპული ლინგვისტური ტრადიცია ისტორიულად სათავეს იღებს ბერძნულ-ლათინურისაგან. იგი თავის თავში აერთიანებს ორ განსხვავებულ შტოს: დასავლეთევროპულს, რომელიც დაკავშირებულია, პირველ რიგში, რომანულ-გერმანულ სამყაროსთან, და აღმოსავლეთევროპულს, რომელიც ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროს უკავშირდება. დასავლეთევროპული ლინგვისტური ტრადიცია ლათინურენოვანი და, შესაბამისად, ერთიანი იყო მთელი რომანულ-გერმანულ-კელტური ევროპისათვის XV-XVI საუკუნეებამდე, რის შემდეგ დაიყწო მხოლოდ დასავლეთ ევროპისათვის დამახასიათებელი საინტერესო ცვლილებები[3]. აღმოსავლეთევროპულ ტრადიციას კი ადრეული ეტაპიდანვე ახასიათებს განშტოების ტენდენცია ადგილობრივი ენებისა და კულტურების საფუძველზე. მაგალითად, ქართული და სომხური ლინგვისტური ტრადიციები თითქმის წარმოშობისთანავე დაშორდნენ ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროს არა მხოლოდ დამწერლობის სახით, არამედ ენის ბუნებასთან და ლიტერატურულ-წერილობით კულტურასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დამოკიდებულებითაც. სავარაუდოა, რომ ამ თვალსაზრისით ქართული ლინგვისტური ტრადიციის შესწავლა საყურადღებო შედეგებს მოგვცემს მისი ტიპოლოგიური რაობისა და ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრის კუთხით.

ცივილიზაციათა ტიპოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს მისი კომუნიკაციურობის ხარისხი. იგი განსაზღვრავს ცივილიზაციის დინამიკურობას ან ადინამიკურობას[4]. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მახასიათებელი სხვადასხვა დროსა და რეგიონში სხვადასხვაგვარად მოქმედებს. ერთი და იგივე ცივილიზაცია (და კულტურა) შეიძლება სხვადასხვა პერიოდში კომუნიკაციისთვის მზაობას (ღიაობას) ან დახშულობას ამჟღავნებდეს. ეს რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ასევე, ცივილიზაცია (კულტურა) ერთსა და იმავე პერიოდში შეიძლება შერჩევითად კომუნიკაციური იყოს, ანუ ღია — რომელიღაც კულტურასთან ურთიერთობისათვის და დახშული — სხვებისათვის. ქართული კულტურის ისტორიის პერიოდები და, მთლიანად, ეს ისტორია ამ თვალსაზრისითაც შესასწავლია.

ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც ცივილიზაციათა თეორიების უმრავლესობაში ცივილიზაციები ერთმანეთისაგან იმიჯნება, რელიგიაა. სწორედ ამ ნიშნითა და მასზე დაფუძნებული სხვა მახასიათებლებით განასხვავებენ დასავლურ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ, მუსლიმურ, კონფუციურ და სხვ. ცივილიზაციებს. ამავე პარამეტრს ეფუძნება საქართველოს აღიარება დასავლური (ევროპული) ან აღმოსავლეთ ქრისტიანული ცივილიზაციების ნაწილად, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. მას დაეფუძნა ქართული კულტურა, რომლის სახის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებულ ნორმებს. რიგი მიზეზების გამო, რომელთა შორის უმთავრესი იყო საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ცივილიზაციური გარემო, მართლმადიდებლობა ეროვნულობასთან გაიგივდა და მისი დაცვა ქვეყნის „გამოხსნა-აღდგომის“ პრობლემას

[1] სურმანიძე ლ. დასახ. ნაშრ., გვ.86.

[2] იხ.: Алпатов В.М. Культурные фреалф и лингвистические традициию – В сб.: Цивилизации. Вып.3. М., 1995, с.128-133; Бокадарова Н.Ю. Европейская цивилизация: национальные культуры и языковые нормы. – იქვე, გვ. 133-140.

[3] Бокадарова Н.Ю. დასახ.ნაშრ., გვ.134.

[4] Сванидзе А.А. К проблеме преемственности и взаимосвязи цивилизаций.- В сб.: Цивилизации. Вып.3. М., 1995, с.199.

დაუკავშირდა. ერთმორწმუნე მოკავშირის, შემდეგ კი მფარველის ძიება საუკუნეთა მანძილზე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო. პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ჩვენში კულტურული ორიენტაციის პრობლემად ტრანსფორმირდა, ისლამურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი დაპირისპირების პირობებში კი ამ არჩევანმა მიიღო, აგრეთვე რელიგიურ-კულტურული არჩევანის სახე[1].

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ჩვენი მაჰმადიანი მეზობლები უმთავრესად სარწმუნოებრივი შინაარსის მატარებელი სახელებით იხსენიებიან: „მუსულმანნი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), „მუსურმანნი“ (ბასილი ეზოსმოძღვარი), „მოჰმადიანნი“ (იქვე), „ისლემთა ერი“ (იქვე), „ისლემნი“ („ისტორიანი და აზმანი...„), „სარკინოზნი“ (იქვე), თუმცა გვხვდება ეთნიკური სახელებიც[2].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი მოღვაწის გრ.ლორთქიფანიძის თვალსაზრისი. „საქართველოს კულტურული და ცივილიზაციური ორიენტაცია მტკიცედ იყო მიმართული ევროპისაკენ. ეს პოლიტიკა ქართველი ხალხის ტრადიციულ-ისტორიული სწრაფვაა, — აღნიშნავდა იგი. — აზიაში შეჭრილი საქართველო თავის საქრისტიანო კულტურით მუდამ უფრო ევროპის ნაწილს წარმოადგენდა, ვიდრე აზიისას. საქართველოს შეგნებული ჰქონდა და აქვს, რომ ჯერჯერობით ყოველ შემთხვევაში ყველაზე უარესი ევროპა საუკეთესო აზიას სჯობია“[3].

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთია პოლიტიკური და, თუნდაც, სარწმუნოებრივი ორიენტაცია, მეორე კი — ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილება, რომელიც, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე დამყარებული კავშირებისაგან განსხვავებით, ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდება და წარმოადგენს მრავალი სხვადასხვა გარემოების (ზოგჯერ — შემთხვევითისაც) შედეგს. ინგლისელი მეცნიერი ა.სმიტი აღნიშნავს, რომ რელიგიური იდენტურობა შეიძლება აძლიერებდეს სხვა, მათ შორის ცივილიზაციურ, იდენტურობებს, და შეიძლება ასუსტებდეს მათ[4].

ს.სემიონოვის აზრით, რელიგიური პარამეტრის მიჩნევა ცივილიზაციის ძირითად მსაზღვრელად, რაც ფართოდაა გავრცელებული ისტორიულ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში, დაკავშირებულია მეთოდოლოგიურ რედუქციონიზმთან და სათავეს ევროპოცენტრიზმიდან იღებს: უკანასკნელი საუკუნეების დასავლეთევროპული ცივილიზაციის ძირითადი მახასიათებელი აღიარებულია ყველა ცივილიზაციის უმთავრეს დეტერმინანტად[5]. მაგრამ ეს მახასიათებელი ძნელად თუ გამოდგება სასაზღვრო ცივილიზაციებისა თუ კულტურებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ დასავლეთის და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის სამყაროთა ათასწლოვანი ურთიერთქმედების შედეგს.

მკვლევარი აღნიშნავს ჩვენთვის საყურადღებო კიდევ ერთ გარემოებას: კონფესიურად ჭრელ რეგიონებში არაიშვიათად ყალიბდება კულტურული ერთობები, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობს. კულტურული მემკვიდრეობითობა აქ მჟღავნდება არა რელიგიურ სფეროში, არამედ კულტურის ესთეტიკურ და ეთიკურ ასპექტებში, მითოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ხასიათში[6].

კულტურისა და ცივილიზაციის მთავარ დეტერმინანტად რელიგიის აღიარების კრიტიკით XX ს. 50-იან წლებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გამოვიდა ამერიკელი კულტუროლოგი ფ.ბეგბი, რომელიც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ რელიგია ზეცივილიზაციური ფენომენი კი არა, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, სხვა მახასიათებლებთან ერთად. ამიტომ სავსებით

---

[1] კაციტაძე კ. ორიენტირები, გვ.4.

[2] დონდუა ვ. "ვეფხისტყაოსანი" და ქართველი ისტორიკოსები. — წიგნში: საქართველო რუსთაველის ხანაში (რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული). თბ., 1968, გვ.239.

[3] ლორთქიფანიძე გრ. დამოუკიდებელი საქართველო. — წიგნში: ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე. თბ., თსუ გამომც., 1995, გვ.156-157.

[4] Смит А. Национальная идентичность и идея европейского единства. – В сб.: Актуальные проблемы Европы: экономика, политика, идеология, М.: ИНИОН, 1993, вып.1, с.120.

[5] Семенов С.И. Компаративные лонгитюдные исследования..., с.35.

[6] იქვე.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანული სამყაროს (არა ცივილიზაციის) ორი ნაწილი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან და აღმოსავლეთქრისტიანული ცივილიზაცია მეტ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლურ (მუსლიმურ) ცივილიზაციასთან, ვიდრე დასავლურქრისტიანულთან (ევროპულთან)[1].

ამდენად, რელიგიური პარამეტრი ვერ ჩაითვლება უმთავრეს განმსაზღვრელად ცივილიზაციური კუთვნილების დადგენის გზაზე. ამის ნათელსაყოფი მაგალითები სხვა ადგილას უკვე მოვიტანეთ (იხ. თავიIV, $ 1) და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

რაც შეეხება დასავლური (ევროპული) ცივილიზაციისადმი ჩვენს კუთვნილებას, უნდა აღინიშნოს, რომ თვით ევროპაში თანაარსებობს იდენტურობის რამდენიმე შრე — ევროპული, დასავლეთევროპული, აღმოსავლეთევროპული; ეროვნული; რელიგიური. გერმანელი პოლიტოლოგის ვ.ვაიდენფელდის სიტყვით, ევროპის ისტორია — ესაა დიფერენციაციისა და უნიფიკაციის ისტორია[2]. არსებული მრავალფეროვნების გაცნობიერება ევროპული კულტურის ერთ-ერთი საფუძველია. ევროპისადმი კუთვნილების შეგნება ემყარება ევროპელი ხალხების ერთობლივი კულტურული განვითარების გამოცდილებას, ინტერესს საერთოევროპული ისტორიისადმი, საერთო ტრადიციებისა (პოლიტიკური და სამართლებრივი) და საერთო მემკვიდრეობის (რელიგიური და კულტურული) არსებობას. მიუხედავად ამისა, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ევროპული ინტეგრაცია ასეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა, რომ არა ევროპელ ინტელექტუალთა თაობების ძალისხმევა, რომელთაც შეძლეს საერთო წარსულის, აწმყოსა და მომავლის ღრმა თეორიული გააზრება და, მისი დემონსტრირებით, ევროპელ ხალხთა ორიენტირება ერთიანი ევროპისადმი კუთვნილებაზე[3]. სწორედ ინტელექტუალთა ძალისხმევით „შეიკერა“ ევროპელ ხალხთა კულტურების „ნაკუწებისაგან“ კულტურათა ევროპული ოჯახის „ერთიანი საბანი“.

რამდენად მონაწილეობდნენ ქართველები ამ მუშაობაში? საკმარისი აღმოჩნდა თუ არა ქართველ ინტელექტუალთა ერთი ნაწილის რამდენიმესაუკუნოვანი მცდელობა იმისათვის, რომ ქართველი ისევე მყარად ახერხებდეს ევროპასთან თვითიდენტიფიცირებას, როგორც, მაგალითად, სკანდინავიელი ან იტალიელი? ვფიქრობთ, გაგვიჭირდება ამ კითხვებზე დადებითი პასუხების გასაცემად საჭირო არგუმენტების მოძიება.

საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემისათვის ერთ-ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკის შესწავლა და მათი ტიპოლოგიური რაობის განსაზღვრა დასავლურ, ბიზანტიურ და აღმოსავლურ სისტემებთან მიმართებაში. ამ მხრივ დღევანდელ მკვლევარ-ისტორიკოსს სოლიდური მემკვიდრეობა ხვდება წინამორბედთა შრომების სახით, რომლებშიც, მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე, ფრიად საყურადღებო დასკვნებია ჩამოყალიბებული. მხედველობაში გვაქვს ივ.ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას, ნ.ბერძენიშვილის გამოკვლევები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლას, რაც შემდგომ მათმა მოწაფეებმა განაგრძეს. მკვლევართა დასკვნით, ფეოდალიზმის აღმოცენებიდან XIII საუკუნემდე საქართველოში არსებული სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტები (მიწაზე კერძო საკუთრების უფლება — სრულიად უცნობი აღმოსავლური სამყაროსათვის, შეუვალობით დაცული დიდი ფეოდალური სამფლობელოების არსებობა, სოციალური სტრუქტურა და სხვ.), მთლიანად ფეოდალური სისტემა დიდ ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ევროპულთან, კერძოდ, ფრანგულთან („პარალელური განვითარება“). შემდგომში ეს მსგავსება თანდათან გაქრა, თუმცა არ ჩამოყალიბებულა ტიპოლოგიური მსგავსება აღმოსავლური (ისლამური) სამყაროს სოციალურ-

[1] Bagby Ph. Culture and History, p.176.

[2] ციტ. ნაშრომიდან: Зотова О.М. Идея европейского единства и национальная идентичность. – Вестник Московского ун-та, сер.18. Социология и политология. М., 1999, № 3, с.154.

[3] Зотова О.М. დასახ. ნაშრ., გვ. 162.

ეკონომიკურ სისტემებთან. აღნიშნული გარემოება დასავლეთისადმი საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილების თეზისს უმაგრებს საფუძველს.

ქართული ფეოდალიზმის ევროპულთან მსგავსების გაქრობა, რასაც საფუძველი XIII საუკუნეში ჩაეყარა, ფასდება როგორც „ქართული ისტორიის დრამა და სპეციფიკა“[1]. ბატონყმობის ქცევამ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის უმთავრეს საფუძვლად, სოციალური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტის — ვაჭარ-ხელოსნური ქალაქისა და მესამე წოდების — განადგურებამ და პოლიტიკური სისტემიდან მისმა გაუჩინარებამ განაპირობა დასავლეთთან მსგავსების მოშლა და აღმოსავლური პოლიტიკური ღირებულებითი ორიენტაციის მიმართულებით გადახრა[2].

ა.ჯოხაძემ ყურადღება მიაქცია ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას: ჩვენი პოლიტიკური ელიტის სულისკვეთება თანდათან აღმოსავლური გახდა, მაგრამ გონება თავს მაინც დასავლეთის (ქრისტიანული სამყაროს) ნაწილად მოიაზრებდა. გვიან შუასაუკუნეებში „აღმოსავლური სულისკვეთების ქართველ თავადაზნაურობას ქვეშეცნეულად აღმოსავ-ლეთთან ინტეგრაცია სურდა, ინტეგრაციის ეს პროცესი კარგა შორსაც იყო წასული, მაგრამ რელიგიური სხვაობა აღმოსავლეთთან კანონიერი ქორწინების სანქციას არ იძლეოდა“[3]. სწორედ ეს დაედო საფუძვლად რუსეთისაკენ სწრაფვას, რაც გააზრებული იყო როგორც ევროპასთან დაახლოება. „რუსი ჩინოვნიკის და ჯარისკაცის მუნდირმა ქართულ ზეპურ საზოგადოებას ქრისტიანული დასავლეთის ნაირსახეობის ილუზია შეუქმნა. გაჯიუტებულმა ცნობიერებამ ვერ შენიშნა, რომ რუსული სახელმწიფო მონღოლურ ადმინისტრაციულ სისტემაზე დაყრდნობილი დესპოტია იყო, რომელსაც ბიზანტიური ორნამენტები და დასავლური აქსესუარები ამკობდა“[4].

დაახლოებით იგივეს წერდა თავის დროზე გრ.ლორთქიფანიძე: „აზიური საქართველოს ევროპული სული მუდამ დასავლეთისკენ ისწრაფვოდა. ამ სწრაფვაში XVIII საუკუნის ბოლოს ერეკლეს საქართველომ თითქოს ევროპის სუროგატი რუსეთში პოვა“[5].

შემოთავაზებული თვალსაზრისი ფრიად საინტერესოა, მაგრამ გვეჩვენება, რომ იგი თავისაუფალი არ არის ცალმხრივობისა და საკითხის გამარტივებისაგან. მხოლოდ რელიგიური სხვაობა აშორებდა საქართველოს აღმოსავლეთისაგან? არსებობდა რაიმე საფუძველი, რაც აღმოსავლეთთან „კანონიერ ქორწინებას“ შესაძლებელს გახდიდა?

ან კიდევ, საინტერესოა, მაინც რამ განაპირობა „ცნობიერების გაჯიუტება“? იქნებ, ბიზანტიასთან ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტის გამოცდილებამ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ქართველთათვის დასავლეთად მოიაზრებოდა (მუსლიმურ აღმოსავლეთთან მიმართებაში) და რომლის მემკვიდრედ შემდგომში თავი რუსეთმა გამოაცხადა? თავად ბიზანტია კი მხოლოდ ელინიზმისა და ლათინიზმის მემკვიდრე არ იყო. მისთვის დამახასიათებელი იყო ნახევრადაღმოსავლური — ძირითადად, სასანური სპარსეთისაგან ნასესხები — პოლიტიკური ინსტიტუტები, მონარქის ხელისუფლების ცენტრალიზაციის, ზეკანონიერებისა და საკრალიზაციის ჩათვლით. ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია ბიზანტიასთან კონტაქტში მყოფი ყველა ხალხის განვითარებაზე, მათ შორის, ცხადია, ჩვენი პოლიტიკური სისტემის ფორმირებაზეც. სწორედ ბიზანტიას უმადლიან ეს ხალხები სახელმწიფოებრიობის ფორმასო, აღნიშნავდა რ.ლანდა[6].

თავის დროზე ნიკო ნიკოლაძე მიუთითებდა ჩვენი სახელმწიფო მმართველობის ბიზანტიურ ხასიათზე, რომელიც, თავის მხრივ, აზიური დესპოტიებისათვის დამახასიათებელი მრავალი

---

[1] ჯოხაძე ა. სიკვდილი ბიზანტიურად. — გაზ. “რეზონანსი”, თბ., 2001, 23-24.01.
[2] იქვე.
[3] ჯოხაძე ა. სიკვდილი ბიზანტიურად. — გაზ. “რეზონანსი”, თბ., 2001, 23-24.01.
[4] იქვე.
[5] ლორთქიფანიძე გრ. დამოუკიდებელი საქართველო. — წიგნში: ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე. თბ., 1995, გვ.156.
[6] Ланда Р. Межцивилизационные связи и историческое взаимодействие народов Черноморья. – В журн.: Центральная Азия и Кавказ, М., 2000, № 1 (7), с.205-206.

ნიშნით იყო აღბეჭდილი: „ჩვენი ქვეყანა ... ბიზანტიის წეს-წყობილებით იმართებოდა. ჩვენ ყველანი ერთობ ახლო ვიდექით აზიასთან, ერთობ ვემონებოდით მის მაგალითს, მის ხასიათს. ეს ხასიათი ერთიანად, უპირატესად, დესპოტის პირად შეხედულებებში, პირად სურვილში, ნებაში, თვით-მნებელობაში მდგომარეობდა. დესპოტს ბიზანტიაში იმპერატორი ერქვა, ჩვენში — მეფე, სხვაგან — მთავარი, მაგრამ საქმით, შინაარსით ყოველგან ერთი და იგივე თვისება ჰქონდა: ის იყო მარტო, და მეტი არა იყო-რა“[1].

რაც შეეხება ბიზანტიის შედარებით ნელი საზოგადოებრივი განვითარებისა და, შემდგომ, მისი დაცემის მიზეზებს, ასეთებად ხშირად სახელდება ბიზანტიური სახელისუფლებო და სამართლებრივი ინსტიტუტების სპეციფიკა, განვითარებული ბიუროკრატიული აპარატი, სახელმწიფო მართვის უკიდურესი ცენტრალიზაცია, დასავლური („კლასიკურად“ მიჩნეული) ფეოდალური ინსტიტუტების ნელი განვითარება და სხვ.[2] მაგრამ ბიზანტინოლოგთა ნაწილი ამგვარ ახსნას არასწორად მიიჩნევს და უმთავრეს მნიშვნელობას საგარეო ფაქტორს ანიჭებს. მ.ი.სიუზიუმოვი, გ.გ.ლიტავრინი და სხვები აღნიშნავდნენ, რომ ბიზანტიის იმპერია პერმანენტულ ომში იყო ჩაბმული, რომელიც ყოველწლიურად ნთქავდა უზარმაზარ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. ასეთ პირობებში იმპერიის ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ, ნებისმიერი საშუალებით შეენარჩუნებინათ სტაბილურობა, მოეხდინათ არსებული წყობილების კონსერვირება. დიდ სოციალურ რეფორმებს შეეძლო დაერღვია სოციალური წონასწორობა. საგარეო ფაქტორი ჰიპერტროფირებულ როლს იძენდა და საშინაო ფაქტორად იქცეოდა[3].

თავის მხრივ, ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების დამკვიდრება ჩვენში ხელს უწყობდა უფრო მჭიდრო ინტეგრაციას ბიზანტიურ ცივილიზაციასთან, რამდენადაც ბიზანტიური (აღმოსავლურქრისტიანული) ცივილიზაციის მიღწევათა ათვისების პროცესი უფრო სწრაფი და ეფექტური იყო იმ ქვეყნებში, სადაც არსებობდა ან ყალიბდებოდა მმართველობის ცენტრალიზებული ფორმა[4].

როცა ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის მიზეზთა ძიებისას ჩვენში ბიზანტიური მოდელის არსებობასა და მის უარყოფით როლზე ვმსჯელობთ, იქნებ, მართებული იყოს მეტი ყურადღების მიქცევა იგივე საგარეო ფაქტორის მნიშვნელობაზე. იქნებ, ცივილიზაციათა მიჯნაზე ყოფნამ ჩვენთანაც განაპირობა ამ ფაქტორის ჰიპერტროფირებული როლი და მისი საშინაო ფაქტორად ტრანსფორმაცია, როგორც ეს ბიზანტის შემთხვევაში მოხდა?

სხვა საქმეა, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ ჩვენში ბიზანტიური ყაიდის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტები შენარჩუნდა, რომლებშიც სულ უფრო ძლიერდებოდა აღმოსავლური ელემენტები. მოგვიანებით კი მათ კარგად მოერგო „ბიზანტიური ორნამენტებითა და დასავლური აქსესუარებით დამშვენებული“ რუსული მმართველობის წესი.

ასე ყალიბდება საქართველოში სახელმწიფო აპარატის ფუნქციობის ზემოთ ნახსენები აზიური სტილი, რომელიც ჩვენი არადასავლურობის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო გამოხატულებად სახელდება[5].

დღეს საქართველო აღიქმება გაურკვევლი მიკუთვნებულობის სახელმწიფოდ, რომელიც იმყოფება თვითგამორკვევის პროცესში და განიცდის ზემოქმედებას: 1) დასავლური ცივილიზაციის მხრიდან; 2) დასავლურსა და სლავურ-მართლმადიდებლურ ცივილიზაციებს შორის გახლეჩილი რუსეთის მხრიდან; 3) დასავლურსა და ისლამურ ცივილიზაციებს შორის გახლეჩილი თურქეთის მხრიდან. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი იღებს ამა თუ იმ ცივილიზაციის გავლენას, ანუ დასაყრდენი და გამტარია მისთვის, ხოლო მეორე ნაწილი,

---

[1] ნიკოლაძე ნ. ბულგარია. — ქართული მწერლობა, ტ.14, თბ., 1997, გვ. 222-223.

[2] იხ.: Сюзюмов М.Я. Некоторые проблемы исторического развития Византии и Запада. – В сб.: Византийский временник, т.35, М., 1973, с.4.

[3] Сюзюмов М.Я. Историческая роль Византии и ее место во всемирной истории. – В сб.: Византийский временник, № 29, М., 1968, с.44; Литаврин Г.Г. Геополитическое положение Византии в средневековом мире в VII-XII вв. – В кн.: Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики. СПб., 1995, с. 16.

[4] Оболенский Д. Византийское содружество наций. М., 1998, с.299.

[5] ნიჟარაძე გ. თანამედროვე ქართული საზოგადოება პოლიტიკური ქცევის ასპექტში. — გაზ.: “განახლებული ივერია”, თბ., 2000, 1-2, გვ.11.

პირიქით, ეწინააღმდეგება მას და თავის მხრივ ექცევა სხვა ცივილიზაციის თუ კულტურის გავლენის ქვეშ[1].

თანამედროვე ქართული საზოგადოება ციფრებსა და სტტისტიკურ მონაცემებში

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციის პროცესი ქმნის ისეთ გამოწვევებს, რომელიც უკავშირდება ოჯახური ტრადიციების ცვლილებას, შობადობის შემცირებას; ეს პრობლემები, როგორც ჩანს, მოდერნიზაციის პროცესის თანმდევია.

ფ.ფუკუიამას თქმით, მოდერნიზაციის პროცესმა გამოიწვია „დიდი შეშფოთება“, რაც 60-იან წლებში განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანათა საფუძველს, საყრდენს შეეხო.

